# კვირის პალიტრა

№ 41 (452) ◆ 13 – 19 ოქტომბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




## ამომრჩევლის მოქრთამვა წყალში გადაყრილი ფული იქნება

გვ.3

**ინტერვიუ ეუთოს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელთან**

ჩვენი შეფასება არჩევნების მეორე დღესვე გამოქვეყნდება და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კომისია არც ფინანსებს და არც ენერგიას არ დაიშურებს იმისთვის, რომ მისი შინაარსი ყოვლისმომცველი და ობიექტური იყოს.

## „ჰაერიდან თავზე დავაცხრებით და ჯიხვებს მუსრს ვავლებთ...“

გვ.6,27





წელსაც შეგვეპარნენ ნაკრძალში, მაგრამ პარლამენტარები იყვნენ და აღარ ჩავყევი ამ საქმეს. შარს მოვერიდე.

## როგორ მოვიპოვოთ(?!) არჩევნებში მონაწილეობის უფლება...

**1800 წელს დაბადებულები არჩევნებზე მივლენ?!**

მინდა ჩემი მხრიდან ბოდიში მოვიხადო ამ უზუსტობებისათვის და გთხოვოთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ფართო პროპაგანდა გაუწიოთ იმას, რომ 19 ოქტომბერია სიების გადამოწმების ბოლო ვადა. გვ.5

შეამოწმეთ, ხართ თუ არა სიაში, რომ თქვენი ხმა არ დაიკარგოს.

**ნანა დევდარიანი**

## შეიქმნა ახალი პარტია — მუპი

მკითხველის უნივერსალური პარტია

**მისი საარჩევნო ათეული ასე გამოიყურება**

გვ.35

1. ნინო ბურჯანაძე
2. შალვა ნათელაშვილი
3. მიხეილ სააკაშვილი
4. ზურაბ ჟვანია
5. ჯუმბერ პატიაშვილი
6. გოგი თოფაძე
7. რეზო შავიშვილი
8. კობა დავითაშვილი
9. დავით გამყრელიძე
10. აკაკი ასათიანი

## რამდენი მინისტრი ან მინისტრის მოადგილე მიდის პარლამენტში? რატომ?



გვ.7,13

**„შევარდნაძის შემდეგ ვინც არ უნდა მოვიდეს, უთუოდ ამოსწევს ამ მასალებს“**

იციან, წლინახევრის შემდეგ შევარდნაძე პრეზიდენტი აღარ იქნება და მათ უსაფრთხოებას არავითარი გარანტია აღარ ექნება. არადა, ისინი დასაჭერები არიან — თვითონაც იციან, რომ ამ მასალების საფუძველზე უსათუოდ დააპატიმრებენ.

**ვინ დატოვებს ამ საქმეებს ისე?!**

## რას ნიშნავს მეტეოროლოგიური კურიოზი

გვ.12



**„ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ცივი ამინდები დაგვიდგება“**

— ციკლონმა, რომელმაც გერმანიაში თოვლის მოსვლა გამოიწვია, უკვე ჩამოიარა შავ ზღვაზე და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დაიძრა. სწორედ ამ ციკლონის გვერდით ჩავლის გამო, საქართველო პატარა ზაფხულში აღმოჩნდა. მეტსაც გეტყვით, 9 ოქტომბერს ბათუმში დაფიქსირდა 35$^{0}$C. ამგვარი ტემპერატურა 120 წლის მანძილზე პირველად იყო. ამას ჰქვია მეტეოროლოგიური კურიოზი.

## შეწყდეს ძალადობა თავისუფალ პრესაზე!

გვ.2

## ბობი ფიშერის საიდუმლო ამოხსნილია

ცხოვრობს იაპონიაში, ებრძვის ებრაელებს და 10 მილიონის საფასურადაც კი უარს ამბობს ითამაშოს ჩვეულებრივი ჭადრაკი... გვ.33

## ოთარ იოსელიანი: — ყლაპავენ ამ ბატიბუტს და უყურებენ იდიოტობას...



შეშინებული, გაჭყლეტილი ხალხი იყო. ასეთებადვე დარჩნენ. საერთოდ, მონობას ვერ მოიშორებ სულიდან. ეგ არის უსაზიზღრესი თვისება ადამიანის ბუნებისა. ამიტომ ვამბობ — ჩვენ ჩვენს თბილისში ვცხოვრობდით-მეთქი. თბილისი მაინც ლაღი ქალაქია. გვ.17



## გააკეთეთ პროგნოზი და... მოიგეთ ფერადი ტელევიზორი

გვ.7

**არჩევნები-2003**

## რას წერენ ჩვენზე:

გვ.14 გვ.14,27



Москва ставит на грузинских демократов

Без помощи России Грузия не справится со своими проблемами

**მაინც რა ეწერა ამ ყბადაღებულ სტატიაში**

### იგორ გიორგაძე ყავას წრუპავს და გულახდილად საუბრობს...

... ჯაბამ შევარდნაძის დაპატიმრება და სასამართლოსთვის გადაცემა შემომთავაზა.

... ჩემს მოსაკლავად ქურდი შაქრო მიიწვიეს ...ბერეზოვსკი შევარდნაძეს შეჰპირდა — მაგიდაზე გიორგაძის თავს დაგიდებო.

## 14 ოქტომბერი — საუფლო კვართის დღესასწაული, სვეტიცხოვლობა!

## ნომრები განაწილდა

საარჩევნო კოდექსის თანახმად, პირველი ოთხი ნომერი ბოლო საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით განაწილდა. შესაბამისად, პირველი ნომერი სახელისუფლებო ბლოკს „ახალი საქართველოსთვის“ მიენიჭა, მეორე — „დემოკრატიული აღორძინების კავშირს“, მესამე — ბლოკს „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, მეოთხე — „ლეიბორისტულ პარტიას“, მეხუთე — „ნაციონალურ მოძრაობას“, მეექვსე — „ერთიან კომუნისტურ პარტიას“, მეშვიდე — ბლოკს „ბურჯანაძე-დემოკრატები“, მერვე — საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ გაერთიანება „მძლეველს“, მეცხრე — „ერთიან საქართველოს“. რაც შეეხება მე-10 ნომერს, ეს საკითხი ჯერჯერობით ღია რჩება, რადგან „ინტელექტუალთა ლიგა“, რომელსაც ეს ნომერი უნდა მინიჭებოდა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მხარდამჭერთა სიებში არსებული დარღვევების გამო რეგისტრაციიდან მოხსნა.

მე-11-დან დაწყებული ნომრები წილისყრის შედეგებით ასე განისაზღვრა: 11. არასახელისუფლებო ბლოკი „სამშობლო“ — თემურ ჟორჟოლიანი; 12. ბლოკი „ახალი მემარჯვენეები“ („ახლები“) — დავით გამყრელიძე; 13. ბლოკი „ჯუმბერ პატიაშვილი — პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“ — ჯუმბერ პატიაშვილი; 14. პოლიტიკური პარტია „დედასამშობლო“ — თეიმურაზ გუგეშაშვილი; 15. ბლოკი „ეროვნული თანხმობა — იბერიის გაბრწყინება“ — გურამ აბსანძე; 16. „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია“ — ალექსანდრე ხითარიშვილი; 17. „მრეწველობისა და ეკონომიკური აღმავლობის პარტია“ — ზაზა ხვედელიძე; 18. ბლოკი „მშვიდობიანი კავკასია“ — მამუკა არეშიძე; 19. „საქართველოს სახალხო კაპიტალიზმის პარტია“ — ჰამლეტ გეგია; 20. „სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი“ — ბესარიონ ბერძენიშვილი; 21. პოლიტიკური გაერთიანება „ქალთა დაცვის კავშირი“ — ნარგიზა დვალია; 22. „საქართველოს ადვოკატები“ — ქართლოს ღარიბაშვილი.

## „კმარას“ აქცია ვიზიტის პარალელურად

საქართველოს პრეზიდენტის ფოთში ვიზიტის პარალელურად, ადგილობრივი მერიის შენობასთან „კმარას“ აქტივისტების აქცია გაიმართა. აქციის დაწყებიდან რამდენიმე საათში, აქტივისტები, დაახლოებით 30 კაცი, სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა დაარბიეს. ედუარდ შევარდნაძე ფოთში ვიზიტის დროს რამდენიმე ღონისძიებას დაესწრო. ნავსადგურის ტერიტორიაზე გამოჩენილი ფრანგი მწერლის, ალექსანდრე დიუმას ძეგლის გახსნის ცერემონიალს საქართველოში საფრანგეთის ელჩი მირეი მიუსო, ალექსანდრე დიუმას საზოგადოების წარმომადგენელი ჟანდან შენლი და ალექსანდრე დიუმას შემოქმედების მკვლევარი კლოდ შოპიც დაესწრნენ.

მოგვიანებით ფოთის ნავსადგურის კულტურისა და დასვენების ცენტრში საქართველოს პრეზიდენტი სახელისუფლებო ბლოკის ადგილობრივ მხარდამჭერებს შეხვდა.

## მხარეები შეთანხმდნენ

აფხაზმა სამართალდამცველებმა ქართულ მხარეს 6 ოქტომბერს გალის რაიონის სოფელ საბერიოში დაღუპული ორი ქართველის — ბახვა კოპალიანისა და თენგიზ ზარანდიას ცხედარი გადასცეს. ეს გადაწყვეტილება მხარეებმა ჭუბურხინჯში გამართულ ოთხმხრივ შეხვედრაზე მიიღეს.

როგორც საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ავთანდილ იოსელიანმა განაცხადა, შეხვედრაზე მხარეები ასევე შეთანხმდნენ გალის რაიონის ტერიტორიაზე მყოფი, 24 სექტემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალკახათიდან გატაცებული როლანდ ჩანგალიას გათავისუფლებაზე.

## კობახიძე განაწყენებულია

გიორგი კობახიძის განაწყენება „აღორძინების კავშირის“ საარჩევნო სიას უკავშირდება, რომლის შედგენის დროს, მისი აზრით, „არ იყო გათვალისწინებული მისი და მისი მეგობრების პროფესიონალიზმი და გამოცდილება“. „ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, „აღორძინების“ ლიდერის უახლოეს გარემოცვაში სუბიექტივიზმი და არაპარტნიორული დამოკიდებულება მძლავრობდა. მიმდინარე საარჩევნო პროცესებში ჩვენი მონაწილეობა და საბურთალოს რაიონში მაჟორიტარ დეპუტატად კენჭისყრა აზრს კარგავს“, — ნათქვამია გიორგი კობახიძის მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში.

## „სამართლიანი არჩევნები“ ყურადღებას ითხოვს

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლების განცხადებით, ამომრჩეველმა, რომელიც საოლქო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ ამომრჩეველთა ერთიან სიაში ვერ მოხვდება, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სპეციალური საჩივრით უნდა მიმართოს. მათი თქმით, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ამომრჩევლის საჩივარი ცესკომ საოლქო კომისიას უნდა გადაუგზავნოს არა უგვიანეს მომდევნო დღისა, რომელიც ამომრჩევლის საჩივარს ხუთი დღის ვადაში განიხილავს და შესაბამის შესწორებას გააკეთებს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამომრჩევლის საჩივრის საფუძველზე შესწორების შეტანის პროცესი 22 ოქტომბრამდე უნდა დასრულდეს; ხოლო 22 ოქტომბრის შემდეგ, 28 ოქტომბრამდე ამომრჩეველთა ერთიან სიაში შესწორების შეტანა მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი. „ამომრჩეველი ვალდებულია დაიცვას საკუთარი ხმა, რათა არჩევნების გაყალბება გამოირიცხოს“, — აღნიშნა „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელმა.

## ევროსაბჭოს წინასაარჩევნო მისია

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებელთა წინასაარჩევნო მისიის ხუთკაციანი დელეგაცია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, საქართველოს გენერალურ პროკურორს, ცესკოს თავმჯდომარეს, საგარეო საქმეთა და შს მინისტრებს, ასევე საქართველოში თითქმის ყველა ძირითად პოლიტიკურ პარტიასა და ეუთოს არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიასაც შეხვდა.

მისიის დელეგაციაში შედიან საფრანგეთის, უნგრეთის, ნორვეგიის, ჩეხეთის რესპუბლიკისა და გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლები.

## „აბრეშუმის გზა“ რეალობა ხდება

როგორც კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გამართულ ბრიფინგზე საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით მყოფმა უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა განაცხადა, იმისათვის, რომ ფოთის პორტის კონკურენტუნარიანობა და, შესაბამისად, „ტრასეკასადმი“ ინტერესი გაიზარდოს, უზბეკეთის მხარე მზადაა უზბეკური ბამბის ტრანზიტი საქართველოში 100 ათას ტონამდე გაზარდოს. ქარიმოვის თქმით, „აბრეშუმის გზასა“ და „ტრასეკას“ პროექტებს მართლაც დიდი პერსპექტივა აქვთ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პროექტების განხორციელებისას უპირველესად ეკონომიკური და არა პოლიტიკური ინტერესებით იხელმძღვანელებენ. ქარიმოვის ამ მოსაზრებას სავსებით იზიარებს საქართველოს პრეზიდენტიც, რომლის თქმითაც, „ტრასეკას“ კიდევ უფრო პერსპექტიულს ხდის ამერიკის ადმინისტრაციის მხარდაჭერა, რომელიც შევარდნაძის განცხადებით, მათ არაერთხელ გამოხატეს.

## ბურჯანაძე გამყალბებლების დასჯას მოითხოვს

„ბურჯანაძე-დემოკრატების“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, 1999-2000 წლებში საქართველოში ჩატარებული არჩევნების გაყალბების დამადასტურებელი ფაქტების არსებობის შემთხვევაში, ყველა პირმა, რომლებმაც არჩევნების გაყალბებაში მიიღეს მონაწილეობა, პასუხი უნდა აგოს.

„1999-2000 წლების არჩევნების გაყალბების ფაქტები თუკი არსებობს, გამოძიება უნდა დაიწყოს“, — განაცხადა ბურჯანაძემ, რომლის თქმითაც სახელმწიფო მინისტრი ვალდებულია, პირდაპირ ეთერში წარმოდგენილი დოკუმენტაცია ბოლო მოწვევის საპარლამენტო არჩევნების 300 ათასი ხმით გაყალბების თაობაზე, სათანადო ადგილზე დადოს. „ავთანდილ ჯორბენაძემ არჩევნების გაყალბების თაობაზე თითქმის ჩვენს წინაშე ჯერ დოკუმენტაცია წარმოადგინა, ხოლო შემდეგ გაჩუმდა. ალბათ მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ან არასწორი იყო, ან ისეთ ფაქტებს შეიცავდა, რომლის საჯაროდ გამოაშკარავება სახელისუფლებო ბლოკის ინტერესებში არ შედის“, — დასძინა მან. თუმცა, ბურჯანაძის აზრით, არჩევნების ობიექტურობის თვალსაზრისით ეჭვის ქვეშ უნდა დადგეს ყველა არჩევნები, რომლებიც ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში ჩატარდა.

## შს-ს თანამშრომელი დააყაჩაღეს

შსს-ს საინფორმაციო სამმართველოს საგარეო საქმეთა განყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი კალისტრატე მექვაბიძე 9 ოქტომბერს, დაახლოებით 13.00 საათზე, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოტყუებით აიყვანეს, დაიყაჩაღეს და ავტომანქანა BMW წაართვეს.

ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო ნაწილის უფროსის, ზაზა მესხის განცხადებით, მექვაბიძე გამსახურდიას გამზირზე 25-27 წლის ქალმა გააჩერა და ლისის ტბამდე აყვანა სთხოვა. მექვაბიძეს იქ ორი შეიარაღებული პირი დახვდა, რომლებმაც მას ხელები შეუკრეს, თვალები აუხვიეს და რამდენიმე საათის შემდეგ გზაზე დატოვეს.

როგორც შემდეგ დაფიქსირდა, ავტომანქანა მაღალი სისწრაფით წყნეთისკენ მიდიოდა და მას ქალი მართავდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობის მუხლით აღიძრა.

## თავისუფალ პრესას ემუქრებიან

3 ოქტომბერს ქალაქ ფოთში დამოუკიდებელი გაზეთის, „ფოთის“ რედაქციის ოფისი გაძარცვეს — წაიღეს გაზეთის გამოცემისათვის საჭირო მთელი ტექნიკა. დანაშაული ღამით, სადღეღამისო დაცვისა და ვიდეოკამერებით კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხდა. თუმცა ვიდეოჩანაწერებში მძარცველები დაფიქსირებული არ არიან, რადგან ჩანაწერი საეჭვოდ წყდება ღამის 4 საათზე. გაზეთის რედაქტორი ხათუნა ცომაია მომხდარში ადგილობრივ ხელისუფლებას ადანაშაულებს და ძარცვის ფაქტს მოახლოებულ არჩევნებს უკავშირებს. „ის ძალები, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებში იღებენ მონაწილეობას ფოთიდან, გამწარდნენ, როცა მათი ქონებრივი დეკლარაციები და მათ მიერ განიავებული ფოთის ბიუჯეტის მაჩვენებლები გამოვაქვეყნეთ. ჯერ ბინა გამიძარცვეს, შემდეგ მანქანა დამიმტვრიეს, ახლა კი ოფისი გაძარცვეს. პოლიცია ნაცვლად იმისა, რომ საქმე გამოიძიოს, ცინიკურად აცხადებს, ახლა აღარ აქვს მოპარული ტექნიკის დაბრუნებაზე ფიქრს, შესაძლოა, იგი უკვე რიონის ფსკერზეა, — განაცხადა ხათუნა ცომაიამ „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას და დასძინა, — კარგა ხანია, შევეჩვიე მუქარის ზარებს ციხეებიდან, შავი სამყაროს ავტორიტეტები მობილურ ტელეფონზე მეტსახელებით მეცნობოდნენ და მემუქრებოდნენ. ჩემთან რომ ვერაფერს გახდნენ, დედაჩემს დაემუქრნენ და გააფრთხილეს, თუ შენი შვილი არ გაჩერდება, ხელებზე მჟავას დავასხამთ და მის შვილს კი მოუსავლეთს გავუყენებთ“...

როგორც ჩანს, თავისუფალ პრესასთან შეგუება ქართველ ხელისუფალთ ჯერ კიდევ უჭირთ.

## საპროტესტო განცხადება გაზეთ „ფოთის“ ოფისის გაძარცვის გამო

ეს არ იყო პირველი შემთხვევა. კრიტიკული პუბლიკაციების გამოქვეყნებასა თუ გაბედული პროექტების განხორციელებას ყოველთვის თან სდევდა გაზეთ „ფოთისა“ და არასამთავრობო ორგანიზაციის „თავისუფლებისა და დემოკრატიის საზოგადოებრივი ცენტრის“ წინააღმდეგ მიმართული კრიმინალური ფაქტები. დღემდე ეს რედაქტორის მანქანის საბურავების დაჭრით, კრიმინალური ავტორიტეტების მიგზავნით, ბინის გაქურდვით, ავტომანქანის მოპარვითა და დამტვრევით, გაზეთის კრიტიკული ნომრების ქსელიდან სრული ამოღებით, გაზეთის დისტრიბუტორებისა და თანამშრომლების დაშინებით, საგადასახადო სტრუქტურების ხშირი სტუმრობითა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარებით გამოიხატებოდა. ჩამოთვლილ შემთხვევათა გამო ფოთის პოლიციის სამმართველოში აღძრულია ოთხი საქმე, მაგრამ არც ერთი არ არის გახსნილი.

საქართველოს დამოუკიდებელ მასმედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს და საქართველოში აკრედიტებულ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიგვაჩნია, რომ ბოლო ხანებში განსაკუთრებით გახშირდა ცალკეულ ჟურნალისტებსა და რედაქციებზე ხელისუფლების მხრიდან სხვადასხვა სახის ძალადობის ფაქტები, რაც ჩვენი აზრით, მოახლოებულ არჩევნებსა და გამძაფრებულ პოლიტიკურ დაპირისპირებას უკავშირდება.

თუ უახლოეს პერიოდში ან არჩევნებამდე ხელისუფლებისათვის მიუღებელი გაზეთისა და ანტიკორუფციული პროექტების მუშაობა ვერ განახლდება, ჩვენი აზრით, ხელისუფლებისა და კრიმინალური ძალების ერთობლივი ჩანაფიქრი წარმატებით შესრულდება.

ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს თავისუფალი მასმედია, არასამთავრობო სექტორი და ის საღი ძალები, რომლებიც, შესაძლოა, დარჩნენ საქართველოს ხელისუფლებაში, ყველაფერს იღონებენ, რათა ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლად გავრცელებას და სხვა დემოკრატიულ პროცესებს საფრთხე არ შეექმნას.

*ასოციაცია „თავისუფალი პრესა“*
*„საქართველოს რეგიონალური მედიის ასოციაცია“*
*„საქართველოს მაუწყებელთა ასოციაციის“ მხარდაჭერით*

## ცესკოს მდივანი სცემეს...

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანს, გიორგი მიქანაძეს 12 ოქტომბერს, დაახლოებით 02.00 საათზე, კოსტავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, საკუთარ სახლთან სამი-ოთხი უცნობი პირი დაესხა თავს და სასტიკად სცემა.

როგორც გიორგი მიქანაძის ოჯახის წევრებმა განაცხადეს, მას ცხვირზე რამდენიმე ნაკერი, სხეულის დაჟეჟილობა და ტვინის შერყევა აქვს. მათივე განცხადებით, თავდამსხმელებს ფული და მობილური ტელეფონი არ წაუღიათ, ამიტომ ინციდენტს პოლიტიკური მოტივით ხსნიან. ერთ-ერთი თავდამსხმელი ამ დროისათვის დაკავებულია, მაგრამ მისი ვინაობა, ჯერჯერობით, არ მჟღავნდება. როგორც გიორგი მიქანაძის მკურნალმა ექიმმა, ბუბა შალამბერიძემ განაცხადა, გიორგი მიქანაძის მდგომარეობა ამ დროისათვის სტაბილურია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურაში აღიძრება.

## ლეიბორისტები ავანგარდში არიან

ლეიბორისტული პარტია თავს ქვეყნის ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის ავანგარდად მიიჩნევს და 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების ინტერესების დაცვას სასამართლოს გზით აპირებს. როგორც გამართულ პრესკონფერენციაზე „ლეიბორისტული პარტიის“ პოლიტიკური საბჭოს წევრმა, კახა ლორიამ განაცხადა, ხელისუფლებას 9 აპრილს დაზარალებულები „ღვთისა და ბედის ანაბარა ჰყავს მიტოვებული“ და მათი სოციალური დაცვისთვის არაფერს აკეთებს. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლის 30 აპრილიდან მოქმედებს საქართველოს კანონი „9 აპრილს დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალურად დაცვის გარანტიების შესახებ“, იგი მიღებიდან დღემდე არ შესრულებულა. როგორც „ლეიბორისტები“ ამტკიცებენ, სამი წლის განმავლობაში დაზარალებულთა მიმართ სახელმწიფოს დავალიანებამ 2.283.120 ლარი შეადგინა. „ლეიბორისტული პარტია“ ირწმუნება, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აღნიშნულ პრობლემებს თავად მოაგვარებს, მანამდე კი პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი საოლქო სასამართლოში შეიტანა. დღეისათვის 9 აპრილს დაზარალებულთა რაოდენობა 1.812 კაცს შეადგენს, 50 კი უკვე გარდაიცვალა.

## მღვდელმთავრები ახალ ხარისხში

ბათუმის, ტაო-კლარჯეთისა და ხონის ეპისკოპოსებმა სასულიერო იერარქიის ახალ საფეხურზე გადაინაცვლეს. როგორც საქართველოს საპატრიარქოში განაცხადეს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა საქართველოს საპატრიარქოს სამსახურის უფროსი, ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე) და ხონისა და სამტრედიის ეპისკოპოსი საბა (გიგიბერია).

## ბაღდადში ესპანელი დიპლომატი მოკლეს

ესპანელი დიპლომატი ხოსე ანტონიო ბერნარ გომესი ბაღდადში საკუთარი სახლის წინ მოკლეს. ესპანეთის საელჩოს სამხედრო ატაშე იმ დროს დაცხრილეს, როცა ის ცოლსა და ქალიშვილთან ერთად შინიდან გამოდიოდა. ერთსართულიანი სახლი, სადაც დიპლომატი ცხოვრობდა, სუზანის საკონსულოდან 150 მეტრში მდებარეობს. თვითმხილველის თქმით, გომესს უცნობებმა ავტომატური იარაღით ესროლეს, რის შემდეგაც ყავისფერ „ოპელში“ ჩასხდნენ და მიიმალნენ. დიპლომატი ჭრილობებით ადგილზე გარდაიცვალა.

30 წლის გომესი საომარი ოპერაციების აქტიური ფაზის დასრულების შემდეგ ერაყში დაღუპული მეორე ესპანელია. აგვისტოში ბაღდადში გაეროს მისიის შენობასთან განხორციელებული ტერაქტის შედეგად მანუელ მარტინ ოარი დაიღუპა. ის იმ გემის კაპიტანი იყო, რომლითაც გაეროს ერაყში ჰუმანიტარული ტვირთი შეჰქონდა.

## ნობელიანტი ირანელი სამართალდამცველი

ცნობილ ირანელ სამართალდამცველს, ადვოკატ შირინ ებადის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმიანობისთვის ნობელის მშვიდობის პრემია მიენიჭა. როგორც ოსლოში ნობელის კომიტეტმა გამოაცხადა, 56 წლის ებადის პრემია „ირანში ადამიანის უფლებებისათვის, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების უფლებებისათვის ბრძოლასა და დემოკრატიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“ გადაეცა. 1979 წლის ისლამურ რევოლუციამდე შირინ ებადი ირანში პირველი მოსამართლე ქალი იყო. წელს ნობელის მშვიდობის პრემიაზე 165 კანდიდატი იყო წარდგენილი. მათ შორის იყვნენ რომის პაპი იოანე პავლე II და ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი. პრემიის ლაურეატს ჯილდო, 1,32 მლნ აშშ დოლარი, ოსლოში გადაეცემა. შირინ ებადი მეთერთმეტე ქალია, რომელსაც 1901 წელს დაწესებული ნობელის მშვიდობის პრემია მიენიჭა.

## ყანდაღარიდან ტყვე თალიბები გაიქცნენ

ავღანეთის ქალაქ ყანდაღარის ციხიდან 30 ტყვე თალიბი გაიქცა. ყანდაღარის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა, გენერალმა სალიმმა პატიმართა გაქცევის ფაქტი დაადასტურა, თუმცა განაცხადა, რომ გაქცეულთა ზუსტი რაოდენობა მისთვის უცნობია. მისი თქმით, ავღანეთის სამართალდამცავი ორგანოები ამ ფაქტზე გამოძიებას აწარმოებენ და გაქცეულებს ეძებენ.

# ამომრჩევლის მოქრთამვა წყალში გადაყრილი ფული იქნება

**უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ქვეყნის გარეთ არსებულმა სტრუქტურებმა თუ ორგანიზაციებმა არჩევნების მიმდინარეობაზე არ მოახდინონ გავლენა. მთავარი, რაც ხალხმა უნდა გააცნობიეროს, ის გახლავთ, რომ არჩევნები მისი ექსკლუზიური საკუთრებაა – ეს ქართული არჩევნებია და ყველაფერი საქართველოს მოსახლეობის ნების დასაფიქსირებლად და განსახორციელებლად ტარდება და არა – რომელიმე ქვეყნისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის ინტერესებისთვის...**



*არჩევნებამდე სულ უფრო და უფრო მცირე დრო რჩება. რასაკვირველია, მძაფრდება წინასაარჩევნო განცდებიც — პოლიტიკურ პარტიებს მთავარი აქცენტი შესაძლო გაყალბებაზე აქვთ გადატანილი და გამუდმებული ურთიერთბრალდებებით ისედაც ნიჰილიზმს მინებებული მოსახლეობის განწყობას კიდევ უფრო ამძიმებენ. რჩება შთაბეჭდილება, რომ პატიოსანი მართლაც არავინ არის და თუ ვინმე რამეს აპროტესტებს, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვადასხვა მაქინაციის ჩატარება სხვაზე უკეთ შეძლოს... მომავალი საპარლამენტო არჩევნების გამო, საქართველოსადმი ცივილიზებული დასავლეთიც გაცილებით მეტ ყურადღებას იჩენს, ვიდრე ეს გასულ წლებში ხდებოდა — ლამის დღე არ გავა, თბილისს მაღალჩინოსანი და საპატიო ევროპელი თუ ამერიკელი პოლიტიკოსები არ ეწვიონ. მიზანი ერთია — სამართლიანი არჩევნების ჩატარება საქართველოში. მაგრამ როგორც ჩანს, ქართველმა პოლიტიკოსებმა ბრალდებებითა და ურთიერთდაბეზღებით მათაც გვარიანად აუბნიეს თავგზა... როგორც ჩანს, ჩვენში ძველებურად მძლავრობს — ძლიერი მბრძანებლის, პატრონის განცდა. მოსკოვიდან ზარები აღარ გაისმის (იმედია...) და პოლიტიკური სპექტრი პირდაღებული შესცქერის დასავლეთს — დირექტივების მოლოდინში. სამწუხაროდ, ნებისმიერ მათგანს რომ ჰკითხოთ, არჩევნების სამართლიანად ჩატარება იმიტომ არის აუცილებელი, რომ დასავლეთმა ზურგი არ გვაქციოს და უპატრონოდ არ დავრჩეთ. ეუთო, ევროსაბჭო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები არ გავანაწყენოთ, თორემ ღვთისა და ბედის ანაბარადღა ვიქნებითო... შესაძლოა, მავანს დაუჯერებლადაც მოეჩვენოს, მაგრამ სწორედ აღნიშნული ორგანიზაციები არჩევნების მთავარ შემფასებლად და მომხმარებლადაც — ქართველ ხალხს მიიჩნევენ, ხალხს, რომელიც საქართველოში აღარავის ახსოვს...*

*არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოში ეუთოს საკმაოდ მრავალრიცხოვან დამკვირვებელთა მისია ჩამოვიდა. პოლიტიკოსებმა შანსი არ გაუშვეს ხელიდან (ან მათი თვალსაწიერი მეტს ვერ სწვდება...) და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისია იმ საფრთხობელად გამოიყენეს, ჭამის დროს რომ ბავშვებს აშინებენ. ერთმანეთს მოუწოდებენ, არჩევნები არ გააყალბონ, თორემ ყველაფერი ეუთოს დამკვირვებელთა მისიის დასკვნაში აისახება და...*

*იმის შესახებ, თუ რა მოხდება შემდეგ, ან ვინ დასჯის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში არჩევნების გამყალბებელ პოლიტისტებლიშმენტს, გვესაუბრება ეუთოს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი* ***ჯულიან პი იეიტსი****. უჩვეულოა, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში უცხოელი დამკვირვებლის აზრი გაცილებით უფრო ჯანსაღი, რეალური და ეროვნული(!) იდეოლოგიის მატარებელი აღმოჩნდა, ვიდრე ბევრი ქართული პარტიის წინასაარჩევნო დოქტრინაა...*

**— საქართველოში ეუთოს დამკვირვებელთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი, 400-კაციანი მისია იმყოფება. საინტერესოა, რითია განპირობებული ასეთი რაოდენობა — გაყალბების მოსალოდნელი მასშტაბებით?**

— დამკვირვებელთა დროებითი მისიის ოდენობა რაიმე წესით დადგენილი არ გახლავთ — მისიიდან მისიამდე მისი შემადგენლობა იცვლება. იმის გამო, რომ აქციას ეუთოს წევრი ქვეყნები აფინანსებენ, შესაბამისად, მისიის წევრთა რაოდენობაც მათ ნება-სურვილზეა დამოკიდებული. თავისთავად, საქართველოს მოსახლეობის გათვალისწინებით, 400 დამკვირვებელი მართლაც სერიოზული რაოდენობაა. მაგრამ არანაკლებ სერიოზულია დასავლეთის ქვეყნების დამოკიდებულება და ინტერესი საქართველოს მიმართ, რომელსაც ბევრი მათგანი სტრატეგიულ პარტნიორად გულისხმობს. მეორე მხრივ, ალბათ, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამდენი დამკვირვებლის გამოგზავნა საქართველოში ჩატარებული წინა არჩევნების დროს შექმნილმა სიტუაციებმაც განაპირობა... თუმცა ეს არ არის ყველაზე დიდი რაოდენობა — მაგალითისთვის შემიძლია გითხრათ, რომ დაახლოებით მილიონნახევრიან მაკედონიაში არჩევნების დროს, მხოლოდ ეუთოდან 800 დამკვირვებელი იყო ჩასული, აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებზე კი 500 დამკვირვებელი იქნება...

**— თქვენ მრავალი ქვეყნის არჩევნებს დასწრებიხართ. ბუნებრივია, კარგად იცით, ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, არჩევნებისადმი პოლიტიკოსებისა და მოსახლეობის დამოკიდებულება. რა სპეციფიკაა ამ მხრივ საქართველოში? სხვათა შორის, მარკირების შემოტანამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ჩვენთან საუბარში მისი უვნებლობის ერთადერთ გარანტად ცესკოს თავმჯდომარემ სწორედ ეუთო დაასახელა, რადგან სხვა მხრივ მარკირების ნივთიერების შემადგენლობა გასაიდუმლოებულია...**

— ვშიშობ, რომ პასუხის გაცემა

## არ არსებობს ასეთი ტერმინი – სრულყოფილი არჩევნები

ამ ეტაპზე გამიჭირდება. ეუთოს დამკვირვებელთა მისიას საქმიანობის მტკიცე სტრატეგია აქვს — ჩვენი მოვალეობაა, არჩევნები მისი დასრულების შემდეგ შევაფასოთ და არა მისი მიმდინარეობის პროცესში. ჩვენი მოვალეობაა, არჩევნებისა და საარჩევნო კამპანიის ყველა ასპექტის დეტალური შესწავლა და დაკვირვება. ეს გულისხმობს საარჩევნო ადმინისტრაციის ეფექტურ მუშაობაზე დაკვირვებას, ხელისუფლების როლის განსაზღვრას პროცესების დადებითად თუ უარყოფითად წარმართვაში. ეს ეხება ძალოვან სტრუქტურებს, პოლიტიკურ პარტიებს და ასე შემდეგ. რაც მთავარია, საკმაოდ სერიოზულად ვაკვირდებით ქართულ მედიასაც, რადგან არჩევნების მიმდინარეობაზე მას უზარმაზარი გავლენის მოხდენა შეუძლია. ჩვენს მისიაში ამის გამო მედია-მონიტორინგის საკმაოდ დიდი ჯგუფი გვყავს ჩართული. როდესაც დასრულდება არჩევნები და, შესაბამისად, ამ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, მხოლოდ ამის შემდეგ, არჩევნების მეორე დღესვე გამოქვეყნდება ეუთოს დასკვნა ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ქვეყნის გარეთ არსებულმა სტრუქტურებმა თუ ორგანიზაციებმა არჩევნების მიმდინარეობაზე არ მოახდინონ გავლენა. მთავარი, რაც ხალხმა უნდა გააცნობიეროს, ის გახლავთ, რომ არჩევნები მისი ექსკლუზიური საკუთრებაა — ეს ქართული არჩევნებია და ყველაფერი საქართველოს მოსახლეობის ნების დასაფიქსირებლად და განსახორციელებლად ტარდება და არა — რომელიმე ქვეყნისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის ინტერესებისთვის...

მარკირებაზე კი გეტყვით, რომ ეს ძალზე საჭირო და სასარგებლო პროცედურაა არჩევნების ნორმალურად წარსამართავად. რაც შეეხება უვნებლობას, საქართველომდე — ერთი და იმავე შემცველობის სითხე რამდენიმე ქვეყანამ გამოიყენა და არავის არაფერი მოსვლია...

**— რასაკვირველია, უდავო ჭეშმარიტებაა, რომ არჩევნები ხალხისთვის ტარდება და დემოკრატიაც სიტყვასიტყვით „ხალხის ძალაუფლებას" ნიშნავს. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალაუფლება ხალხს ყოველთვის არ ეკუთვნის და არც არჩევნები ტარდება ყოველთვის ხალხისთვის — საქართველოში არჩევნები პოლიტიკოსებისთვის ტარდება, რომელთაც ხალხი მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ ახსენდებათ... საინტერესოა, რას ეტყვის ეუთოს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი უბრალო ქართველ ამომრჩეველს, რომელსაც არჩევნებისა არ სჯერა.**

— მე და ის ორგანიზაცია, რომელსაც ამ შემთხვევაში წარმოვადგენ, თქვენ, როგორც ქართველ ამომრჩეველს, გაძლევთ პირობას, რომ არჩევნების პროცესში შევხვდებით და გავესაუბრებით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურის წარმომადგენლებს, დეტალურად შევისწავლით მათ საქმიანობას არჩევნების პერიოდში და საჭიროების შემთხვევაში იმ დარღვევებზეც მივუთითებთ, რომელთა გამოსწორებაც აუცილებელი იქნება არჩევნების სამართლიანად ჩასატარებლად. ჩვენთვის ყველაზე მთავარი რეალური სამხილების მოპოვებაა და არა ზეპირი მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა როგორ გაკეთდა და როგორ სჯობდა გაკეთებულიყო... საბოლოოდ კი, როგორც გითხარით, ყველაფერი არჩევნების მეორე დღესვე გამოქვეყნებულ საგანგებო ბიულეტენში აისახება, რომელიც სხვათა შორის, საკმაოდ ვრცელი და დეტალური, დაახლოებით 40 გვერდამდე მოცულობის იქნება. ჩვენ უფლება არა გვაქვს, რაიმე ფორმით ჩავერიოთ სუვერენული ქვეყნის ამა თუ იმ სტრუქტურის მუშაობაში. ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში შეგვიძლია, როგორც გითხარით, უბრალოდ, რეკომენდაციის მიცემა გახლავთ, რომლის შესრულება-არშესრულებაც ისევ ამ ადრესატზე იქნება დამოკიდებული. თუმცა, ვერც იმას დავემალებით, რომ დასკვნის შედეგად, საკუთარი მოსაზრებები და შესაბამისი დამოკიდებულებები გაუჩნდებათ საქართველოს მიმართ დღეს მეგობრულად განწყობილ ქვეყნებსაც. თუმცა ამ ეტაპზე ჩვენი მხრიდან უარყოფით შეფასებაზე საუბარი ისევე ნაადრევი იქნება, როგორც დადებითზე.

**— საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, პოლიტიკური პარტიები ამომრჩევლის დაყოლიებას თუ მოქრთამვას ერთჯერადი დახმარებებით ცდილობენ. ხალხიც ალბათ მათ მიერ ნაჩუქარ ერთ ტომარა ფქვილს თუ შაქარს, გამოაშკარავების მიზნით, ეუთოს ოფისში არ მოიტანს — ოჯახში წაიღებს და ამ სარგებელს მაინც ნახავს, რადგან მიაჩნია, რომ არჩევნები ასე თუ ისე, მისი ნების გარეშეც ჩატარდება... თქვენ ეუთოს დასკვნაზე ბრძანეთ — რა შედეგი და უფლებამოსილება ექნება მას უარყოფით შემთხვევაში?**

— მოსახლეობის მოქრთამვა თავისთავად ძალიან ცუდი ფაქტია. მაგრამ არჩევნებში ხომ ხმის მიცემის კონფიდენციალურობაა დაცული. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ პარტიის მიერ ამომრჩევლის მოქრთამვა ნებისმიერ შემთხვევაში წყალში გადაყრილი ფული იქნება. მართლაც, ყველამ ყველაფერი შეიძლება აიღოს, მაგრამ ხმას საბოლოოდ ვის მისცემს, ამას ვერავინ გაიგებს — ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამას გულისხმობს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა. რაც შეეხება რეაქციას: ჩვენ მხოლოდ არჩევნების მთლიანი სურათის ერთი დეტალი ვართ. მართალია, ჩვენი შეფასება არჩევნების მეორე დღესვე გამოქვეყნდება და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კომისია არც ფინანსებს და არც ენერგიას არ დაიშურებს იმისთვის, რომ მისი შინაარსი ყოვლისმომცველი და ობიექტური იყოს, მაგრამ საბოლოო შეფასება თავად ამომრჩეველმა, ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს.

**— როგორც ჩანს, საქართველო მიეჩვია მბრძანებლის ფაქტორს — ადრე მოსკოვის რეაგირება იყო გადამწყვეტი, დღეს კი ვაშინგტონის მითითებასა თუ რეაქციას ელიან... ალბათ ეუთოზეც იგივე ვრცელდება. თქვენი განცხადება ბევრისთვის მოულოდნელი იქნება, რადგან მისიის მომავალი დასკვნით პოლიტიკოსები უკვე ერთმანეთს აშინებენ — თუ არჩევნები სრულყოფილად არ ჩატარდება... დასკვნა თქვენია, შეფასება კი ამომრჩეველმა უნდა გააკეთოს. რამდენად მოქმედებს ობიექტურობაზე პოლიტიკა? საინტერესოა, როგორი იქნება ეუთოს დასკვნა აზერბაიჯანის შემთხვევაში, სადაც საპრეზიდენტო არჩევნები სათავეშივე კონსტიტუციის დარღვევით წარიმართა, როდესაც ალიევმა საკუთარი ვაჟი დანიშნა პრემიერად...**

— არ არსებობს იდეალური არჩევნები. არჩევნებთან დაკავშირებულ პროფესიონალურ წრეებში, უბრალოდ, არ არსებობს ასეთი ტერმინი — სრულყოფილი არჩევნები. ამაში ატლანტის ოკეანის გადაღმა ჩატარებულმა არჩევნებმაც დაგვარწმუნა... ამ შემთხვევაში, მთავარია, მაქსიმალურად დაფიქსირდეს ხალხის ნება და ამის შემდეგ ეს ნება ასევე მაქსიმალურად იყოს დაცული. ვერავითარი გარეშე ძალები ამის უზრუნველყოფის გარანტიას ვერ მოგცემენ, თუ თავად ხალხის ნება-სურვილი არ იქნება. მე მრავალ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, სადაც საკმაოდ რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება იყო. მერწმუნეთ, მათ შორის საქართველო ნამდვილად არ არის ყველაზე ცუდ დღეში. ასე რომ, საშინელი და გამოუსწორებელი არაფერი გჭირთ. არ შემიძლია, არ შევაქო ქართული მედია. მე დიდ ბრიტანეთს წარმოვადგენ. ჩემს ქვეყანაში მედია მთვრალია თავისუფლებით და, შესაბამისად, მას ხეირიანად უკვე ველარ იყენებს. ბრიტანული პრესა შაბლონურ ტაბლოიდს ემსგავსება, რომელშიც, უბრალოდ, ახალი ამბების და ფასების ცვლილებათა შესახებ არის მოთხრობილი. ქართული მედია კი ახერხებს იმ ოქროს შუალედის პოვნას, რომელშიც ჟურნალისტური გამოძიებაც იქნება, ბულვარული ჭორებიც და იდეოლოგიური ხასიათის სტატიებიც... გისურვებთ, არასოდეს დაგეკარგოთ ეს შუალედი, რადგან მასმედიაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება ხალხი განწყობილი თავისი სამშობლოსადმი, მისი შენებისადმი. გასაკეთებელი და ასაშენებელი კი საქართველოში, დამეთანხმებით, ბევრია. მე ვესწრებოდი არჩევნებს მაკედონიაში. როგორც გითხარით, იქ ურთულესი ვითარება იყო და ამის გამო ძალიან ბევრი დამკვირვებელიც იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, მაკედონიის მოსახლეობამ მოახერხა გადაელახა რუბიკონი და თავისი არჩევანი ჯერ დაეფიქსირებინა, შემდეგ კი დაეცვა. საქართველოში ასეთი რთული ვითარება ნამდვილად არ არის...

რაც შეეხება თქვენს კითხვას, პოლიტიკისა და ობიექტურობის ურთიერთქმედებაზე აზერბაიჯანთან მიმართებაში, არჩევნების მეორე დღესვე ეუთოს სპეციალური ანგარიში გამოქვეყნდება. ჩემი პასუხი იქნება — უბრალოდ, თვალი მიადევნოთ ინტერნეტს და მას გაეცნოთ.

***დაჩი გრძელიშვილი***

---

**„კვირის პალიტრის" და მისი მკითხველის პროექტი**

# მათთვის სულ მცირე ყურადღებასაც დიდი ფასი აქვს

ჩვენო მკითხველო, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ჩვენი საერთო პროექტის შესახებ. თქვენი გაზეთი კვლავ ცდილობს ერთგული მკითხველების თანადგომით დაეხმაროს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს. კერძოდ, მარტყოფის ბავშვთა სახლს. ალბათ გახსოვთ, ივნისის ბოლოს უკვე ჩავატარეთ პირველი აქცია: სატვირთო „გაზელი" საზაფხულო სამოსით, წიგნებით, ჭურჭლითა და სხვა აუცილებელი ნივთებით გავავსეთ. ახლა ზამთრისპირია და გაზეთის წინა ნომერში თბილი სამოსის მოგროვება გთხოვეთ. რა თქმა უნდა, იმედი არ გაგვიმტყუნეთ და წინანდელზე არანაკლები ძღვენით მობრძანდით.

ჩვენ კარგად გვახსოვს ივნისის აქციის მონაწილეების შემართება. მათი თხოვნა, რომ მსგავსი აქციები შემდეგშიც გაგვეგრძელებინა. სწორედ ამიტომ ძალზე ბევრი ნაცნობი სახე ვნახეთ ამ კვირადღეს. უმეტესწილად ისევ ის ქალბატონები და ბატონები მოდიოდნენ და ისევ ის პატარა გოგო-ბიჭები მოჰყავდათ, რომლებიც ზაფხულში ამოგვიდგნენ მხარში. რა თქმა უნდა, იყვნენ ახალი სახეებიც და ამ სახეებზე სწორედ ისეთი სიამოვნება იყო გამოხატული, ადამიანს სიკეთის ქმნისას თან რომ სდევს. ბევრი წუხდა, რომ ივნისის აქციაშიც არ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული და შემდეგში თანადგომას გვპირდებოდა.

უნდა ითქვას ისიც, რომ რედაქციაში რამდენიმე ზარი გაისმა —



მკითხველები საჩუქრების დაგვიანებით მოტანის ნებართვას ითხოვდნენ. რა უფლებით ვეტყოდით უარს?.. გვინდა მკითხველს შევახსენოთ, რომ თბილისში რამდენიმე მსგავსი პროფილის ორგანიზაციაა და მსურველებს შეუძლიათ მათაც გაუწოდონ დახმარების ხელი.

ახლა ორიოდ სიტყვით ჩვენს სამომავლო გეგმებზე მოგახსენებთ: ამ კვირაში თქვენი ძღვენით მარტყოფს ვესტუმრებით. ფაქტია, რომ ამით მარტყოფელებს საზამთროდ ყველა პრობლემას ვერ მოვუგვარებთ, მაგრამ ვიმეორებთ, მათთვის სულ მცირე ყურადღებასაც დიდი ფასი აქვს.

ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ მსგავს აქციებს, იმიტომ, რომ საქართველოში 50-მდე ბავშვთა სახლია და ოფიციალურად, 5000-ზე მეტი უდედმამო ბავშვია რეგისტრირებული. შემდეგი აქციით თქვენთან ერთად უკვე სხვა საბავშვო სახლს დავეხმარებით, მაგრამ მარტყოფელებსაც არ მივატოვებთ და სანამ ის ხალხი, რომლებიც ამ ბავშვებს ელემენტარულ საარსებო პირობებს უნდა უქმნიდეს, ხელისუფლებისათვის ბრძოლით არიან დაკავებულნი, გვინდა იმ ადამიანებს გადავუხადოთ მადლობა, რომლებიც არ ელოდებიან სხვის მაგალითს და თვითონ, საკუთარი ნებით გაილებენ სითბოსა და სიყვარულს მოყვასისათვის.

***გიორგი ჟორჟოლიანი***

CMYK

# „... კიდევ ორი ქართველი ვარსკვლავი, რომლებიც მსოფლიოს სცენებზე იკიაფებენ ჩვენდა საამაყოდ“...


...მოხსნა ბოლო უფაქიზესი ნოტი გიამ და იქუხა აპლოდისმენტებმა

ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში მიმდინარე ფესტივალმა „შემოდგომის თბილისმა“ არაერთი საინტერესო და ორიგინალური საღამო მიუძღვნა მსმენელს. განსაკუთრებით აღინიშნა ფესტივალის ბოლო ორი აკორდი: 9 ოქტომბერი — ბიზეს „კარმენი“ და 12 ოქტომბერი — ბეთჰოვენის №9 სიმფონია.

ფესტივალზე, მუსიკალურ-კულტურული ცენტრის დარბაზის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჟორჟ ბიზეს ოპერა „კარმენი“ საკონცერტო შესრულებით აჟღერდა, თუმცა ვახტანგ კახიძის რეჟისორული და თავად მომღერლების — ნინო სურგულაძის, გია ონიანის და ბესიკ გაბიტაშვილის არტისტული ნიჭის წყალობით, მსმენელს არანაირი დისკომფორტი ამ მხრივ არ უგრძნია, პირიქით, საინტერესო ექსპერიმენტის წყალობით (მომღერლები სცენაზე საკმაოდ დინამიკურად მოძრაობდნენ, ყოველი სცენა მაქსიმალურად იყო დაახლოებული საოპერო დადგმასთან), „კარმენის“ თითქმის სრული აჟღერება ერთ ამოსუნთქვაზე განხორციელდა.

ყველასათვის ნაცნობმა და საყვარელმა მომღერალმა ნინო სურგულაძემ კიდევ ერთხელ მოგვხიბლა არა მარტო ვოკალური მონაცემებით, არამედ ბრწყინვალე თეატრალური ნიჭით.

**ბიძინა კვერნაძე:** — ნინოს „კარმენი“ განსაკუთრებით ვნებიანი იყო. ბრწყინვალედ იყო დანახული პერსონაჟის სახე და მეტიც, მას ახალი შტრიხებიც შეემატა.

საღამოს მართლაც ტრიუმფალური წარმატება ხვდა წილად. მსმენელის უდიდესი სიმპათია დაიმსახურა გია ონიანმა, რომელიც ხოსეს პარტიას ასრულებდა. შთამბეჭდავი გახლდათ ონიანი-ხოსეს კარმენი-სურგულაძისათვის სიყვარულის ახსნის სცენა. მოხსნა თუ არა ბოლო უფაქიზესი ნოტი გიამ, დარბაზში აპლოდისმენტებმა იქუხა. რაღა თქმა უნდა, კონცერტის წარმატებაში ლომის წილი მიუძღოდა ბატონ ვახტანგ კახიძეს, რომელიც ნოტს-ნოტზე „უსვამდა“ მომღერლებს და სადირიჟორო ხელოვნების დაუწერელ საიდუმლოთა გამოყენების გზით სოლისტებს თავისუფალი „სუნთქვის“ საშუალებას აძლევდა.


ბატონი ვახტანგ კახიძე ნოტს-ნოტზე „უსვამდა“ მომღერლებს...

**ვახტანგ კახიძე:** — ქართველი მსმენელი იმდენად გამოცდილი და გათვითცნობიერებულია საოპერო მუსიკაში, ისეთი ტიტანი მომღერლები გვყავდა, რომ ძნელია რაიმეთი მისი გაოცება, განსაკუთრებით კი ამ ოპერით, რადგან შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე რთული და პოპულარული ქმნილებაა. მიმაჩნია, რომ ნინო სურგულაძე და გია ონიანი (მე აღარაფერს ვამბობ ბესიკ გაბიტაშვილზე, ის უკვე სახელოვანი არტისტია) კიდევ ორი ქართველი ვარსკვლავი იქნება, რომლებიც მსოფლიოს სცენებზე იკიაფებენ ჩვენდა საამაყოდ...

ნინო სურგულაძე ბავშვობიდანვე პოპულარობით სარგებლობდა. იგი ხშირად გამოდიოდა საესტრადო კონცერტებითა და სპექტაკლებით როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. წარმატებული იყო მისი კინოკარიერაც. 1995-2001 წლებში იგი ეუფლებოდა ვოკალურ ხელოვნებას თბილისის კონსერვატორიაში პროფესორ გულიკო კარიაულის კლასში. შემდეგ იყო არაერთი საერთაშორისო კონკურსი და წარმატება. განსაკუთრებით კი ბედმა ბარსელონაში გაუღიმა.

**ნინო სურგულაძე:** — 2001 წელს ბარსელონის ვინიასის სახელობის კონკურსზე პრემიის ლაურეატი და სამი ექსტრაორდინარული პრიზის მფლობელი გავხდი. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც გახლდათ პრიზი, რომელიც საშუალებას მაძლევდა ლა სკალას აკადემიაში გამეგრძელებინა სწავლა. იქ უკვე თვალყურს მადევნებდნენ ცნობილი იმპრესარიოები. სულ მალე ლა სკალას დიდ თეატრში რამდენიმე პარტიაც შევასრულე. მაგრამ ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებით ამაღელვებელია მშობლიურ ქალაქთან და მსმენელთან შეხვედრა. ჩემი გეგმებიც მუდამ საქართველოსთანაა დაკავშირებული. თუმცა კი 2004 წელს ლა სკალაში, შემდეგ მაინის ფრანკფურტის, 2005 წელს კი კარმენის როლის შესასრულებლად ტორონტოსა და ჩიკაგოს საოპერო თეატრებთან მაქვს დაგეგმილი გასტროლები.

თბილისის სიმფონიური ორკესტრის დაარსებიდან მე-10 საიუბილეო წელი ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა ვახტანგ კახიძემ, შეიძლება ითქვას, ტრიუმფალურად აღნიშნა — წლევანდელი ფესტივალის ბოლო საღამოზე აჟღერდა ბეთჰოვენის №9 სიმფონია. ამ ნაწარმოების სირთულე და მასშტაბურობა დილეტანტსაც კი კარგად მოეხსენება. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს სიმფონია ყველა დიდი მაესტროს საჯილდაო ქვა გახლავთ. ბატონმა ვახტანგ კახიძემ კი, მას აქტიური სადირიჟორო კარიერის დაწყებიდან მეორე წელს „შეჰბედა“ და... კიდევ ერთხელ გაგვაოგნა საკუთარი შესაძლებლობებით. ეს გახლდათ კახიძისეული ინტერპრეტაცია, ტემპებისა და ტემბრების დამაჯერებელი, ჰარმონიული შერწყმა.

***ალექსანდრე ბერიძე***




# თბილისმა დიდი სითბო გვაჩუქა თბილისელებს

იყო დრო, როცა თბილისში კინტოები დადიოდნენ, სოფლიდან ჩამოსულ გლეხებს ვირებით დაჰქონდათ მაწონი, ვაჭარი თუ ჩარჩი გეორგა დარდიმანდი თავადის თამასუქებს გულის ჯიბით დაატარებდა... ვიღაცა ყვავილების მიწას ყიდდა, ვიღაცა მტკვარში დაჭერილ „ცოცხალს“. მაგრამ თბილისი არც კინტოების ქალაქი იყო, არც ჩარჩების, როგორც ზოგჯერ გაბრაზებულ გულზე დაუძახებდნენ ხოლმე. მაშინაც და მერეც, მე მგონი, ყოველთვის თბილისი თბილისელი ბიჭების, თბილისელი ჭადრების ქალაქი იყო. უფროს თაობას ემახსოვრება, გადმოცემით მაინც ეცოდინება, რომ რუსთაველზე სათითაოდ ყველა ჭადარს თავისი პატრონი ბიჭი ჰყავდა... იდგა და დღესაც დგას ლადო ასათიანის, ალექსანდრე საჯაიას, მიხეილ შენგელიას, მირზა გელოვანის და ვინ იცის, კიდევ რამდენი თბილისელი (თბილისში ჩამოსული) ბიჭის ჭადარი. გამორჩეულ ადგილას კი, ცენტრალური ფოსტის წინ იდგა ილიას ჭადარი. ამ ჭადრის მოჭრისა და ხელახლა დარგვის ამბავს აღარ შეგახსენებთ. ეს ჩვენ თვალწინ მოხდა და ყველას კარგად მოგეხსენებათ.

თბილისელმა ბიჭებმა კარგად იცოდნენ, სად რომელი ქუჩა იყო. იცოდნენ ამბები, რომლებსაც უფროსები უამბობდნენ... ვინ იცის, ტყუილი იყო თუ მართალი, კი უყვებოდნენ და...

ვაჟა-ფშაველა თბილისში რომ ჩამოდიოდა თავისი ხურჯინით, გაივლიდა დღევანდელ რუსთაველზე. იმასაც ამბობენ, ერთხელ ოდნავ ნასვამი ჩამოსულა თბილისში. დღევანდელი „ივერიის“ წინ ერთსართულიანი სახლების რიგი იდგა: „შავი ყავა“, „კაფე მეტრო“... მათ გვერდით გაზეთ „ივერიის“ რედაქცია იყო. სერგი მესხი და ვაჟა-ფშაველა სხედან და საუბრობენ ეროვნეულ თემაზეო. შემოსულა სტალინი სემინარიელის ფორმით. ჩარეულა მათ საუბარში. მართალი არა ხართო... ვაჟას უთქვამს: უფროსების საუბარში ნუ ერევი, დაჯექი, უსმინეო. ცოტა ხანში, ისევ ჩარეულა სტალინი (მაშინ სოსო ჯუღაშვილი). გაბრაზებულ ვაჟას ხელი მოუკიდია ქამარსა და ქეჩოში და ფანჯრიდან გადაუსვია გარეთ. შეიძლება ჩვენ არ ვიცით, მაგრამ თბილისის ქუჩებმა ხომ იციან სიმართლე, თბილისელ ჭადრებს ხომ ახსოვთ ყველაფერი!!!

სულ სხვა იყო თბილისი, როცა ქუჩაში დადიოდნენ გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია... ერთხელ მიხეილ შენგელია შესწრებია: კონსტანტინე გამსახურდია რუსთაველზე იდგა, ხელში საათი ეჭირა და მანქანებს ითვლიდა. მერე იქვე მდგომი კონსტანტინე ჭიჭინაძისათვის უთქვამს — ეს ქალაქის პულსიაო. ის თბილისის „პულსს“ ლონდონის, პარიზის „პულსს“ ადარებდა...

თბილისს თავისი სულით არისტოკრატი მცხოვრებლებიც ჰყავდა. ისინი ყოველ მისხალს უფრთხილდებოდნენ და ყველაზე მძიმე დროსაც კი ახერხებდნენ ქალაქისათვის კეთილი საქმის გაკეთებას. იცით თუ არა, რომ ყველასათვის საყვარელი X საუკუნის ტაძარი — ლურჯი მონასტერი, შეიძლება მნიშვნელოვნად დაზიანებულიყო, რომ არა ჩვეულებრივი თბილისელის — მიხეილ შენგელიას გულისხმიერება. მის შვილს, ბატონ რამაზს კარგად ახსოვს: „ლურჯი მონასტერი არ ჩანდა. ირგვლივ შემოჯარული ჰქონდა ქოხმახები, შიგნით მონასტერში კი სადურგლო სახელოსნო იყო. წარმოიდგინეთ, იმ დროს რას ნიშნავდა ბინის მიღება, ჩვენ თვითონ არ გვქონდა ბინა. მამაჩემმა 10-12 ოჯახს მიაღებინა ბინა, რომ ლურჯი მონასტრის ირგვლივ ტერიტორია გაეთავისუფლებინა. მაშინ ძეგლთა დაცვის კომიტეტი არ არსებობდა, თუკი სადმე ახსენებდა, ლურჯ მონასტერს მიხედვა სჭირდებაო, ეტყოდნენ: რათ გინდა ეგ ეკლესია, თავი დაანებეო. მაშინ თქვა: მუზეუმისთვის მჭირდება შენობა: შიგ მედიცინის ისტორიის მუზეუმი უნდა გავხსნაო. ეს ხომ რელიგიური საქმე არ არისო. აი, ასე მოახერხა, ლურჯი მონასტრის გადარჩენა. მე, ჩემი ძმა და მამაჩემი ღამეებს ვათენებდით იქ. ვწმენდდით... ვასუფთავებდით. ტაძრის დასავლეთი კედელი ჩაქცევაზე იყო, ხრამში შეიძლებოდა ჩაქცეულიყო... მამას მეგობრები დაეხმარნენ, მოიტანა ბეტონი, საკუთარი სახსრებით იქირავა მუშები და ის მხარე გაამაგრა...“



ასე რუდუნებით მოდიოდნენ თბილისელები და თითქოს ხელისგულზე მოჰქონდათ მთელი თბილისი თავისი არაჩვეულებრივი ტაძრებით, ეზოებით, სახლებით. ბარემ აქვე გეტყვით, რომ თბილისური ეზოები, ჩვენ რომ იტალიურს ვეძახით, მსოფლიოში ერთადერთია და ანალოგი არა აქვს. ბატონ რამაზ შენგელიას მსოფლიო აქვს შემოვლილი, სწორედ მან გვითხრა, გული მტკივა ამ ეზოებს იტალიურს რომ ეძახიან. მე იტალიაში ვყოფილვარ და მსგავსი არაფერი მინახავს. გასაგებია, რომ ფელინის და დე სიკას ფილმების გავლენით ხმაურიან იტალიურ ქუჩებს შეადარეს ეს ეზოები, მაგრამ მერწმუნეთ, ისინი თბილისური ეზოებია და რაც კარგი გვაქვს, აუცილებლად უცხო სახელს უნდა ატარებდეს? კარგ ცეკვას ლეკური ერქვას, კარგ ეზოს — იტალიური?! იცით, რაზე ვფიქრობ? მინდა თბილისის ყოველ ქუჩაზე გაკეთდეს აბრა, რომელ წლებში რა ერქვა ამ ქუჩას... მინდა რომ თბილისური ყველაფერი თბილისური იყოსო.

თბილისმა დიდი სითბო აჩუქა თბილისელებს და კიდევაც აჩუქებს.

***ლელა ჯიყაშვილი***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „სახელმწიფო უწყებები ბრაკონიერებისაგან წაღლეტილი ფულისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ“ — 144 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „დანაშაული, რომელიც ცხენმა გახსნა“ — 88
3. **თემურ ჭკუასელი** — „საქართველო — „ოქსების“ აღლუმების ქვეყანა“ — 47
4. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 34
5. **ეთერ ერაძე** — „ალპინისტთა ლეგენდარულმა თაობამ კიდევ ერთხელ გადმოხედა საქართველოს...“ — 33
6. **ეკა ლომიძე** — „მტკვარში „ოქროს თევზი“ თქვენც გინახავთ?“ — 23
7. **დაჩი გრძელიშვილი** — „რომც მოვინდომოთ, გაყალბება ძალიან გაგვიჭირდება“ — 13
8. **მარინა ბაბუნაშვილი** — „პატარ-პატარა ამბები, როცა ჩვენთან მეგობრობა სურთ...“ — 12

9-10. **იზო რიკაძე** — „მზად ვარ დებატებისთვის შევარდნაძესთან“ — 8

9-10. **დევი დევიძე** — „პანკისის ხეობა პროვოკაციის მოლოდინშია...“ — 8

თქვენი პრემია — 50 ლარი კვლავ **ზვიად ჩაკვეტაძეს** გადაეცემა.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 447-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

CMYK

# „ირინა სარიშვილისთვის პრეზიდენტს არაფერი დაუვალებია“

## ვერავინ დაამტკიცებს, რომ ინფორმაცია უკანონოდ არის მოპოვებული

*ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგ სახელისუფლებო ბლოკის სპიკერის, ირინა სარიშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები საზოგადოების ნაწილმა რისკიან კავალერისტულ შეტევად აღიქვა, რომელიც შესაძლოა ბრალმდებელს არცთუ სასიკეთოდ მოუტრიალდეს, ზოგიერთისთვის კი სარიშვილის ნათქვამი სერიოზულ განსჯას მოითხოვს.*

*სანამ სარიშვილის მიერ უშიშროებაში მიტანილ ფლეშ-დისკს სპეცსამსახურის თანამშრომლები უკირკიტებენ, პოლიტიკური სპექტრი უჩვეულოდ დაძაბულია და არცთუ უსაფუძვლოდ. როგორი საქმეა, როცა გეუბნებიან, შენი ქვეყნის მეორე პირს მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურები ურჩევენ, როდის და რა უნდა ილაპარაკოსო. თუმც ნათქვამს დამტკიცება სჭირდება. სანამ უშიშროების მტკიცებულებებსა და დასკვნებს ვიხილავთ, კიდევ ბევრი წყალი ჩაივლისო, — ასე გვითხრა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ,* ***ირაკლი ბათიაშვილმა,*** *რომელსაც ზემოხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა დავუსვით.*

**— სახელისუფლებო ბლოკის სპიკერმა პარლამენტის თავმჯდომარეს მძიმე ბრალდებები წაუყენა. თქვენ, უშიშროების ყოფილ მინისტრს, რამდენად საფუძვლიანად მიგაჩნიათ ისინი?**

— ქალბატონმა ირინამ მასალები უკვე გადასცა უშიშროების სამინისტროს. ამ დოკუმენტაციას საფუძვლიანად არ გავცნობივარ, მაგრამ წინასწარ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს საკმაოდ სერიოზული, მნიშვნელოვანი მასალებია, რომელთაც ხელაღებით ვერავინ უარყოფს და ვერ დააკნინებს. უშიშროებას სათანადო დასკვნისთვის არც 3 დღე ეყოფა და არც ერთი კვირა.

**— მაგრამ უშიშროების მინისტრს პარლამენტის თავმჯდომარემ განსაზღვრული ვადა — 3 დღე მისცა.**

— უშიშროების სამინისტრო ალბათ შეეცდება ამ დოკუმენტების საფუძვლიანობას უმოკლეს ვადაში მისცეს წინასწარი შეფასება. წარმოუდგენელია ქალბატონი ნინოს მოთხოვნა — 3 დღეში სპეცსამსახურებთან ჩემი კავშირი დაადასტურეთ ან უარყავითო. უშიშროება დოკუმენტაციაზე ასე ხელაღებით ვერ იმუშავებს.

**— გამოდის, რომ ხაბურძანია ძალზე ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა.**

— არა მგონია. არ არსებობს კანონი, სამართლებრივი აქტი ან ნორმა, რომელიც მას აიძულებს და დაავალდებულებს, რათა ასეთ მნიშვნელოვან საქმეზე დასკვნა 3 დღეში წარმოადგინოს.

**— ხაბურძანიას ადგილზე რომ ყოფილიყავით, რას იზამდით?**

— გავიცინებდი. როგორ შეიძლება ვინმემ მაიძულოს, რომ ასეთი უზარმაზარი მასალა შევისწავლო, დასკვნა გავაკეთო და 3 დღეში გავარკვიო, სინამდვილეს შეესაბამება თუ არა. ამის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია ასეთ ვადებში.

**— ვინ არის ეს ყბადაღებული სიტნიკოვი, რომელთანაც კავშირი ბრალდება „ბურჯანაძე-დემოკრატებს“?**

— „მოქკავშირი“ იმიჯ-კონტაქტთან 1999 წელს თანამშრომლობდა. ეს არის პიარჯგუფი, რომელიც თავის დროზე რუსეთის დაზვერვამ ჩამოაყალიბა. ჯგუფის ხელმძღვანელი სიტნიკოვი ძალზე კარგი მეცნიერია (ფსიქოლოგი) და სწორედ ეს ძალები ეხმარებოდა „მოქალაქეთა კავშირს“ წინა არჩევნებში.

**— ახლა?**

— არ ვიცი, ახლა ეს ჯგუფი მუშაობს მათთან თუ სხვა...

**— ბურჯანაძის მომხრეები აცხადებენ, სარიშვილის ბრალდებები თითიდან გამოწოვილია და შესაძლოა თავად მოუწიოს პასუხისგება ცილისწამების გამოო.**

— არა მგონია. საზოგადოდ, შეფასებისას ყოველთვის ვფრთხილობ და ვინმეს ბრალს ტყუილად არ ვდებ, განსაკუთრებით კი ისეთ მძიმე დანაშაულში, როგორიცაა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან საეჭვო ურთიერთობა. თუმცა ვფიქრობ, ირინა სარიშვილის მიერ უშიშროებაში წარდგენილი მასალა საკმაოდ სერიოზულია. ასეთი რაღაცები ზერელედ და უპასუხისმგებლოდ არ ითქმება.

**— მაგრამ ბევრისთვის ირინა სარიშვილის ბრალდებები მხოლოდ და მხოლოდ წინასაარჩევნოდ კონკურენტის ჩაძირვის მცდელობაა?**

— ვიმეორებ, ასეთი ბრალდებების უკან არ შეიძლება სერიოზული დოკუმენტები არ იყოს, პოლიტიკაში ასე არ ხდება.

**— რამდენად სარწმუნო წყაროსგან უნდა ჰქონდეს სარიშვილს ზემოთ ხსენებული ინფორმაცია?**

— რამდენადაც ინფორმაცია სერიოზულია, უნდა ვიფიქროთ, რომ წყაროც არ უნდა იყოს არაკომპეტენტური. პირდაპირ გეტყვით, ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმა-



ცია არასერიოზული წყაროსა და არხებიდან არასოდეს მოდის.

**— რამდენიმე წლის წინ უკანონო მოსმენების გამო სარიშვილის ინიციატივით კვირაიას საწინააღმდეგო კამპანია მოეწყო. ხომ შეიძლება, ახლა მასაც მიედავონ — „ბურჯანაძე-დემოკრატების“ წინააღმდეგ მასალები უკანონოდ მოიპოვეო.**

— თქმით ყველაფერი შეიძლება ითქვას, მაგრამ ვერავინ დაამტკიცებს, რომ ეს ინფორმაცია ირინა სარიშვილმა უკანონოდ მოიპოვა.

**— ნინო ბურჯანაძე ბრალს პრეზიდენტსაც სდებს, — ბლოკის სპიკერი პრეზიდენტის ნებართვის გარეშე ქვეყნის მეორე პირს აგენტობას ვერ დააბრალებდაო.**

— ხომ განაცხადა ქალბატონმა ირინამ, ამ თემაზე პრეზიდენტთან არ მისაუბრიაო. ასე რომ, ამ შემთხვევაში პრეზიდენტის დადანაშაულება სავსებით უსაფუძვლოა.

**— გასულ კვირას სახელისუფლებო ბლოკის პრეზენტაცია შედგა. რამდენად მოხიბლეს ყოფილი ოპოზიციონერი ირაკლი ბათიაშვილი ამ სახეებმა?**

— სახელისუფლებო ბლოკის ბევრ წევრთან ვთანამშრომლობდი, ბევრი მათგანი ჩემი თანამოაზრეა, ბევრთან აქამდე ურთიერთობა არც მქონია. რაც შეეხება ბლოკის ლიდერს, ედუარდ შევარდნაძეს, მან იცის, რომ თავი მის თანამოაზრედ მიმაჩნია. ირინა სარიშვილი და მე ეროვნული მოძრაობის დროიდან თანამებრძოლები ვართ და ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებას განმარტებები არ სჭირდება. საზოგადოებას მოვუწოდებ, ნუ იქნება გულმავიწყი. ნუ დაივიწყებს, ვის რა დამსახურება აქვს, გინდ ეროვნული მოძრაობის დროს და გინდ შემდგომ, როდესაც საქართველოს ბედი წყდებოდა. უნდა გავიხსენოთ, ვინ გაიღო ქვეყნის კეთილდღეობისთვის მაშინ სისხლი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, როგორ დახვრიტეს გიორგი ჭანტურია...

სამინისტროში წარდგენილ დოკუმენტებსა და თავად უშიშროების მუშაობის პერიპეტიებზე კომენტარი უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს, **ნიკა ლალიაშვილს** ვთხოვეთ:

— მინისტრმა განაცხადა, რომ ორშაბათს პირველ კომენტარებს გააკეთებს. დღეს კი იმის თქმა შეგვიძლია, რომ ეს არის სერიოზულად საკვლევი დოკუმენტაცია. ორშაბათს ალბათ ბატონი ვალერი ამ ტექსტის შინაარსის ერთ ნაწილს გაამჟღავნებს.

**— ანუ დასკვნის დაწერა 3 დღეში ვერ მოესწრო?**

— ფიზიკურად შეუძლებელია ამის გაკეთება, რადგან დაბეჭდილ ტექსტთან ერთად ჩვენ ელექტრონული ინფორმაცია, ცალკეულ საიტზე განთავსებული მასალები გადმოგვცეს, რომელთაც სერიოზული დამუშავება სჭირდება.

**— ორშაბათს გასამჟღავნებელი მასალა რა პრინციპით შეირჩა, ნაკლებად საგანგაშოა თუ...**

— გამჟღავნდება ის მასალები, რომლებიც ფურცლებზე იყო დაწერილი.

**— უშიშროების მინისტრთან ვიზიტისას ირინა სარიშვილმა დაასახელა ის წყარო, რომლისგანაც მიიღო ინფორმაცია?**

— ჩემთვის არაფერი უთქვამს. მინისტრთან კი მას პირისპირ შეხვედრა ჰქონდა.

**— თუ სამ დღეში დასკვნა არ გაკეთდა, შეიძლება მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს?**

— მინისტრმა განაცხადა, რომ ემიჯნება ულტიმატუმებსა და პოლიტიკურ ზეწოლას, ვისგანაც უნდა მოდიოდეს ის და აპირებს კანონით დადგენილი ნორმებით მოქმედებას.

**— კანონის თანახმად, რამდენი დღე გაქვთ მოკვლევისთვის?**

— თუ არ ვცდები, 20 დღე...

***იზო რკაძე***

# როგორ მოვიპოვოთ(?!) არჩევნებში მონაწილეობის უფლება...

## 1800 წელს დაბადებულები არჩევნებზე მივლენ?!



განუკითხაობა და აყალმაყალი სუფევს საარჩევნო სიების ირგვლივ. მიუხედავად იმისა, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის შსს-ს გარდა რამდენიმე პოლიტიკური პარტია აღრიცხავდა ამომრჩევლებს, წინასაარჩევნო მარათონის მიწურულს ცესკო მაინც სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. შსს-ს მიერ წარდგენილ სიებში ამომრჩეველთა დიდ ნაწილს გარდაცვლილები შეადგენენ, საქართველოს ის მოქალაქეები კი, ვისაც კონსტიტუციით მინიჭებული აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით სიებს გარეთ არიან დარჩენილნი(!). ასეთთა რიცხვში არიან პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, პირველი ლეიბორისტი შალვა ნათელაშვილი, ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლევან მამალაძე, პარლამენტარი ზაქარია ქუცნაშვილი, „კვირის პალიტრის“ რედაქციის შემადგენლობის თითქმის ნახევარი და ა.შ. შექმნილმა მდგომარეობამ დაბადა ეჭვი, რომ



2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ჩაშლის შანსი კიდევ უფრო გაიზრდება, თუმცა ცესკოში ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და ამ ეჭვს სავსებით გამორიცხავენ. ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ არჩევნები შედგება და საარჩევნო უბნებში ამომრჩევლის სტატუსით მოვლენ არა გარდაცვლილები, არამედ საქართველოს ის მოქალაქეები, ვისაც ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით სრული უფლება აქვთ მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი და დააფიქსირონ თავიანთი არჩევანი. მოქალაქეები ინდივიდუალურად ცდილობენ იმის გარკვევას, არიან თუ არა დაფიქსირებულნი ამომრჩეველთა სიებში, რეკავენ 09-ის საინფორმაციო სამსახურში (რაც ადასტურებს, რომ მოსახლეობის აქტივობა მაღალია), სადაც უმრავლესობას პასუხობენ, რომ ზუსტი ინფორმაციის მისაღებად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა მიბრძანდნენ. „კვირის პალიტრა“ სწორედ ასე მოიქცა და ცესკოს თავმჯდომარეს, **ნანა დევდარიანს** ეწვია.

**— ქალბატონო ნანა, თქვენ თუ ხართ ამომრჩეველთა სიაში?**

— კი, გამიმართლა, ნამდვილად ვარ. მინდა ჩემი მხრიდან ბოდიში მოვიხადო ამ უზუსტობებისათვის, თუმცა ამ ყველაფერში მარტო ჩვენ ნამდვილად არ ვართ დამნაშავე. აშკარად ცუდი მდგომარეობაა, მაგრამ ამომრჩეველთა სიების მოწესრიგებასთან დაკავშირებული მაღალი აქტივობა მისასალმებელია. წინათ საერთო სიებს არავინ გვაჩვენებდა, ახლა კი ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს იმ საარჩევნო უბნებს, სადაც ტრადიციულად აძლევდნენ ხმას, სკოლებში, ბაღებში თუ სხვაგან, მიმართონ საოლქო კომისიებს. გარდა ამისა, სრული ინფორმაციები შეუძლიათ მიიღონ ვებსაიტზე, რომლის მისამართია www.cec.gov.ge.

**— რა ეშველებათ ამომრჩეველთა სიებში შეტანილ აწ გარდაცვლილებს, „ვაიძულებთ“ არჩევნებში მონაწილეობას?**

— დაიწყო მათი ამ „მოვალეობისგან“ განთავისუფლება. გარდა ამისა, მოწმდება, ვინ არის ორჯერ ან მეტჯერ დასახელებული. ეს უწესრიგობა იმის ბრალია, რომ აქამდე დაზუსტებული სიები არ არსებობდა. არც ის შეიძლება, რომ წარმოდგენილ სიებს გაყალბების მცდელობა ვუწოდოთ. აქ არის სტიქიური, მექანიკური შეცდომები. საერთოდ არ მახასიათებს ვიფიქრო, რომ რაღაც დარღვევა მაინცდამაინც განზრახ არის დაშვებული, თუ ასეა, მუშაობის პროცესში გამოჩნდება. ახლა მთავარია, ვეძებოთ არა დამნაშავე, არამედ 19 ოქტომბრამდე სიები როგორმე სრულად გადამოწმდეს. ამას პოლიციასთან ერთად სჭირდება მუშაობა. გარდა ამისა, შსს-ს მიერ მოწოდებული ამომრჩეველთა საერთო სიების შეჯერება მოხდება პარტიების მიერ მოწოდებულ სიებთანაც. ძირითადი მაინც იქნება შსს-ს მონაცემთა ბაზა, ცესკოში მოტანილი ინფორმაციები კი იქნება დამატებითი შემავსებლები, შემდგომ, საარჩევნო კანონის შესაბამისად სრული მონაცემების შემოწმების საფუძველზე დაკონკრეტდება ამომრჩეველთა ვინაობა.

„კვირის პალიტრა“ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს, **ზაქარია ქუცნაშვილს** ესაუბრა, რომელიც ამომრჩეველთა სიებში მისი სახელის და გვარის გასწვრივ დაფიქსირებული მონაცემების თანახმად, 3 წელია, რაც 2 საუკუნეს გადასცილდა(?!).

— ჩემ შესახებ ამომრჩეველთა სიებში შეტანილი მონაცემები არასწორია, მე და ჩემს მეუღლეს დაბადების თარიღად 1800 წელი გვიწერია. რომ არაფერი ვთქვათ რიგით მოქალაქეზე, ზოგიერთი ცნობილი პოლიტიკოსი სიაში საერთოდ შეტანილი არ არის. ამიტომ ვთხოვთ ყველას — პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მოქალაქეებს, რომ გამოიჩინონ სამოქალაქო პასუხისმგებლობა და (დიდსულოვნად მოგვიტევონ) 19 ოქტომბრამდე გამონახონ 10 წუთი და გაასწორონ თავიანთი მონაცემები.

**— როგორ უნდა მოხდეს ეს?**

— პროცედურა ძალიან მარტივია. თითოეული თქვენგანის საარჩევნო უბანი 5-10 წუთის სავალზეა საცხოვრებელი სახლიდან და დარჩენილ 10 დღეში თუ კეთილ ნებას გამოამჟღავნებთ და საარჩევნო უბანში მიხვალთ, დარწმუნდებით, რომ დარღვევების გამოსწორება შესაძლებელია. თუ პოლიტპარტიებში ხართ გაწევრებული, თქვენი მონაცემები პარტიას შეუძლია გადაამოწმოს. ასევე შეიძლება მოხდეს არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების გადამოწმებაც. ბოლო დღეებში 09-ის სატელეფონო ცნობარის თანამშრომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს.

**— 09-ზე მოქალაქეებს პასუხობენ, რუსთაველის 23 ნომერში მოდითო.**

— ძალიან ვწუხვარ, თუ ეს ინფორმაცია სწორია. თუმცა, კანონით ისინი ვალდებულნი არ იყვნენ ეს გაეკეთებინათ, მაგრამ რამდენიმე დღის განმავლობაში უანგაროდ გვეხმარებოდნენ და საყვედურის უფლებაც არ გვაქვს. უკეთესი იქნებოდა ნორმალურად ემუშავათ იმ უწყებებს, რომელთაც სიები კომპიუტერში უნდა შეეტანათ, უზუსტობა ნაკლები იქნებოდა. მათგან უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამო ახლა საქართველოს მოქალაქეებმა დამატებით უნდა დახარჯონ დრო, მაგრამ ვფიქრობ, ამის გაკეთება ღირს. გთხოვთ, ფართო პროპაგანდა გაუწიოთ იმას, რომ 19 ოქტომბერია სიების გადამოწმების ბოლო ვადა.

**— ამ დარღვევების გამო ვინ უნდა აგოს პასუხი?**

— პასუხისმგებლობა, ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, ამომრჩეველთა საბოლოო სიების შედგენაზე საარჩევნო ადმინისტრაციებს აკისრიათ. მონაცემების სიზუსტეზე კი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ინფორმაციის მომწოდებლებს, აგრეთვე იმ ორგანიზაციებს, ვინც მონაცემები კომპიუტერში შეიყვანა და გამოაქვეყნა. თუმცა ახლა კუდიანების წინააღმდეგ ბრძოლის დრო აღარ არის.

„კვირის პალიტრა“ თბილისელ ამომრჩევლებს სთავაზობს დედაქალაქში განლაგებული საარჩევნო ოლქების მისამართებს და ტელეფონებს. რეგიონებში მცხოვრებთ კი ვურჩევთ, მიმართონ ადგილობრივი მმართველობის ადმინისტრაციულ დაწესებულებებს და გაარკვიონ, არიან თუ არა ამომრჩეველთა სიებში. რითაც შესაძლებელი გახდება მოიპოვონ(?!) არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

***ეკა ლომიძე***

## საოლქო საარჩევნო კომისიები

**1. მთაწმინდის საარჩევნო ოლქი**
ცენტრი: მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლე
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ.6
თავმ. ჭიჭინაძე ნანა.
ტ:99-22-04; 899-55-05-57

**2. ვაკის საარჩევნო ოლქი**
ცენტრი: ვაკის რაიონის გამგეობის შენობა.
მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. 68/ა
თავმ. შენგელია მარლენ.
ტ: 33-32-87

**3. საბურთალოს საარჩევნო ოლქი**
ცენტრი: საქ. მეცნ. აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტი
მისამართი: თბილისი, კ. გამსახურდიას ქ.34
თავმ. დანელია დემურ.
ტ: 38-54-99

**4. კრწანისის საარჩევნო ოლქი**
ცენტრი: მთაწმინდა-კრწანისის გამგეობის შენობა
მისმართი: თბილისი, გულუას ქ.4
თავმ. გოგოლაშვილი გია.
ტ: 92-37-76

**5. ისნის საარჩევნო ოლქი**
ცენტრი: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი
მისამართი: თბილისი, ავლაბრის ქ. 40
თავმ. ცოფურაშვილი აკაკი.
ტ: 77-12-60

**6. სამგორის სარჩევნო ოლქი**
ცენტრი: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი
მისამართი: თბილისი, მასივი, კვარტალი
თავმ. ხვიჩია ირაკლი.
ტ: 77-11-74

**7. ჩუღურეთის საარჩევნო ოლქი**
ცენტრი: დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობის შენობა, სართული
მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 140/ა
თავმ. ისახანაშვილი ეკა.
ტ: 95-87-62

**8. დიდუბის საარჩევნო ოლქი**
ცენტრი: დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობის შენობა, სართული
მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 140/ა
თავმ. ბეროშვილი მალხაზ.
ტ: 95-25-07

**9. ნაძალადევის საარჩევნო ოლქი**
ცენტრი: გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის შენობა, მე-2 სართული
მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ.1
თავმ. ნიკოლაიშვილი გია.
ტ: 65-64-30

**10. გლდანის საარჩევნო ოლქი**
ცენტრი: გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის შენობა, მე-2 სართული
მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. 1
თავმ. ღვალაძე ვლადიმერ.
ტ: 65-26-29

# „ჰაერიდან თავზე დავაცხრებით და ჯიხვებს მუსრს ვავლებთ...“

*ბრაკონიერი შემთხვევით დათვის ბუნაგში აღმოჩნდა. შეშინდა, ტყვიები აღარ ჰქონდა. ხედავს, ბუნაგში მხოლოდ დათვის ბელია.*

*— მამაშენი შინ არის? — ფრთხილად ჰკითხა ბრაკონიერმა.*

*— არა.*

*— დედაშენი?*

*— არა.*

*— აბა, შენ რას დამჯდარხარ აქ, ლაწირაკო?! — გული მოეცა ბრაკონიერს და ბელს წიხლი უთავაზა.*

*— ბაბუუუ... — აღრიალდა ბელი...*

ანეკდოტი ანეკდოტად, მაგრამ დღეს საქართველოში ნადირ-ფრინველის პატრონი არავინაა. თუ დოკუმენტებს გადავხედავთ, საქართველოს ფაუნის დამცველი, სულ ცოტა, ექვსი სახელმწიფო ორგანიზაცია მაინც არსებობს, მაგრამ სინამდვილეში ისინი მხეცების „ბაბუის“, ანუ პატრონის მოვალეობას ვერ ან არ ასრულებენ და მათი უშუალო ხელშეწყობით ბრაკონიერები მუსრს ავლებენ საქართველოს ფაუნას.

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში უკანონო თევზჭერას საკმაოდ ვრცელი სტატია მივუძღვენით. გაზეთის გამოსვლის მეორე დღესვე გარემოსა და ცხოველთა უფლებების დამცველი კავშირის — „ლობოს“ პრეზიდენტი **ლაშა ჩხარტიშვილი** დაგვიკავშირდა და შეხვედრა გვთხოვა. რედაქციაში მობრძანებულმა ჩვენმა რესპონდენტმა შემდეგი რამ გვიამბო: „დიდი მადლობა თქვენ და თქვენს გაზეთს, ბრაკონიერობის საჭირბოროტო თემაზე რომ ესაუბრეთ მკითხველს. სტატია, ძირითადად, იმ ბრაკონიერებს შეეხებოდა, რომლებიც საქართველოს წყლებში თევზს უკანონოდ მოიპოვებენ, მაგრამ სახმელეთო ბრაკონიერებს ისინი ვერც შეედრებიან. წლის ნებისმიერ დროს დაუნდობლად ნადგურდება წითელ წიგნში შეტანილი, ისედაც გადაშენების გზაზე მდგომი ნადირ-ფრინველი. გეომეტრიული პროგრესიით მცირდება ირმების, ჯიხვების, ქურციკებისა და დათვების რაოდენობა საქართველოში. საქმეს ვერც ახალი ნაკრძალების შექმნამ უშველა, პირიქით, უფრო გახშირდა ნადირის ხოცვა. უმეტესად ნადირ-ფრინველზე შეძლებული ხალხი ნადირობს. თუმცა სოფლებშიც არის ერთი-ორი ბრაკონიერი, ისეთები, რომლებსაც ეს თავის სარჩენ საქმედ გაუხდიათ. ბრაკონიერობას არც სამართალდამცავი სტრუქტურების, პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი თაკილობს. კარგად იციან, რომ კანონით გარეულ ცხოველზე ნადირობა სასტიკად აკრძალულია, მით უმეტეს, ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების ტერიტორიაზე, მაგრამ ამას არაფრად აგდებენ. რამდენიმე დღის წინ შემთხვევით გავიცანი ერთი მოქალაქე, რომელსაც უნებურად წამოსცდა, კახეთის რეგიონის ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, თელავში ხშირია შემთხვევა, როცა 12-14-კაციანი ჯგუფი, შვეულმფრენს ქირაობს სანადიროდ. თითო 100-150 დოლარს იხდისო. თურმე საკმაოდ კონსპირაციულად მოქმედებენ — ჯგუფში მხოლოდ სანდო ხალხს იღებენ. უქმე დღეებში კავკასიონის ქედისკენ მიფრინავენ. წინასწარ იციან ჯიხვების საძოვრისა და მლაშე წყლების ადგილმდებარეობა. ნადირს მოულოდნელად, ჰაერიდან დააცხრებიან თავს და იწყება მათი დაუნდობელი ჟლეტა. არადა, ჯიხვზე ნადირობა რამდენი ათეული წელია, რაც აკრძალულია. ხვდებით, ალბათ, სოფლელი მონადირე ასი დოლარის გაღებას და თან შვეულმფრენით ნადირობას ვერ მოახერხებს. გლეხს ვინ მისცა ავტომატი, რომელსაც რაიონის აეროპორტში უშიშრად გამოამზეურებს, შვეულმფრენშიც შეიტანს და ჯიხვებზე სანადიროდ წავა. შეუძლებელია, ეს ფაქტი რაიონის ხელმძღვანელობას ან სამართალდამცველებს გამოეპაროთ. ამიტომ ვვარაუდობ, რომ რაიონის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი თვითონ ურევია ამ საქმეში. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წევრმაც გვაცნობა, რომ ლაგოდეხის ნაკრძალში ბრაკონიერთა სამი ჯგუფი ნადირობს სისტემატურად და მათ ეს საქმიანობა ბიზნესად აქვთ ქცეული. სამწუხაროდ, ჩვენმა ინფორმატორმა, რომელიც შვეულმფრენით ნადირობაში იღებდა მონაწილეობას, ჯგუფის წევრების დასახელება არ ისურვა — გვითხრა, ისეთი ხალხია, ზედმეტ ლაპარაკს არ მაპატიებენ და შვეულმფრენიდან ხელის აუკანკალებლად გადმომაგდებენო. დამავიწყდა მეთქვა, რომ ყველა ქვეყანაში შვეულმფრენით ნადირობაც აკრძალულია“.

ჩვენი რესპონდენტის ნაამბობმა, ბუნებრივია, დაგვაინტერესა და გადავწყვიტეთ, როგორმე შვეულმფრენებით მონადირე იმ ბრაკონიერთა ჯგუფში შეგვეღწია. არც კახეთში გამგზავრება დაგვზარებია. იქაურ მეგობრებს ჩვენი განზრახვა გავანდეთ და დახმარება ვთხოვეთ, თურმე ამაოდ. სამწუხაროდ, ყველამ შორს დაიჭირა თავი და გულახდილად მითხრეს: — როგორც კი სტატიას გამოაქვეყნებთ, მაშინვე გაგვშიფრავენ, მიხვდებიან, ვინ გაგიწიათ რეკომენდაცია და დედაბუდიანად ამოგვწყვეტენო. ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მეგობრებმა იმ კაცთან მიმიყვანეს, რომელიც როგორც გამოცდილი და ბევრისმნახველი მონადირე ამ ჯგუფის სისტემატური წევრია და სნაიპერის მოვალეობას ასრულებს. სუფრას მივუსხედით, სიტყვა სიტყვას მივაყოლეთ და კახურმა ღვინომაც თავისი გაიტანა. სიტყვა ნადირობაზე ჩამოვაგდეთ (გამოცდილებით ვიცით, ყველა მონადირე მეტ-ნაკლებად ტრაბახაა). ვარაუდმა გამიმართლა და სნაიპერი აჭიკჭიკდა: — თქვენი საქმე აგე, თინია ბაბოს ქათმების შურდულით გაწყვეტა თუ არი, თორემა თქვენ რომ დათვი დაგანახვათ, ქვეშ ჩაისველებთ.

— **თქვენ მონადირე ბრძანდებით?**

— მაშ, თანაც სნაიპერი ვარ. სამი ბოთლი ღვინო რომ მაქვს დალეული, ას ნაბიჯში კვერცხსა ვფშვნი, მაშა. ახალგაზრდობაში სასტენდო სროლაში ვვარჯიშობდი. იმნაიშვილისა და მატოიანის გვერდით (ცნობილი ქართველი მსროლელები. — ზ. ჩ.). მერე ცოლი შევირთე და სოფელს დავუბრუნდი.

— **ჩვენს სტუმარს ნადირობაზე უამბე რამე, ეგ შენი ბაღლობის ამბები ვის რაში აინტერესებს...** — წააგულიანეს მეგობრებმა ბრაკონიერთა სნაიპერი და ღვინით ჭიქა აუვსეს.

— კარგი რამეა, ჩემმა მზემ, ვერტალიოტი. ზიხარ შენთვის კაბინაში, მთა-ღრეში წოწიალით არ იღლები, ვერტალიოტი თხუთმეტ წუთში მიგიყვანს მლაშე წყალთან და მიდი, გაგიხარია. ათ წამში ყველას მიწაზე დააწვენ, ოღონდაც ამ საქმესაც ცოდნა უნდა. ჯიხვებს იმ მხრიდან უნდა მიეპარო, საიდანაც საპირისპირო ქარი უბერავს. ჯიხვები ძალიან ფრთხილები არიან და ქარი პირველად მათ მიუტანს ვერტალიოტის ხმაურს და ყველა გაგექცევა. თანაც უნდა იცოდე, რომელ საათზე მოდიან წყლის დასალევად და საძოვარზე, თორემ დიდხანს ჰაერში ყოფნას ბევრი საწვავი უნდა, თანაც „ლოჩიკიც“ აჯაჯღანდება.



მე რომ გარემოს დაცვის მინისტრი ვიყო...

ვინც აკეთებს ამას — პარლამენტის ხალხია. თუ გინდათ, თავდაცვის სამინისტროს ხალხს დაუკავშირდით. მათ ჰყავთ შვეულმფრენი. უმეტესად ეგენი ლაგოდეხის ნაკრძალის თავზე ნადირობენ. შვეულმფრენით იპარებიან ნაკრძალის ტერიტორიაზე და ჯიხვებს მუსრს ავლებენ. წელსაც შეგვეპარნენ ნაკრძალში, მაგრამ პარლამენტარები იყვნენ და აღარ ჩავყევი ამ საქმეს. შარს მოვერიდე.

— **რით ხოცავთ ჯიხვებს?**

— ეგენი ჩემთან რას მოვლენ?! ავტომატები რომ არ ჰქონდეთ, ჰა-ჰა, ერთი-ორი თუ მოკლან, მე კი კარაბინი მაქვს, გერმანული. ისინი რომ ავტომატის ერთ „აბოიმას“ ერთ-ორ ჯიხვს დააცლიან, მე ამასობაში ათი ჯიხვი მყავს გაშეშებული. სამსახურებში სულ ავტომატი და პისტოლეტი უჭირავთ ხელში, მაგრამ სროლა ვერ ისწავლეს, კაცო. გინახამს ასეთი რამე?

— **პოლიციელებთან ერთად ნადირობთ ჯიხვებზე?** — ჩემდა გასაოცრად, ამ კითხვამ ცივი წყალივით იმოქმედა სნაიპერზე. ორიოდ წამში გამოფხიზლდა, ეჭვიანად შემათვალიერა და ჩაიბუტბუტა: „ე ბალღი, მოგზავნილი ხომ არ არისო“ და ამის შემდეგ ნადირობაზე სიტყვაც არ დაუძრავს. რაღას ვიზამდით...

თბილისში დავბრუნდით, ეკოპოლიციის მთავარ სამმართველოში ბრაკონიერობის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსს, ზაზა სესიტაშვილს ვესტუმრეთ და მოპოვებული ინფორმაცია გავაცანით.

**ზაზა სესიტაშვილი:** „ამ თანამდებობაზე ახალი დანიშნული ვარ. როგორც ვიცი, ინფორმაცია შვეულმფრენით ჯიხვებზე ნადირობის შესახებ წელს არ მიგვიღია. ისე, დაახლოებით ორი-სამი წლის წინ ასეთი ოპერატიული ინფორმაცია ეკოპოლიციაში ხშირად მოდიოდა. მაშინ სამმართველოს ძალები დავრაზმეთ. ყველგან ჩავსაფრდით, მაგრამ შვეულმფრენით ბრაკონიერობის მოყვარულებმაც გაიგეს ეს ამბავი და მას შემდეგ აღარ გამოჩენილან. თუმცა სჯობს თქვენი ინფორმაცია გადავამოწმოთ“. ზაზა სესიტაშვილმა უკანონო თევზაობისა და ნადირობის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი გოჩა გოზალიშვილი გამოიძახა. მან დაადასტურა, რომ არსებობს ეჭვი შვეულმფრენით ბრაკონიერობის შესახებ კახეთის რეგიონში. მისი თქმით, სამწუხაროდ, ძალზე ძნელია შვეულმფრენით მოქმედი ბრაკონიერების ფაქტზე დაჭერა. სამმართველოს უფროსი ამ მწირი ინფორმაციით არ დაკმაყოფილდა და კახეთის რეგიონში თავის აგენტებს დაუკავშირდა. ზოგიერთმა ჩემი ინფორმაციის რეალობა დაადასტურა, ეკოპოლიციის სხვა აგენტებმა კი შვეულმფრენით ბრაკონიერობის ფაქტი უარყვეს. ზაზა სესიტაშვილი დაგვპირდა, რომ ამ საკითხს გულდასმით შეისწავლის, ბრაკონიერების დასაკავებლად ოპერაციას დაგეგმავს და ჩვენც მიგვიწვევს.

ჩვენ დავუკავშირდით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტის განყოფილების გამგეს, **ანზორ კალანდაძეს**, რომელმაც განაცხადა: — სამინისტროს შვეულმფრენით ჯიხვებზე ნადირობის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია. ასეთი რამ მხოლოდ კომუნისტების მმართველობის პერიოდში ხდებოდა. მიაკითხეთ დაცული ტერიტორიების, ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის დეპარტამენტს. მათ ევალებათ ნაკრძალებისა და იქ არსებული ნადირ-ფრინველების ბრაკონიერებისაგან დაცვა.

— **ამჟამად, ოფიციალურად, ნადირის რა სახეობებზეა ნებადართული ნადირობა?**

— საქართველოში გარეულ ცხოველებზე ნადირობა აკრძალულია. დაშვებულია მხოლოდ გადამფრენ ფრინველებზე. აკრძალულია ნადირობა კაკაბზე, მაგრამ მწყერზე ნებადართულია. თუ რომელიმე ბრაკონიერი მოკლავს დათვს, ჯიხვს, ირემს და ა. შ. ბუნებისთვის მიყენებული ზარალისათვის 2700 ლარით დაჯარიმდება...

ანზორ კალანდაძის რჩევა ყურად ვიღეთ და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის დეპარტამენტს დავუკავშირდით, ოღონდ არ გაგვიმხელია, რომ ჟურნალისტები ვიყავით და დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, კოტე ც.-ს ბიზნესმენებად წარვუდექით, რომლებსაც თითქოს საქართველოში სტუმრად ჩამოსულ უცხოელ ბიზნესპარტნიორებთან ერთად სანადიროდ წასვლა გვსურდა. კოტე ც. ჩვენს წინადადებას სიხარულით შეხვდა და განაცხადა: — კარგია, რომ უცხოელი სტუმრებისთვის პატივისცემა გინდათ, მაგრამ გაითვალისწინეთ, ევროპელები ქართულად კი არა (მხედველობაში მაქვს ტყე-ღრე ხეტიალი), ევროპულად უნდა ანადიროთ, ანუ ნადირი ჩასაფრების ადგილამდე უნდა გამოურეკოთ. ერთი სიტყვით, უნდა დავუბათ მსხვერპლი.

— **მაინც, რომელ ცხოველზე შემოგვთავაზებთ ნადირობას და სად?**

— კავკასიონზე შეიძლება მურა დათვზე წავიდეთ, თუმცა ტყეში ხეს ფოთოლი ჯერ არ გასცვენია და ძნელი იქნება შეზღუდული მხედველობის პერიოდში დათვის მოკვლა. ამიტომ წინასწარ უნდა წავიდე თიანეთში და გავაფრთხილო მარეკები, რომლებიც დათვს ჩასაფრების ადგილთან გამოაგდებენ. ძაღლებიც დაგვჭირდება. ერთი სიტყვით, ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ. თუ გადაწყვეტთ, შემატყობინეთ.

— **კარგი, ერთი ვარიანტი დათვზე ნადირობა იყოს, სათადარიგო ვარიანტს ხომ არ შემოგვთავაზებთ? ამბობენ, კავკასიონზე ჯიხვებზე შვეულმფრენით ნადირობაც შეიძლებაო.**

— ამაში ვერ დაგეხმარებით, საშარო საქმეა. ვიცი, ვინც აკეთებს ამას — პარლამენტის ხალხია. თუ გინდათ, თავდაცვის სამინისტროს ხალხს დაუკავშირდით. მათ ჰყავთ შვეულმფრენი. უმეტესად ეგენი ლაგოდეხის ნაკრძალის თავზე ნადირობენ. შვეულმფრენით იპარებიან ნაკრძალის ტერიტორიაზე და ჯიხვებს მუსრს ავლებენ. წელსაც შეგვეპარნენ ნაკრძალში, მაგრამ პარლამენტარები იყვნენ და აღარ ჩავყევი ამ საქმეს. შარს მოვერიდე.

— **სათადარიგო ვარიანტი მაინც მჭირდება, მაგალითად, ირემზე ან შველზე რომ წავიყვანოთ ჩემი სტუმრები სანადიროდ?**

— კი, ბატონო, მაგრამ ევროპელებს, თან შვეიცარიელებს, შველი და ირემი რად უნდათ. იქ ირმის და შვლის ხორცი თავისუფლად იყიდება. შეიძლება კაკაბზე წავიყვანოთ სანადიროდ, მაგრამ იქ ველზე უამრავი ქვეწარმავალია და საშიშია. პალიასტომზეც შეიძლება იხვზე წასვლა. სათადარიგო ვარიანტად ყველას მაინც გარეულ ღორზე ნადირობა აჯობებს. კახეთში ერთი კერძო სამონადირეო მეურნეობაა, სადაც ტახზე ნადირობა შეიძლება. კალმახზეც შეიძლება ვითევზაოთ ლიახვის ხეობაში. ჩემი ნაკრძალი მაქვს(?!), რომელიც ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1978 წელს ჩამოაყალიბა.

— **ეკოპოლიციაში საქმის ჩაწყობა არ დაგვჭირდება?**

— ჩემი სტუმრები არიან-მეთქი ვიტყვი და ვერავინ შეგვეხება.

— **მოდი, ახლა ფასზე შევთანხმდეთ. რა დაგვიჯდება ერთი დათვის მოკვლა?**

— მონადირეების გამოყენება მარეკებად, ძაღლები, კარავი, საძილე ტომრები და სხვა (მიუხედავად იმისა, მოვკლავთ თუ არა დათვს) 1500 დოლარი ეღირება. თუ დათვი მოვკალით, მაშინ ამ თანხას კიდევ 3000 დოლარი დაემატება. თუ გაგვიმართლა და ორი დათვი მოვკალით, მაშინ კიდევ მოგიწევთ დამატება, ოღონდ გაცილებით ნაკლების. ერთი სიტყვით, მოვრიგდებით. ამაღამ თიანეთში მივდივარ და დროზე მაცნობეთ ყველაფერი, ხალხი რომ მოვამზადო...

ამ ინტერვიუს შემდეგ დაცული ტერიტორიების, ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, **ირაკლი ქავთარაძეს** ტელეფონით დავუკავშირდით, რომელმაც განაცხადა: — ნადირზე ნადირობა საქართველოში, მით უმეტეს, ნაკრძალებში, აღკვეთილებსა და ეროვნული პარკების ტერიტორიაზე აკრძალულია. დათვზე ნადირობა როგორ შეიძლება, მისი მოკვლა დაუშვებელია. ერთი წუთით, დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი დამიკავშირდა მეორე ტელეფონით, მასთან დავაზუსტებ რაზე შეიძლება ნადირობა... (იგი ჩვენი ნაცნობი კოტე ც. აღმოჩნდა(?!)), — და ბატონმა ირაკლიმ თავის თანამშრომელთან დააზუსტა, რომ მთავარი სპეციალისტის თქმით, ოფიციალურად არ არის დაშვებული ნადირობა გარეულ ცხოველებსა და, მით უმეტეს, დათვზე.

— **მაგრამ, სამწუხაროდ, ნადირობენ.**

— მართალია. საქმე ის არის, რომ ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსპექცია გაუქმებულია, ეს სისტემა სრულიად მოშლილია, რაც ბრაკონიერობას ხელს უწყობს.

— **ნაკრძალებში ჯიხვებზე თურმე შვეულმფრენებითაც ნადირობენ.**

— ჩვენც მივიღეთ ასეთი ინფორმაცია, კერძოდ, ყაზბეგის რაიონის ტერიტორიაზე უნადირიათ მსგავსი ხერხით. ახლა იქ ორი ჩვენი თანამშრომელი მორიგეობს. თუ ფაქტზე არ დაიჭირე, რამის დამტკიცება ძნელია. ამბობენ, ლაგოდეხის ნაკრძალშიც დაფრინავენ ჯიხვებზე სანადიროდო. არ ვიცი, ვინ და ვისი კუთვნილი შვეულმფრენით ნადირობს. ისე, იქ სასაზღვრო ჯარების შვეულმფრენები დაფრინავენ, მაგრამ მათ ხელს ვერ დავადებთ...

ჩვენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სასაზღვრო ჯარების წარმომადგენლებს დავუკავშირდით. ორივე უწყების პასუხისმგებელმა პირებმა კატეგორიულად უარყვეს მათი კუთვნილი შვეულმფრენების გამოყენება ბრაკონიერების მიერ და გვაცნობეს, რომ შვეულმფრენები მათ გარდა ჰყავს სხვადასხვა კომერციულ სამოქალაქო ავიაკომპანიასაც, რომლებიც ნებისმიერ მსურველზე აქირავებენ შვეულმფრენებს.

ჩვენ განვაგრძეთ ჟურნალისტური გამოძიება და დავუკავშირდით შპს „ავიაკომის“ დირექტორის მოადგილეს, მერაბ ლ.-ს, ოღონდ მასაც თავი ბიზნესმენებად გავაცანით, რომლებიც უცხოელი სტუმრებისათვის ნადირობის ორგანიზებას აპირებდნენ. მერაბ ლ.: — შეგვიძლია მოგაქირავოთ როგორც Ми-8 ტიპის შვეულმფრენი, სადაც 16-18 კაცს შეუძლია ჩაჯდომა, ასევე ფრანგული შვეულმფრენიც, ოღონდ მხოლოდ ხუთ მგზავრს თუ გადაიყვანთ. Ми-8-ის 1 საათით დაქირავება 1300 დოლარი დაგიჯდებათ, ხოლო ფრანგულის — 600 დოლარი. ერთ საათში მხოლოდ ის დრო იგულისხმება, რა დროის განმავლობაშიც შვეულმფრენის ძრავები იმუშავებენ. ორივე შვეულმფრენი კარგად არის აღჭურვილი და სალონიც კომფორტულია. სიჩქარეც კარგი აქვთ. თუ ქარმა ხელი არ შეგვიშალა, საათში დაახლოებით 180 კილომეტრის განვითარება შეგვიძლია. თან მე თვითონ გახლავართ პილოტი და მოგემსახურებით. მთელი საქართველოს ღირსშესანიშნაობას ვაჩვენებთ თქვენს სტუმრებს. კმაყოფილები დაგრჩებიან.

— **ექსკურსია ჩვენი პროგრამის პირველი ეტაპია, მეორე განყოფილებაში ნადირობა გვაქვს განზრახული. იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ?**

— ეგ ცოტა ძნელია. ადრე ჯიხვებზე დავდიოდით, მაგრამ დიდი აურზაური ატეხეს და ორი წელიწადია თავი დაანებეს.

***(გაგრძელება იხ. გვ. 27)***



# რამდენი მინისტრი ან მინისტრის მოადგილე მიდის პარლამენტში? რატომ?

## „შევარდნაძის შემდეგ ვინც არ უნდა მოვიდეს, უთუოდ ამოსწევს ამ მასალებს“

ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ ირწმუნებოდა (ამას კონკრეტული გათვლებით ასაბუთებდა), რომ მხოლოდ საბაჟო შემოსავლების რიგიანი აღრიცხვით შეიძლებოდა საქართველოს ბიუჯეტის შესრულება. მაშინ მას კი მოუსმინეს, მაგრამ ეტყობა, ვიღაცას ბიუჯეტის შესრულების „შეეშინდა“... რამდენიმე თვის შემდეგ კი კონტროლის პალატის თავმჯდომარემ, რეზო შავიშვილმა თანამდებობა დატოვა.

აქტიურ პოლიტიკაში კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელი „ახლებთან“ ერთად აპირებს დაბრუნებას. რა ინფორმაციებს ფლობს მომავალ პარლამენტარებზე და რას გაიხსენებს წარსულიდან დღეს უკვე ლიბერალური პარტიის თავმჯდომარე, **რეზო შავიშვილი**, ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

— 1998 წელს, როდესაც შემოსავლების სამინისტროს შექმნაზე იყო ლაპარაკი, პრეზიდენტს ვუთხარი, 4-მილიარდიანი ბიუჯეტი საქართველოსთვის პრობლემა არ უნდა იყოს-მეთქი. ამიტომ შევპირდი, თუ მხარს დამიჭერთ, არსებულ გარღვევას დავფარავ და დამატებით 100 მილიონს შევიტან ბიუჯეტში-მეთქი. ჩემი ნათქვამი პრეზიდენტმა სერიოზულად მიიღო და მითხრა, — ერთი კვირა უნდა ვიფიქრო ამ საკითხზეო. 2 კვირის შემდეგ შევხვდი და ასეთი პასუხი მივიღე — საზოგადოებას ვერ ავუხსნი, რატომ დავაქვეითე რეზო შავიშვილი მინისტრის დონემდეო (საგადასახადო სამინისტრო ამ ფაქტიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ შეიქმნა). ბუნებრივია, პასუხი არ მომეწონა (ეს არც დამიმალავს პრეზიდენტისთვის, იქვე ვუთხარი) და გადავწყვიტე, კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობა დამეტოვებინა. პრეზიდენტთან ჩემი საუბრიდან ცოტა ხნის შემდეგ მოულოდნელად კონტროლის პალატის შემოწმება დაიწყო (ამ საქმეში პრეზიდენტი არ ჩარეულა, ეს საკითხი პარლამენტში გადაწყდა). მავანთ იცოდნენ, რომ შემოწმების პერიოდში თანამდებობას არ დავტოვებდი. ამიტომ შემოწმება უცნაურად გაგრძელდა და დასკვნაც, გვიან, 11 სექტემბერს დაიწერა. ეს არ მომხდარა შემთხვევით — 12 სექტემბერს 1999 წლის მაშინდელ არჩევნებში მონაწილეთა რეგისტრაცია დასრულდა. ბუნებრივია, ვეღარ მოვასწრებდი თანამდებობიდან გადადგომას და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას.

— **როგორი დასკვნა დაიწერა?**

— ჩვენს სამსახურს 17 პარლამენტის წევრი და 11 რევიზორი ამოწმებდა. მათი დასკვნა რატომღაც არც გამოქვეყნებულა, ეტყობა აღარავის აინტერესებდა. იმიტომ, რომ „შემოწმების“ მიზანი მიღწეული იყო... 20-გვერდიანი დასკვნა დადებითია. ამის შემდეგ დავწერე ანგარიში მთავრობის მუშაობაზე და გადავდექი...

დღესაც ვფიქრობ, რომ საქართველოში 4 მილიარდის ბიუჯეტში შეტანა იოლად შეიძლება. რეზერვი 2-ჯერ მეტია. თუ ქართველ ეკონომისტებს არ ვენდობით, ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს მონაცემები ვნახოთ. იქ წერია, რამდენიცაა საქართველოს ერთობლივი შიდაპროდუქტი. ჩვენი ეკონომისტების დასკვნით, იგი 6,5 მლრდ ლარს შეადგენს. ამერიკელების ანგარიშით კი 20 მლრდ დოლარზე მეტია(?!). საქართველოში არის გადასახადების მნიშვნელოვნად შემცირების რეზერვიც. საგადასახადო კოდექსიც უნდა გამარტივდეს. მეწარმემ მასში გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა რომც შეასრულოს, შესადავებელი მაინც დარჩება იმიტომ, რომ იქ უამრავი ხვრელია. ხვრელს კი ყოველთვის სახელმწიფო იყენებს.

ჩემი ნათქვამი ლიტონ სიტყვებად რომ არ დარჩეს, კონკრეტული მაგალითით დაგისაბუთებთ: 1990 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველოს საუკეთესო სასტარტო პირობები ჰქონდა. დღეს ესტონეთის (რომლის მოსახლეობა მილიონ 400 ათასს შეადგენს) ბიუჯეტი 2 მილიარდი დოლარია და ის სრულდება, ჩვენ კი მილიარდიანი ბიუჯეტის შესრულება გვიჭირს. ესტონეთი არ არის საქართველოზე მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, იქ არც უკეთესი ჰავაა, არც ჩვენი გლეხია ესტონელზე ზარმაცი, მაგრამ... მიზეზი და თავიდათავი ხელისუფლებაა. იმავე ესტონეთში ხელისუფლების (კარგი იქნება ის თუ ცუდი) ნორმალური ცვლა მიმდინარეობს. ყველამ იცის, რომ მალე ხელისუფალი აღარ იქნება და პასუხიც მოეთხოვება. იქაური ხელისუფალნი პასუხისმგებელნი არიან საკუთარი ხალხის წინაშე. ამას ვერ ვიტყვით ჩვენს ხელისუფლებაზე. რადგან 30 წლის განმავლობაში იყო ქვეყნის სათავეში, პრეზიდენტს ჰგონია, მისი მმართველობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება. მინისტრები კი ფიქრობენ, პასუხისმგებელნი ერთადერთი კაცის, შევარდნაძის წინაშე ვართო. მთავარია, პრეზიდენტი ჰყავდეთ კმაყოფილი და ხალხი არც აინტერესებთ, რადგან ისინი საკუთარი მსახურები ჰგონიათ. არადა, პირიქით არის, ხელისუფლება ხალხის მსახური უნდა იყოს. ხელისუფლებას არ აქვს უფლება გარდა იმ უფლებისა, რასაც ხალხი აძლევს — რასაც დღეს ხელისუფლება სჩადის, ამის უფლება ხალხს მისთვის არ მიუცია...

რატომ ვართ ყველაფერში უკანასკნელ ადგილზე, როდესაც ქვეყანას სათავეში მსოფლიოში აღიარებული პოლიტიკოსი უდგას?!

— **სხვადასხვა მიზეზი ჩამოთვალეთ, თუ რატომ არ სრულდება ბიუჯეტი, რატომ ვცხოვრობთ ცუდად. მაგრამ ბიუჯეტის ქრონიკულ შეუსრულებლობასა და ხელისუფალთა „მოუნდომებლობასაც“ ალბათ აქვს თავისი მიზეზი, ანუ სად მარხია ძაღლის თავი?**

— პასუხი მარტივია — ძაღლის თავი ნომენკლატურულ ბიზნესში უნდა ვეძებოთ. ჩვენ გვინდა იმ ხალხმა გამოასწოროს ვითარება, რომლებიც ჩრდილოვანი ეკონომიკით საზრდოობენ, მაგრამ ამას ნებით არ გააკეთებენ. ისინი ხალხმა უნდა აიძულოს (რადგან პრეზიდენტი არ ინდომებს), ხალხმა უნდა ამოიღოს ხმა და თქვას, რომ ულირსად ცხოვრება ცხოვრება არ არის. ჩვენი ხალხი ღირსეულ ცხოვრებას იმსახურებს, მაგრამ ულირსად ცხოვრობს იმიტომ, რომ ხელისუფლება არ უვარგა.

— **რომ მოინდომოს, პრეზიდენტს არ შეუძლია ვითარების შეცვლა? არა მგონია, შევარდნაძეს შეუსრულებელი ბიუჯეტი და კორუმპირებული მთავრობის მეთაურობა მოსწონდეს?.**

— პრეზიდენტს შესაძლოა უნდოდეს კიდეც რაიმეს გაკეთება, მაგრამ უძლურია. მან თქვა — შევიცვალეო, მაგრამ არა მგონია, ასე იყოს. იგი ქვეყანას ცკ-ის მდივანივით მართავს. მთავრობის გაფართოებული სხდომები კი იმავე ცკ-ის პლენუმებია, მეტი არაფერი. ხალხიც დაუსრულებლად ელოდება — აი, საჯაროდ დასახელდება გვარები, დამნაშავეთა თავები დაცვივდებაო, მაგრამ სინამდვილეში არაფერიც არ მოხდება. ილუზია მეც მქონდა ერთხანს, რომ რაღაც შეიცვლებოდა, მაგრამ საპირისპიროში დავრწმუნდი.

პრეზიდენტთან კარგი ურთიერთობა მაქვს, თვე-ნახევრის წინ შევხვდი, ვისაუბრეთ, მაგრამ ვინმესთან კარგი პიროვნული ურთიერთობა არ იქნება იმის საფუძველი, რომ ვიღაცას რაღაცა შერჩება. არავის არაფერი შერჩება და მათ შორის, არც პრეზიდენტს. რა თქმა უნდა, პრეზიდენტს ურჩევნია კარგი და პატიოსანი მთავრობის მეთაური იყოს და დიდხანსაც დარჩეს თანამდებობაზე, მაგრამ საამისოდ ვერაფერს ილონებს, რადგან არ იცის, არ შეუძლია.

— **თქვენ უზარმაზარ ინფორმაციას ფლობთ და ადრე გითქვამთ, ჩემი ბევრს ეშინია.**

— იმათ ეშინიათ, რომლებიც ფიქრობენ, რომ რაღაც შევინახე, უთქმელი დავტოვე. კონტროლის პალატის თავმჯდომარე მხოლოდ დოკუმენტით ლაპარაკობს. მოსმენილის საფუძველზე ვერავის დააბრალებ რამეს. თანაც კონტროლის პალატის საქმე არ არის დანაშაულისთვის დასჯა.

თავის დროზე, პროკურატურას ათასობით საქმე გადავეცით. მათი უმეტესობა დღეს დახურულია(?!), როდესაც ხელისუფლება შეიცვლება (გინდ ამაზე უარესი მოვიდეს, გინდ უკეთესი), ვინ დატოვებს იმ საქმეებს ისე. ეს ხომ მზა მამხილებელი ფაქტებია (ე.წ. შენელებული მოქმედების ნაღმები. — ი.რ.)?!

ვინც უნდა მოვიდეს შევარდნაძის შემდეგ, უთუოდ ამოსწევს ამ მასალებს. ზოგი იმისთვის, რომ სიტუაცია გამოასწოროს, ზოგიც კი საიმისოდ, რომ ძველები დასაჯოს და ამით საზოგადოებაში ავტორიტეტი მოიპოვოს. ის მასალები, რომლებიც პრაქტიკულად ყველა სტრუქტურას შეეხება, უთუოდ ნახავს დღის სინათლეს და მის საფუძველზე დაფერთხავს ახალი ხელისუფლება ყველა სტრუქტურას. რატომ მიდიან პარლამენტში დღევანდელი დიდჩინოსნები? იმიტომ, რომ იციან, წლინახევრის შემდეგ შევარდნაძე პრეზიდენტი აღარ იქნება და მათ უსაფრთხოებას არავითარი გარანტია აღარ ექნება. არადა, ისინი დასაჭერები არიან — თვითონაც იციან, რომ ამ მასალების საფუძველზე უსათუოდ დააპატიმრებენ.

ვერ ხედავთ, რამდენი სამართალდამცველი მიდის პარლამენტში? რატომ? სტრუქტურები ლობს იკეთებენ. რამდენი საფინანსო ორგანოს წარმომადგენელი — ყოფილი (ან ახლანდელი) მინისტრი და მინისტრის მოადგილე მიდის პარლამენტში? რატომ? იმისათვის, რომ ციხეს გადაურჩნენ, რათა საკუთარი თავი, მოპარული, მითვისებული ქონება და „პატრონები“ დაიცვან.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

# „ხალხს მედალი და ორდენი ვერ გაურჩევია ერთმანეთისაგან“

*ამბობენ, რუსებთან კავშირში ბრალდებულ ბურჯანაძესა და ჟვანიას, სხვა პარტიის ლიდერებსაც ამოუყენებენ გვერდითო. არავინ იცის, სადამდე მივა ანტირუსული პროპაგანდა საქართველოში, მაგრამ კულუარებში პოლიტანალიტიკოსების ნათქვამი ერთი საყურადღებო ფრაზა გახმიანდა — პოლიტიკის აქსიომაა: ვისაც ლობირებ, ის უნდა გააკრიტიკოო. ამ ლოგიკით თუ განვიხილავთ დღევანდელ ვითარებას, შევარდნაძე რუსეთში განათლებამიღებულ ბურჯანაძეს, რომ იტყვიან, ფორას უნდა აძლევდეს და საპრეზიდენტო სავარძლისთვის ამზადებდეს.*

*სახელისუფლებო ბლოკიდან წამოსულ ბრალდებებსა და ბოლოდროინდელ პოლიტიკურ ისტერიაზე კომენტარი ტრადიციონალისტთა ლიდერს,* **აკაკი ასათიანს** *ვთხოვეთ:*

— ირინა სარიშვილის ბრალდებებს სერიოზულს ვერ ვუწოდებ. რაც მან თქვა, ძალიან შორს არის ჭკუადამჯდარი ადამიანის ნათქვამისგან. ხალხს მედალი და ორდენი ვერ გაურჩევია ერთმანეთისგან. მედალს რაიმე მოვლენის მონაწილეს ანიჭებენ, ორდენს კი თავის გამოჩენისთვის.

— **მაშ, რა მიზანი უნდა ამოძრავებდეს ირინა სარიშვილს?**

— თავად ქალბატონ ირინას და სახელისუფლებო ბლოკს უნდა ჰკითხოთ, რატომ არიან გადართულნი ასეთ სისულელეებზე?

— **ქალბატონმა ნინომ განაცხადა, ბრალმდებელ ირინა სარიშვილის უკან პრეზიდენტი დგასო.**

— რაკი სახელისუფლებო ბლოკის ლიდერი პრეზიდენტია, რაღაც ხომ უნდა იცოდეს ამ კაცმა. ვფიქრობ, იგი საქმის კურსში იყო. არ ვიცი, პრეზიდენტმა დაავალა ასეთი რამ, საკუთარი ინიციატივით წამოიწყო ირინამ ყველაფერი თუ ვინმე სხვა ჩაერია. ისე, სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს. ჩემი აზრით, ყოველივე ამას მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ და ამას ხალხის განწყობაც ადასტურებს. ხალხმა ეს ბრალდებები არასერიოზულად აღიქვა და ამით არც ჩვენი რეიტინგი დაზარალებულა.

— **ნინო ბურჯანაძემ ძალზე კატეგორიულად მოსთხოვა ხაბურძანიას დასკვნის სამ დღეში გაკეთება, ეს ზოგიერთმა უშიშროებაზე ზეწოლად მიიჩნია.**

— სამ დღეში მართლაც ვერ მოესწრება საქმის შესწავლა და არც ის მგონია, ამას რაიმე შედეგი მოჰყვეს. ჩვენ კი არა, სახელისუფლებო ბლოკმა ჩააყენა ხაბურძანია არასახარბიელო მდგომარეობაში.

— **თუ ბრალდებები არ დადასტურდა, ცილისწამებისთვის მორალურ კომპენსაციას ან ბრალმდებლის დასჯას ხომ არ მოითხოვთ?**

— არ ვიცი, მოვითათბირებთ...

— **კულუარებში ისიც ითქვა, ხაბურძანია ბურჯანაძის გულშემატკივარია და ეს ინციდენტი მათი ურთიერთობის გასაფუჭებლად დაიგეგმაო.**



— არა მგონია, ხაბურძანია ვინმეს მხარდამჭერი იყოს. ის ხელისუფლების წარმომადგენელია — მინისტრი და თავისი ძალზე დელიკატური საქმე აქვს... არც ის მგონია, უშიშროების მინისტრი ჩვენი ბლოკის ლიდერის მხარდამჭერი იყოს.

— **რომელი იმიჯმეიკერული ფირმა ან კონკრეტული პირები მუშაობენ თქვენს ბლოკთან?**

— ჩვენთან არავინ მინახავს ახალგაზრდების გარდა, რომლებიც ისედაც ჩვენი ბლოკის წევრები არიან. ისინი მუშაობენ ამ საკითხებზე. თუ იმიჯკონტაქტთან ურთიერთობა ასე სახიფათო და საშიში იყო, 1999 წელს რატომ არ თქვეს პრეზიდენტმა და სახელისუფლებო გუნდის მაშინდელმა ლიდერებმა? გასაკვირია, ახლა რატომ გაახსენდათ იმიჯკონტაქტი?

— **ანუ ოპტიმისტურად ხართ განწყობილი...**

— მშვიდად ვარ. იმიტომ, რომ ვხედავ, შევარდნაძე, მისი გარემოცვა და მისი თანამოაზრეები უკვე მიდიან ხელისუფლებიდან, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე დადებითი მოვლენაა. ვფიქრობ, მათი წასვლის შემდეგ ქვეყანას რაღაც პერსპექტივები გაუჩნდება.

** იზო რიკაძე**

# არჩევნები-2003

## მოიგეთ ფერადი ტელევიზორი



ერთგულ მკითხველს აუცილებლად ემახსოვრება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ჩვენი გაზეთის მიერ გათამაშებული ფერადი ტელევიზორი. მაშინ საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტიების ადგილები 54 წლის ავთო სტურუამ ყველაზე ზუსტად გამოიცნო და გახდა პრიზის მფლობელი. „კვირის პალიტრა“ ტრადიციას აგრძელებს და გაძლევთ შანსს მოიგოთ ფერადი ტელევიზორი. ამისათვის საჭიროა შეავსოთ ეს ბარათი და **„კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)** საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ რედაქციაში.

**თქვენი პროგნოზი** — როგორი იქნება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები?! მოცემული ათი გრაფა უნდა შეავსოთ პოლიტიკური პარტიების, გაერთიანებების დასახელებით იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ისინი განლაგდებიან 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებში.

### რომელი პოლიტიკური პარტია ან გაერთიანება დაიკავებს I–X ადგილებს საპარლამენტო არჩევნებში?

ტელევიზორს იგებს ბარათი-პროგნოზი, რომელიც ზუსტად დაემთხვევა არჩევნების შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ზუსტი პროგნოზი ვერავინ გააკეთა, პრიზს მიიღებს ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი; ხოლო თუ რამდენიმე ზუსტი პროგნოზი აღმოჩნდება, ან იქნება რამდენიმე ერთნაირად მიახლოებული ვარიანტი, პრიზს მიიღებს ის მკითხველი, რომლის პასუხიც ბარათის ბოლოს დასმულ შეკითხვაზე — ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მიიღებს მონაწილეობას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში? — ყველაზე მიახლოებული იქნება რეალურთან. **წარმატებებს გისურვებთ!**

**„კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ბარათების მოთავსების ბოლო ვადაა თბილისში 29, ხოლო რაიონებში 28 ოქტომბერი.** ამის შემდეგ ისინი რედაქციაში დაილუქება და გაიხსნება მხოლოდ არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადების შემდეგ.

**პოლიტიკური პროგნოზი**

| ადგილი | პოლიტიკური პარტია/ბლოკი |
|---|---|
| I | |
| II | |
| III | |
| IV | |
| V | |
| VI | |
| VII | |
| VIII | |
| IX | |
| X | |

ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მიიღებს მონაწილეობას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში?

________________

თქვენი სახელი, გვარი

ასაკი

ტელეფონი

ქალაქი, რაიონი

# მოსკოვი ამჯერად ქართველ ფინანსისტებს ადანაშაულებს...

## უხელფასოდ დარჩენილი რუსი სამხედრო უკვე საშიში ხდება

ხელფასების ორი-სამი თვით დაგვიანებით გაცემა ქართველი სამხედროებისთვის ახალი ამბავი არ არის, თუმცა ამას ბოლო დროს კიდევ ერთი სახელფასო გარღვევა დაემატა — ამჯერად თავის უხელფასობას ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების ГРВЗ-ს საქართველოში მდგარი რუსი სამხედროებიც თბილისს აბრალებენ.

მათი გასტუმრება ჩვენი საქმე არ არის (ის არ გვეყოფა, რომ 4 ათასზე მეტი რუსი სამხედრო ტკეპნის ქართულ მიწას?), მაგრამ ბოლო ხანს მოსკოვი ამ საქმეში ქართულ მხარეს ადანაშაულებს.

აგვისტოდან ГРВЗ-მ, როგორც იქნა, გადაწყვიტა ოფიციალურად დაეწყო საქართველოში დისლოცირებული თავისი სამხედროებისთვის ფულადი ანაზღაურების ქართული ეროვნული ვალუტით — ლარით (კურსით 7 ლარი 100 რუსულ რუბლზე) გაცემა.

ამას ჩვენ ბოლო რამდენიმე წელია დაჟინებით ვითხოვდით, რადგან რუბლის შემოდინება ერთგვარი რუსული ეკონომიკური აგრესია გახლდათ, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტს უფრო მეტად უთხრიდა ძირს (განსაკუთრებით ახალქალაქსა და ბათუმში), ვიდრე იქვე მდგარი რუსული ტანკები.

იმიტომაც არ ურიცხავს ГРВЗ-ს სახელფასო ანაზღაურებას, რომ, როგორც იქ აცხადებენ, ეშინია ქართულმა მხარემ ყადაღა არ დაადოს ამ ანგარიშებს. ამის პრეცედენტი უკვე იყო: ერთ-ერთ ქართულ კომერციულ ბანკში რუსი სამხედროების ფულადი ანგარიში (დაახლოებით 700 ათასი რუბლი) მცხეთის საგადასახადო ინსპექციამ დააყადაღა იმ მიზეზით, რომ რუს სამხედროებს დავალიანება არ ჰქონდათ გადახდილი.

რუსი გენერლები თვლიან, რომ ბანკთაშორის შეთანხმებაში, რომელიც მიღწეული იქნა მოსკოვში, 2002 წლის 24 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბანკსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის, არ არის ჩადებული გარანტიები, რომ ქართულმა მხარემ რუსი სამხედროების ხელფასს მთლიანად არ დაადოს ყადაღა ვალების დაფარვის მიზნით.



**საქართველომ მშიერი შაშხანიანი რუსი ჯარისკაცი ერთხელ უკვე ნახა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ... რას მოიმოქმედებს XXI საუკუნის დასაწყისში უხელფასოდ დარჩენილი ავტომატიანი რუსი სამხედრო?**

**სულ ГРВЗ-ს საქართველოს ტერიტორიაზე 1000 ჰა-მდე აქვს დაკავებული და, შესაბამისად, მარტო მიწის ბეგარა, რომ აღარაფერი ვთქვათ, წყლის და ელექტროენერგიის ხარჯზე, მილიონობით ლარამდეა.**

არადა ასეთი ვალები ჯერ ЗакВО-ს, ხოლო შემდგომში მის „შვილობილს“ — ГРВЗ-ს ბლომად დაუგროვდა. საქართველოს პარლამენტმა, მართალია, დიდი დაგვიანებით, მაგრამ 2002 წლის 5 დეკემბერს მაინც მიიღო დადგენილება რუსული სამხედრო ბაზების დაბეგვრის თაობაზე, მათ მიერ მიწისა და უძრავი ქონების ექსპლუატაციის საფუძველზე.

მარტო ერთი რუსული გარნიზონის, „ზვეზდას“, რომელსაც 32 ჰა ქართული მიწა უკავია, ბეგარა არასასოფლო-სამეურნეო მიწის მოხმარებისთვის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 249 ათას ლარს შეადგენს, რასაც ბეგარის არადროული გადახდისთვის დაწესებული ჯარიმაც ემატება და საერთო თანხა 330 ათას ლარამდე ადის.

სულ ГРВЗ-ს საქართველოს ტერიტორიაზე 1000 ჰა-მდე აქვს დაკავებული და, შესაბამისად, მარტო მიწის ბეგარა, რომ აღარაფერი ვთქვათ, წყლის და ელექტროენერგიის ხარჯზე, მილიონობით ლარამდეა.

როგორც ეროვნულ ბანკში შევიტყვეთ, ბანკთაშორისი შეთანხმების საფუძველზე უნდა ამუშავებულიყო მექანიზმი, რომლის თანახმადაც, რუსეთის ცენტრალურ ბანკში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გახსნილ საკორესპონდენტო ანგარიშზე ყოველთვიურად ჩაირიცხებოდა რუსული რუბლი, რომელსაც ეროვნული ბანკი გაუკეთებდა კონვერტაციას ქართულ ლარში და ერთი დღის განმავლობაში, თავისი ფილიალების საშუალებით, ნაღდ ფულს დაურიგებდა რუსულ სამხედრო ბაზებს.

რუსეთის მხარე, მართალია, თბილისს აბრალებს საქართველოში თავისი სამხედროების უჯამაგიროდ დატოვებას, მაგრამ თავად კაპიკი არ ჩაურიცხავს საკორესპონდენტო ანგარიშზე.

ამ საქციელით შეიძლება კრემლს უნდა ხელფასის პრობლემის პოლიტიკურ პრობლემად გადაზრდა. მით უმეტეს, რომ, როგორც ეროვნულ ბანკში მიაჩნიათ, თითქმის გამორიცხულია მათ საკორესპონდენტო ანგარიშზე გადმორიცხული თანხის დაყადაღება.

უხელფასოდ დარჩენილი და თანაც არც ისე მეგობრულად განწყობილი რუსი სამხედრო, თავისი არაპროგნოზირებადი საქციელის გათვალისწინებით, უკვე საშიში ხდება.

დღეს რამდენიმე ათას უხელფასოდ დარჩენილ რუს სამხედროსთან მოსკოვი ასე იმართლებს თავს — საქართველოს ეროვნული ბანკი ეწინააღმდეგება რუსული რუბლის შეტანას საქართველოში, ის თავად აპირებს რუბლის შეტანას, მის თავის ანგარიშზე დაყოვნებას და მხოლოდ შემდეგ დარიგებასო.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო

# აფეთქებები არჩევნებამდე შეაჩერეს

## ზემოქედელებს ბომბების აფეთქების ხმა სამი კვირა აღარ დააფრთხობთ

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში ვწერდით, ზემო ქედის მცხოვრებნი სოფლიდან რამდენიმე კმ-ში მიმდინარე აფეთქებებმა ძალიან შეაწუხესო.

გვინდოდა, ადგილზე შეგვემოწმებინა, არის თუ არა სოფლისთვის სახიფათო დიდი შირაქის სამხედრო აეროდრომზე ეუთოს დაფინანსებით მიმდინარე საავიაციო ბომბების აფეთქებით უტილიზაცია. სოფელი 4 კმ-ითაა დაშორებული აეროდრომიდან. მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, უცხოეთის მიერ დაფინანსებულ პროგრამაში ქართული პოლიტიკური სინამდვილე ჩაერია და 2 ნოემბრის არჩევნებამდე პოტენციურ ამომრჩევლებს ნერვებს აღარ დააწყვეტენ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სთხოვა უტილიზაციის პროგრამის შემსრულებლებს, სამი-ოთხი კვირით შეეჩერებინათ უვარგისი და, ამასთანავე, საშიში საავიაციო ბომბების განადგურება.

ამიტომაც, მკითხველს ამ უტილიზაციის პროგრამის მიმდინარეობაზე ინფორმაციას აფეთქებების პროცესის გაგრძელებისთანავე მივაწვდით.




DAI Development Alternatives, Inc.

USAID

### წყლის რესურსების მართვა სამხრეთ კავკასიაში

# მცირე გრანტები

## გრანტები პილოტური პროექტების დასაფინანსებლად მდინარე ხრამის აუზში

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო კორპორაცია განვითარების ალტერნატივებთან (DAI) ერთად ახორციელებს პროექტს „წყლის რესურსების მართვა სამხრეთ კავკასიაში“. მდინარის აუზის ინტეგრირებულ დაგეგმვასა და მართვაში ადგილობრივი მონაწილეობის განვითარების მიზნით, DAI-მ შეიმუშავა რიგი პილოტური პროექტებისა, რომლებიც საგრანტო ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელდება საქართველოში, მდინარე ხრამის აუზში.

DAI აცხადებს კონკურსს პილოტურ პროექტებზე, რომლებიც მიმართული იქნება მდინარე ხრამის აუზში საზოგადოების გათვითცნობიერების ამაღლებისკენ და ხელს შეუწყობს ადგილობრივ მონაწილეობას აუზის მართვის საკითხებში. უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მდინარის აუზის მართვის იდეის განხორციელებასა და დანერგვას, და აგრეთვე პროექტებს, რომლებიც განხორციელდება ბოლნისსა და დმანისში. ზემოთ ნახსენები პილოტური პროექტების მაგალითებია: სასწავლო ვიდეომასალების მომზადება, მასმედიური კამპანიების, ტრეინინგების ჩატარება სკოლებში, მდინარის სეგმენტების სანიტარული დასუფთავება, ტყეების რეაბილიტაცია და სხვა. მიიღება სხვა სახის წინადადებებიც საზოგადოების გათვითცნობიერების და ადგილობრივი მონაწილეების მხარდასაჭერად.

პილოტური პროექტების დაახლოებითი ხანგრძლივობაა ერთიდან ორ თვემდე. გრანტების სავარაუდო მოცულობა არის 2000 აშშ დოლარი და ისინი გადაეცემა მდინარე ხრამის აუზში რეგისტრირებულ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

წინადადებების შერჩევა მოხდება ნათლად განსაზღვრული ამოცანების და მათი შედეგების საფუძველზე, ორგანიზაციის შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინებით. რეგიონალური თანამშრომლობა ხრამის აუზის სომხურ ორგანიზაციებთან, სხვადასხვა კერძო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ადგილობრივ მმართველობასთან მისასალმებელია.

***პილოტური პროექტების განაცხადის ფორმები შეგიძლიათ მიიღოთ DAI-სგან შემდეგ მისამართზე:***

- ფალიაშვილის ქ. №14, თბილისი
- საზოგადოებრივი გარემოდაცვითი რეგიონალური ცენტრი, ბოლნისი (სულხან-საბა ორბელიანის ქ. №101)
- ელფოსტა (Tinatin_Museridze@dai.com)

კითხვების ან კონსულტაციების თაობაზე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ თინათინ მუსერიძეს DAI-ს თბილისის ოფისში (ტელ: 231-077). განაცხადების შევსებასთან დაკავშირებული სპეციალური საინფორმაციო შეხვედრა გაიმართება 2003 წლის 20 ოქტომბერს, ორშაბათს 12:00-დან 15:00 საათმდე ბოლნისში, საზოგადოებრივ გარემოდაცვით რეგიონალურ ცენტრში.

**განაცხადები მიიღება DAI-ს თბილისის ოფისში, ფაქსით 294896, ან ელექტრონული ფოსტით: Tinatin_Museridze@dai.com. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 3 ნოემბერი, 18 საათი. ფალიაშვილის ქ. 14, თბილისი 380079 საქართველო**

DAI Development Alternatives, Inc.

USAID

### წყლის რესურსების მართვა სამხრეთ კავკასიაში

# მცირე გრანტები

## გრანტები პილოტური პროექტების დასაფინანსებლად მდინარე ალაზნის აუზში

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო კორპორაცია განვითარების ალტერნატივებთან (DAI) ერთად ახორციელებს პროექტს „წყლის რესურსების მართვა სამხრეთ კავკასიაში“. მდინარის აუზის ინტეგრირებულ დაგეგმვასა და მართვაში ადგილობრივი მონაწილეობის განვითარების მიზნით, DAI-მ შეიმუშავა რიგი პილოტური პროექტებისა, რომლებიც საგრანტო ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელდება მდინარე ალაზნის აუზში საქართველოში.

DAI აცხადებს კონკურსს პილოტურ პროექტებზე, რომლებიც მიმართული იქნება მდინარე ალაზნის აუზში საზოგადოების გათვითცნობიერების ამაღლებისკენ და ხელს შეუწყობს ადგილობრივ მონაწილეობას აუზის მართვის საკითხებში. უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მდინარის აუზის მართვის იდეის განხორციელებასა და დანერგვას, და აგრეთვე პროექტებს, რომლებიც განხორციელდება გურჯაანსა და დედოფლისწყაროში. ზემოთ ნახსენები პილოტური პროექტების მაგალითებია: სასწავლო ვიდეომასალების მომზადება, მასმედიური კამპანიები, ტრეინინგების ჩატარება სკოლებში, მდინარის სეგმენტების სანიტარული დასუფთავება, ტყეების რეაბილიტაცია და სხვა. მიიღება სხვა სახის წინადადებებიც საზოგადოების გათვითცნობიერების და ადგილობრივი მონაწილეების მხარდასაჭერად.

პილოტური პროექტების დაახლოებითი ხანგრძლივობაა ერთიდან ორ თვემდე. გრანტების სავარაუდო მოცულობა არის 2000 აშშ დოლარი და ისინი გადაეცემა მდინარე ალაზნის აუზში რეგისტრირებულ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

წინადადებების შერჩევა მოხდება ნათლად განსაზღვრული ამოცანების და მათი შედეგების საფუძველზე, ორგანიზაციის შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინებით. რეგიონალური თანამშრომლობა ალაზნის აუზის აზერბაიჯანულ ორგანიზაციებთან, სხვადასხვა კერძო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ადგილობრივ მმართველობასთან მისასალმებელია.

***პილოტური პროექტების განაცხადის ფორმები შეგიძლიათ მიიღოთ DAI-სგან შემდეგ მისამართზე:***

- ფალიაშვილის ქ. №14, თბილისი
- დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ცხრა ძმის ქ. №9)
- ელფოსტა (Tinatin_Museridze@dai.com)

კითხვების ან კონსულტაციების თაობაზე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ თინათინ მუსერიძეს DAI-ს თბილისის ოფისში (ტელ: 231-077). განაცხადების შევსებასთან დაკავშირებული სპეციალური შეხვედრა გაიმართება 2003 წლის 22 ოქტომბერს, ოთხშაბათს 12:00-დან 15:00 საათმდე, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

**განაცხადები მიიღება DAI-ს თბილისის ოფისში, ფაქსით 294896, ან ელექტრონული ფოსტით: Tinatin_Museridze@dai.com. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 3 ნოემბერი, 18 საათი. ფალიაშვილის ქ. 14, თბილისი 380079 საქართველო**

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## ერაყში ჯერ კიდევ ეძებენ...

პრეზიდენტ ბუშის რეიტინგი კატასტროფულად ეცემა, ისევე როგორც მისი დიდი ბრიტანელი კოლეგისა — ორივე გრანდიოზული მასშტაბის სიცრუეში არიან მხილებულნი. მიუხედავად იმისა, რომ ერაყში 1,2 ათასზე მეტი ამერიკელი სპეციალისტი დღე და ღამეს ასწორებს, აქამდე მასობრივი განადგურების იარაღის მაგვარის კვალსაც ვერ მიაგნეს.

არადა სადამ ჰუსეინზე ამერიკულ-ბრიტანული იერიში სწორედ იმ მოტივით დაიწყო, რომ ერაყელი დიქტატორი მალავდა მასო-



ბრივი განადგურების იარაღს, რითაც ლამის ნახევარ მსოფლიოს ემუქრებოდა.

ამერიკელებს ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ აღმოაჩენენ ერაყულ ქიმიურ თუ ბაქტერიოლოგიურ იარაღს და მატყუარის სახელს მოაშორებენ თავიანთ პრეზიდენტს.

ისე, ჩვენ, ქართველებს, გვეძლევა საუკეთესო შესაძლებლობა, ერთხელ მაინც გავუწოდოთ დახმარების ხელი ოკეანისგაღმელ მეგობრებს, რომლებიც ხან შვეულმფრენებს გვჩუქნიან, ხან ჯარს გვიმზადებენ. საქართველოში ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ყრია რუსების მიერ „სახსოვრად“ დატოვებული რადიოაქტიური ნივთიერებების შემცველი სახიფათო კონტეინერები. იქნებ რამდენიმე ასეთი კონტეინერი ჩუმად გაგვეგზავნა ერაყში და იქ ჩვენ მენაღმეებსვე აღმოეჩინათ? ბუშიც მოისვენებდა და შევარდნაძეც დაუმტკიცებდა მეგობრობას.

## უკრაინელებს „გრადები“ „გაუფრინდათ“

გასული კვირის ბოლოს უკრაინაში, დონეცკის ოლქში, „გრადები“ დაფრინავდნენ, თუმცა იქ არც ომი დაწყებულა და არც სამხედრო წვრთნები მიმდინარეობდა. „უბრალოდ“, სამხედრო საწყობებში მომხდარმა ხანძარმა ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების — Град-ების — რაკეტების სასტარტო ძრავები აამოქმედა და მათაც „ფრთები გაშალეს“ — ერთ-ერთმა მათგანმა, სამიზნედ საბავშვო ბაღი „ამოიღო“, მეორე — სადარაჯო შენობას „ესტუმრა“. სულ სამხედრო საწყობში 31 ათასზე მეტი „გრადის“ რაკეტა ინახებოდა. ინციდენტის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიჭრა. სამხედროებმა ხანძრის ეპიცენტრიდან 25 კმ-ის რადიუსში მოახდინეს ტერიტორიის ბლოკირება.

რამდენიმე წლის წინ ჩვენთანაც მოხდა ამგვარი შემთხვევა: ხაშურთან ახლოს, თავდაცვის სამინისტროს ოსიაურის სამხედრო საწყობებში ხანძარმა და აფეთქებებმა გაანადგურა ქართული არმიის ტყვია-წამლის გარკვეული მარაგი. მაშინაც ოსიაურის თავზე რაკეტებისა და ტყვიების წივილი ისმოდა.

საერთოდ, სამხედრო საწყობებში უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებია დასაცავი, რასაც უფულობის ან დაუდევრობის გამო სამხედროები არ აკეთებენ, ან უარესი — ქურდულად გაყიდული ტყვია-წამლის დანაკლისის დასაფარავად საწყობებს ცეცხლს თავად უკიდებენ.

## ტერორისტები საკუთარ ფლოტს ქმნიან

ამერიკულ პრესაში გამოჩნდა სპეცსამსახურებზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაცია, რომ ბინ ლადენმა და „ალ-ქაიდამ“ უკვე შეისყიდეს 15-მდე სხვადასხვა ტიპის სატვირთო გემი. ამერიკელთა რწმუნებით, საერთაშორისო ტერორისტები აპირებენ ამ გემებით განახორციელონ გრანდიოზული მასშტაბის ტერორისტული აქტები დასავლეთის მსხვილ საზღვაო პორტებში; ქიმიური, ასაფეთქებელი ნივთიერებებით თუ ატომური იარაღით დატვირთულმა ტანკერმა ნიუ-იორკის პორტში აფეთქებისას შეიძლება ნახევარი ქალაქი აღგავოს პირისაგან მიწისა.

ის, რომ ტერორისტები და ნარკობარონები დიდი ხანია დაინტერესებულნი არიან საოკეანო გემების შესყიდვით, ახალი ამბავი არ არის. გასული საუკუნის 90-იან წლებში ცნობილი კოლუმბიელი ნარკობარონი პაბლო ესკობარი აპირებდა რუსული დიზელისძრავიანი წყალქვეშა ნავის ყიდვას, რომლითაც უნდოდა უჩუმრად შეეტანა ნარკოტიკების დიდი პარტიები აშშ-ში. წყალქვეშა ნავი კოლუმბიაში გასაგზავნად იყო მზად, მაგრამ რუსეთის სპეცსამსახურებმა, ამერიკელი კოლეგების დახმარებით, ეს გარიგება ჩაშალეს.

# ის, რაც არ გამოვა აშშ-ის წინააღმდეგ, შესაძლებელია საქართველოს მიმართ

## რუსი „ქორი“ — სერგეი ივანოვი კვლავ აგრძელებს საქართველოს დაშინებას

აშშ-ში, კოლორადო-სპრინგსში, NATO-სა და რუსეთის თავდაცვის მინისტრთა მორიგ შეხვედრაზე, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ივანოვმა თავის NATO-ელ კოლეგებს რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინის ნიუანსები გააცნო:

— რუსეთი პირველი არ იხმარს ბირთვულ იარაღს, თუმცა იტოვებს უფლებას, პრევენციულად გამოიყენოს იგი, თუკი სხვა საშუალებები ამოიწურება, — განაცხადა სერგეევმა.

რუსეთმა, რომელმაც ვერაფრით დააღწია თავი მძიმე ეკონომიკურ კრიზისს, კიდევ ერთხელ სცადა თავისი კოზირის წარმოჩენა — ბირთვული იარაღისა, რომელიც, სხვათა შორის, ორი, წარმოშობით ქართველის — სტალინისა და ბერიას — უშუალო ძალისხმევით შეიქმნა მაშინდელ საბჭოთა კავშირში და რომლითაც დღევანდელი რუსეთი მთელ მსოფლიოს აშინებს.

სხვა მხრივ, ამერიკაშიც კარგად იციან, რომ პრეზიდენტი პუტინი არასოდეს გამოიყენებს მასობრივი განადგურების იარაღს და ყველაფერი ეს ერთგვარ ვა-ბანკს ჰგავს.

თუმცა რუსეთის ახალ სამხედრო დოქტრინაში არც ისე ორაზროვნადაა მოხმობილი კიდევ ერთი მიმართულება, რომლის განხორციელებაზეც კრემლის ავანტიურისტები თვალსაც კი არ დაახამხამებენ. ლაპარაკია რუსეთის სამხედრო ძალის გამოყენებაზე იმ მეზობელ რეგიონებში, რომლებიც მისი სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესებში შედიან.

ამ სიაში, ჩვენდა „სასიხარულოდ“, პირველ რიგში მოხსენიებულია საქართველო. მოსკოვი საკმაოდ ნათლად აცხადებს, — ჩვენი მოქალაქეების დასაცავად მეზობელ ქვეყნებში ყოველგვარ ხერხს და ძალას გამოვიყენებო.

საქართველოში რომ რუსებს არ ჩაგრავენ, ეს ყველამ იცის — ამის თქმა თვით ყველაფრის მკისრებელ კრემლსაც კი გაუჭირდება, მაგრამ ოდესმე, თუნდაც ახალი ეროვნული ხელისუფლების ხელში, საქართველომ რომ მოინდომოს სირცხვილის ჩამორეცხვა და წაგლეჯილი ტერიტორიების დაბრუნება, შეიძლება ამუშავდეს ახლა ჩადებული „ნელი მოქმედების ნაღმი“ — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის მოქალაქეების დამადასტურებელი პასპორტების მასობრივი დარიგება.

რუსეთი საქართველოს ებღაუჭება და ცდილობს, ხელიდან არ გაუშვას, რაშიც ამ „კეთილ“ მეზობელს, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ჩვენივე ხელისუფლების (სულერთია, რომლის) დიდი ნაწილიც უწყობს ხელს. შეიძლება ეს დახმარება არაა პირდაპირი და ისინი არ არიან დღეისთვის ასე „პოპულარული“ რუსეთის აგენტები, მაგრამ ქვეყნის გაძლიერების დაბრკოლება და მისი დაძაბუნება, თუნდაც ამაზრზენი კორუფციით, პირდაპირი მიზეზია იმისა, რომ ახალ საუკუნეში ჩვენმა სამშობლომ შეიძლება ეროვნული დამოუკიდებლობა დაკარგოს.

# „ქინ-ძა-ძა“ — პენტაგონის შესრულებით

## გიორგი დანელიას ფილმის მთავარი მოქმედი „გმირი“ ამერიკელებმა რეალობად აქციეს

ამერიკელები რომ ჭკვიანები და მდიდრები არიან, საიდუმლო არ გახლავთ. ესეც ყველამ იცის: პენტაგონი დაუნანებლად ხარჯავს ფულს ახალ-ახალი სახეობისა და ტიპის ტექნიკის ნიმუშების შესაქმნელად, რომლებსაც შემდგომში მთელ მსოფლიოში თავისი სტრატეგიული ინტერესების გასაძლიერებლად გამოიყენებს.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ გაუგებარია ის, თუ რატომ დასჭირდა აშშ-ის თავდაცვის მინისტრ რამსფელდს რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი კინორეჟისორის, გიორგი დანელიას „საავტორო უფლების“ მოპარვა?!

გასულ კვირას, ამერიკის საიდუმლო პოლიგონზე, ცაში პირველად აფრინდა ახალი უპილოტო სადაზვერვო საფრენი აპარატი, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს დანელიას ოციოდე წლის წინანდელ ფილმ „ქინ-ძა-ძა“-ში მფრინავ „პეპელაცს“ — მასაც კასრის ფორმა აქვს, „ზუზუნებს“, ადგილიდან ვერტიკალურად ზემოთ ადის და ფრენას ჰორიზონტალურად აგრძელებს.

ერთ მშვენიერ დღეს, თუკი ცაში მფრინავი „კასრი“ დაინახეთ, ნურც ჯადოქრის საფრენი აპარატი გეგონებათ და ნურც დანელიას „პეპელაცი“. უბრალოდ, პენტაგონი თქვენით რატომღაც დაინტერესდა და დასაზვერად ტელეკამერით აღჭურვილი აპარატი გამოგზავნა. რამდენიმე წუთში კი შეიძლება ამერიკული მართვადი ბომბები და რაკეტებიც გესტუმროთ.



დანელიასეული „პეპელაცი“

P.S. საინტერესოა, კინორეჟისორი გიორგი დანელია უჩივლებს თუ არა პენტაგონს, „პეპელაცის“ იდეის „მოპარვის“ გამო.

# არსენალი

# ორფეხა „ტანკი“

## მომავლის ჯარისკაცის უნივერსალური იარაღი

ბოლო ხანს მსოფლიოში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სისხლისმღვრელი ომები ჯერ კიდევ წინაა.

შეიძლება მხოლოდ ქართულ არმიაში ოცნებობენ, — სად ვიშოვოთ ნახმარი „კალაშნიკოვები“ მაინცო, თორემ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების კონსტრუქტორები დიდი ხანია მუშაობენ ქვეითთა უნივერსალური იარაღის შექმნაზე. მათი ჩანაფიქრით, ამ იარაღმა ერთდროულად უნდა შეცვალოს — ავტომატური შაშხანა, კარაბინი, ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი და ხელის ტყვიამფრქვევი, ანუ ყველა მათგანი ერთმანეთს უნდა შეერწყას და ერთ უნივერსალურ იარაღად იქცეს.

სავარაუდოდ, ორ-სამ წელში ამგვარი უნივერსალური იარაღის სხვადასხვა სახეობის მცირე პარტიები გამოჩნდება რამდენიმე ქვეყნის არმიის შეიარაღებაში.

ისინი კონსტრუქციულად განსხვავებული სახისაა, თუმცა ერთი პრინციპით არიან შექმნილი, რაც ცნობილი ფრანგული კონცერნის GIAT-ის უნივერსალური იარაღის, PAPOP-ის მაგალითზეც შეიძლება განვიხილოთ.

სასროლი კომპლექსის მასა 7კგ-ს აღწევს, რაც, შეიძლება ჩვეულებრივი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის ბევრი იყოს, მაგრამ იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ PAPOP-ი ავტომატისა და ყუმბარსატყორცნის „ნაჯვარია“, არც ისე ბევრი მოგვეჩვენება.

5,56 მმ კალიბრის ავტომატის ზემოთ დამონტაჟებულია 35 მმ კალიბრის ყუმბარსატყორცნი, თუმცა მათ ერთი სასროლი მექანიზმი გააჩნიათ, იარაღში ჩამონტაჟებულია ლაზერული მანძილმზომიც, რომელიც მიზნამდე მანძილს ზუსტად საზღვრავს და ეს მონაცემები ყუმბარსატყორცნის ჭურვის ასაფეთქებელ მოწყობილობაში შეჰყავს. თუკი მოწინააღმდეგე სანგარშია ჩამალული და თავს არხეინად გრძნობს, PAPOP-იდან სროლისას ყუმბარსატყორცნის ჭურვის „ტვინმა“ უკვე იცის ზუსტი მანძილი ამ სანგრამდე, მის თავზე ფეთქდება და ნამსხვრევებით აზიანებს მტერს.

ორკალიბრიანი უნივერსალური იარაღი საკმაოდ ძვირია, რასაც, ჩანს, უპირველესად, ისევ აშშ-ის არმია ეზიარება. უნივერსალურ იარაღში ბევრი ელექტრონული სქემის ჩადება საკმაოდ საკამათოა, რადგან რეალური ბრძოლების პირობებში (წვიმაში, უდაბნოს ქვიშის ქარიშხალსა თუ ჩრდილოეთის ყინვაში) შეიძლება ასე ნაქებმა ელექტრონიკამ მებრძოლს უმტყუნოს და ნახევარსაუკუნოვანი „კალაშნიკოვები“ გაუხდეს საოცნებო.



მომავლის ჯარისკაცი უნივერსალური იარაღით ყოვლისშემძლე გახდება, მაგრამ თუკი ელექტრობატარეები დაუჯდა, დაჟანგული „კალაშნიკოვი“ გაუხდება სანატრელი.

# მკითხველის სვეტი

**„მაინტერესებს, არსებობს თუ არა 5-8 კგ ტროტილის შემცველი რუსული ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი?**

***ზურა დასტაყიშვილი“***

## ტანკების რისხვა

როდესაც ნაღმში რამდენიმე კილოგრამ ტროტილს ათავსებენ, უკვე გასაგებია, რომ ის ადამიანების კი არა, მძიმე ტექნიკის ასაფეთქებლადაა განკუთვნილი.

ამ სტატიის ავტორს თვითონვე აქვს დათვლილი TM-57 ტიპის ნაღმებით სავსე ხის ყუთები. ეს მოხდა 1992 წლის 13 აგვისტოს, როდესაც მოსკოვმა ახალციხის მე-10 კადრირებული მოტომსროლელი დივიზია გადმოგვცა. აბასთუმნის გზაზე, ღია ცის ქვეშ, იდგა ამ 5 ათასი ცალი ყუთის უზარმაზარი „პირამიდა“ — თითოეულ მათგანში 5 ტანკსაწინაღმდეგო ნაღმი იდო.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების დროს ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებიდან ყველაზე ხშირად სწორედ TM-57 და TM-62 ტიპის ნაღმები გამოიყენებოდა. TM-57 სულ 9 კგ-ს იწონის, აქედან ასაფეთქებელი ნივთიერება 6,5 კგ-ია, 10 კგ-იან TM-62-ში კი 7 კგ ტროტილია.





ასაფეთქებელი ნივთიერება ნაღმის კორპუსში კონუსისებურადაა განთავსებული, რათა აფეთქებისას წარმოიქმნას მაღლა მიმართული კუმულაციური ჭავლი, რომელიც ტანკის რკინის მუხლუხოს ანაკუწებს.

საერთოდ, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, როგორც წესი, ფეხის დაბიჯებისას არ ფეთქდება. მისი ამფეთქის ასამოქმედებლად დაახლოებით 200 კგ მასის ზეწოლაა საჭირო. თუმცა ტრაგიკული შემთხვევაც ხშირად მომხდარა. ერთ-ერთი საბჭოთა სამხედრო კონსულტანტი 3 საათი უშედეგოდ ცდილობდა აეხსნა ნიგერიელი ჯარისკაცებისთვის ნაღმის მოქმედების პრინციპი, მაგრამ ამაოდ დაშვრა. ბოლოს, გაბრაზებულმა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე დაიწყო ხტუნვა, რათა ჯუნგლების „შვილები“ დაერწმუნებინა, ნაღმი ადამიანის ფეხის დაბიჯებით არ ფეთქდებაო. მოულოდნელად გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა... მასწავლებლისა და მისი შეგირდებისგან აღარაფერი დარჩა...

როგორც შემდგომ მოსკოვიდან სპეციალურად ჩაფრენილმა საგამოძიებო კომისიამ გაარკვია, ნაღმი დაჟანგული იყო, თანაც მასზე „მოხტუნავე“ კონსულტანტი თურმე 120 კგ-ს იწონიდა...

**„ვცხოვრობ ხარაგაულის რაიონის სოფელ ნადაბურში. ჩემი სოფლის თავზე თვითმფრინავების ტრასა გადის. ისინი ჰაერში თეთრ ზოლს ტოვებენ, რაც სოფელში კამათის საგანი ხდება. ზოგი ამბობს, — ამას ამინდის პროგნოზირებისათვის აკეთებენო, სხვებს მიაჩნიათ, რომ სამხედრო ან სამოქალაქო თვითმფრინავები დაფრინავენ. გთხოვთ გაგვიმარტოთ, რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე?**

***მევლუდ გელაშვილი“***

## თეთრი კვალი...

ჯერ კიდევ ბავშვობაში მესმოდა, ამინდის პროგნოზისათვის თვითმფრინავები საგანგებოდ ტოვებენ ცაში თეთრ კვალსო...

სინამდვილეში კი საქმე გვაქვს ე.წ. ინვერსიულ კვალთან. იგი მაღალ სიმაღლეებზე (8-9 კმ-ის შემდეგ) ფრენისას თვითმფრინავების რეაქტიული ძრავებიდან დიდი სიმხურვალით გამოსული დამწვარი აირის ცივ ჰაერთან შერევისას წარმოიქმნება.

საქართველოს საჰაერო სივრცეში, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, გადის



რამდენიმე საერთაშორისო საჰაერო მარშრუტი, რომელზეც „ბოინგები“ და „აერობუსები“ ტოვებენ ინვერსიულ კვალს. ბოლო წლებში მათ ავღანეთისკენ მფრენი ამერიკული სამხედრო-სატრანსპორტო (რამდენჯერმე კი საბრძოლო) თვითმფრინავებიც დაემატნენ.

სადაზვერვო თვითმფრინავები ამგვარ კვალს არ ტოვებენ, რადგანაც მათ საწვავში სპეციალური ქიმიური ხსნარია შერეული. ამიტომაც, ამერიკული სადაზვერვო U-2-ის (რომელმაც ძალიან მოუხშირა საქართველოს საჰაერო სივრცეში ნავარდს და ჩვენზე კიდევ უფრო გაალიზიანა კრემლი) საინვერსიო კვალის აღმოჩენა ძალიან ძნელია. თვითმფრინავი ცაში, უმთავრესად, პარალელურ, წყვილ საინვერსიო კვალს ტოვებს, თუმცა თუ კარგად დავუკვირდებით, ოთხ ხაზს შევამჩნევთ. მაგრამ იმის გამო, რომ თითოეულ ფრთაზე ორი რეაქტიული ძრავა ერთმანეთისგან რამდენიმე მეტრითაა დაშორებული, ყოველი წყვილი ინვერსიული კვალი ერთმანეთს ერწყმის და გეგონება, ცაში ოთხძრავიანი კი არა, ორძრავიანი საჰაერო ლაინერი მიფრინავს.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ხანჯლის ნაკვალევი ხელის მტევნებზე...

**იმ არეულ დროში ძარცვა-ყაჩაღობით, გინდაც მკვლელობით ვის გააკვირვებდი, მაგრამ ის, რაც იმ დილით ნიბლიანელებმა ნახეს (სხვადასხვა მოსაზრების გამო, ტოპონიმები და გვარ-სახელები შეცვლილია) ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. ნაწამები მოხუცი ცოლ-ქმარი უსულოდ ეგდო საწოლზე. ორივე ხელით იატაკზე ხანჯლებით მილურსმულ მათ თხუთმეტი წლის ერთადერთ შვილიშვილს, მალხაზს სიცოცხლის ნიშანწყალი კი ეტყობოდა, მაგრამ იმდენი სისხლი დაეკარგა, მეზობლების ვიშვიში არც გაუგია. გულაღმა მწოლიარე უაზროდ მიშტერებოდა კედლიდან მომზირალ გარდაცვლილი დედ-მამის სურათს და მეზობელ მამიას რომ არ ემარჯვა, თავისი მანქანით სასწრაფოდ არ გადაეყვანა რაიონის საავადმყოფოში, ცოტა ხანში ბიჭიც ბებია-ბაბუისა და დედ-მამის კვალს გაუყვებოდა.**

**გულდათუთქულმა მეზობლებმა იმ დილითვე ჩამოქნეს მალხაზის სიგრძე სანთელი და ბიჭის გადარჩენა შესთხოვეს უფალს. მალხაზი გადარჩა და მას კიდევ შევხვდებით ჩვენს ნაამბობში, მანამდე კი იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები ზემოაღწერილ დღემდე და მას შემდეგ, ანუ ბოლო ათი, თორმეტი წლის განმავლობაში.**

## პატიმარი მარადიული ყინულეთიდან

მართლა უცნაური ხალხი ვართ ქართველები. დავრწმუნდით თუ არა, რომ საბჭოთა კავშირი უეჭველად დაიშლებოდა, იმ დღესვე ავტეხეთ განგაში, — გინდათ თუ არა, ჩვენი პატიმრები დაგვიბრუნეთ, სამხრეთელებს ჩრდილოური ჰავა სწყენთო. დიახ, ასე იყო, პატიმრების დაბრუნება მოვინდომეთ. პატიმრები კი დავიბრუნეთ (რა თავში იხლიდა რუსეთი ქართველ დამნაშავეებს), სამაგიეროდ იმდენი კარგი ადამიანი წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ... თუმცა ჩვენ ამჯერადაც პატიმრები, უფრო სწორად, ერთი მათგანი, გიგა სისაური გვაინტერესებს, რომელიც მის ასობით თანამოძმესთან ერთად ქართველ არაფორმალთა (ხომ გახსოვთ, ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გაერთიანებები) ძალისხმევით კოლიმიდან მზიურ სამშობლოში ჩამოიყვანეს, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ ამდენი პატიმრის შენახვა არ შეგვძლებია და იქვე მოიძებნა გამოსავალიც, გამოეშვათ სახელდახელო ამნისტია. გუშინდელ ბოროტმოქმედებს ავტომატები მისცეს ხელში და აფხაზეთის დასაცავად გაგზავნეს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ბევრმა მათგანმა სიცოცხლეც შესწირა მამულის ერთიანობისათვის ბრძოლას, მაგრამ ისეთებიც მრავლად იყვნენ, იქაც ძარცვა-ყაჩაღობა რომ გააგრძელეს, მათ გამო კი მრავალი პატრიოტი ახალგაზრდა გაილანძღა. პირველთა შორის გახლდათ ჩვენი გმირიც.

— ციხიდან იმიტომ კი არ გამოვედი, აქ რომ ვინმეს მოვაკვლევინო თავი. ენგურის ხიდზე გადახვალ თუ არა, წასულია შენი საქმე. ვისაც სიცოცხლე არ მოგძულებიათ, მე გამომყევით. დანარჩენ საქართველოშიც ბევრია საძარცვავი და საყაჩაღო. რაღა მაინცდამაინც ტყვიების ზუზუნში უნდა ვაკეთო ის, რაც უფრო მშვიდად შეიძლება მოითავოს კაცმა. საქართველო ჯერ ისე არ წამხდარა, რამდენიმე კაცი ვერ შეგვინახოს. მით უმეტეს, ხელისუფლებამ ისე დაგვირიგა ავტომატები, რეგისტრაციის ჟურნალშიც არ გაუტარებიათ. მთელი სიცოცხლე იმის მეშინოდა, იარაღის ტარებისთვის არ გამომიჭირონ-მეთქი... და ახლა რაღა გვინდა, ჰა ბურთი და ჰა მოედანი...

სამნი გამოყვნენ. ტრანსპორტის შოვნა არ გასჭირვებიათ. ერთ იქაურ კაცს მიუხდნენ და „ვოლგა“ წაართვეს. სამტრედიას რომ გამოსცდნენ, გიგამ დანარჩენებს გადახედა.

— აბა, საიდან დავიწყოთ, ვის სად გეგულებათ მსუყე ლუკმა? ხომ იცით, დრო ფულია.

— რა გითხრათ, გიგა. უცებ საქმის შოვნა გაჭირდება. მივიდეთ ადგილამდე, იქ ჩვენიანებს გამოველაპარაკებით და საქმეც გაჩნდება. ისე, ის მსუყე ლუკმები ჩვენს არყოფნაში სხვებმა შეახრამუნეს, გასაძარცვი თითქმის აღარავინ დარჩა. თუმცა ჩვენს სამყოფს ალბათ მაინც ვიშოვით, — დააიმედა ერთმა დაბალმა და სქელკისერამ, რატომღაც მეტსახელად „ბოგანოს“ რომ ეძახდნენ ძველი მეგობრები.

— თქვენც ასე ფიქრობთ? — უკან მსხდომებს ჰკითხა გიგამ.

— ჩვენც ასე გვგონია. ხომ ნახე, ამხელა გზაზე ერთი მანქანაც არ შეგვხვედრია აფხაზეთიდან მომავალი, ნაყაჩაღარით დატვირთულ „კამაზებს“ თუ არ ჩავთვლით.

— მერე რას უწუნებთ იმ „კამაზებს“? ერთი-ორს თუ ჰყავს გამცილებლები, მაქსიმუმ სამი კაცი თუ ზის.

— კი, მაგრამ... — ხმა აუკანკალდა უკან მჯდომ წვრილთავას, — ისინი ხომ...

— რა, ისინი? მაინცდამაინც უირაღო და ინვალიდი უნდა იყოს, რომ შევბედოთ? მე ქვეშაფსიებთან ძმაკაცობას არ ვაპირებ. თუ საქმე გინდათ, აგერ მოგვყვება უკან, თან ერთი კი არა, რამდენიმე. ჩვენ ახლა ეს მანქანა გზიდან გადავაყენოთ და საკბილო შევარჩიოთ. ვისაც გეშინიათ, ფეხით გაუყევით გზას... ჯანდაბამდე! — გიგამ ერთი უშვერად შეიკურთხა და ხელით ანიშნა საჭესთან მჯდომ სქელკისერას — აქ შეუხვიეო. ამ უკანასკნელმა პირველმა მოიწონა გიგას გადაწყვეტილება, თუმცა აშკარად ეტყობოდა, დიდად არაფრად ეპიტნავებოდა. მაგრამ, რადგან ამ ოთხეულში გიგა თავკაცობდა, სწორებაც მასზე უნდა აეღო. ასეთია დამნაშავეთა სამყაროს დაუწერელი კანონი. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ჩაგარტყამენ“ და თან ისე, რომ ახლოს აღარავინ გაგიკარებს.

— ეგრე იყოს. მეც თქვენთანა ვარ, — ხელი გიგასაკენ გამოიწოდა წვრილთავას გვერდით მჯდომმა ჭროღათვალება გენომ.

— ტიტო მოგიკვდეთ, თუ უკან დავიხიო, — კისერი წაიგრძელა წვრილთავამ და ავტომატი შეათამაშა.

ექვსი თუ შვიდი სატვირთო მანქანა გაატარეს. მათგან მხოლოდ ორს აცილებდა გვარდიისფორმიანი ხალხი, როგორც წესი, მსუბუქი მანქანებით.



**კედელზე მიმაგრებულმა ხმალ-ხანჯლებმა მოსტაცა უცებ თვალი ბანდიტს. მზაკვრულმა აზრმა გაუელვა და ორი ხანჯალი ჩამოხსნა. ბუდეები გვერდზე მოისროლა და იატაკზე გაკრულ ბიჭს, რომელსაც ზემოდან დასწოლოდა ერთიანად გახვითქული გენო, ჯერ ერთი ხელის მტევანი მიულურსმა იატაკზე, შემდეგ — მეორე...**

სატვირთოები ერთმანეთისგან ნახევარი საათის სავალზე იყვნენ დაშორებულნი. გიგამ ის მეშვიდე „კამაზი“ ამოიღო მიზანში. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სხვაზე მეტად იყო გადავსებული, მეორე და მთავარი, გამცილებელი არ ახლდა. კაბინაში სამნი ისხდნენ, მძღოლის ჩათვლით. მას შემდეგ, რაც იმ მანქანამ გამოიარა, კიდევ ორმოც წუთს ელოდნენ, მაგრამ მომდევნო მანქანა არ გამოჩენილა. ეს კარგად ენიშნა ოთხეულს და თავაწყვეტილი დაედევნენ საკბილოს.

— შროშის შემდეგ ხევხუვებში უნდა გამოვიჭიროთ. არაა საჭირო, ვინმემ ნახოს, როგორ ხოცავენ სამხედროფორმიანები ერთმანეთს, — გადაულაპარაკა გიგამ სქელკისერას.

„კამაზს“ ისეთ ადგილზე წამოეწივნენ, უკეთესს ვერ ინატრებდნენ. ცალ მხარეს ვეებერთელა კლდე, მეორე მხარეს კი ძეძვნარით დაფარული ისეთი ღრმა ხევი მიუყვებოდა გზას, რომც გადაეგდოთ, ძნელად თუ შენიშნავდა ვინმე. „ვოლგამ“ ორი-სამი კილომეტრით გაასწრო საკბილოს, მერე როგორც მოლაპარაკებულები იყვნენ, შუა გზაზე გააჩერეს მანქანა და ძრავას სახურავი ახადეს. ცოტაც და სატვირთოც მოახლოვდა. საღამოვდებოდა, მაგრამ გარკვევით ჩანდა ყველაფერი. „კამაზი“ გაჩერდა. მისმა მგზავრებმა ჯერ ავტომატებს დაავლეს ხელი, მერე კი, როცა დარწმუნდნენ „ჩვენები“ ბუქსირზე ჩაბმას გვთხოვენო, უიარაღოდ ჩამოქვეითდნენ და ერთ-ერთმა, ცოტა არ იყოს, ხმამაღლა იკითხა, — რაო, ვერ გაქაჩა შეწერილმა „ვოლგამ“?

— ეტყობა, რაღაც ვერ გავუგეთ. იქნებ დაგვეხმაროთ, თუ არა და ბუქსირზე უნდა ჩაგვიბათ.

— ვნახოთ, ვნახოთ... — და სამივემ „ვოლგის“ ძრავას დაუწყო კირკიტი. ცოტაც და ერთდროულად გაიტკაცუნა სამმა ავტომატმა, მხოლოდ გიგას არ უსვრია. მან პირველი გამოცდა მოუწყო თანამოსაქმეებს და თუ ამ შედეგით იმსჯელებდა, სასაყვედურო აღარაფერი ჰქონდა. იმავე წამს სამივე ყაჩაღმა თითო მოკლული „თანამებრძოლი“ დაიიღლიავა და ხევში უპირებდნენ გადაყრას.

— სტოპ! სტოპ! მაგათ მხოლოდ მანქანის ძარაზე კი არა, ჯიბეებშიც ექნებათ ნაძარცვი.

— აბა, აბა, რამ გამოგვაშტერა! ერთი ვნახოთ... — აქოშინებული ტიტო თავისი მსხვერპლის ჯიბეებს ეცა და აჩქარებით ამოუბრუნა.

— ბიჭოს, აქ რუსული ფულიც ბევრია და დოლარებიც, უყურე შენ! — გახალისდა წვრილთავა და უფრო მონდომებით აафათურა ხელები. დანარჩენ ორსაც ბლომად აღმოუჩინეს ფულიც და ოქროულობაც. აშკარად ჩანდა, ეს ერთი დღის ნაყაჩაღარი არ უნდა ყოფილიყო. როგორც იქნა, გვამები ხევში „გააქრეს“ და ის იყო, ბოგანომ „ვოლგა“ დაქოქა ხრამში გადასაგდებად, რომ გიგამ შეაჩერა.

— რაო, ამ ჯაგლაგით აპირებ გზის გაგრძელებას?

— აბა, აქ დავტოვოთ? მაშ, რისთვის დავხოცეთ ეს ხალხი?

— რაც ტვირთის რეალიზაციიდან უნდა მიგვეღო, იმაზე მეტი უკვე ავინაზღაურეთ დახოცილების ჯიბეებიდან. გახსოვდეთ, სიხარბე დამღუპველია, ახლა კი აქაურობას სწრაფად გავეცალოთ. ამ „კამაზს“ ჩვენზე უფრო გაჭირვებული დაეპატრონება ალბათ. სხვამაც ხომ უნდა იხეიროს, — „კარგი“ ნადავლით გახარებული გიგა ხუმრობის ხასიათზე დადგა!..

ოთხეულმა კვლავ „ვოლგაში“ შერგო თავი.

მთელი თვე უსაქმურად იყო გიგა სისაურის ბანდა. ხან ერთ რესტორანში ქეიფობდნენ და ხან — მეორეში. მერე, როცა რუსული რუბლები შემოელიათ და მწვანე დოლარებზე გადავიდნენ, გიგა გონს მოეგო — თუ ასე გააგრძელებდნენ, მალე ოქროულის გაყიდვაც მოუწევდათ. ეს კი არ უნდოდა, ოქრო მაინც ოქროა, რაც მეტი დრო გავიდოდა, მით უფრო გაიზრდებოდა მისი ფასი. ეგეც არ იყოს, იმხანად მშვენიერი ნაირა გაიჩინა საყვარლად, რაღაც-რაღაცები მისთვისაც ხომ უნდა ეჩუქებინა.

— კმარა, ქეიფი, საქმეს უნდა მივხედოთ, თორემ მალე უკაპიკოდ დავრჩებით. ერთ ჩანჩურა ტიპს დავადგი თვალი (გიგას არ გაუმხელია, რომ იდეა ნაირას ეკუთვნოდა), თვითონ არაფერს წარმოადგენს, მაგრამ ფულიანი ძმა ჰყავს. ბენზინით ვაჭრობს და კარგადაც შოულობს. იმ ჩანჩურას თუ მოვიტაცებთ, ძმა ფულს გადაიხდის, მაგრამ ამისთვის სახლი გვჭირდება სადმე, ქალაქგარეთ და რაც მთავარია, სანდო კაცი, სახლის პატრონი.

— სახლი აგერ, ტიტოს აქვს საგარეჯოში და პატრონიც თვითონაა, შიგ არავინ ცხოვრობს. სანდო კაციც თვითონ იქნება. კეთილი ინებოს და უდარაჯოს იმ კაცს.

— კი, ბატონო, თანახმა ვარ, ოღონდ იმ პირობით, რომ სასმელ-საჭმელს შენ გამომიგზავნი... შენი ძმისშვილის ხელით. ასე ვერავინ ვერაფერს იეჭვებს.

— მოსულა... — მოკლედ მოუჭრა სქელკისერამ და ფეხზე წამოდგა.

— ამ დღეებში ჩანჩურას უნდა ვუთვალთვალოთ, მერე კი ერთბაშად დავაცხრეთ თავს, — გადაწყვიტა გიგამ.

უკვე მესამე დღეს ყველაფერი იცოდნენ თავიანთი მსხვერპლის შესახებ. იგი ერთი და იმავე მარშრუტით მოძრაობდა სახლიდან ძმის ოფისამდე, სადაც ალბათ თვითონაც მუშაობდა. საღამოს იმავე გზით ბრუნდებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ერთი და იგივე მგზავრი მიჰყავდა ხოლმე მეტროსთან. გიგა და მისი ხალხიც იქ ჩასაფრდნენ.

ის იყო, „ჩანჩურას“ თანამგზავრი მეტროში ჩამავალ ხალხს შეერია, რომ იმავე წამს ოთხმა გვარდიისფორმიანმა მანქანის პატრონს პოლიციაში გაყოლა სთხოვა... მოგონილი საბაბით — ეს მანქანა ამ დღეებში გატაცებულს ჰგავსო და მძღოლი ისე, რომ სიტყვაც არ ათქმევინეს, უკან გადასვეს. ორი კაცი აქეთ-იქიდან მიუჯდა და „დაამშვიდეს“ — ნუ ნერვიულობთ, ყველაფერს პოლიციაში გავარკვევთო, მაგრამ როცა ავლაბარსაც გასცდნენ, გატაცებული დარწმუნდა, ის ამ წუთიდან ამ ხალხის მძევალი იყო.

მთელი კვირა მშიერ-მწყურვალი ამყოფა წვრილთავა ტიტომ მძევალი. მართალია, დაპირებისამებრ ყოველ მეორე დღეს მოდიოდა ბოგანოს ძმისშვილი და ორი კაცის სამყოფი სასმელ-საჭმელიც მოჰქონდა, მაგრამ პურის ყუა რა არის, ისიც არ გაიმეტა ტიტომ რკინის საწოლზე ბორკილით მიბმული მძევლისთვის. აქ კი, თბილისში, ხან რომელიღაც სკოლის ტელეფონის კაბელზე ერთვებოდნენ, ხანაც სხვა რომელიმე დაწესებულებისა და ისე ურეკავდნენ მძევლის ფულიან ძმას გიგა და მისი ძმაკაცები.

ბევრი ვაჭრობის შემდეგ გამოსასყიდ თანხაზე შეთანხმდნენ. ბანდიტებისთვის ფულის გადაცემის მექანიზმი ასეთი უნდა ყოფილიყო: კაცს, რომელიც ფულს წაიღებდა, ჯერ მშრალი ხიდის ქვეშ დაგდებული წერილი უნდა აეღო, შემდეგ კი ამ წერილის მიხედვით ეხელმძღვანელა. სხვა დროს პირქუში გიგა სიხარულს ველარ მალავდა. კმაყოფილი იყო, რომ ყველაფერი უშეცდომოდ გათვალა. კიდევ რამდენიმე საათი და დიდძალ ფულსაც მოიგდებდა ხელთ, მაგრამ ვიდრე ამაზე ფიქრობდა, კარს ბოგანოს ძმისშვილი მიასკდა.

— ძია გიგა, დავიღუპეთ, ტიტო თავის მძევლიანად მილიციამ აიყვანა. ძლივს გადავრჩი. ათი წუთით ადრე რომ მიმეტანა სადილი, ახლა მეც იმათთან ერთად ვიქნებოდი.. — შეშფოთებულმა გიგამ თავისიანებს ანიშნა და იმათაც ავტომატებს წამოავლეს ხელი.

— რაკი გაიგეს, რომ მძევალს ტიტო ინახავდა, შენზეც ეცოდინებათ ყველაფერი. იმიტომ არ აგიყვანეს, რომ ჩვენთვის მოეგნოთ... თუ უკვე ალყაში არა ვართ... რამდენიმე წუთის შემდეგ ისე ჩაგვკეტავენ, აქედან ვირთხაც ვერ გააღწევს. წავედით, ოღონდ ფრთხილად.

პოლიციელების დიდმა ჯგუფმა მხოლოდ მას შემდეგ შემოარტყა ალყა სახლს, როცა გიგამ და მისმა მეგობრებმა იქაურობა დატოვეს.

— ჩვენი საქართველოში გაჩერება აღარ იქნება, მაგრამ არც იმდენი ფული გვაქვს, აქედან რომ გავაღწიოთ. ერთი მაგარი საქმე გვჭირდება და იმ დღესვე უნდა მოვხიოთ... გენო, მგონი, შენ გვთავაზობდი რაღაცას...

— არის ერთი შეძლებული ოჯახი. ამ ორიოდე წლის წინ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დაიღუპა. დარჩნენ კაცის მოხუცი მშობლები და მათი ერთადერთი შვილიშვილი მალხაზი, გარდაცვლილების შვილი. ჩემი მეზობელია და ვიცი, რაიონში ჯერჯერობით ეს ერთი ოჯახიღაა ხელუხლებელი. არავინ გაჰკარებია. დღემდე დიდ პატივს სცემენ მოხუცების გარდაცვლილ შვილს.

— უნდა დავადგინოთ, ვინ ათევს ღამეს იმ სახლში, ვის რომელ ოთახში სძინავს — გასცა ბრძანება გიგამ.

— მოხუცების საძინებელი ოთახი ვიცი. შვილიშვილი კი გუშინ წავიდა ქალაქში ნათესავებთან.

— დღესვე დავეცეთ. არ გვინდა ზედმეტი მოწმე... — დაასკვნა გიგამ და სამზადისს შეუდგნენ.

— იარაღი არ გვინდა. მოხუცებს შიშველი ხელითაც მოვერევით.

## „ბართლომეს ღამე“

ნაშუაღამევი იყო, გატაცებული მანქანა მოშორებით დატოვეს და ფეხაკრეფით გაუყვნენ ორღობეს. მოხუცების ეზოში ისე შევიდნენ, ჩქამიც არავის გაუგია. მერე გენო გაძვრა-გამოძვრა და როგორღაც გააღო სამზარეულოს კარი. სამზარეულოდან მარცხნივ მთვარით განათებულ ოთახში მოხუცებს ეძინათ. გენომ და ბოგანომ მძინარეებს საბნები წააფარეს და ფული და ოქრო მოსთხოვეს. მოხუცებს ჯერ სიზმარში ეგონათ თავი, მერე ნელ-ნელა გონი მოიკრიბეს და შიშისაგან ერთიანად აცახცახებულებმა დაყვირება სცადეს, მაგრამ ორივეს ისე ღონივრად ჩასცხეს თავში, საბრალოებმა გონი დაკარგეს. რაკი გენო და ბოგანო მოხუცებს დასტრიალებდნენ თავს, გიგა სისაური კარადების ჩხრეკას შეუდგა. ოთახს მეორე კარიც ჰქონდა. გიგას არ შეუნიშნავს, როგორ შემოაბიჯა თხუთმეტიოდე წლის ბიჭმა, რომელმაც თვალის დახამხამებაში ზეაღმართა შეშის დიდრონი ნაპობი და მთელი ძალით დაუშვა გიგას თავზე. ბანდიტი მოცელილივით დაენარცხა იატაკს, მაგრამ ვიდრე ბიჭი გენოსა და ბოგანოსაკენ გადაინაცვლებდა, მარჯვენა ფეხით წაქცეულს წამოედო და წაიფორხილა. იმავე წამს ბოგანო ზემოდან მოექცა, მერე გენოც წამოეშველა და იატაკს გააკრეს ბიჭი.

— უნდა შევკრათ ეს შობელძაღლი, მაგრამ სად ვიპოვო ახლა თოკი! — წაისისინა აქოშინებულმა ბოგანომ და ელექტროფარანი ოთახში მიმოატარა. კედელზე მიმაგრებულმა ხმალ-ხანჯლებმა მოსტაცა უცებ თვალი ბანდიტს. მზაკვრულმა აზრმა გაუელვა და ორი ხანჯალი ჩამოხსნა. ბუდეები გვერდზე მოისროლა და იატაკზე გაკრულ ბიჭს, რომელსაც ზემოდან დასწოლოდა ერთიანად გახვითქული გენო, ჯერ ერთი ხელის მტევანი მიულურსმა იატაკზე, შემდეგ — მეორე. ბიჭმა გონი დაკარგა...

— გიგას მივხედოთ, მგონი მოკლა ამ შობელძაღლმა, გიგა მკვდარი არ იყო, მხოლოდ ძლიერ დარტყმას გაებრუებინა; ნელ-ნელა მოიკრიბა აზრი, კბილები გააღრჭიალა და სიმწრისაგან სახედაღრეჯილმა გენოს ჰკითხა — ეს ვიღაა?

— შვილიშვილია, როგორც ჩანს, ადრე დაბრუნებულა, — უპასუხა დარცხვენილმა. გენომ ზეწარს ნაპირი ჩამოახია და გიგას თავის შეხვევას შეუდგა. გიგამ გონწასულ მოხუცებს რომ დახედა, შეცბუნებულმა იკითხა, — ამათ რაღა მოუვიდათ?

— ცოტა მეტი მოგვივიდა... — თავი იმართლა ბოგანომ.

— ასე თავს გავყიდით, მიდი სადმე წყალი იქნება, მოიტანე...

მთელი ვედრო წყალი გადაასხეს უბედურ მოხუცებს და მათაც, როგორც იქნა, თვალი გაახილეს.

— აბა, ბებო და პაპავ, ნახეთ, თქვენი შვილიშვილი რა დღეშია. თუ ფულსა და ძვირფასეულობას არ გამოგვიჩენთ, თქვენ თვალწინ გამოვჭრით ყელს... — და გიგამ ფარანი მიანათა მათ შვილიშვილს. ბებიამ ხელმეორედ დაკარგა გონი. ბაბუამ კი მწარედ ამოიგმინა:

— ბავშვს რას ერჩით, მაგის მეტი აღარავინ დაგვრჩა. არაფერი გვაქვს, ყველაფერი მაგისი დედ-მამის საფლავს მოვახმარეთ. გევედრებით, ბიჭი ახსენით... — და გამწარებულმა მოხუცმა ისე გაიბრძოლა, რომ მისდა უნებურად გენოს ნიღაბი ჩამოჰგლიჯა და სასოწარკვეთილმა იღრიალა, — გენო ხარ, ბიჭო! არაკაცი ყოფილხარ!.. არამი იყოს შენზე ჩვენი ოჯახის ამაგი. წყეულიმც იყავ, გველის წიწილავ... — იმავე წამს გენოს ხელში ფინურმა დანამ იელვა და მოხუცს ყელში გამოუსვა. აქოშინებული გენო ახლა ქალს დააცხრა და ერთბაშად მოგუდა. გიგამ ფარნის შუქი ბიჭისაკენ მიმართა და ჩაილაპარაკა:

— ბიჭს ხელი არ ახლოთ... ახლა კი სახლი გულდასმით გავჩხრიკოთ, რაღაცას მაინც ვიპოვით...

გიგამ და მისმა მეგობრებმა იმ დღესვე დატოვეს საქართველო და ათი წლის განმავლობაში აქეთ აღარ გამოუხედავთ, მაგრამ ბოლოს მოსწყინდათ ხეტიალი და სამშობლოში დაბრუნდნენ.

**(გაგრძელება იხ. გვ. 27)**

# ბადრი პატარკაციშვილს მაუდის თანამშრომლები აუჯანყდნენ...

## „თუ ჩუქებაზეა საქმე, ბარემ ხალხს აჩუქოს“



უახლოეს დღეებში მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო მაუდ-კამვოლის კომბინატის თანამშრომლების საჩივარს განიხილავს. უკვე რამდენიმე თვეა, რაც ბადრი პატარკაციშვილზე განაწყენებული კომბინატის თანამშრომლები პროტესტის სხვადასხვა ფორმას მიმართავენ და ინვესტორისთვის აქციების ჩამორთმევასა და საკომპენსაციო თანხის გადახდას ითხოვენ. „კვირის პალიტრას“ დაუკავშირდნენ მოსარჩელეები, რომლებსაც განსაზღვრული პრეტენზიები აქვთ ბიზნესმენის მიმართ (მიუხედავად იმისა, რომ ბადრი პატარკაციშვილის სახელი ხშირად ქველმოქმედებას უკავშირდება, რასაც გასულ კვირას ურეკში თანამედროვე სტანდარტების სკოლის გახსნაც ადასტურებს).

ჯერ კიდევ 90-იანი წლების დამდეგს, მაუდ-კამვოლის კომბინატის თანამშრომლები საწარმოს საკონტროლო პაკეტის 51%-ს ფლობდნენ. 1998 წელს ტენდერი ჩატარდა და კომბინატის მფლობელი ბადრი პატარკაციშვილი გახდა. მისი ბიზნეს-გეგმის თანახმად, საწარმო სრული დატვირთვით უნდა ამუშავებულიყო, თუმცა თანამშრომელთა 80% უვადოდ გაუშვეს უხელფასო შვებულებაში. დღეს კომბინატის ტერიტორიაზე ავტოსადგომი, შაქრის საბითუმო ბაზარი და სტამბაა განთავსებული. „კვირის პალიტრა“ მომჩივანი მხარის ადვოკატს, **რეზო რიჟამაძეს** ესაუბრა:

— **ბატონო რეზო, უახლოეს დღეებში სასამართლო მაუდ-კამვოლის კომბინატის თანამშრომლების საჩივარს განიხილავს. რას ედავებიან პატარკაციშვილს?**

— ეს არის შრომით-სამართლებრივი დავა. თანამშრომლები, შესაბამისად, რვა, შვიდი, ხუთი, ოთხი წლით არიან ე.წ. უხელფასო შვებულებაში, რაც შრომის კანონმდებლობის მიხედვით აკრძალულია. ამდენი ხნით უხელფასო შვებულებაში გაშვება ადმინისტრაციული ბრალით მუშაკის იძულებით მოცდენად ითვლება. იძულებითი მოცდენისთვის კი განსაზღვრულია საშუალო ხელფასის ერთი წლის განმავლობაში ანაზღაურება. ამ შემთხვევაში, ხუთასი აქციონერია მოსარჩელე. კანონით, ადმინისტრაციამ მათ შესაბამისი ანაზღაურება უნდა მისცეს. ჩვენი გაანგარიშებით, თითოეულ მათგანს პირველ ეტაპზე ეკუთვნის 1.440 ლარი.

— **ჩვენ გავესაუბრეთ მოსარჩელეებს, რომლებსაც პრეტენზია უფრო აქციებზე აქვთ. როგორც გავარკვიეთ, პატარკაციშვილი აქციების 94,98%-ის მფლობელია. იგი არის კერძო მესაკუთრე. რამდენად რეალურია მოსარჩელე მხარის მხრიდან აქციების მოთხოვნა?**

— მოსარჩელეებს სააქციო საზოგადოება „მაუდის“ აქციების 5,02% ეკუთვნით; ანუ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით, უმცირესობაში მყოფ აქციონერებს განსაზღვრული აქვთ სათანადო იურიდიული სტატუსი. აქედან გამომდინარე, მათ სრული უფლება აქვთ, მოითხოვონ ბუღალტრული და სხვა დოკუმენტაციის შემოწმება, ასევე აქვთ სხვადასხვა საკითხის წამოჭრისა და სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლებაც. არსებობს ასეთი იურიდიული ნორმა: თუ დომინანტი აქციონერი თავისი განზრახბრალეული მოქმედებით დააზარალებს საწარმოს, მის კომერციულ საქმიანობას, იგი ვალდებულია უმცირესობაში მყოფ აქციონერებს გადაუხადოს ფულადი კომპენსაცია.

— **რით ამტკიცებთ, რომ პატარკაციშვილმა განზრახ დააზარალა მაუდ-კამვოლის კომბინატი?**

— პატარკაციშვილმა საწარმოს აქციები შეიძინა 1998 წელს რუსული „ლოგოვაზისაგან“. სააქციო საზოგადოება „ლოგოვაზის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე კი პატარკაციშვილი გახლდათ; ანუ მაუდ-კამვოლის კომბინატი თავდაპირველად ორგანიზაციამ შეისყიდა, შემდეგ კი თავისი საკუთრება გადაანაცვლა პატარკაციშვილზე, როგორც ერთ ფიზიკურ პირზე. მანამდე კომბინატის გენერალური დირექტორი იყო ომარ თეთრაშვილი, პატარკაციშვილის პროტეჟე. მოგვიანებით, პატარკაციშვილმა აღიარა, რომ თეთრაშვილს მისცა თანხა სესხად კომბინატისთვის. გამოდის, სანამ იგი აქციათა პაკეტის მფლობელი გახდებოდა, მანამდე დაიწყო ფინანსური დივერსია. მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა თეთრაშვილმა პატარკაციშვილისგან ფული, დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი ისესხა, ანუ აიღო კრედიტი. შემდეგ ასპარეზზე გამოვიდა „ლოგოვაზი“, მერე პატარკაციშვილი. ის ნახევარმილიონიანი კრედიტი პროცენტიანი იყო, რომელიც თანდათან გაიზარდა მილიონ-ნახევრამდე. სავარაუდოდ, პატარკაციშვილმა ეს საგანგებოდ გააკეთა — ვალი ხელოვნურად გაზარდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კრძალავს ასეთი ტიპის ვალდებულებას, — როდესაც კრედიტორი მოვალედ იქცევა, ხელშეკრულება ბათილდება. არ შეიძლება ერთდროულად კრედიტორიც და მოვალეც ერთი და იგივე პირი იყოს. ყველაფერი ეს კონტროლის პალატამ გამოააშკარავა. მოგვიანებით, ვალი პატარკაციშვილმა გაისტუმრა (თავის თავს გადაუხადა(?!) დაზგა-დანადგარებისა და სხვა მოძრავი ქონების რეალიზაციით. გარდა ამისა, კომბინატში გამოვლინდა დაუსაბუთებელი მივლინებები, გერმანიიდან დაზგა-დანადგარების შესყიდვის საბაბით. არის სხვა შემთხვევებიც. მაგალითად, საწარმომ აზერბაიჯანში გააგზავნა ძაფი, რომლის რეალიზაცია ვერ მოხერხდა და კომბინატმა იზარალა. ამჟამად მაუდ-კამვოლი პრაქტიკულად აღარ მუშაობს. არადა, თავის დროზე თვით პრეზიდენტის ინიციატივა იყო, რომ წარმოება, როგორც სტრატეგიული მეურნეობის დარგი, აღორძინებულიყო. ამიტომაც დაეხმარა იგი ყოველმხრივ ინვესტორს და კომბინატი გაიყიდა.

— **რით გამოიხატა დახმარება?**

— თუნდაც იმით, რომ თავდაპირველად საინვესტიციო თანხა განისაზღვრა 13 მილიონით, რომელიც ჯერ 11-მდე, მერე კი 10 მილიონამდე შეამცირეს. დასასრულ კი სრულიად გაუგებარ ვითარებაში თანხა 6 მილიონ დოლარამდე ჩამოვიდა.

— **საერთოდ, რა თანხად გაიყიდა საწარმო?**

— 10 ათას დოლარად. ჩემს ხელთ არსებული მასალებით სრულიად გაუგებარია, რატომ გაიყიდა ამხელა კომბინატი ასე იაფად.

— **რეალური ღირებულება რამდენი იყო?**

— დაახლოებით 2 მილიონ-ნახევარი ლარი.

— **ვინ შეაფასა კომბინატი 10.000 დოლარად?**

— სატენდერო პირობების შესახებ ქონების მართვის მინისტრის ბრძანებაში 10 ათასი დოლარი ფიგურირებს, მაგრამ არა იმ სტატუსით, რომლითაც პატარკაციშვილმა თანხა გადაიხადა. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ტენდერში მონაწილე პირი წინასწარ ბეს სახით იხდის 10 ათას დოლარს. თუ მონაწილე პირი წააგებდა ტენდერს, მას უკან დაუბრუნდებოდა თანხა, ხოლო თუ გაიმარჯვებდა, მაშინ დაახლოებით 2 მილიონ-ნახევარი ლარი უნდა გადაეხადა, რაც არ მომხდარა. გარდა ამისა, საწარმოში 6-მილიონიანი ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა.

— **ბადრი პატარკაციშვილის გარდა, ვინ მონაწილეობდა ტენდერში?**

— არავინ... ეს იყო ყალბად ჩატარებული ტენდერი.

— **ინვესტიცია თუ განხორციელდა?**

— 2001 წლის მონაცემებით, პატარკაციშვილს საწარმოში ჩადებული აქვს 4 მილიონამდე.

*(გაგრძელება იხ. გვ. 12)*







ეძღვნება ნამდვილ მამაკაცებს!




უკვე არა ერთი ათწლეულია მსოფლიოს უროლოგები ეფექტურად გამოიყენებენ მცენარეულ პრეპარატს „პროსტა სტრონგ"-ს. სწორედ ამ პრეპარატს გთავაზობთ კომპანია „ნუტრიმენტ ჰაუსი"– უკვე თბილისში.

„პროსტა სტრონგ"–ის ფორმულა ხელს უწყობს:



- პროსტატის ჯანმრთელობას,
- შარდის ნორმალურ გამოყოფას,
- იცავს პროსტატის ჯირკვალს თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისაგან, რომლებიც თავის მხრივ ზრდიან პროსტატის სიმსივნის რისკს.

ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იკითხოთ გაზეთ "ჯორჯიან ტაიმს"-ში – "ნუტრიმენტ ჰაუსი"-ს გვერდზე.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე
კვირის გარდა 10.00 - 18.00
www.shopge.com

# ბადრი პატარკაციშვილს მაუდის თანამშრომლები აუჯანყდნენ...

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

**— ეს არც ისე ცოტაა. ხომ არ მოხდა ისე, რომ 4 მილიონი არამიზნობრივად გაიხარჯა და პატარკაციშვილს აქეთ აქვს სადავო?**

— არა. გულახდილად გითხრათ, იმაშიც მეპარება ეჭვი, რომ ეს თანხა სრულად ჩადო. ჩვენ ვაპირებთ კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარებას და ალბათ ყველაფერი გაირკვევა. ტენდერი 7-8 პირობას ითვალისწინებდა. ერთ-ერთით უნდა აღორძინებულიყო სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურა. კომბინატი უზარმაზარი იმპერია იყო თავისი სასტუმროებით, საერთო საცხოვრებლებით, საზკვების ობიექტებით და ა.შ. ასევე 1000 კაცამდე უნდა გაზრდილიყო მუშახელის რაოდენობა. ნაცვლად ამისა, პატარკაციშვილმა, ფაქტობრივად, დაითხოვა მთელი კოლექტივი, ანუ სატენდერო პირობები არ შეასრულა. მეტიც, შეიცვალა საწარმოს პროფილიც. თუ ადრე იქ ძაფი უნდა გამოეშვათ, დღეს შაქარს უშვებენ. შემდეგი ეტაპი ალბათ მაუდკამვოლის სრული ლიკვიდაცია იქნება.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ თეთრაშვილი პატარკაციშვილის კაცი იყო; რომ ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რათა პატარკაციშვილს ხელში ჩაეგდო მაუდკამვოლის საწარმო. განსაზღვრული ინვესტიციაც განახორციელა. თუ პატარკაციშვილს არ სურდა საწარმოს აღორძინება, მაშინ რატომ გააკეთებდა ამას?**

— ვერ გეტყვით. ალბათ კომბინატის ლიკვიდაციის შემდეგ სასტუმროს ან რესტორანს ააშენებს, შესაძლოა, თავის რეზიდენციასაც...

**— რამდენად რეალურია, რომ სასამართლომ მომჩივანი მხარის სარჩელი დააკმაყოფილოს და ბათილად ცნოს სატენდერო ხელშეკრულება?**

— წარმოების გასხვისება „ლოგოვაზზე" ადმინისტრაციული გარიგების სახეს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მესამე პირს, რომელიც აქციათა უმცირესობის მფლობელია (იგულისხმება მოსარჩელეები), სატენდერო ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს. სწორედ ამ უფლებით ისარგებლეს კომბინატის თანამშრომლებმა და აღძრეს სარჩელი, რათა საწარმოს ქონება დაუბრუნდეს სახელმწიფოს. ეს მათ აქციების შესყიდვის საშუალებას მისცემს. ეს მოთხოვნა კანონიერია და თუ მოსამართლე განაცხადებს, რომ შავი თეთრიაო, მაშინ ალბათ ბრძოლას გავაგრძელებთ. თუმცა არა მგონია, ეს მოხდეს, რადგან თვით პატარკაციშვილს უთქვამს — ვისაც სურს, იმას ვაჩუქებ მაუდ-კამვოლსო. თუ ჩუქებაზეა საქმე, ბარემ ხალხს აჩუქოს...

„კვირის პალიტრამ" სცადა დაკავშირება ბადრი პატარკაციშვილის პრესცენტრის ხელმძღვანელთან, ბატონ გუგა კვიტაშვილთან. როგორც გვითხრეს, იგი ამჯერად თბილისში არ იმყოფება და ამიტომ მის პოზიციას უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ.

*მარინა მამისაშვილი*

# რას ნიშნავს მეტეოროლოგიური კურიოზი

## „ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ცივი ამინდები დაგვიდგება"



ამერიკელი სწავლულების მტკიცებით, ოზონის ხვრელის ფართობი უკვე სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ტოლია. მეცნიერები სწორედ ოზონის ხვრელის გაფართოებას მიიჩნევენ იმის უმთავრეს მიზეზად, რომ დღეს ბუნებაში გაუგონარი ცვლილებები ხდება. ხვრელი ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის თავზეა, მაგრამ ის ისევე ახდენს გავლენას საქართველოს ჰავაზე, როგორც მთელი პლანეტის კლიმატზე. სამწუხაროდ, კაცობრიობა, მათ შორის, ისეთი ძლიერი ქვეყნებიც, როგორიცაა ამერიკა, ინგლისი, გერმანია და სხვები, ბუნების მრისხანების წინაშე უძლურნი არიან, თუმცა მათი მცდელობა მსხვერპლს მნიშვნელოვნად ამცირებს. ხოლო მესამე რიგის ქვეყნები, რომელთა ლიდერი, სამწუხაროდ, საქართველოა, ვერაფერს იღონებენ მოსალოდნელი კატაკლიზმების დასახვედრად. პირველი ხელისშემშლელი ფაქტორი ისევ და ისევ კორუფციაა. გავიხსენოთ, რამდენჯერ შეიჭამა მდინარე დურუჯის კალაპოტში მოსაქცევად გამოყოფილი ფული და ყვარლის მოსახლეობა კარგა ხანია, გულის კანკალით ელოდება ღვარცოფს. საშიშროება მწვავდება საქართველოს მთიან რეგიონებში ტყის მასივების უკონტროლო ჭრის გამო, რამაც საქართველოსთვის არნახული ფართობის მეწყერებიც კი შეიძლება გამოიწვიოს. ამის პირველი ნიშანი ჩრდილოეთ ოსეთში ორიოდე წლის წინ მომხდარი ტრაგედია გახდა. მაგრამ სხვის კი არა, საკუთარ შეცდომებზეც დასკვნების გამოტანა ვერ ვისწავლეთ. ამინდის ასეთი მკვეთრი ცვლილებები, დროისა და სივრცის ხანმოკლე მონაკვეთებში, არასოდეს ყოფილა. ჩვენი უგუნური საქციელის შედეგი არ აყოვნებს. ოზონის შრის გარღვევა გლობალური დათბობის მიზეზი გახდა. ეს კი მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ ერთი გრადუსით მეტი სითბო იქნება. როგორც ვარაუდობენ, მოსალოდნელია მრავალი ცვლილება. არც ის ხდება უმიზეზოდ, რომ მსოფლიოში არეული ამინდებია. ერთგან წყალდიდობაა, მეორეგან — ქარიშხალი მძვინვარებს. ერთმანეთისგან არც ისე დაშორებულ ორ ქვეყანაში — საქართველოში ზაფხულის სიცხეა, გერმანიაში კი 20-სანტიმეტრიანი თოვლი მოვიდა.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის ოპერატიული პროგნოზების სამსახურის უფროსმა **ირაკლი ჩოგოვაძემ** გვითხრა:

— ციკლონმა, რომელმაც გერმანიაში თოვლის მოსვლა გამოიწვია, უკვე ჩამოიარა შავ ზღვაზე და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დაიძრა. ღრუბლები იქით გადანაწილდა, სადაც ეს ციკლონი გაივლის, საქართველო კი, სწორედ ამ ციკლონის გვერდით ჩავლის გამო, პატარა ზაფხულში აღმოჩნდა. მეტსაც გეტყვით, 9 ოქტომბერს ბათუმში დაფიქსირდა 35°C. ამგვარი ტემპერატურა 120 წლის მანძილზე პირველად დაფიქსირდა. ამას ჰქვია მეტეოროლოგიური კურიოზი: უჩვეულოდ ცივმა ციკლონმა უჩვეულო სიცხე გამოიწვია ჩვენთან. წინა კვირაში თბილისშიც ოქტომბრის თვისათვის შეუფერებლად ცხელოდა.

ქართველი მეცნიერები თვლიან, რომ ეს გლობალური დათბობის შედეგია.

> გლობალური დათბობის შედეგია ისიც, რომ გვექნება პატარ-პატარა „გამყინვარებები". ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიწა ყინულით დაიფარება. დროის მოკლე მონაკვეთში იქნება მკვეთრი სიცივე...

ტემპერატურამ მარტო ერთი გრადუსით კი არ მოიმატა, არამედ დროსა და სივრცეში მკვეთრად კონსტრასტული ამინდები დგას. ყველას გიგრძნიათ, რომ დიდი სიცხის შემდეგ უცებ მკვეთრად აცივდება ხოლმე, საშუალოდ თბილი ამინდი იშვიათია — ეს არის კონტრასტი დროში, ხოლო სივრცეში კონტრასტული ამინდის მაგალითი თავად ახსენეთ — გერმანიაში თოვდა, საქართველოში 32°C იყო... გლობალური დათბობის შედეგია ისიც, რომ გვექნება პატარ-პატარა „გამყინვარებები". ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიწა ყინულით დაიფარება. დროის მოკლე მონაკვეთში იქნება მკვეთრი სიცივე... საქართველოში ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი (1844 წლიდან — რაც ტემპერატურის აღრიცხვა დაიწყო) -22°C იყო 1889 წელს, მაგრამ ბოლო წლებში ტემპერატურა -15°C-ზე დაბლა არ დაწეულა. მეტი სიცივე არც წელს არის მოსალოდნელი. უბრალოდ, ინტენსიურად მოხდება ცვლილებები. უცებ დათბობას ცოტა ხნით მკვეთრად აცივება მოჰყვება.

**— რაც შეეხება უახლოეს პროგნოზს...**

— ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ აცივდება... ოქტომბრის შუა რიცხვებიდან 1-2 კვირის განმავლობაში საკმაოდ ცივი ამინდები დადგება.

P.S. ამინდის მკვეთრი ცვლილებები, დედამიწის ქერქსა და ატმოსფეროში მიმდინარე უმართავი პროცესები მობილიზაციასა და მზადყოფნას მოითხოვს. ეს კი ჩვენს ქვეყანას, სამწუხაროდ, არ შეუძლია...

*ლელა ჯიყაშვილი*

# რას გვეტყვი, მამაო?



**— ვართ და-ძმა — საბა და სალომე. გვაინტერესებს, არსებობენ თუ არა წმინდა საბა და სალომე, არის თუ არა საქართველოში მათ სახელზე ტაძრები და თუ არა, სად დავუნთოთ მათ სანთელი?**

— საბა და სალომე წმინდანთა სახელებია და საეკლესიო კალენდარშიც მოიხსენიება. ქართველებს ორივე წმინდანი გვყავს — საბაც (ხახულელი), მოხსენიების დღე 1 იანვარი (ძვ. სტ. 19 დეკემბერი) და სალომეც (უჯარმელი), მოხსენიების დღე 28 იანვარი (ძვ. სტ. 15 იანვარი), მაგრამ ტაძრები მათ სახელზე ჯერ არ აგებულა. ამ წმინდანებისთვის ნებისმიერ ტაძარში შეგიძლიათ ილოცოთ და სანთელი დაანთოთ, როგორც მოხსენიების, ასევე სხვა დღეებში.

**— რას ნიშნავს ლოცვა „დაუჯდომელი", გამოხატავს თუ არა ეს სიტყვა ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობას ლოცვის დროს?**

— სახელწოდება „დაუჯდომელი ლოცვა" ლოცვის ძალასა და აღმატებულობას გულისხმობს. „დაუჯდომელი ლოცვები" ძლიერი ლოცვებია და წარმოთქმის დროს განსაკუთრებულ სიფხიზლესა და ყურადღებას მოითხოვს, ადამიანი არ უნდა მოდუნდეს და სული მთლიანად ლოცვისკენ უნდა იყოს მიმართული. სულის სიფხიზლე თავისთავად მოითხოვს, თუკი ადამიანი ჯანმრთელია, ლოცვის დროს მუხლი არ მოხაროს, არ დაჯდეს. „დაუჯდომელ ლოცვებში" განსაკუთრებულად არის წარმოჩენილი იმ წმინდანისადმი ვედრება, რომლისთვისაცაა დაწერილი ეს ლოცვები (არსებობს წმინდა სამების, მაცხოვრის, ღვთისმშობლის... სხვა წმინდანთა „დაუჯდომელი ლოცვები"). ადამიანები ამ ლოცვებს განსაკუთრებული განსაცდელის ან სიხარულის დროს წარმოთქვამენ და წმინდანს შემწეობას სთხოვენ. გულმხურვალებით აღვლენილ ამ ლოცვებს დიდი ძალა აქვთ...

**— თუ „დილის ლოცვებს" წავიკითხავთ დილის 9 საათზე, შეცვლის თუ არა ის „7-გზის ლოცვებში" ერთ-ერთს, დილის 9 საათზე წარმოსათქმელ ლოცვას?**

— როდესაც ლოცვებს სხვადასხვა სახელი ჰქვია, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთისგან გამიჯნულია და არ შეიძლება ერთიმეორის ადგილზე ჩაეწეროს (შესრულდეს). 7-გზის და დილა-საღამოს ლოცვები სხვადასხვა რამ არის. დილის ლოცვა ღვთისათვის სამადლობელია, რომ ადამიანმა ღამე მშვიდობიანად გაატარა, რომ დანარჩენი დღეც მშვიდობიანად განასრულოს. ადამიანი დილის ლოცვებში თავისთვის და მოყვასისთვისაც ლოცულობს. ხოლო 7-გზის ლოცვები სხვადასხვა მონაკვეთში სრულდება და გამოხატავს სულის სხვადასხვა მდგომარეობას, როცა ადამიანი ითხოვს შემწეობას, ადიდებს უფალს, ხარობს ან მწუხარებს... 7-გზის ლოცვები უფრო პირადი განცდის გამოვლენაა მლოცველისა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რამდენჯერმე აკურთხა მრევლი, რომ ეს ლოცვები წაიკითხონ... ერთსა და იმავე დროს წარმოთქმული უამრავი მართლმადიდებლის ლოცვა კრავს სამყაროს წრედს და მისტიკურ ძალას იღებს. აქრობს ადამიანებს შორის მანძილის განცდას. ასე რომ, 7-გზის ლოცვებს სხვა დანიშნულება აქვს და დილის ლოცვებს — სხვა. ამიტომაც ისინი თავ-თავის დროს უნდა წარმოთქვათ.

**— შეუძლია თუ არა სასულიერო პირს ქუჩაში ანაფორის გარეშე იაროს?**

— საქართველოს ეკლესიის კანონიკა სასულიერო პირს საერთო თავშეყრის ადგილებში ანაფორით სიარულს ავალებს. თუმცა არსებობს განსაკუთრებული შემთხვევები, როცა სასულიერო პირს საერო სამოსით სიარულის ნება ეძლევა (მაგალითად, არაქრისტიანული ქვეყანა, სპეციფიკური სიტუაციები), ოღონდ ეს უნდა მოხდეს მღვდელმთავართან შეთანხმებით.

**— გამიგია, რომ ქართველებს გვყავს წმინდა მამა ნიკოლოზ დვალი. გთხოვთ განგვიმარტოთ, ვინ იყო იგი და სად მოღვაწეობდა.**

— წმინდა ნიკოლოზ დვალი ერთ-ერთი უდიდესი ქართველი წმინდანია (მე-14 ს.). მშობლები მას ბავშვობიდანვე ამზადებდნენ სამონასტრო ცხოვრებისათვის. თოთხმეტი წლისა კლარჯეთის უდაბნოში დასახლდა და მკაცრ სამონასტრო ცხოვრებას შეუდგა. შემდეგ იერუსალიმს გაემგზავრა და იქ ეწეოდა განდეგილ ცხოვრებას. თუმცა ამანაც არ დააკმაყოფილა და მოძღვარს უფლისთვის მოწამებრივად სიკვდილისათვის სთხოვა კურთხევა (ასეთი შემთხვევა ქრისტიანული ეკლესიისთვის განსაკუთრებულად ითვლება)... ხოლო შემდეგ ის მუსლიმანებმა მრავალჯერ დააპატიმრეს და დასაჯეს ქრისტიანობის საჯარო ქადაგებისა და გავრცელებისათვის. 1314 წელს მან მიაღწია იმას, რაც სურდა — ამ დღეს საჯაროდ მოჰკვეთეს თავი. წმინდა ნიკოლოზ დვალის უკანასკნელი სიტყვები იყო: „დიდება შენ, უფალო, რომ შენთვის სიკვდილის ღირს გამხადე". იქ მყოფები გააოგნა იმან, რომ თვით მოკვეთილმა თავმა შვიდჯერ წარმოთქვა „დიდება შენ, უფალო"... წმინდა ნიკოლოზ დვალის მოხსენიების დღეა 1 ნოემბერი (ძვ. სტ. 19 ოქტომბერი).

გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?
გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?
გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?
მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!
ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:
- მედიაცია, ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- იპოთეკა,
- მემკვიდრეობა,
- ყიდვა-გაყიდვა,
- კერძო არბიტრაჟი,
- სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა.
- უფასო იურიდიული კონსულტაცია,
ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.
დაგვიკავშირდით, თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8,
☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 336 683; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 271 912.

სამედიცინო ცენტრი "მედი"
ულტრაბგერითი ლიპოსაქცია
ნაოჭების გასწორება
ტუჩების კორექცია
მკერდის კორექცია
ლიპოსაქცია
ბლეფაროპლასტიკა
ეპილაცია
ყურების კორექცია
კონტურული მაკიაჟი

- სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
- უმტკივნეულოდ
- საუკეთესო შედეგებით
ქირურგი: გია გვარამია


კოსტავას ქ. №63 ტელ: 212-312 364-464

# ასე არ იქცევიან ნორმალურ ქვეყანაში!

ერთ-ერთი ქართული ტელეკომპანიის მიერ ამას წინათ გავრცელებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ ლისის ტბაში ქოლერის ვიბრიონი აღმოჩნდა, როგორც ჩანს, სერიოზული პანიკა გამოიწვია თბილისელთა შორის. შეშფოთებული მოქალაქეები რეკავდნენ რედაქციაში და გვთხოვდნენ ინფორმაციას ქოლერის მოსალოდნელი ეპიდემიის შესახებ. „კვირის პალიტრა" დაუკავშირდა ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის უფროსს **ჯუღული ახვლედიანს**.

**— ბატონო ჯუღული, აქვს თუ არა საფუძველი ლისის ტბასთან დაკავშირებულ პანიკას?**

— პანიკის საფუძველი არ არსებობს. ქალაქში გავრცელებული ხმები უსაფუძვლოა.

**— მაშ, რა ხდება, ტბის დაბინძურების შესახებ რატომ ალაპარაკდნენ?**

— საერთოდ კვირაში ერთხელ ვატარებთ თბილისში არსებული სარეკრეაციო (გამაჯანსაღებელი) წყალსაცავების — თბილისის ზღვის, კუს და ლისის ტბების გამოკვლევას. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ მთლიანად აღდგა ლისის ტბის ხარისხობრივი მაჩვენებლები. მდგომარეობა ნორმალურია, მაგრამ სიფრთხილისათვის მაინც ვიკვლევთ პათოგენურ მიკრობებს. 2001, 2002 წლებში და წელსაც გამოკვლევამ დაადასტურა სინჯში ვიბრიონის არსებობა, მაგრამ ეს არ გახლავთ ქოლერის ვიბრიონი. ეს არის ქოლერის მსგავსი ბენგალის ჩხირი, რომელიც 5-6 კაცის (მათ არ ავნებს) ორგანიზმში „მოგზაურობის" შემდეგ სხვა მსხვერპლში იწვევს ქოლერის მსგავს დაავადებას. წელს რამდენჯერმე ჩავატარეთ გამოკვლევა და ორჯერ აღმოჩნდა სინჯში ბენგალის ჩხირი. ბოლოს, ორი კვირის წინ აღებულ სინჯში კი ჩხირები აღარ აღმოჩნდა, თუმცა ეს არ გამორიცხავს ტბაში მის არსებობას.

**— რატომ ჩნდება ტბაში ეს ჩხირი?**

— ბენგალის ჩხირი ლოკალური დაბინძურების შედეგად ჩნდება, როცა ხდება ტბაში ფეკალური წყლების ჩადინება. ამის საშიშროება კი ლისის ტბის ირგვლივ აკვატორიაში არ არსებობს. ამასაც მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ. დაბინძურების ერთადერთი მიზეზი შეიძლება იყოს ატმოსფერულ წყლებთან ერთად ტბაში ჩადენილი სიბინძურე; შესაძლოა ამის მიზეზი იყოს ტბის ახლოს მდებარე სოფელი ლისი და სხვა დასახლებაც, რომელშიც არ არის კანალიზაცია და შესაძლოა, დაბინძურება მოხდა ოდესღაც, მაგრამ როგორც კი ტბა შეივსება ნორმით გათვალისწინებულ ნიშნულამდე, დარწმუნებული ვარ, რომ იმუშავებს წყლის თვითგაწმენდის პროცესი და ეს პრობლემა საერთოდ აღარ იარსებებს. პროცესი უკვე დაწყებულია ტბაში გაშვებული „სანიტარი" თევზების საშუალებით.

**— თუ პრობლემა აღარ არსებობს, რატომ აკრძალეთ ამ ზაფხულს ტბაში ბანაობა?**

— იმიტომ, რომ წყლის სიღრმე არ არის სათანადო იმისათვის, რომ თამამად შეძლოთ ცურვა. ტბა შუაგულისკენ ღრმავდება და ნაპირზე ხალხის ჩასვლა ამღვრევს წყალს, რაც ტბის ეკოლოგიურად აღდგენის პროცესს აფერხებს. თუმცა, არავითარი აკრძალვა არ მოქმედებს ხალხზე. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორ ადიოდა ერთი ცნობილი თბილისელი ლისის ტბაზე დილის 7 საათზე და ცურავდა. იქ რომ რაიმე უბედურება ყოფილიყო, როგორ ფიქრობთ, ეს კაცი იქ გამოჩნდებოდა?


პანიკის დათესვა გრანტის მისაღებად?!

**— ვის აძლევს ხელს დეზინფორმაციის გავრცელება?**

— რა გითხრათ. საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ როცა ლისის ტბა ისე დაშრა, რომ გუბურას დაემსგავსა, გამოჩნდნენ მსურველები, საბოლოოდ გამქრალიყო იგი და მის ადგილას სასაფლაო გაეკეთებინათ, რასაც შეეწინააღმდეგა ქალაქის ხელისუფლება და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ამის შემდეგ ქალაქის მერია ჩაერია საქმეში და ტბის აღდგენა დაიწყო. გაკეთდა წყლით მკვებავი ხელოვნური ტუმბო. ლისის ტბის გაქრობა უარყოფით ზეგავლენას მოახდენდა საბურთალოს რაიონის კლიმატზე. ამას ადასტურებს ლისის ზემოთ ორი მშრალი ტბის შემოგარენიც, სადაც მთლიანად შეიცვალა გარემოც და კლიმატიც. მოგეხსენებათ, თბილისის ზღვა ხელოვნურად შექმნილი წყალსაცავია, მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ მისმა შექმნამ სერიოზულად შეცვალა დედაქალაქის ეკოსისტემა, მიკროკლიმატი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისისთვის ამ წყალსაცავებიდან ზაფხულში წყლის აორთქლების პროცესს. თანაც თბილისის ზღვის ძირითადი დანიშნულება ქალაქის სასმელი წყლით მომარაგებაა, რეკრეაციისთვის კი ლისის და კუს ტბები უნდა იქნეს გამოყენებული და ამ ტბებს მოვლა სჭირდება. იმედი მაქვს, მომავალი ზაფხულისთვის ლისის ტბაზე წყლის ნიშნული ნორმას მიუახლოვდება და სეზონზე ბანაობის ნებართვას გავცემთ. არ ვიცი, რატომ გავრცელდა ლისის ტბის შესახებ დეზინფორმაცია. ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტს ინტერვიუ მივეცი და რატომღაც არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთეს, რატომ? მართლა ვერ ვხვდები...

ბატონი ჯუღულის მსგავსად, ვერც სხვა კომპეტენტური პირები ხვდებიან ყალბი პანიკის მიზეზს. ისე, სხვათა შორის, ერთმა ჩინოსანმა სრულიად საიდუმლოდ გაგვიმხილა, რომ რიგი ე.წ „გრანტიჭამია" ორგანიზაციების მიზანი სწორედ პანიკის ატეხაა. ისინი გრანტების მიღებაზე „ჩალიჩობენ", ამიტომ ხელს აძლევთ საზოგადოებაში პანიკის დათესვა, რასაც მოჰყვება თანხების გამოყოფა, ფულს კი ვიღაცები ჯიბეში ჩაიდებენ და პანიკა და ეპიდემიაც „ჩაცხრება". გარდა ამისა, ლისის ტბას ბევრი უყურებს მუშტრის თვალით და სულაც არ სიამოვნებთ, რომ ტბა თანდათან ნორმალურ სახეს იბრუნებს. არც ისინი ჩამცხრალან, ვისაც ამ რამდენიმე წლის წინ ტბის ადგილას სასაფლაოს გაკეთება უნდოდა. საერთოდ ტბის მიდამოებში, რამდენიმე ასეული მეტრის რადიუსში, მსგავსი ობიექტების და სხვა შენობა-ნაგებობათა მშენებლობა იკრძალება. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ამიტომაც არ გასცემს ნებართვას ლისის მიდამოებში აკრძალული ობიექტების ასაშენებლად. ამიტომ ლისის ტბის შემოგარენის ხელში ჩაგდების მსურველთა მხრიდან არანაირი პროვოკაცია და დეზინფორმაცია არ არის გამორიცხული. ამ ხალხის საყურადღებოდ გვინდა ვთქვათ, არ შეიძლება ყველაფრის გაყიდვა-გაჩანაგებაზე იფიქრო, არ შეიძლება ის ტოტი მოჭრა, რომელზეც, შენი თავი ჯანდაბას, მაგრამ შენს შვილსაც მოუწევს ჯდომა. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობს ხალხი, ვინც იღვწის თბილისში არსებული წყალსაცავების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და ნუ შევუშლით მათ ხელს. სხვათა შორის, ეს ეხება ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც, რომლებიც ლისის ტბაში ყრიან სახლიდან მოტანილ ნაგავს, ან იჭერენ ტბის გასაწმენდად გაზაფხულზე წყალში ჩაშვებულ თევზს. ასე არ იქცევიან ნორმალურ ქვეყანაში!

**ეკა ლომიძე**

# რამდენი მინისტრი ან მინისტრის მოადგილე მიდის პარლამენტში? რატომ?

*დასაწყისი იხ. გვ. 7*

**— „ახალი მემარჯვენეების" სიაში გამოჩნდა ზურაბ ჩხაიძე — კახა თარგამაძის მოადგილე და მისი მარჯვენა ხელი. ამ ფაქტმა ისევ „ალდაგისა" და შს ყოფილი მინისტრის ურთიერთობაზე აალაპარაკა ხალხი — ახლაც ვერ ხედავთ თარგამაძესა და გამყრელიძეს კუდები რომ აქვთ გადაბმულიო?!**

— არა მგონია, თარგამაძეს თავისი კაცი რაღაც მისიით გამოეგზავნოს ჩვენთან. ამ საკითხით მეც დავინტერესდი. როგორც ჩანს, ზურაბ ჩხაიძის მისვლას „ახლებთან" ორმხრივი პოლიტიკური მიზანი ჰქონდა. თურმე ბატონი ზურაბი მინისტრის მოადგილეობისას „ახლებთან" ერთად მუშაობდა ძალოვანი სტრუქტურების რეფორმის კონცეფციაზე. ამასთან, იყო ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი. იგი გავლენიანი პოლიტიკური ფიგურაა ოზურგეთსა და მთელ გურიაშიც. ეს არ გახლავთ უმნიშვნელო რამ. ბატონი ზურაბი გამოცდილი მუშაკია, მან ბევრი რამ იცის და იგი მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბდება. რა თქმა უნდა, უშეცდომო ადამიანი, ჩემი ჩათვლით, არ არსებობს, მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც, მთავარია, შენი არასწორი საქციელით ქვეყნის მოსახლეობა გაუსაძლის მდგომარეობაში არ ჩააგდო და არ დააბეჩავო, დანარჩენს ეშველება და გამოსწორდება...

**— ბოლო დროის სახელისუფლებო ბლოკი სერიოზულ ბრალდებებს უყენებს „ბურჯანაძე-დემოკრატებს". კულუარებში ისიც ითქვა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ საპრეზიდენტო კანდიდატებზე დარტყმის მიყენების მცდელობაა. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— საქმის დეტალებს არ ვიცნობ... თუმცა არ მგონია, ირინა სარიშვილის ბრალდებებისა და დარტყმის ობიექტი ნინო ბურჯანაძე იყოს. ქალბატონ ირინას უთქვამს კიდეც, ნინო ბურჯანაძე შესაძლოა ამ ორომტრიალში მხოლოდ შირმაც იყოსო. ნინო ბურჯანაძე დიდი ხანი არაა, რაც პოლიტიკური ლიდერი გახდა და ამ მცირე დროში ის ვერ მოახერხებდა რუსეთის სპეცსამსახურებთან დაახლოებას. ქალბატონი ირინა უფრო სხვა ფიგურებს უნდა გულისხმობდეს.

**— ჟვანიას გულისხმობთ?!**

— მე ჟვანია არ დამისახელებია... დაე, გამოძიებამ დაადგინოს ყველაფერი.

***იზო რიკაძე***



# ჩეკისტი და მისი პრეზიდენტი

კაცი, რომელსაც ქართველი ჩეკისტები და ინტერპოლი უკვე რვა წელია ამაოდ „ეძებენ“, აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ზღვისპირა სასტუმროს ტერასაზე ჩემ წინ ზის, ყავას ნება-ნება წრუპავს და გულღიად მესაუბრება.

საქართველოს „№1 ტერორისტი“ იგორ გიორგაძე თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთი ამოუცნობი ფიგურაა. პრეზიდენტ შევარდნაძის პირად მტრად მიჩნეულმა კაცმა სამტრედიაში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციის გავლა მოახერხა. უშიშროების ყოფილი მინისტრი ოპონენტებს სერიოზულ ბრალდებებს უყენებს. გიორგაძის მიერ მოწოდებული ექსკლუზიური ინფორმაცია, ბოლო წლების საქართველოში მიმდინარე საიდუმლო მოვლენების შესახებ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

## სისხლიანი ისტორიის ქრონიკა

27.09.93 — აფხაზებმა ტყვედ ჩაიგდეს და დახვრიტეს ჟიული შარტავა, შევარდნაძის მეგობარი, აფხაზეთის მთავრობის მეთაური.

31.12.93 (დაახლოებით) — დაიღუპა ზვიად გამსახურდია — საქართველოს პირველი პრეზიდენტი. ოფიციალური ვერსია — თვითმკვლელობა.

9.12.94 — კილერებმა მოკლეს გიორგი ჭანტურია — დისიდენტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, გამსახურდიას ჩამოგდების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

1995 წლის ივნისი — მოკლეს შევარდნაძის ახლო მეგობარი, სოლიკო ხაბეიშვილი.

29. 08.95 — პირველი თავდასხმა შევარდნაძეზე.

9.02.98 — მეორე თავდასხმა შევარდნაძეზე.

25.02.02 — საკუთარ კაბინეტში თავი მოიკლა შევარდნაძის თანამებრძოლმა, უშიშროების საბჭოს მდივანმა ნუგზარ საჯაიამ.

4.03.03. — საავადმყოფოში გარდაიცვალა ჯაბა იოსელიანი, კანონიერი ქურდი და „მხედრიონის“ ლიდერი. შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების ინიციატორი, რომელიც მერე პრეზიდენტზე თავდასხმის ბრალდებით დააპატიმრეს.

— **იგორ, თქვენ მაინც აპირებთ საქართველოში დაბრუნებას?**

— რა თქმა უნდა. და დავამტკიცებ, რომ ბრალი არაფერში მიმიძღვის.

— **თქვენ პრეზიდენტობაც გენდომებათ. მოსკოვი მხარს დაგიჭერთ?**

— ცხადია... მაგრამ მინდა დავამშვიდო ყველა, ვისაც კრემლის აგენტი ვგონივარ: სამწუხაროდ, მოსკოვი თითსაც არ გაანძრევს არც ერთი მხარის დასახმარებლად.

— **მაგრამ შევარდნაძე ხელისუფლებაში ხომ რუსეთმა მოიყვანა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ჩამოგდებაშიც მიიღო მონაწილეობა?**

— მე უშუალოდ ვმონაწილეობდი შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლაში. მაშინ ჩვენც და მის მოსკოველ დამხმარეებს იმედი გვქონდა, რომ შევარდნაძეს ესმოდა — შეუძლებელია მრავალსაუკუნოვანი ისტორიით დაკავშირებული ხალხების ძალით დაშორება.

პრეზიდენტ გამსახურდიას ჩამოგდებაში არც მე და არც უშიშროების სამინისტრო არ ჩავრეულვართ, მაგრამ განდევნილის უკან დაბრუნებას კი ვუშლიდით ხელს. ახლა ზოგიერთი ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში მონაწილეობასაც მაბრალებს. სისულელეა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*




## მაინც რა ეწერა ამ ყბადაღებულ სტატიაში

საქართველოში საპარლამენტო არჩევნების წინ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ამ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მეთაურის, ქალბატონ ნინო ბურჯანაძის ვიზიტმა მოსკოვში.

ნინო ბურჯანაძე, გარდა იმისა, რომ პარლამენტის სპიკერია, შევარდნაძის რეჟიმის ერთ-ერთი შეურიგებელი ოპოზიციური პარტიის ლიდერია. სულ ახლახან ის ყოფილი სპიკერის, ზურაბ ჟვანიას პარტიას შეუერთდა. საქართველოში ჭორაობენ, ამით ჟვანიამ თავისი პარტიის რეიტინგი აამაღლაო.

„კავკასიური ოთხეულის“ შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძეს „კავკასიელ“ კოლეგებთან მოლაპარაკებების გარდა, პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციაში ალექსანდრ ვოლოშინთან შეხვედრაც ჰქონდა დაგეგმილი. მიუხედავად ინფორმაციული ვაკუუმისა, როგორც ეტყობა, ეს შეხვედრა მაინც შედგა. შეიძლება ითქვას, რომ კრემლმა არჩევანი უკვე გააკეთა და განსაზღვრა, ვისზე დადებს ფსონს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში. მიუხედავად ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატების“ პროამერიკული ორიენტაციის დეკლარირებისა, შეინიშნება რუსულ-ქართული ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ მეთოდური სწრაფვა.

ბოლო დრომდე ზურაბ ჟვანია თავგამოდებულ მედასავლეთედ და ანტირუსულ პოლიტიკოსად ითვლებოდა, მაგრამ რეალობამ ახალგაზრდა პოლიტიკოსს მიანიშნა, რომ საჭიროა მეზობლებთან მეგობრობა. ეტყობა, ნინო ბურჯანაძეს და ზურაბ ჟვანიას ესმით, რომ რუსეთის დახმარების გარეშე ქვეყანა პრობლემებს ვერ გაუმკლავდება. პრობლემები კი უხვადაა: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი — ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფოებია, პანკისის ხეობა ბოლომდე ვერ გაიწმინდა ტერორისტებისგან; ჯავახეთშიც, სომხეთის საზღვარზე, არ არის სიმშვიდე, ვერა და ვერ მოგვარდა ურთიერთობა აჭარის ავტონომიასთან. მოსალოდნელია უსიამოვნებები დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში. ყველაფერ ამას ემატება შიდაპოლიტიკური, ეკონომიკური და ენერგეტიკული პრობლემები. კრემლს იმედი აქვს, რომ ნინო ბურჯანაძის სახით საქართველოში გამოჩნდა ფხიზელი და პრაგმატული პოლიტიკოსი, რომელიც შეძლებს მოსკოვისა და თბილისის პოზიციების დაახლოებას და ამით ხელს შეუწყობს ქვეყნის შიდაპრობლემების მოგვარებას.

ნინო ბურჯანაძე მოსკოვში ჩასვლისას უმაღლესი ეშელონების მხარდაჭერის დაბევებას ცდილობდა და ეტყობა, მიზანსაც მიაღწია.

ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი მირონოვმა რუსეთის პრეზიდენტის სახელით ნინო ბურჯანაძეს მედალი გადასცა „რუსეთისა და საქართველოს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის“. ალბათ იმის გამო, რომ პრეზიდენტ შევარდნაძისა და მისი გუნდის წყალობით ანტირუსული განწყობილება ახლა საქართველოში პიკს აღწევს, ნინო ბურჯანაძემ თბილისში ჩასვლისას ამ ფაქტზე არაფერი თქვა.

იმავე პერიოდში, ნინო ბურჯანაძის თანამებრძოლი ზურაბ ჟვანია სტრასბურგში იმყოფებოდა, იქვე იყო მეორე ოპოზიციონერი, აჭარის ავტონომიის მეთაური ასლან აბაშიძე. სამშობლოში შეურიგებელი ოპონენტები ევროპის საბჭოში რუსეთის ფედერაციის საგანგებო და მუდმივი წარმომადგენლის შუამავლობით მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდნენ.

ამგვარად, საქართველოს სინამდვილეში ნაღდად გამოიხატა „დემოკრატებისა“ და აჭარის მეთაურის ტანდემი. ეტყობა, არჩევნების წინ ეს ოპოზიციური ძალები გაერთიანდებიან, თუ არადა, კოორდინირებულად იმოქმედებენ. ეს კი უთუოდ კრემლის დიპლომატიის დამსახურება იქნება.

კიდევ ერთი მტკივნეული თემა, რომელიც ერთნაირად აღელვებს მოსკოვსა და თბილისს — თურქი მესხების გადაუწყვეტელი პრობლემაა. ისტორიულ სამშობლოში მათი დაბრუნების საკითხი არაერთხელ დასმულა სტრასბურგში, მაგრამ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება ნაბიჯსაც არ დგამს წინ, პირიქით, გააფთრებული ეწინააღმდეგება ამ პროცესს. ვლადიმირ პუტინმა ამას წინათ აღნიშნა, თურქი მესხების პრობლემა ბოლოს და ბოლოს, უნდა გადაწყდესო. რუსეთის პრეზიდენტს ზურაბ ჟვანიაც ეთანხმება. ნინო ბურჯანაძის მოსკოვში, ხოლო ზურაბ ჟვანიას სტრასბურგში ვიზიტის შემდეგ, შევარდნაძის გუნდის მიწვევით თბილისში ამერიკიდან „სამეული“ ჩავიდა — სენატორი ჯონ მაკკეინი, სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე სტროუბ ტელბოტი და ქართული წარმოშობის ამერიკელი გენერალი ჯონმალხაზ შალიკაშვილი. ამით ქვეყნის სახელისუფლებო პარტიამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი აქტიური პროამერიკული პოზიცია. ივლისში საქართველოს ჯეიმს ბეიკერი ეწვია. „პატიოსანი“ არჩევნების ჩასატარებლად წინადადებების პაკეტი ჩაიტანა. როგორც ეტყობა, ამჯერად მაღალჩინოსანთა ვიზიტის ნამდვილი საბაბი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება არ არის.



აშშ-ს ერაყში უამრავი პრობლემა აქვს, მათ შორის გაუთავებელი პარტიზანული ომი, რომელიც აიძულებს ვაშინგტონს, უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს ანტიერაყულ კოალიციასთან, რომლის წევრიც არის საქართველო. როგორც ჩანს, ამერიკელი სტუმრები შევარდნაძესთან კონკრეტული წინადადებებით ჩავიდნენ: ფული — ქართული არმიის კონტინგენტის გაზრდის სანაცვლოდ, რომლის მომზადებაზე აშშ-მა 64 მლნ დოლარი უკვე გაიღო.

ამგვარად, არჩევნების წინ საქართველოში საინტერესო სურათი იშლება: შევარდნაძის რეჟიმი გამწარებული ცდილობს ხელისუფლების შენარჩუნებას, რისთვისაც აშშ-ის კარგ, მაგრამ მოძველებულ კავშირებს იყენებს. ოპოზიციამ კი, „ბურჯანაძე-დემოკრატების“ მეთაურობით, ეტყობა, მომგებიანი სვლა იპოვა, რომელიც ემიჯნება ბალანსირების შევარდნაძისეულ პოლიტიკას. ჩნდება იმედი, რომ გზა, რომელიც ნინო ბურჯანაძემ და მისმა მომხრეებმა აირჩიეს, ქვეყანას ნანატრ სტაბილურობამდე, მშვიდობასა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესებამდე მიიყვანს.

***იზვესტია №184***





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაწაწიები ჭინიობობენ

დილით, საბავშვო ბაღში წასაყვანად, დედა აღვიძებს 4 წლის **ელდარ მაჭარაშვილს**.

— ნეტავი იმდენ ხანს მაძინა, ვიდრე საბავშვო ბაღიდან ჩემი წამოყვანის დრო არ მოვა, — ამბობს პატარა თვალების ფშვნეტით.

***

**პატარა ლიზის** მეზობლად ტყუპი ძმა, მიხო და თედო, ცხოვრობს. ისინი ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ მათი გარჩევა თითქმის შეუძლებელია. ერთხელ, ეზოში სასეირნოდ გამოსულმა ლიზიმ თვალი მოჰკრა ძმებს და ბაბუას გაკვირვებულმა ჰკითხა:

— ბაბუ, ესენი სარკეში არიან?

***

**პატარა ნათიამ** დედას შესჩივლა:

— დედიკო, ხომ მითხარი, რომ ჩემი დაბადების დღე გაზაფხულზე იქნება, როცა მერცხლები და შოშიები მოფრინდებიან, როცა ხეები აყვავდება. მერცხლებიც მოფრინდნენ და შოშიებიც, ჩემი დაბადების დღე როდისღა იქნება?!

— ხვალ არის შენი დაბადების დღე, — უთხრა დედამ.

— შენ საიდან იცი, ვინ გითხრა? — გაიხარა პატარამ.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „მოხრილი არის და წვეტიანი, წყალში ეგება მას ფხებიანი“.

III



I **ანა, გამოიცანი**

**1) რომელია ზედმეტი?**

ა) დიდსულოვანი; ბ) რაინდი; გ) კეთილშობილი; დ) ეგოისტი.

**2) სიტყვა „სასო“ იგივეა, რაც:**

ა) ყელის ნაწილი; ბ) იმედი; გ) წყლის მცენარე; დ) საგანგაშო სიგნალი.

**3) ვის კალამს ეკუთვნის სიტყვები: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა, გზა იწრო, ვერცა კლდოვანი, მისგან გასწორდის ყოველი სუსტი და ძალგულოვანი“.**

ა) ილია ჭავჭავაძეს; ბ) დავით გურამიშვილს; გ) შოთა რუსთაველს; დ) ნიკოლოზ ბარათაშვილს.

**4) სად მდებარეობს სამთავროს დედათა მონასტერი.**

ა) მცხეთაში; ბ) თელავში; გ) დმანისში; დ) ხარაგაულში.

**5) ქრისტეს რომელი მოციქული განისვენებს აფხაზეთში?**

ა) თომა; ბ) ბართლომე; გ) სვიმონ კანანელი; დ) იუდა ისკარიოტელი.

**6) ბრაზილია, ალჟირი, ტუნისი, პანამა, გვატემალა, სინგაპური, სან-მარინო, მონაკო, ლუქსემბურგი, რა საერთო აქვთ მათ?**

ა) ამ ქვეყნების დედაქალაქები ატარებენ ამავე ქვეყნის სახელწოდებას; ბ) ენა; გ) დამწერლობა; დ) ისინი მდებარეობენ ერთსა და იმავე განედზე.

**7) ანდაზის მიხედვით, სიმართლის მთქმელს რა უნდა ჰყავდეს შეკაზმული?**

ა) ვირი; ბ) ხარი; გ) ცხენი; დ) აქლემი.

**8) რომელ ქვეყანაში ჩაისახა ოლიმპიური თამაშები?**

ა) იტალიაში; ბ) ესპანეთში; გ) ეგვიპტეში; დ) ძველ საბერძნეთში.

## იპოვე 10 განსხვავება



II **იპოვე ორი ერთნაირი ფინჯანი**





თქმულება

## რატომ ჰქვია ვარძია

ყოფილა ერთი უსაშველოდ დიდი მტაცებელი ფრინველი. დაეცემოდა თურმე სოფელში ხან ცხვარს, ხან ხბოს და აიტაცებდა თავის ბუდეში... შეუწუხებია სოფელი.

ერთ დღეს ამ სოფელში ბავშვი დაკარგულა. შეძრულა მთელი სოფელი. მოუვლიათ არემარე, ტყე და ღრე; ერთი ხე და ღელე არ დარჩენიათ გაუსინჯავი, მაგრამ ბავშვის კვალი ვერ უპოვიათ.

ერთ დღეს მონადირე დასდევნებია ამ ფრინველს. შეჰყოლია უადგილო მაღალ კლდეში, მიუგნია ფრინველის ბუდისთვის და მტაცებლისთვის დაუმიზნებია, მაგრამ უცებ ბავშვის ხმა სმენია: „არ ისროლო, აქ ვარ, ძიაო“. მივარდნილა მონადირე და რას ხედავს? ბუდეში გოგონა ზის.

ასე ეწოდა ამ ადგილს ვარძია.

## ნაცარქექია

— ხელში რომ წიგნი გეჭიროს,
ბექაო, ჩემო ბექაო,
ვინ გკადრებს, ვინ გაგიბედავს:
ზიხარ და ნაცარს ქექავო.
— მაშინ ხომ ასე იტყვიან,
დაჯდა და წიგნებს ქექავსო.
— წიგნიქექია არა სჯობს
ნაცარქექიას, შე კაცო?

***გიორგი წერეთელი***

IV **გამოცანები**

**ა)** ერთ ტიკჭორაში ორფერი ღვინოა, თეთრი და ყვითელი, რამდენიც არ უნდა აჭყაპუნო, ერთმანეთში ვერ აურევ.

***

**ბ)** ორსა დედასა ხუთ-ხუთი ჰყავთ შვილები, ტოლნი ხნითა, სახელი ერთი არ ჰქვიათ, განირჩევიან ტანითა.

ზღაპარი

## ყვავი

ყვავი გაამპარტავნდა: ყვავობა არ მინდა, ფარშავანგი უნდა გავხდეო; ჩაირჭო გარშემო ფარშავანგის ფრთები და გაერია ფარშავანგებში. ჯერ ვერ იცნეს, მაგრამ უცებ წამოსცდა თავისი „ყვაა“. მისცვივდნენ ფარშავანგები და სულ გაძიძგნეს. ტიტველი ყვავი დაბრუნდა თავის ყვავებთან, მაგრამ იმათაც იუცხოვეს, კისრისტეხით გამოაგდეს, ფარშავანგიც ვერ გახდა და ყვავებშიც გამოწყდა.

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

***გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა***




## პატარა მკითხველებო!

„ზღაპრების სახლმა“ გააგრძელა ქართული და უცხოური ზღაპრების გამოცემა. თქვენ უკვე შეგიძლიათ შეიძინოთ ახალი წიგნები, რომლებშიც უკვე 4 გვერდით მეტია. ამ გვერდებზე „ზღაპრების სახლმა“ გასართობი ოთახი მოგიწყოთ. აქ მოცემული თავსატეხებით, ლაბირინთებითა და რჩევებით ბევრ საინტერესო და საჭირო რამეს შეიტყობთ, თანაც თავსაც გამოსცდით.

ყველა წიგნს ფაზლებით ასაწყობი სურათიც მოჰყვება...

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში. ერთი წიგნი-ზღაპარი 1 ლარი და 20 თეთრი ღირს


CMYK

თამარ მახარობლიძეს უკვე იცნობს „კვირის პალიტრის" მკითხველი ლირიკული ლექსებითა და მცირე პროზაული ნაწარმოებებით. ამჯერად თამარი ახალ „ამპლუაში", მეზღაპრედ გვინდა წარმოგიდგინოთ.

... უჩვეულო სითბოთია დამუხტული მისი ზღაპრები. ისინი თითქოს არის და არც არის საზღაპრო. ამ ზღაპრებში უამრავი საოცარი ამბავია, სიკეთითა და სიყვარულით განზავებული. აი, თუნდაც „ია და პეპელა" — ეს არის ფერადამზრდელი იისა და ქარაფებს იქით მდგარი ძლიერი მუხის განსაცვიფრებელი სიყვარულის ამბავი, რომელსაც იის მეგობარი უმშვენიერესი პეპელაც ეწირება და თავად იაც... ბოლოს კი ამ სიყვარულის ზღაპარი პატარა გიორგის ალბომში „გადასახლდება" — პერპარიულად ქცეული პეპელას გვერდით ბოჭმა იასაც მიუჩინა ბინა და მუხის ფოთოლსაც, რომლითაც მუხა მოკითხვას უთვლიდა იას და იმედიც ჰქონდა, რომ ამ ფოთლით დაიფარავდა...

მეორე ზღაპრის „გარჩევას" აღარ შემოგთავაზებთ, იგი უფრო პაროდიას ჰგავს ჩვენი თანადროული ყოფისა... თუმცა კი ბოროტზე სიკეთის ძლევის სურვილს აქაც თავისი გააქვს...

ასე რომ, წაუკითხეთ ეს ზღაპრები თქვენს პატარებს და წაიკითხეთ თქვენც, დიდებმაც... გვერწმუნეთ, მათი გმირების თავგადასავალი ხშირად შეგახსენებთ თავს...

**თამარ მახარობლიძე**

# შეცდომა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი — ჩვენი მწყალობელი. იყო ერთი ღარიბი და პატიოსანი კაცი. ერთხელ ეს კაცი ტყეში წააწყდა მელიას, რომელიც ხაფანგში გაბმულიყო. მელიამ ჯერ თავი მოიმკვდარუნა, მერე კი მიხვდა, რომ ეს არ გაუვიდოდა და იკადრა ხვეწნა-მუდარა.

— არ მომკლა, გამიშვი და ბედსა გწევ — შეჰპირდა იგი კაცს.

— შენ რა ბედს უნდა მწიო, შე ცრუპენტელა მელაკუდავ? — გაეცინა კაცს.

— სულ ამაოდ მეძახით ცრუპენტელასა და ქურდბაცაცას. მე უბრალოდ ყველაზე ჭკვიანი და მოხერხებული ვარ! სხვებს ეს ძალიან შურთ და ამიტომაც სახელს მიტეხენ. ხომ გაგიგონია: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო". შენ რომ ცოტა მოხერხება გქონდეს, შენს ცხოვრებას სულ სხვანაირად ააწყობ, განა ასეთი ღარიბი, მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი იქნებოდი! შენ მოხერხება და საზრიანობა გაკლია! აბა, დაფიქრდი, განა ასე არაა?! მოდი, ერთი თვით გავცვალოთ ჩვენი ზნე-ჩვეულებანი და ხასიათები და ნახავ, რაც მოხდება! ერთი თვის თავზე ისევ აქ, ამ ადგილას შევხვდეთ და ერთმანეთს ისევ უკან დავუბრუნოთ ყველაფერი.

— რას ამბობ?! მილეთში ცრუპენტელასა და ქურდბაცაცას სახელი რომ გამივარდება, მერე მაგას რაღა ეშველება? მაგის ფასი განა რა უნდა ვიშოვო ასეთი? — დაეჭვდა კაცი.

— ტყუილად ყოყმანობ! შენ ყველგან ძალიან პატიოსან კაცად გიცნობენ და ერთ თვეში განა რა უნდა ქნა ისეთი? მთელი შენი ცხოვრება სახელი გაგითქვამს შენი წესიერებით. განა ასეთ მოკლე ხანში დაინგრევა წლების მანძილზე შექმნილი სახელი? ასეც არ იყოს, ხომ გეუბნები, განა მართლა ტყუილზე და ქურდობაზეა საქმე, უბრალოდ, მოხერხება და საზრიანობა მოგემატება და ძალიანაც კმაყოფილი დარჩები, ოღონდ ამაზე კრინტი არსად დაძრა!

კაცმა იფიქრა, სადღაც მართალს ამბობს ეს მელაკუდა, შნო და მოხერხება მე მართლაც მაკლიაო, ან ერთ თვეში მართლაც ასეთი ცუდი და სახელის გასატეხი რა უნდა მოხდესო და დაჰყაბულდა.

მელამ და კაცმა გაცვალეს ზნე-ჩვეულებანი და ხასიათები. კმაყოფილი მელია ტყეში გაცუნცულდა და კაციც თავის გზაზე წამოვიდა.

მოდის კაცი და შემოხვდა თავისი მეზობელი.

— გამარჯობა! საიდან მოდიხარო? — შეეკითხა მეზობელი.

— ტყის მეფესთან ვიყავი და ასე მითხრა, შენი ხათრით, ხვალ გამთენიისას ჩემს ნაკადულს თქვენთვის წითელი კალმახებით ავავსებ, მოიყვანე შენი ახლობლები და რამდენიც გინდა, წაიღეთო, — უთხრა კაცმა და თვითონაც ძალიან გაკვირვებული დარჩა, სულ არაფრისგან უცებ ასეთი ტყუილი რომ გამოაცხო.



— აუ, რა კარგია! მეც ხომ წამიყვან სათევზაოდ? — გაუხარდა მეზობელს, რომელსაც ეჭვიც არ შეჰპარვია ამ პატიოსანი კაცის ნათქვამში.

კაცს გულით უნდოდა, სიმართლე ეთქვა, მაგრამ ველარ ახერხებდა და თითქოს მისდა უნებურად ლაპარაკობდა.

— რა თქმა უნდა, წაგიყვან. უთენია, ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლამდე უნდა გამომიარო, — უთხრა მან მეზობელს.

მეზობელი დაემშვიდობა და სახლში გაიქცა გახარებული. კაცი შინ რომ მივიდა, ცოლს უთხრა: — ხვალ უთენია ჩვენი მეზობელი მომაკითხავს და უთხარი, გელოდა, გელოდა და უკვე წავიდა-თქო. ცოლს ძალიან გაუკვირდა: — შენ და ტყუილი? ეს როგორ?

— ასეა საჭირო! — უპასუხა კაცმა. ახლა მე ჩემს ცოლს რომ ჩემი ამბავი მოვუყვე, მაინც არ დამიჯერებს, ქალებმა ბევრი ლაპარაკი იციან და მთელ ქვეყანას შემიყრის. ისევ ჯობია, არაფერი ვუთხრაო, — გაიფიქრა მან.

დილით კარზე მოადგა სათევზაოდ გამზადებული მეზობელი. ცოლმა კი იმ სიტყვებით გაისტუმრა, რაც კაცმა დააბარა. მზე რომ კარგად ამოიწვერა, ეზოში პირის დასაბანად გამოსული კაცი სულ შემთხვევით მეზობლის ცოლს შეეფეთა! მოგეხსენებათ, „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს" და რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ძალიან მალე გაირკვა.

მეზობელმა უშნო ხუმრობაში ჩამოართვა კაცს ეს პირველი ტყუილი, მაგრამ ამას მეორე და მესამეც მოჰყვა სასწრაფოდ და საწყალ კაცს მალე გაუტყდა სახელი. თანაც ასეთ ცრუპენტელობას უცნაური ზნეც დაემატა: ღამღამობით ეს კაცი მეზობლებს საქათმიდან ქათმებს ჰპარავდა და ჩუმად შეექცეოდა. ადრე თუ კაცი ყველას უყვარდა და ყველა ენდობოდა, ახლა აღარავის სიამოვნებდა მისი დანახვა. გამწარებული ცოლი მუდამდღე ეჩხუბებოდა: — ადრეც ღარიბები ვიყავით, მაგრამ პატიოსანი სახელი მაინც გქონდა, ახლა რაღა ვქნათ, აღარავის ვუნდივართ, აქ აღარ დაგვედგომება! შენს ცოლ-შვილს სირცხვილით თავი გარეთ ველარ გამოუყვია. კაცო, არ გაგიგონია მაინც: „სახელის გატეხას თავისი გატეხა სჯობიაო?!"

კაციც ხვდებოდა თავის შეცდომას და მოუთმენლად ელოდა მელასთან შეხვედრას. გულით უნდოდა ცოლისათვის თავისი საიდუმლო გაემხილა, მაგრამ შიშით ხმასაც ვერ იღებდა. სიტყვა რომ გავტეხო, ვაითუ, მელიამ გადაიფიქროს და მომატყუოსო, ან არ მოვიდეს, ან აღარ დამიბრუნოს უკან ჩემი კუთვნილიო. მერე თავს ინუგეშებდა ხოლმე: თუმცა ახლა მელაკუდა ხომ ძალიან პატიოსანია და ამას არ იკადრებსო.

დადგა დათქმული დრო. მიდის კაცი ტყეში და შიშით გული უსკდება, ვაითუ, მელა იქ არ დამხვდესო. გაიხედა და რას ხედავს? გამხდარი და გასაცოდავებული მელა მორბის გამწარებული.

— სადა ხარ, კაცო, ამდენი ხანი? ნახე, რას დავემსგავსე?! ეს რა სისულელე მომივიდა! შენ რომ დაგშორდი და ჩემს გზაზე წავედი, ნაცნობი მგელი შემომხვდა და რომ მომიკითხა, როგორ მიდის შენი ქურდბაცაცობისა და ცრუპენტელობის საქმეებიო, ისე მეწყინა, ისე ვიუცხოვე, დარდით გული კინაღამ გამისკდა და ავად გავხდი. ყველა ჩემი ნათესავი დამცინოდა: მთელი თვეა, დედალი კი არა, წიწილაც არ მომიპარავს. საერთოდ კინაღამ სულ დამავიწყდა ხორცის გემო. ტყის სოკოთი და ხილით ვიკვებებოდი. ნახე, როგორ გავხდი! ძვალი და ტყავიღა ვარ დარჩენილი. რომ ველარ ვარჩენდი ცოლ-შვილს, ცოლიც გამეყარა და ასე, სულ ამერია ცხოვრება! რა თავში ვიხლი შენს პატიოსნებას! თავიდან ვიფიქრე, უკან აღარც დავაბრუნებ-მეთქი. რა ჩემდა ჭირად მინდოდა?! წაიღე, მოაშორე! დამიბრუნე უკან ჩემი ზნე და ხასიათი!

— არც მე დამადგა ხეირი — შესჩივლა კაცმა, — რაც ღმერთმა გვიბოძა, ისაა ჩვენი! არც ერთს არ გვეყო ამის ჭკუა, ჩემო მელაკუდავ. ახლა მე მთელი ჩემი ცხოვრება იმას უნდა მივუძღვნა, რომ ამ ერთ თვეში რაც სახელი გამიტყდა, იქნებ როგორმე გამოვასწორო. სირცხვილით ხალხს თვალებში ველარ ვუყურებ. ჩემს შვილებსაც საბოლოოდ მოვჭრეხი თავი... ძალიან ცუდ დღეში ვარ, მაგრამ შენ ვერ გაგამტყუნებ, ჩემი უჭკუობის ბრალია! ხომ გაგიგია: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!"

კაცი დაემშვიდობა მელას და გახარებული მელაკუდა ისევ ტყეში გაცუნცულდა. კაცი კი შინ წამოვიდა და მართლაც მთელი თავისი დარჩენილი სიცოცხლე მოანდომა ამ შეცდომის გამოსწორებას.

# ია და პეპელა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი — ჩვენი მწყალობელი. მავანსა და მავან ქალაქში ცხოვრობდა პატარა გიორგი. მას ჰქონდა ერთი დიდი, ფერადი ალბომი, სადაც ლამაზ-ლამაზი პეპლები იყო ჩაკრული.

ერთხელაც, როდესაც გიორგიმ მინდორში მშვენიერი პეპელა დაიჭირა, მოხდა საოცრება: პეპელამ ენა ამოიდგა და ადამიანის ხმით დაელაპარაკა გიორგის.

— გიორგი, ჩემო კეთილო ბიჭუნა, ძალიან გეხვეწები, არ მომკლა. მე ხომ ისედაც სულ რაღაც სამი დღე ვცოცხლობ ამ ქვეყანაზე. ახლა მე ერთი, ძალიან დიდი საქმე მაქვს გასაკეთებელი და მერე კი თავად გეახლები, რომ შენი ალბომი ჩემმა ფრთებმაც გაალამაზონ. ოღონდაც ჯერ გამიშვი — შეევედრა პეპელა.

გიორგი მართლაც კეთილი ბიჭუნა იყო და, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლად გადაწყვიტა პეპლის გაშვება.

— კეთილი, გაგიშვებ. ისე, მაინც რა საქმე გაქვს ასეთი? — დაინტერესდა გიორგი.

— ეეჰ, ჩემო კეთილო, რომ იცოდე, რა დღეში ვარ... — პეპელას გული ამოუჯდა და ცხარე ცრემლით აქვითინდა.

— დამშვიდდი, რა მოგივიდა? მითხარი, რა ხდება? — შეეკითხა გიორგი.

— ამას წინათ, მე ერთ მშვენიერ იას დავუმეგობრდი. აი, იმ მინდვრის ბოლოშია ამოსული უნაზესი და ულამაზესი, ჩემი საბრალო მეგობარი. საქმე ისაა, რომ მას დიდი, ძლიერი მუხა შეუყვარდა, რომელიც ამ ქარაფებს იქით დგას. მუხამ არც კი იცის ეს ამბავი. ია კი სულ იმის დარდსა და ოცნებაშია: ნეტავი იმ მუხის ძირას ამოვსულიყავი, ქარისა და წვიმისაგან ხომ მაინც დამიცავდა ეს საოცარი მუხა, თუ არ ვეყვარებოდიო... ვერც მუხა მივა იასთან და ვერც ია ვერ ეახლება მუხას... ასეთი განწირული სიყვარული ხვდა წილად ჩემს ძვირფას მეგობარს. მე კი გადავწყვიტე დავეხმარო, რითაც შემიძლია. უნდა მივიდე მუხასთან და მოვუთხრო ამ საოცარი გრძნობის შესახებ. მუხა თავის ფოთოლს გამატანს იასთან,



როგორც მოკითხვის ბარათს. მერე ქარებს ვთხოვ, როგორმე წამაღებინონ ეს ფოთოლი იასთან. ავდრისგან მაინც დაიცავს საბრალო იას მუხის ფოთოლი. მას ხომ ისედაც დიდი დღე არა აქვს. შენ თუ წარმოგიდგენია, როგორ გაეხარდება?! მან არც კი იცის ჩემი ჩანაფიქრი, მე კრინტიც არ დამიძრავს! რომ აღარ გამოვჩნდე, ძალიან იდარდებს, ვიცი. ამიტომაც ამ საქმეს რომ მოვრჩები, მე თავად მოვალ შენთან, კეთილო ბიჭუნა! — უთხრა პეპელამ და ცრემლები მოიწმინდა.

— მე არასოდეს მინახავს შენისთანა, ადამიანის ენით მოლაპარაკე პეპელა! თანაც, ეს რა კეთილი ყოფილხარ! თავადაც დაგეხმარები. ხომ შემიძლია ბარი და ნიჩაბი წამოვიღო და ია იმ მუხის ძირში გადავრგო.

— ეგ ერთი შეხედვით, კარგი საქმეა, მაგრამ სინამდვილეში ძალიან დიდი რისკია, შეიძლება, გზაში ია სულაც ხელებში ჩაგვაკვდეს. ვერა, ვერ გავბედავ ამას. ერთი-ორი დღის წინ უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდა. ახლა კი ეს ძალიან საშიშია... ისევ მე უნდა მივხედო ამ საქმეს. — თქვა პეპელამ.

— რა გაეწყობა, თუ ასეა... აღარ შეგაყოვნებ, ნახვამდის, მე კი რომ იცოდე, გიორგი მქვია. მერე გამაგებინე შენი ამბავი, ძალიან მაინტერესებს, რას იზამ, ან თუ რამეში დაგჭირდი, აუცილებლად მოდი ჩემთან.

— გმადლობთ, ჩემო გიორგი, ჩემს სიტყვას აუცილებლად შევასრულებ: მოვალ შენთან. ხომ გითხარი, რაღაც ორიოდე დღე დამრჩენია და მერე მაინც ჩემი სუსტი ფრთები ქარებმა უნდა მინდვრად ააფარფატონ...

პეპელა გიორგის დაემშვიდობა და გზას გაუდგა. იფრინა, იფრინა და მიადგა მუხას. ზემოთ აფრინდა და ყურში ჩუმად ჩასჩურჩულა იის სიყვარულის ამბავი. მუხას უცებ სინაზით გაუთბა გული და ფოთლები აიშრიალა.

— ბედნიერია ია, ასეთი მეგობარი რომ ჰყავსო, — თავისთვის ჩაიჩურჩულა მუხამ. მერე მოწყვიტა დიდი, ლამაზი, მწვანე ფოთოლი და ზედ მერცხლებს ნისკარტით მოკითხვის ბარათი დააწერინა. გახარებული პეპელა თვალს არ უჯერებდა: მუხამ საოცრად თბილი წერილი მისწერა იას!

ახლა ქარებს შეევედრა პეპელა, — მე ძალიან სუსტი ვარ და იქნებ როგორმე ეს ბარათი იასთან მიმატანინოთო.

— ეგ ადვილი სამსახურია! — უპასუხეს ქარებმა, გაშალეს თავიანთი ძლიერი ფრთები, მაღლა აიტაცეს მუხის ფოთოლი და ჰაერში დაატრიალეს. პეპელაც ფრენით უკან გაჰყვა.

ქარებმა იასთან მიიტანეს მუხის ფოთოლი და ზედ გადააფარეს საბანივით. ია ფერმიხდილი იწვა მიწაზე, დამჭკნარი და მოწყენილი. ნიავმა თავი ოდნავ წამოუწია. იამ თვალი გაახილა, წაიკითხა მუხისგან გამოგზავნილი მოკითხვის ბარათი და სიხარულით ცას ეწია. ბედნიერებისაგან თითქოს სიმწვანე და ფერადოვნებაც კი შეემატა. მერე თვალებით პეპელას დაუწყო ძებნა, რომ თავისი სიხარული მეგობრისათვის გაეზიარებინა და გულითადი მადლობაც ეთქვა. პეპელა კი არსად ჩანდა. უცებ იამ შეამჩნია ნაცნობი ფერები, წინ გადაიწია, რომ უკეთ დაეთვალიერებინა და მოულოდნელად წელში გადაწყდა. იამ სევდით სავსე ლურჯი თვალებით უკანასკნელად მიუალერსა მუხის ფოთოლს და ბოლოს მიხვდა, რომ ეს ნაცნობი ფერები პეპელას ეკუთვნოდა, რომლის უმწეო სხეულიც ამ ფოთოლთან ერთად ესვენა მიწაზე. ალბათ, ქარებმა გზაში დააზიანეს და ფრთები დაულეწესო, გაიფიქრა იამ და მოიისფერო ცრემლი ჩამოუგორდა გულმკერდზე.

ამ დროს გამოჩნდა პატარა გიორგი. დაიხარა, ხელში აიღო საწყალი დამსხვრეული პეპელა და თავის ლამაზ ალბომში ჩააკრა. იამ ვედრებით შეხედა. გიორგი მაშინვე მიუხვდა და იაც თავის ალბომში მოათავსა მუხის ფოთოლთან ერთად. მერე კი დაჯდა პატარა გიორგი და ზღაპრად დაწერა ამ თავგანწირული მეგობრობისა და უნაზესი სიყვარულის ამბავი.



# ოთარ იოსელიანი: ყლაპავენ ამ ბატიბუტს და უყურებენ იდიოტობას...



**შეშინებული, გაჭყლეტილი ხალხი იყო. ასეთებადვე დარჩნენ. საერთოდ, მონობას ვერ მოიშორებ სულიდან. ეგ არის უსაზიზღრესი თვისება ადამიანის ბუნებისა. ამიტომ ვამბობ — ჩვენ ჩვენს თბილისში ვცხოვრობდით-მეთქი. თბილისი მაინც ლაღი ქალაქია.**

*„დღეს, ესოდენ დიდი ნიჭით შემკულ რეჟისორს, ვენეციაში შეჰყურებენ ისეთივე აღტაცებით, როგორითაც მოცარტს, მიქელანჯელოს ან სხვა რომელიმე სასწაულმოქმედს შეჰყურებდნენ პირველი თაყვანისმცემლები... ოთარ იოსელიანში არის რაღაც ფილოსოფოსის, მხატვრისა და მუსიკოსის...“*

***„სინემა“***

ოთარ იოსელიანი უბრალოდ და გულღიად შეგვხვდა.

მის ყოველ ფრაზაში იგრძნობოდა, რომ დიდი ნიჭისა და განათლების გარდა, მას ადამიანების დანახვისა და შეცნობის ცოტა თავისებური უნარი აქვს. მისი იუმორიც კი, ხშირად მკაცრია. ჩვენ, ადამიანებს, ძალიან გვიყვარს ვარდისფერი ოცნებებით, ზღაპრებითა და მითებით ცხოვრება. ბატონი ოთარი კი სხვაა. მას რეალობა ისე აქვს მიღებული, როგორიც არის და მისი გულწრფელი გადმოცემაც შეუძლია. იქნებ ამიტომაც ყველას არ სიამოვნებს მისი მოსმენა... თუმცა, გამგები გაიგებს...

## ისინი და ჩვენ

— მადლიერი ვარ იმ წლებისა, რომელიც აქ გავლიე, იმ წინააღმდეგობებისა, რომლებიც შეგვხვდა. აბა, ია-ვარდით რომ ყოფილიყო მოფენილი გზა, შეიძლება ვერაფერი გაგვეკეთებინა. წინააღმდეგობა ძალიან გამამხნევებელი რამ არის... ან უნდა იფიქრო, რომ მსხვერპლი ხარ რაღაცის და დაიტანჯო, ანდა იფიქრო, რა სახალისოა, როცა კედელი გაქვს წინ და ის კედელი გადასალახავია, ან შემოსავლელი, ან ასაფოფხებელი... ყოველი კედელი ცხოვრებაში რაღაცის სიმბოლოა. საერთოდ, საზღვარი რომ არ იყოს, უბედურება არ არსებობდეს, წინააღმდეგობას არ გიწევდნენ, სიცოცხლე მოსაწყენი იქნებოდა.

ჩვენ თბილისში ვცხოვრობდით, ჩვენ გვერდით ცხოვრობდნენ ჩვენი ბებიები, ბაბუები, მეგობრები, ამხანაგები, მეზობლები. ყველამ ვიცოდით, ვინ ვინ იყო, ვიცოდით ყველაფრის ზომა და ფასი... ყველას ჩვენ-ჩვენი ცხოვრების წესი გვქონდა — ჩვენი ღირებულებებით ვცხოვრობდით, სხვები — თავიანთი. ჩვენ ჩვენსას ვქმნიდით და ვერთობოდით კიდეც, ალბათ ისინიც თავისთვის ერთობოდნენ და ეწეოდნენ ჭაპანს.

ახლა ყველაფერი აირია... იმ დროს რაღაც რომ არ ყოფილიყო აკრძალული, ის იქნებოდა არანორმალური და გაუგებარი... მაშინ მართლა კარგად ვცხოვრობდით... მერე გვითხრეს, — ა, ბატონო, აკეთეთ, რაც გინდათო. მაგრამ რაიმეს გაკეთების შესაძლებლობა არ იყო. იძულებული ვიყავი, ჩემი სიყრმის ოცნებები განმეხორციელებინა იქ, სადაც ახლა ვმუშაობ. იქაც იმავეს ვაკეთებ... სხვას ვერ მოვიგონებ. სადაც არ უნდა წავიდე, აქაურად დავრჩები, ჩემი ძირი და ფესვი აქ არის. მე აღვიზარდე იმ ქვეყანაში, რომელიც შეიძლება უკვე აღარ არსებობს, მაგრამ ხომ არსებობდა!.. რაღაც წვენი ხომ შემოვიდა ჩვენში იმ ფესვებიდან. ამ ფესვებს ვერასოდეს მოსწყდები.

## მეფეები უბრალოდ ცხოვრობდნენ

*„თავისი ბუნებით ოთარ იოსელიანი თავადია. ამის დამამტკიცებელია ის, რომ მის უმაღლესობას არ სჭირდება არც სასახლე და არც მსახურები, რადგან ამ ქართველ რეჟისორს ჭეშმარიტად არისტოკრატიული აზროვნება გააჩნია. იგი იმ ეროვნების წარმომადგენელია, რომელთა მეფეები ცხოვრობდნენ უბრალოდ და ჩვეულებრივად“.*

***„ტელერამა“***

— ერთ ამბავს მოგიყვებით: ამხანაგი გვყავდა — ეგონა, მაყუთია ყველაფერიო. ერთხელ, ვისხედით კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ და არაყს ვსვამდით. გაგვითავდა სასმელი. შევხედე იმ ძმაკაცს. რაღაც ისეთი დავიჭირე მის სახეზე, მივხვდი — ნაღდად მაყუთი ჰქონდა. არ გაინძრე-მეთქი — და ჩავუყავი ხელი ჯიბეში. მეტაკა — ეს ოჯახის ფულიაო. ყველას გვყავს ოჯახი, მაგრამ კაპიკი არ დაგვიზოგავს ერთმანეთისთვის. ამ მშვენიერი დროს ტარების შეწყვეტა როგორ იქნებოდა? მოიტა, რა, ცოტა ფული-მეთქი. არავითარ შემთხვევაშიო. მერე, იცი, რა გვითხრა? მოგცემთ, თუ ნუგზარი თავს გადაიპარსავსო. ნუგზარმა — კი ბატონო, მაგრამ რამდენს იძლევიო? 5 მანეთსო. ვაჟა, შენც თუ გადაიპარსავ, 5 მანეთს შენთვისაც გავიმეტებო. ისიც დაეთანხმა — კი, ბატონოო. მე „პოსლიკა“ ვიყავი. შენ სამ მანეთს მოგცემო, — დამპირდა. გავედით კინოსტუდიის შემოსასავლელში, ანდრო-პარიკმახერთან. დავდექით რიგში, გადავიპარსეთ თავები. მოდის ერთი ჩემი ძმაკაცი, უზარმაზარი წვერი აქვს და თავი მოსწონს... რას აკეთებთო, — გვკითხა. ნუგზარმა უთხრა, — აი, ის (ფულიანზე მიუთითა) თავის გადაპარსვაში ფულს იძლევაო... მე რა ვღირვარო და გადაიხოტრა თავი წვეროსანმაც. მოგვცა მაყუთი იმან. დანარჩენი ოჯახში მიიტანე და ჩვენ თავი დაგვანებეო, — ვუთხარით...

მეორე დღეს მისულა ანდროსთან ის ჩვენი „დამფინანსებელი“ და თავი გადაუპარსავს. გამოგვეჭიმა ამაყად — აი, მეცო! გვიანია, ჩვენ უკვე ვიქეიფეთო — ვუთხარით...

## ჩვენი კინოსტუდია — როგორიც იყო

*„ოთარ იოსელიანი თვალს გვიხელს, ამიტომაც მას ჩვენ მადლობას ვუხდით.“*

***„ნუველ ობსერვატორი“***

— ჩვენი კინოსტუდია ეგეთი იყო: სპარტაკ ბაღაშვილი დადიოდა ეზოში და სულ ენაზე ეკერა, — პოლკოვნიკებო, პოლკოვნიკებოო! ტარასი მახარაძე მუშაობდა ჩვენთან — ოქროკაცი, სულ ბრაზობდა ხოლმე ვიღაცაზე და რაღაცაზე, ჟორა ასათიანი მუდამ თავისი „ვოლგის“ გასაღებს ატრიალებდა თითზე... სიკო დოლიძე ჩაჯდებოდა სავარძელში და თავისი ასისტენტი უვარცხნიდა თმას... კოლია სანიშვილი იყო, რეჟისორი, გადასარევი ტიპი, არც უყურებდა გადასაღებ მოედანს. მხოლოდ „სეკუნდომერს“, ქრონომეტრს დასჩერებოდა. მიტრიალდებოდა ზურგით გადასაღები მოედნისკენ და დაიყვირებდა: — „სტოპ!“ ძალიან სერიოზული ტიპი იყო თენგიზ აბულაძე, თავისი თავის პატივისმცემელი... ერთხელ, კინოს სახლში ფელინის ფილმი ჩამოიტანეს, „რვანახევარი.“ ბილეთებს ანაწილებდა. ვუთხარი, ორი ბილეთი მინდა-მეთქი. არავითარ შემთხვევაშიო. წავედი კინოსტუდიის დამფუძნებელთან და ქართული კინოს შემქმნელთან — მიშა კვესელავასთან. ულაპარაკოდ მომცა.

კვესელავამ მართლაც თავი დადო ქართული კინოსთვის. თამაზ მელიავას, ელდარ შენგელაიას, მერაბ კოკოჩაშვილს, ოთარ აბესაძეს, მიშა კობახიძეს, ნანა მჭედლიძეს, ლეილა გორდელაძეს მისცა ფილმების გადაღების საშუალება. გიორგი შენგელაიას მაშინ გადააღებინა „ალავერდობა“, როცა ამაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა... დღეს კი არავინ ახსენებს მიხეილ კვესელავას. ვითომ თავისით მოვიდა ქართული კინო, შეიქმნა სკოლა... არადა მიშა კვესელავას შექმნილია ყველაფერი თავიდან ბოლომდე. გაგვანებივრა. ვიჯექი მესამე სართულზე, კინოსტუდიაში, ერთ პატარა ოთახში, ფისჰარმონია მედგა და ვუკრავდი... არსად მეჩქარებოდა. მოულოდნელად კვესელავამ მეც დამიხურა ფილმი და გიორგი შენგელაიასაც. უცებ ვიგრძენით: ეგრე არ იყო საქმე!.. გვისაყვედურა — ჩვენ ხომ რუსეთში არა ვართ, საქართველოში არის საშუალება ხალხის განებივრებისა და შენც ცოტა ხელი გაანძრიეო... ორი თვე არ გაგვაჭაჭანა კინოსტუდიაში. მერე დაგვიბარა: — გონს მოხვალთ თუ არაო, მე უკან ჩემი „სმერში“ (კონტრდაზვერვა) მყავს, ზურგში მესვრიან, ეგრე კი არ არის... მე კი გეფარებით, მაგრამო...

იმწამს რაღაც მოხდა. ყველაფერს მივხვდით, რა ხდებოდა და როგორ უნდა მოვქცეულიყავით. თვე-ნახევარში დავასრულეთ ჩვენ-ჩვენი ფილმი. მე — „აპრილი“, რომელიც ეგრევე აკრძალეს, გიორგიმ — „ალავერდობა“. ეგეც დადეს სადღაც... ამ დროს რეზო ჩხეიძე იღებდა „ზღვის ბილიკს“. სერგო ზაქარიაძე რომ ცურავს ზღვაში, ფინთი ბავშვები ჯაზს უსმენენ, ფინთად იქცევიან... იდეოლოგიურად გამართული სურათი გახლდათ. ჩვენ კი კარგად ვგრძნობდით თავს, თითქოს მიშა კვესელავას უბეში ვისხედით. მაშინ გამოირკვა ყველაფერი, ვინ რას იღებდა... ვიღაცა იღებდა „ფატიმას“, ვიღაცა „Его величество рабочий класс“-ს... ყველაზე წესიერად იქცეოდა დავით რონდელი. თავისას აკეთებდა, მაგრამ ძალიან ფაქიზად, დელიკატურად.

მე არავისთან არ ვმეგობრობდი. კომბინსაამქროში დავდიოდი მხოლოდ. იქ ერთი კაცი მუშაობდა, ერსანი. მაჰმადიანი იყო, მაგრამ ღორის ხორცს ჭამდა... იქვე მუშაობდა ქუსრაშვილი, გადასარევი ტიპი... ოსტატები იყვნენ და როგორც ოსტატი — ოსტატს, ერთმანეთს პატივს ვცემდით.

## მე იქაც ის ვარ, რაც აქ ვიყავი

*„როგორ გადაურჩა რეჟისორი საფრანგეთის ზეგავლენას, როგორ მოარგო მან თავისი ბუნება და ხელოვნება უცხო ქვეყანას, უცხო კულტურას, მით უმეტეს, რომ მის მშობლიურ უძველეს მხარეს საქართველო ჰქვია“.*

***„რევოლუსიონ“***

— დაჩაგრულობის შეგრძნება და რაიმე სინანული იმ წლების მიმართ არა მაქვს. ჯერ ერთი, გადამაღებინეს ის, რისი გადაღებაც მინდოდა. მერე რა, რომ თაროზე შემოდეს, მერე რა, რომ აკრძალეს. პატიოსანი ხალხის სახელი ხომ დაგვრჩა! იმათაც დარჩათ პატიოსანი ხალხის სახელი, რადგან გადაგვაღებინეს. ამიტომ ნუ უწოდებთ ამას მძიმე პერიოდს. მძიმე პერიოდი ახლა არის, როცა ჩემი კოლეგები იძულებულნი არიან, 6-7-8 წელიწადი მოანდომონ ერთი ფილმის გადაღებას. ეგ არის უბედურება. საფრანგეთში ფილმის გადაღებას ორ თვეზე მეტს არ ვანდომებ. ამიტომ ვარ იძულებული, ვიმუშაო იქ. იქაც ისევე ვიქცევი, როგორც თბილისში ვიქცეოდი, ყველას ფასი ვიცი.

ჩემს პირველ პროდიუსერს პირველად რომ შევხვდი, რას მიირთმევთო, — მკითხა. კონიაკს-მეთქი. თან ვსაუბრობდით, თან ვსვამდით. გამოვცალეთ ერთი ჭიქა, მეორე... მერე ჩემს ძმაკაცს უთხრა თურმე, — სახიფათო ის არის, რომ ეს საქართველოდან ჩამოსული ტიპი როდის არის მთვრალი, ვერ გაიგებო... ვერც გაიგებს... იმიტომ, რომ ჩვენ სხვა სკოლა გვაქვს გავლილი. ვინც არ სვამდა, გარიყული იყო. სმა მარტო ალკოჰოლის მიღება კი არ გახლავთ!.. ძალიან ცუდი



*ოთარ იოსელიანი (მარცხნივ) და მიხეილ მამულაშვილი „საპოვნელას“ გადაღებისას*

აღზრდის ნიშანი იყო, კაცი რომ თვრებოდა. ვინც თვრებოდა, ისიც ცალკე იყო.

## კედელი საფრანგეთში

*„ჩვენ, თვითკმაყოფილ ფრანგებს, შემოგვცქერის ადამიანი, რომელსაც ჩვენ მოვწონვართ და ჩვენი ქვეყანაც, მაგრამ მაინც ცოტათი ჩამორჩენილებად მივაჩნივართ. შესაძლოა, ჩამორჩენილებად მივაჩნდეთ ძველი და მაღალი კულტურის მქონე ქართველი ერის შვილს — ოთარ იოსელიანს“.*

***„ლა რევიუ დე სინემა“***

— საფრანგეთშიც საშინელი კედელია აღმართული ადამიანის წინაშე. თუნდაც ის, რომ 85% (როგორც დღეს ამბობენ ხოლმე — პროცენტებით!) მაყურებლისა — 23 წლამდე ახალგაზრდობა, უკვე ჰოლივუდის კრიტერიუმებით არის აღზრდილი. მდიდარ ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ და გერმანულ კინოს მათ არ უჩვენებენ. ეს უბედურებაა. ამ ახალგაზრდებს მხოლოდ ბოროტებასთან მებრძოლი სუპერმენები აინტერესებთ... ამერიკელების ცათამბჯენებიც ხომ სუპერმენებმა ააფეთქეს! რა უნდა ქნან, ახლა? ამაზე აღზრდილი მაყურებელი არის სწორედ ის კედელი, რომელსაც თავი რომ ახალო, ვერაფერს დააკლებ. ბატიბუტის სუნი ასდის ყველა კინოთეატრს. ყლაპავენ ამ ბატიბუტს და უყურებენ იდიოტობას... მაკარონის ქარხანაში რომ გამოდის პროდუქცია, ზუსტად ისე იღებენ ფილმებს. მაგრამ საფრანგეთში არსებობს ასეთი სისტემა — რაც მეტი იდიოტი გადაიხდის ფულს ამგვარი ფილმების სანახავად, მით მეტი თანხა შევა ფრანგული ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრში... ამ შემოსავლით კი ჩვენ გვაფინანსებს სახელმწიფო, მთლიანად არა, მაგრამ 30-50%-ს იხდის... ჩვენს კინოებს არავინ უყურებს, მაგრამ ოდესმე უთუოდ დადგება დრო და მოხდება გარდატეხა. ჯერჯერობით, ქმნიან საგანძურს. ეს ეშმაკური ხერხი მალრომ მოიფიქრა დე გოლის დროს. მაშინ ეკრანებზე გადიოდა „ტარზანი“, „დიდი ვალსი“ და ჰოლივუდის სხვა პროდუქცია. მალრო მიშა კვესელავას ბადალია.

## თბილისი ლაღი ქალაქია

*„ფილმის ავტორი მტრის თვალით უყურებს ჩვენს ცხოვრებას. არა, „გიორგობისთვე“ უნდა დაიწვას, კვალიც არ უნდა დარჩეს მისი“.*

***მშრომელები***

*„არ ვიზიარებ ცეკას დადგენილების პროექტის არც ერთ პუნქტს... „გიორგობისთვეს“ მაღალხარისხოვან, მაღალ იდეურ ფილმად ვთვლი“.*

***აკაკი ბაქრაძე***

— მოვიდა კინოსტუდიაში დევი სტურუა და საჯაროდ გაანადგურა მიშა კვესელავა. ამის შემდეგ მიშა კვესელავა კიდევ უფრო დაფასდა ჩვენს თვალში.

...„გიორგობისთვის“ გამო ატყდა ერთი ამბავი. ზის სტურუა შეშინებული. მე ძალიან მხიარულად ვარ. რაც მთავარია, ფილმი ხომ გადამაღებინეს! მჟავანაძე იყო მაშინ ცეკას პირველი მდივანი. შემაგზავნეს მასთან. დაიწყო:

— Вы порочный фильм сняли... у меня письма... от трудящихся, — დაადო ხელი წერილების დასტას. დავხედე. ვკითხე:

— А почему все письма... датированы одним и тем же числом?

— Вы думаете, это организовано?..

— Конечно, организовано.

განერვიულდა. ადგა, კაბინეტიდან გავიდა. დაბრუნდა ხელში სიგარეტით. ეს რომ დავინახე, დავაძრე ჩემი „პრიმა“, გავაბოლე. მიყურებს. სიგარეტს ეწევითო? — მკითხა. თქვენ ხომ ეწევით-მეთქი. აბა, მოყევით, რა მოხდაო... ვუთხარი: — ბატონო ვასო, თუ შეიძლება, ერთ პატარა ამბავს მოგიყვებით-მეთქი. გოგო და ბიჭი სეირნობენ. გოგო ეკითხება: — რაზე ფიქრობ ახლაო? ბიჭი პასუხობს: — იმავეზე, რაზეც შენო! საზიზღარო, როგორ არ გრცხვენიაო, — გაცხარდა გოგო.

დაფიქრდა მჟავანაძე:

— Он хорошое думал, а она – плохое...

ასე დავამთავრეთ საუბარი.

დავბრუნდი შინ. სწორედ იმ დროს მამაჩემი ახალი გამოსული იყო ციხიდან („გიორგობისთვე“ 1966 წელს გადავიღე). მამა ჩვენს ყოფაზე ძალიან ცუდი შეხედულებისა იყო. თავისუფლებაში ცხოვრებას ალღო ვერ აუღო. იქ, გულაგში, ყველაფერი კარგად ყოფილა. ურთიერთობები — გასაგები. იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე. მივედი და ვუთხარი:

— მამა, იცი, მე ახლა ისეთ ტიპთან ვიყავი, მგონი, სიმპათიური კაცია-მეთქი.

და გაისმა: — ლაწ!

— რა მოგივიდა, მამა, რას აკეთებ-მეთქი...

— არასოდეს თქვა ზედამხედველსა და „ახრანიკზე“ — სიმპათიურიაო...

აი, ასეთი ცხოვრება იყო.

...მაშინ, მჟავანაძის კაბინეტიდან რომ გამოვედი, მთელი იმდროინდელი აპარატი კართან იდგა: სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდნენ. გამოვედი მეც ანთებული „პრიმით“... იქ ეწეოდიო?! — თვალებგაფართოებულებმა მკითხეს...

შეშინებული, გაჭყლეტილი ხალხი იყო. ასეთებადვე დარჩნენ. საერთოდ, მონობას ვერ მოიშორებ სულიდან. ეგ არის უსაზიზღრესი თვისება ადამიანის ბუნებისა. ამიტომ ვამბობ — ჩვენ ჩვენს თბილისში ვცხოვრობდით-მეთქი. თბილისი მაინც ლაღი ქალაქია. პატივისცემის ღირსი ადამიანი აქ არის პატივისცემის ღირსი...

***ლელა ჯიყაშვილი***


გრეიპფრუტი

როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება




ყურადღება!!!

„გრეიპფრუტის დიეტა" კაფსულებში არ არის წამალი. იგი აბსოლუტურად უვნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის. მისი ნატურალური ინგრედიენტები გადაგიწყვეტთ ჭარბი წონის პრობლემას არა ქიმიურად, არამედ ბიოლოგიურად. ამგვარად, მას არ გააჩნია გვერდითი მოვლენები. ვინაიდან ეს კაფსულები ფაქიზად ახდენენ ორგანიზმში ტოქსინებისა და ჭარბი ცხიმების ლიკვიდირებას, თქვენ ყოველდღიურად იგრძნობთ თავს უკეთესად, ენერგიულად და მსუბუქად.

მეტიც!

გაითვალისწინეთ, რომ „გრეიპფრუტის დიეტის" კაფსულები გამოიყენება ასევე ზოგადად ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად.



ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იკითხოთ გაზეთ "ჯორჯიან ტაიმს"-ში — "ნუტრიმენტ ჰაუსი"-ს გვერდზე.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე კვირის გარდა 10.00 - 18.00
www.shopge.com

კვირის პალიტრა 13 – 19 ოქტომბერი, 2003 ტელევიზია 19

# ჭკვიანი ქალი სუსტ ყელს არ შეუშვერს ქმარს...



ბოლო ხანს ერთ-ერთი სატელეფონო კომპანიის სარეკლამო კლიპის ეთერში მუდმივი ტრიალის გამო, მასში მონაწილე **ნინო კურატაშვილის** პოპულარობა ერთიორად გაიზარდა და სიტყვა „გადმორეკესაც“ სხვა დატვირთვა მიეცა.

ახლახან კინოს სახლში გაიმართა ნანა ჯანელიძის ფილმის, „ოტელოს“ პრემიერა, რომელშიც ნინო ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს. ინტერვიუსაც ამ თემაზე საუბრით დავიწყებ.

— **ნინო, დღესაც იოლად შეიძლება ემსხვერპლოს უცოდველი დეზდემონა ეჭვიან ოტელოს?**

— ჩემი აზრით, თუ მართლა ჭკუაში არ ზის ქალი, ეჭვიან ქმარს ან დროზე გაეცლება, ან რამეს მოიგონებს მის გონზე მოსაყვანად და სუსტ ყელს არ შეუშვერს აფექტში მყოფ ქმარს. ვინ იცის, ფინალი შეიძლება საპირისპიროც იყოს (იცინის).

— **ნინო, ძლიერი სქესის წარმომადგენლები თქვენით მოხიბლულნი არიან და უამრავი რამ აინტერესებთ თქვენ შესახებ. ახლახან ერთგან მკითხეს, იქნებ იცოდეთ, მეცხვარეს მართლა თუ შეიყვარებს და საერთოდ, მისი აზრით, სიყვარულმა პროფესია იცის თუ არაო...**

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ შემიყვარდება თუ არა მეცხვარე, ნამდვილად არ ვიცი. სარეკლამო კლიპის გადაღებისას მეცხვარეებთან და საერთოდ, მთასთან პირველად მქონდა შეხება, გადასაღებად მთაში რომ წავედით, რამდენიმე დღე გადაუღებლად წვიმდა და ვერ ვმუშაობდით. ამიტომ ექსკურსიებზე დავდიოდით, დათო იაშვილმაც მაშინ გაიარა „მეცხვარის“ პრაქტიკა და ალბათ ამიტომ უკეთ შევიდა როლში.

— **მართლა ცხვრის ფარით რომ მოგადგეთ თაყვანისმცემელი და გმირთა მოედანი ცხვრებით გადაჭედილი დაინახო, როგორი რეაქცია გექნებათ?**

— ალბათ ისეთივე, როგორიც კლიპში. სიწრფელესთან, სიყვარულთან ფაქიზი დამოკიდებულება უნდა გქონდეს, რათა ადამიანს ყველაზე დიდი აღტაცების ჟამს გული არ ატკინო, თორემ ასე მთელი ცხოვრება შეიძლება დაუნგრიო.

— **როგორი ტიპის მამაკაცი მოგწონთ?**

— გამორიცხულია, რომ რაღაც დახასიათების სქემა შევადგინო და ვთქვა, ასეთი და ასეთი მამაკაცი მომწონს-მეთქი. ასეთი რამ გაუმართლებლად მიმაჩნია, რადგან ცხოვრებაში შეიძლება მოულოდნელად შეხვდე მას, ვინც არანაირად არ ჯდება შენ მიერ შედგენილ სქემაში, მაგრამ გრძნობდე, რომ ის შენი სულის ნაწილია, შენ კიდევ მისი. ისე კი აუცილებელია, რომ კაცი ჭკვიანი იყოს და იუმორის გრძნობა ჰქონდეს.

— **მამაკაცების ერთ ნაწილს თურმე მიაჩნია, რომ ძალიან ტრადიციული ქართველი ქალის ტიპი ხართ და შეუძლებელია მანქანით დადიოდეთ ან რესტორნებში სადილობდეთ და ღვინოს სვამდეთ.**

— რა საინტერესოა, ქალები, ტრადიციულები, ნაზები მანქანას არ ატარებენ? ეს ხომ აუცილებლობაა და სხვა მიზანი არა აქვს. რაც შეეხება რესტორნებს და ღამის კლუბებს, რომ გითხრა, ძალიან მიყვარს ასეთ ადგილებში სიარული-მეთქი, მართალი არ ვიქნები. „ტუსოვკებიც“ არ მხიბლავს, უფრო ჩემი მეგობრების წრეში მირჩევნია ყოფნა და მათთან ერთად ზოგჯერ ბარში და რესტორანშიც დავდივარ.

— **იარაღის ტარებაა თურმე მოდაში, თქვენ თუ ატარებთ?**

— არანაირს. არ მიყვარს იარაღი. ბავშვობაში ტირში სროლა მომწონდა, მაგრამ იარაღასხმულები რომ დადიან თბილისში, არ მომწონს. მონადირეს უხდება იარაღი. ბავშვობაში ბიძაჩემს დავყვებოდი ხოლმე სანადიროდ, მაგრამ მე თვითონ არასოდეს მისვრია ნადირისთვის. ისე, კარგი მიზანი მაქვს.

— **ამბობენ, სარკე დიდ ენერგიას ართმევს ადამიანს და თუ მასში დიდხანს იცქირება, ქალს აბერებსო.**

— არ ვიცოდი, თუ სარკე ქალს აბერებდა. აქამდე მიმაჩნდა, რაც უფრო მოუვლის ქალი თავს, მით უფრო დიდხანს იქნება ახალგაზრდა. თუმცა, მარტო სარკეში ცქერა ვერაფერს გიშველის, თუ შინაგანად არ ცდილობ სიმხნევეს. მართალი რომ გითხრათ, სარკეში დიდხანს ცქერა მართლა არ მიყვარს და ხშირად ეთერში გასვლის წინ, როცა ვიზაჟისტი მაკიაჟს მიკეთებს, სარკეში ვიცქირები, მაგრამ ფიქრით სხვაგან ვარ.

— **ნინო, დღეს ფორმის შესანარჩუნებლად ათასნაირ ვარჯიშებს და დიეტებს მიმართავენ, თქვენ გაქვთ საკუთარი რეცეპტი?**

— საბედნიეროდ, სიმსუქნისაკენ მიდრეკილება არა მაქვს და მთელი ცხოვრება ერთ წონას ვინარჩუნებ. ზოგჯერ მეუბნებიან — დედა, როგორ გახდიო, და სულ მიკვირს, როდის ვიყავი მსუქანი. ბავშვობაში ვცეკვავდი, ფიგურულ სრიალზე დავდიოდი, ფიზიკურად სულ დატვირთული ვიყავი, რაც მსიამოვნებდა, მაგრამ დღეს დრო აღარ მრჩება ამისათვის. თუ ვახერხებ, აუზზე დავდივარ.

— **კინოში უკვე მესამედ გადაგიღეს. სარეკლამო კლიპებში ბევრჯერ გამოჩნდით, მსახიობის კარიერაზე ხომ არ ფიქრობთ?**

— სიამოვნებით. ხანგრძლივ კინოპროექტებში ალბათ მონაწილეობას ვერ მივიღებ ჩემი სამსახურით გამოწვეული უდროობის გამო, მაგრამ თუ მოკლემეტრაჟიან ან სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმებში შემომთავაზებენ როლს, სიამოვნებით დავთანხმდები.

*ეკა ლომიძე*






## ტელეპროგრამა

ორშაბათი 13 ოქტომბერი

სამშაბათი 14 ოქტომბერი

ოთხშაბათი 15 ოქტომბერი

ხუთშაბათი 16 ოქტომბერი

პარასკევი 17 ოქტომბერი

შაბათი 18 ოქტომბერი

კვირა 19 ოქტომბერი

# მე ვარ არშემდგარი ნაცარქექია...



მას ნამდვილად აღარ სჭირდება წარდგენა. მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანს ცხოვრობდა სამშობლოდან შორს, დაბრუნებისთანავე ძალიან სწრაფად ამოავსო ეს ვაკუუმი. ბატონი **ნუგზარ რუხაძე** დღეს საქართველოში ისევ ცნობილი და პოპულარულია. მასთან ინტერვიუში თქვენ ვერაფერს წაიკითხავთ ჟურნალისტიკაზე, პოლიტიკაზე და ა.შ. დასმული შეკითხვები, ანდაზებით და სხვა ფრთიანი გამოთქმებით საშუალებას მოგცემთ, უფრო ახლოს გაეცნოთ მის პიროვნებას.

— **ამბობენ, სალამი ღვთისააო, თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— მისალმებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვამბობ გამარჯობას. მისალმების ტონს, სახის გამომეტყველებას, ხმის ტემბრს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი მოქმედებს ადამიანის გუნება-განწყობაზე, რამაც შეიძლება განაპირობოს ორი ადამიანის მომავალი ურთიერთობაც. მისალმების ფორმას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ეთერშიც.

— **შეიძლება ვინმეს თვალი აარიდოთ და არ მიესალმოთ?**

— არასოდეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ უხერხული, საჩოთირო ურთიერთობა მაქვს ვინმესთან, მაინც შევხედავ თვალებში და მივესალმები. თუნდაც იმიტომ, რომ გავიგო, რა პერსპექტივა ექნება ჩვენს შემდგომ ურთიერთობას.

— **რა დამოკიდებულება გაქვთ სიტყვასთან „არასოდეს“ და რა შემთხვევაში შეიძლება განაცხადოთ იგი კატეგორიულად?**

— კატეგორიულად არასოდეს არაფერს ვამბობ. არ მიყვარს სიტყვა „არ ვიცი“ და ძალიან ვფრთხილობ მისი წარმოთქმისას. ეს ყველაფერი ცხოვრებამ მასწავლა. ახალგაზრდა უფრო თამამი და კატეგორიული ვიყავი, ბევრ შეცდომას ვუშვებდი, რამაც არაერთხელ დამამარცხა, დამაკარგვინა ადამიანები და შესაძლო მატერიალური კეთილდღეობაც, ამიტომ კატეგორიულობას თავი დავანებე.

— **„პატიოსან კაცს გაცვეთილი ჩოხა აცვიაო“ — ამბობს ქართული ანდაზა. ეთანხმებით?**

— არ ვეთანხმები. შეიძლება პატიოსან კაცს ეცვას პიერ კარდენის ხუთასდოლარიანი კოსტიუმი. ეს გამოთქმა, ჩემი აზრით, ერთობ კონსერვატიული და მოძველებულია. იგი იმ დროს შეესაბამება, როცა პატიოსნება შეუსაბამოდ იყო დაკავშირებული სიღარიბესთან.

— **„გამდიდრდები — გაძუნწდებიო“, ვითომ?**

— რაღაც რაციონალური ამ ნათქვამში არის. შეიძლება იმიტომ, რომ მდიდრები უფრო ხშირად ითვლიან ფულს, რომელსაც ზუსტი მისამართი უჩნდება და ეს თვლა უფრო შეგნებული და უფრო ფრთხილია, რაც სულაც არ შეიძლება ჩათვალო სიძუნწედ. თუმცა ყველა ერთნაირად არ ფიქრობს და შეიძლება ვიღაცამ მაინც თქვას — გამდიდრდა და გაძუნწდაო.

— **ენით მოტანილს ურმით მოტანილი სჯობია?**

— დიახ, აბა, ლაქლაქით არაფერი გამოვა. კაცის შველა თუ გინდა, რამე მიუტანე, ასიამოვნე, ენით გულს ნუ გაუხეთქავ. თუმცა, ხანდახან ენით მოტანილმაც შეიძლება კეთილი ნაყოფი გამოიღოს, შეიძლება გაჭირვების, თვითმკვლელობისგანაც კი იხსნას ადამიანი და შესაბამისად, ჯაჭვიც შეიკვრება: შენ გიხსნის ვიღაც, შენ კიდევ სხვას დაიხსნი და ა.შ. ანუ კარგმა ენამ შეიძლება სიკეთის ჯაჭვი შეკრას.

— **ქართული ზღაპრის პერსონაჟებიდან რომელი გახდებოდით, რომ შეგეძლოთ?**

— ნაცარქექია (იცინის). იცით, როგორ მიყვარს სიზარმაცე? ოღონდ მაზარმაცე და მეტი არაფერი მინდა. ჩემი მეგობარი მეუბნება, რომ მე ვარ არშემდგარი ნაცარქექია.

— **ღვინოსთან რა დამოკიდებულება გაქვთ?**

— მიყვარს და სიამოვნებით ვსვამ. გუშინ, მაგალითად, მშვენივრად დავთვერი. კარგ ღვინოზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი. თანაც ქეიფიც მიყვარს და უარს არ ვამბობ თამადობაზეც.

— **ღვინო თუ დაგიწურავთ?**

— რას ჰქვია დამიწურავს? ყურძნის კრეფაში, ღვინის წურვაში, საწნახელში, ორშიმოში, ჭურის ხეხვაში, აყალო მიწის ზელვაში ვარ გაზრდილი.

— **ამბობენ, ჭურს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო. რისი მოსმენა გსიამოვნებდათ ჭურიდან?**

— ჩემი აზრით, ეგ ანდაზა შეურაცხყოფასავით ჟღერს და საერთოდ მგონია, რომ ანდაზებს ან ფრთიან სიტყვებს ორი მხარე აქვს — კარგადაც შეგიძლია გაიგო და ცუდადაც. ჭურს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო, ეს რომ ვინმეზე თქვა, ვერ უნდა იყო მის მიმართ კარგად განწყობილი, მე ასე ვფიქრობ.

— **საქართველოში ბევრი კაცი-ჭურაა?**

— არ მინდა ქვეყანას შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ვფიქრობ, რომ ასეთი ხალხი სარეველასავით არის მოდებული საქართველოში და გამოსახშირია.

— **ღვინით გალახულს სახრით გალახული სჯობია?**

— ნამდვილად. ღვინით გალახული კაცი სულელს ჰგავს, აბსოლუტური მეტამორფოზა ხდება. კაცი იქცევა არარაობად. ჩემი თავი რომ მინახავს ღვინით გალახული, მეორე დღეს სიკვდილი მომნდომებია. რამდენჯერმე მქონია ასეთი შემთხვევა.

— **ღვინო მუნჯს ენას ამოადგმევინებს და ბრძენს დაამუნჯებსო.**

— მუნჯს რომ ენას ამოადგმევინებს, ეგ ცხადია, მაგრამ ბრძენის დამუნჯებაში ეჭვი მეპარება. ვფიქრობ, ღვინო სულ ენად გაკრეფს ბრძენს.

— **ღვინოში მეტი ხალხი იხრჩობა, ვიდრე წყალში?**

— კი, ასეა. მეცოდებიან ღვინოში დამხრჩვალები. საერთოდ, საქართველოში ღვინოში ხრჩობის ტრადიცია რომ არ იყოს (რაც ჩემი აზრით, მალე გადავარდება), უკეთესად იქნებოდა ქვეყნის საქმე. ამ სასმელს სათუთად და ფრთხილად უნდა ვეპყრობოდეთ.

— **სჯობს ერთი ხელობა იცოდე კარგად, ვიდრე ათი ცუდადო?**

— გააჩნია, როგორ დაუკავშირებ შენს კეთილდღეობას „ერთ კარგად“ ან „ათ ცუდად“ ნასწავლ ხელობას. არ არის გამორიცხული, ათმა ცუდად ნასწავლმა ხელობამ უფრო მეტი მატერიალური მოგება მოგიტანოს, ვიდრე ერთმა კარგად ნასწავლმა.

— **დღევანდელი კვერცხი გირჩევნიათ თუ ხვალინდელი ქათამი?**

— დღევანდელი კვერცხიც და ხვალინდელი ქათამიც (იცინის). ვერც ერთზე ვერ ვიტყვი უარს.

— **მართალია, რასაც დასთეს, იმას მოიმკიო?**

— აბსოლუტურად მართალია. მთელი ცხოვრება ამ ანდაზის აზრობრივი ქუხილის ქვეშ ვცხოვრობ. რაც დავთესე, ის მოვიმკე. ის რომ დამეთესა, რაც ახლა მგონია სწორი და რაციონალური, ძალიან წინ და შორს ვიქნებოდი და რაც მთავარია ალბათ, უფრო მეტს ვიცოცხლებდი, ვიდრე ვიცოცხლებ იმის გამო, რომ ის დავთესე, რაც არ უნდა დამეთესა.

— **ტყუილს მართლა მოკლე ფეხები აბია?**

— უჰ, საშინლად მოკლე და ამას ვასწავლი სულ ჩემს სტუდენტებს. ტყუილის გარეშე ცხოვრება გაცილებით იოლია. აი, მაგალითად, ამერიკული ცხოვრების წესი გამორიცხავს ტყუილის თქმას, რადგან ტყუილი გლის, შეცდომებს გაშვებინებს და პრაქტიკულად შენი ნათქვამი ტყუილი, ისე გითხრის ძირს, რომ ვერც გრძნობ. ამიტომ სჯობს ტყუილის გარეშე იცხოვრო. მე, რა თქმა უნდა, მომიტყუებია, შემიცოდია, მაგრამ გულწრფელად ვამბობ, ამერიკაში ვისწავლე, რომ ტყუილის თქმას, სიმართლის თქმა სჯობს. თუ მართალს ვერ ამბობთ, სჯობს თავი შეიკავოთ და საერთოდ დადუმდეთ.

— **ულირსი რომ გამეფდება, სახელმწიფო დაიღუპებაო — ქართული ანდაზაა.**

— სრული ჭეშმარიტებაა და ამის საშიშროება დღესაც არსებობს. ნებისმიერ ერში, ნებისმიერ დროსა და კულტურაში იდგა ეს საშიშროება და იქნება.

*ეკა ლომიძე*

# ედელვაისები — უსასრულო სიყვარულის სიმბოლოდ...

## თბილისი — კაზაკისა და პოლონელის დაუსრულებელი სიამაყე...

ბატონმა **პავლე გლუხოვმა** გაზეთით მიპოვნა და აქცენტიანი, მაგრამ მაინც ჩინებული ქართულით მორიდებით მითხრა, — თქვენთან მსურს შეხვედრა, საინტერესო მასალა მინდა შემოგთავაზოთ, 80-ს გადაცილებული კაცი ვარ და ნუ მეტყვით უარსო!.. როცა გაიგო, რუსული განათლება მაქვს, გაუხარდა, — ღმერთი მეხმარება, რუსულად უფრო გასაგებად ვიტყვი სათქმელსო...

სათქმელი კი მართლაც უამრავი დაჰგროვებია ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, დიდი სამამულო ომის მონაწილეს, რომელსაც იმდენჯერ ჩაუხედავს სიკვდილისთვის თვალებში, რომ სასწაულს უწოდებს თავის გადარჩენას. ერთხელ ხერხემალზეც შეეხო ტყვია და აღარავის ეგონა, ფეხზე თუ დადგებოდა, მაგრამ ისევ გადარჩა და თბილისში დაბრუნებულმა, უფლის მადლიერებით აღვსილმა შრომა ყველაფერზე წინ დააყენა (იგი ღვინის ტექნოლოგია და კარდანახის მეურნეობაში იმუშავა წლების განმავლობაში, მერე რძის პროდუქტების მაშინდელი საკავშირო დაქვემდებარების ინსტიტუტში გადმოინაცვლა). და რაც მთავარია, არც სპორტი დავიწყებია. განსაკუთრებით ტურიზმი იტაცებდა — ველოსიპედით თუ ფეხით აქვს დალაშქრული საქართველოსა და კავკასიის რესპუბლიკების უმშვენიერესი ადგილები, მიუვალი მთები და უღელტეხილები. საუცხოო არქივი დაუგროვებია — ფოტოსურათებზე სულ დაწვრილებითაა მინაწერები, სად იყო და რა საოცრება აღარ ნახა, რუკებიც დაუხატავს — თუ ვინმე მის მიერ გაკვალული მარშრუტით ისურვებს სიარულს, მოგზაურობა რომ გაუადვილდეს.

— ყველაზე დიდი სიმდიდრე, რისი შეგროვებაც შევძელი, ეს არქივია, რომელსაც შვილებს და შვილიშვილებს ვუტოვებო! — მითხრა. ხოლო მშვენიერმა ქალბატონმა ნელიმ მეუღლეს ისეთი სითბოთი შეახსენა, — სტუმრებს ჩემი ედელვაისებიც აჩვენეო... — მივხვდი, მათ დღესაც ისევე უყვართ ერთმანეთი, როგორც სიყმაწვილეში.

— ედელვაისები მიყვარს ძალიან. ჰოდა, პავლე არცთუ იშვიათად მანებივრებდა ამ ყვავილებით. ეს ედელვაისები კი პავლეს რომან გიუტაშვილმა ჩამოუტანა, ვიცი ამით შენს ცოლს როგორ გაახარებო... მან 1991 წელს, ქართველ ალპინისტთაგან პირველმა დალაშქრა ევერესტი. იგი ჩვენი ოჯახის ახლობელია და ბავშვობაში ერთადაც ხშირად უვლიათ ლაშქრობებში საქართველოს მთიანეთში... უნდა გენახათ, როგორ უხაროდა პავლეს, როცა ეს საოცარი, თეთრი ედელვაისები მოჰქონდა ჩემთვის... — და ქალბატონმა ნელიმ ჰერბარიუმად ქცეული უნაზესი ყვავილები საგანძურივით დაგვიწყო წინ.

ქალბატონი ნელი თბილისში დაბადებული პოლონელია, ბატონი პავლე კი მებრძოლ კაზაკთა შთამომავალი (გლუხოვების საოჯახო არქივის ალბომებში უნიკალური ჯილდოები და ორდენებიც ვნახეთ, მათ შორის, წმინდა ანას სახელობის, რუსეთის სახელმწიფო გერბი, წმინდა სტანისლავის ორდენი ხმლით და ბანტით, მულაჟები და ა.შ.).

გლუხოვების წინაპარი 1917 წელს ჩამოსულა თბილისში (თურქეთში იბრძოდა თურმე პირველი იმპერიალისტური ომის დროს, ყარსში დაჭრილა და თბილისის ჰოსპიტალში ჩამოუყვანიათ სამკურნალოდ!) და აქვე დარჩენილა საქართველოთი მოხიბლული, რის გამოც ბატონი პავლე ორმაგად ბედნიერად თვლის თავს — თბილისი და საქართველო მისი დაუსრულებელი ოცნება და სიამაყეა...

მეორე მსოფლიო ომში თბილისიდან გაიწვიეს. ლვოვიდან (დასავლეთი უკრაინა) დაიწყო და კენიგსბერგამდე ჩავიდა. 14 დასახელების საბრძოლო ჯილდოს მფლობელია, საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზეც წარადგინეს, მაგრამ...

ყველაზე მთავარ ჯილდოდ და უფლის წყალობად სიცოცხლე მიაჩნია და ნეტავი განახვათ, რა მშვენივრად გამოიყურება: რვა ათეულს გადაცილებულს 60 წელსაც ძლივს მისცემთ, ხუმრობს, — ქართველი ქალების სილამაზის შემყურეს, რა დამაბერებსო! არადა, მაინც გასცა თავი, რომ შიში გასჩენია — ვაითუ, ოცნება აუხდენელი დამრჩეს და წიგნის დასრულება ვერ მოვასწროო!..

დიახ, არც მეტი და არც ნაკლები, ბატონი პავლე წიგნს წერს, რომელიც მთლიანად დოკუმენტურ მასალაზე იქნება აგებული. წიგნის ანოტაცია ამერიკაში გამომავალ რუსულენოვან ჟურნალში უკვე დაიბეჭდა (ამერიკაში ბატონი პავლეს ქალიშვილი ცხოვრობს!) და დიდი გამოხმაურებაც პოვა.

ყველაზე საინტერესო გამოხმაურება კი მაინც მოსკოვიდან იყო — მსოფლიოში ცნობილი რუსი რეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი და ამჟამად კინოკონცერნ „მოსფილმის" გენერალური დირექტორი კარენ შაჰნაზაროვი წერდნენ, თქვენი წიგნის სიუჟეტი შეიძლება მხატვრულ ფილმს დაედოს საფუძვლადო!..

ბუნებრივია, ჩვენც დიდი სურვილი გვაქვს, ეს თანამშრომლობა შედგეს: წიგნიც დაიწეროს, სცენარიც... ფილმიც გადაიღონ!...

მანამდე კი, გადავწყვიტეთ პატარა ნაწყვეტი შემოგთავაზოთ ბატონი პავლეს წიგნიდან, რომელშიც ერთი შესანიშნავი ქართველის, ბატონ შალვა მეტრეველის შესახებ გვიამბობს...



შალვა მეტრეველი შვილიშვილებთან

## ტყვე ქართველები მღერიან...

...1941 წლის აგვისტოში, მეორეკურსელი შალვა მეტრეველი მოხალისედ წავიდა ომში. იმავე წლის დეკემბერში ყირიმის გათავისუფლებაში მიიღო მონაწილეობა. მომდევნო წლის დასაწყისში კი ერთ-ერთი ბრძოლისას კონტუზირებული ტყვედ ჩავარდა. ჯანკოეს დამახარისხებელ ბანაკში საშინელი პირობები იყო და ბევრი დაიღუპა კიდევაც წყლის, საკვების გარეშე. ცოცხლად გადარჩენილები პოლონეთის სპეცბანაკში გადაიყვანეს, ქალაქ სანდომირის მახლობლად და სამშენებლო ბრიგადებში განამწესეს. შალვამ შეარჩია რამდენიმე ამხანაგი და ხალხური სიმღერის გუნდი ჩამოაყალიბა, სიმღერით ამხნევებდა ტყვეებს, მათ სულიერ დაცემას უშლიდა ხელს.

> **შალვამ ხალხური სიმღერის გუნდი ჩამოაყალიბა, სიმღერით ამხნევებდა ტყვეებს, მათ სულიერ დაცემას უშლიდა ხელს. ტყვე ქართველების სიმღერა ძალიან მოსწონდათ ბანაკის დამცველებს, რომლებიც გამონაკლისს უშვებდნენ მომღერლებისთვის: ადგილობრივ მოსახლეობას უფლებას აძლევდნენ თავიანთი მწირი ლუკმა გაეზიარებინათ ტყვეებისთვის და ამანაც გადაარჩინათ უეჭველ სიკვდილს.**

ტყვე ქართველების სიმღერა ძალიან მოსწონდათ ბანაკის დამცველებს, რომლებიც გამონაკლისს უშვებდნენ მომღერლებისთვის: ადგილობრივ მოსახლეობას უფლებას აძლევდნენ თავიანთი მწირი ლუკმა გაეზიარებინათ ტყვეებისთვის და ამანაც გადაარჩინათ უეჭველ სიკვდილს.

1942 წლის შემოდგომაზე ბანაკი დაიშალა და შალიკო სხვებთან ერთად გერმანიაში მოხვდა, ქალაქ ერფურტის მახლობლად. მომღერალი ქართველები გერმანელების სიმპათიასაც იმსახურებენ. ნიჭიერთა ჯგუფის შესახებ წარმოშობით ქართველმა, გერმანიაში ცნობილმა კომერსანტმა ვალტერ სიმონიამ (სიმონიშვილი) შეიტყო და (იგი რუსეთის რევოლუციის შემდეგ გაიქცა საქართველოდან!) თავისი კავშირების წყალობით შეძლო ბანაკიდან მომღერალი ქართველების გათავისუფლება. ჯგუფი თანდათან ძლიერდება და მას უკვე ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი ჰქვია. პირველსავე გამოსვლებს არა მხოლოდ პოპულარობა, კომერციული წარმატებაც მოჰყვა. როგორც ჩანს, ანსამბლის პოპულარიზაცია ვერმახტის ინტერესებშიც შედიოდა, ამიტომ მსახიობებს არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მოსაზღვრე ქვეყნებში მოგზაურობის უფლებაც ეძლევათ. გამომუშავებული თანხა საერთო სალაროში მიდის და სამხედრო ტყვეების დასახმარებლადაა გამიზნული.

1943 წელს წარმატებული გასტროლები ჩატარდა გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიის ქალაქებში. სწორედ ავსტრიაში იპოვა შალიკომ თავისი პირველი სიყვარული — ელიზაბეტ ტრამსი. ელიზაბეტი ანსამბლს მთარგმნელის სტატუსით დაჰყვება: ის ფლობდა როგორც ფრანგულ, ასევე იტალიურ ენას.

ანსამბლის პირველსავე გასტროლებზე შალვა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებს — ფრანტირერებს უკავშირდება და გადასცემს როგორც მნიშვნელოვან ინფორმაციას, ასევე იარაღს. მალე შალვა ხვდება, რომ მას თვალს ადევნებენ და ცდილობს ფრთხილად იყოს.

1944 წლის ზაფხულში, იტალიაში ყოფნისას, შალვა ადგილობრივ პარტიზანებს უკავშირდება და მათთან იმალება მხილების და დაპატიმრების შიშით ელიბაზეტ ტრამსთან და რამდენიმე ამხანაგთან ერთად. რომ არა ამერიკელთა მეხუთე არმიის დროული ჩარევა, შალვა პარტიზანებთან ერთად დაიღუპებოდა...

ამერიკულმა და ინგლისურმა ჯარებმა გაათავისუფლეს სიცილია, იტალიის სამხრეთი და ცენტრალური რაიონები.

1945 წლის გაზაფხულზე შალვამ და ელიზაბეტ ტრამსმა ოფიციალურად გააფორმეს თავიანთი ქორწინება და ჯვრისწერაც ჰქონდათ. ქართველების ცეკვითა და სიმღერით ახლა ამერიკელები მოიხიბლნენ და შალვა მეტრეველს ხელშეკრულების დადებას სთავაზობენ, მაგრამ შალიკო სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს...

საბჭოთა კონტრდაზვერვის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ის ვერავითარ დანაშაულს ვერ ხედავს თავის ბიოგრაფიაში და გულახდილად ჰყვება ტყვეობის ამბავს, ანსამბლში მუშაობის პროცესს. შალვა და ელიზაბეტი იღებენ გარანტიას, რომ თავისუფლად შეუძლიათ სამშობლოში დაბრუნება. ელიზაბეტი უკვე 7-8 თვის ფეხმძიმეა. ცოლ-ქმარს გადაწყვეტილი აქვს: თუ ბიჭი დაიბადება — გიორგის დაარქმევენ, გოგონას — თამრიკოს.

ავსტრიაში, ოკუპაციის საბჭოთა ზონის საზღვარზე ელიზაბეტი მატარებლიდან ჩამოსვეს და უთხრეს, რომ ქმართან წასვლის უფლება მხოლოდ მას შემდეგ ექნება, როცა ის აიწყობს ცხოვრებას საქართველოში... შალვა რეპატრიანტების ეშელონში გადასვეს, რომელიც ჩრდილოეთ ყაზახეთის მიმართულებით მოძრაობს. სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, 1947 წლის 29 ივლისს 58,1 და 2 სტატიებით ათი წლის პატიმრობა მიუსაჯეს და მხოლოდ 1956 წელს, რეაბილიტაციის შემდეგ აღიარეს, რომ იგი უდანაშაულო იყო...

...მაგადანი, ბანაკი. უმძიმესი შრომა ტაიგაში...

შალვამ თავის ავსტრიელ ცოლსა და ბავშვზე ველარაფერი გაიგო...

## ვითომ იტალიელი, ქართველი აღმოჩნდა

1953 წელს, ამნისტიის შემდეგ, გადაიყვანეს იაგოდნოეს სპეცდასახლებაში. მეზობლად პოლონელი ლიპნიცკების ოჯახი ცხოვრობს, რომლებიც სამშობლოდან პოლონელ ნაციონალისტებთან თანამშრომლობისთვის გამოასახლეს. შალვა ლიპნიცკების ქალიშვილზე — კლავდიაზე ქორწინდება 1956 წელს. იმავე წელს, მთავრობის დადგენილების საფუძველზე, რეაბილიტაცია შეეხო როგორც შალვას, ასევე ლიპნიცკების ოჯახს და მათ უფლება მიეცათ მშობლიურ მხარეებში დაბრუნებულიყვნენ...

მხოლოდ 1957 წლის შემოდგომაზე მოახერხა თბილისში ჩამოსვლა შალვამ მეუღლესთან და პატარა ქალიშვილთან, ოლგასთან ერთად. მეორე გოგონა, ეთერი უკვე საქართველოში დაიბადა 1958 წელს, 1965-ში კი უმცროსი — ნანა.

...1967 წელს მოულოდნელი სიხარული ეწვიათ: წერილი მიიღეს ავსტრიიდან თამრიკო-სტეფანიასგან, რომელმაც წითელი ჯვრის დახმარებით შეძლო მამის პოვნა შორეულ საქართველოში.

ორი თვის გოგონა, რომელსაც მედალიონი ჰქონდა შებმული მშობლების ვინაობით, უპატრონო ბავშვთა სახლში უცნობმა ქალმა მიიყვანა... რა მოუვიდა ელიზაბეტ ტრამსს, უცნობი რჩება...

12 წლის თამრიკო ავსტრიელების ოჯახმა იშვილა და იგი სტეფანია ულბერტი გახდა. აღმზრდელები მას არ უმალავდნენ ნამდვილი მშობლების ვინაობას.

თამრიკო-სტეფანიამ მეტრეველი იტალიური წარმოშობის გვარად მიიჩნია და მშობლებს იტალიაში ეძებდა. შემდეგ შემთხვევით გაიგო, რომ საბჭოთა ფეხბურთელი სლავა მეტრეველი ქართველია და გაუჩნდა იმედი, რომ ბოლოს და ბოლოს, მამას იპოვიდა...

თამრიკოს წერილმა უდიდესი სიხარული მოიყოლა, გაჩაღდა მიმოწერა. სამწუხაროდ, მატერიალური მდგომარეობა, ჯანმრთელობა და პოლიტიკა ახლობელ ადამიანებს შეხვედრის საშუალებას არ აძლევს...



შალვა მეტრეველის ავსტრიელი ქალიშვილი თამრიკო-სტეფანია

თამრიკო-სტეფანია მეტრეველი-ულბერტი გათხოვილია და სამი შვილი ჰყავს. ვაჟები: რიჰარდი და მიხეილი, ქალიშვილი — ურსულა. ოჯახი მეყვავილეობას მისდევს და სოფელ პირკაში ცხოვრობს, ვენიდან 200 კმ-ის დაშორებით...

> **თამრიკო-სტეფანიამ მეტრეველი იტალიური წარმოშობის გვარად მიიჩნია და მშობლებს იტალიაში ეძებდა. შემდეგ შემთხვევით გაიგო, რომ საბჭოთა ფეხბურთელი სლავა მეტრეველი ქართველია და გაუჩნდა იმედი, რომ ბოლოს და ბოლოს, მამას იპოვიდა...**

შალვა მეტრეველი 1993 წელს გარდაიცვალა და საკუთარი ანდერძის მიხედვით მშობლიურ ონის რაიონში, სოფელ უწერის საგვარეულო სასაფლაოზე განისვენებს. მისი შვილები თბილისში ცხოვრობენ და ავსტრიელ დასთან კონტაქტები აქვთ!.. მხოლოდ მიმოწერა.

P.S. ბატონი პავლე გლუხოვის წიგნის შემდეგ თავებში ავტორის მიერ განვლილ არანაკლებ საინტერესო და უჩვეულო ცხოვრებაზეა მოთხრობილი.

ერთიც, მეტრეველების და გლუხოვების ოჯახს მრავალწლიანი მეგობრობა და ახლობლობა აკავშირებთ.

***ინგა ჯაყელი***






# როცა ილუზია ქრება...

## კვლავ ის ბავშვივით მიამიტი გოგონა მიყვარს...



როდის და რატომ ქრება სიყვარული? ამ კითხვაზე თავისი თავგადასავლის მოთხრობით მიპასუხა ჩემმა ინკოგნიტო რესპონდენტმა მამაკაცმა.

გოჩა ცოლშვილიანია, წარმოშობით ზუგდიდიდან. კარგა ხანია თბილისში ცხოვრობს... ბავშვობისას მთელ ზაფხულს გულრიფშში, დეიდასთან ატარებდა. პირველი სიყვარულიც იქ ეწვია. ცირა ერქვა იმ გოგონას, რომელზე ფიქრშიც ათენ-აღამებდა.

„ცირა ჩემი დეიდაშვილის, ნანას კლასელი იყო. ერთი წლით ვიყავი მასზე უფროსი. ერთ ზაფხულს, მეშვიდე კლასი რომ დავამთავრე, მე და ჩემი ძმა დეიდასთან გაგვისტუმრა დედაჩემმა. ახალი ჩასული ვიყავი, ჭიშკრიდან ძახილი მომესმა. დეიდამ გაიხედა და მითხრა, — ნანას მეგობარია. არა მცალია, გადი და უთხარი, ერთ საათში იქნება შინ-თქო. გავედი. ისეთი ლამაზი იყო, გაოცებისგან პირი დავაღე. მისმა ხმამ გამომაფხიზლა. ნანა მოიკითხა. მივუკიბ-მოვუკიბე რაღაც...

ასე გავიცანით ერთმანეთი.

იმ დღის მერე ცირას გარეშე ფეხბურთის სათამაშოდაც კი არ მივდიოდი. არადა ჩემსავით არავინ თამაშობდა ფეხბურთს. ჩემს მეორე დეიდაშვილს, დათოს, ულტიმატუმივით წამოვუყენებდი, — თუ ცირას წამოიყვანთ, ვითამაშებ თქვენს გუნდში, თუ არადა შინიდან ფეხსაც არ გავდგამ-მეთქი. დათოც გავარდებოდა და ხუთ წუთში ცირას მომირბენინებდა. ნეტავი, გენახათ, რამხელა ენერგია მემატებოდა. ვატყობდი, ცირასაც მოვწონდი. მე კი, 14 წლის ბიჭს, სიგიჟემდე მიყვარდა იგი და არავისთან არ ვმალავდი ამ გრძნობას. მხოლოდ ეგაა, ცირას ვერ ვუტყდებოდი, ვერაფერს ვეუბნებოდი. მეათე კლასში რომ გადავედი, იმ ზაფხულს „ავუხსენი“ სიყვარული. პირობა დავდეთ, როგორც კი უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარებდით თბილისში, იმ წელსვე მოვაწერდით ხელს. სკოლა დავამთავრე. უნდა ვაღიარო, ვიზარმაცე და უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩავირიცხე. მამაჩემმა ხელი დამტაცა და თავის მეგობართან, მოსკოვში წამიყვანა. იოლად ჩავაბარე მოსკოვის ტექნიკურ უნივერსიტეტში, მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტზე. იმ დროს ცირა ჯერ კიდევ მეათეკლასელი იყო. ვანუგეშე და დავაიმედე, რომ ორ წელიწადში საქართველოში დავბრუნდებოდი. შევუდექი სწავლას და მოსკოვურ ცხოვრებას. იმდენი ლამაზმანი ირეოდა ჩემ ირგვლივ, ზოგჯერ თვალებიც კი მიჭრელდებოდა, მაგრამ ცირა ისე მიყვარდა, რომ წუთითაც არ მიფიქრია, მოდი, გავერთობი, რას ვკარგავ, ცირა ხომ მაინც ჩემი იქნება-მეთქი.

ერთი წლის მერე ცირამ მომწერა: თბილისში, უმაღლესში ჩავირიცხე, ბებიაჩემის დასთან ვცხოვრობ და მოუთმენლად გელოდებიო. მოსვენება დავკარგე. აღარაფერი მინდოდა მოსკოვში. გულს ვერ ვუდებდი სწავლას. მამას ვთხოვე, იქნებ ცოტა ფული შემაშველო, რომ აქედან წამოვიდე, მიჭირს აქ გაჩერება-მეთქი. შემომითვალა: გინდა თუ არა, ვერაფერს შეცვლი, ხალხი თავს იკლავს, რომ მოსკოვში მიიღოს განათლება, შენ კი მანდ ხარ და გამოქცევა გინდაო? დავიბოლმე. აღარაფერი მახარებდა. გადავწყვიტე, როგორც კი მეორე კურსს დავხურავდი, ცირა წამომეყვანა ჩემთან, მოსკოვში. ცირას მივწერე, — ივნისის ბოლოს სესიებს ვამთავრებ, ჩამოვალ და ცოლად უნდა გამომყვე-მეთქი. პასუხი აღარ მიმიღია. ვიფიქრე, ალბათ აღარ ჩათვალა საჭიროდ პასუხის გამოგზავნა, რადგან თვე-ნახევარში უნდა ჩავიდე-მეთქი.

ვერ აგიწერთ იმ გრძნობას, რასაც განვიცდიდი მის კართან მდგარი. ასე მეგონა, გული ამომივარდებოდა საგულედან. შინ არ დამხვდა. ბებიამისის და შინ შემიძღვა. სათქმელს თავს ვერ აბამდა. მერე ძლივს ამოღერღა: გოჩა, შვილო, ცირა სოხუმელმა ბიჭმა მოიტაცა ერთი თვის წინ. ყველა შეეგუა ამას. ცირაც დარჩა მასთან. ნუღარ აუწეწავ ცხოვრებას. შენ ყველაფერი წინ გაქვსო... ცოცხალ-მკვდარი წამოვედი. გზაშივე გადავწყვიტე, რომ შინ მისვლამდე გულრიფშში ჩავსულიყავი. ჩემი დეიდაშვილი დათო სოხუმში გავიყოლე და ცირას ახალ ოჯახს მივადექი. ჩემს დანახვაზე გაფითრდა, დაიბნა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა. ქმარი შინ არ იყო. დედამთილს ჩვენი თავი გააცნო, გულრიფშელები არიანო და სუფრის გაშლას შეუდგა. შევაჩერე. ვუთხარი, რომ მე კვლავ მზად ვიყავი ცოლად მომეყვანა. მან ტირილი დაიწყო, ბოლოს თავი გადაიქნია და მითხრა: ყველაფერი გვიანია. მე აქ უნდა დავრჩე. წადი და ნურასოდეს მომიკითხავო. დათომ ხელი მომკიდა და წამომიყვანა... დიდხანს აღარ გავჩერებულვარ ზუგდიდშიც. მალე დავბრუნდი მოსკოვში. ბოლომისგან რას ვაკეთებდი არც მახსოვს. სასმელს მივეძალე. ერთ-ერთი თავყრილობის დროს, ჩხუბი მომივიდა ჯგუფელთან. ჩხუბი დიდ აყალმაყალში გადაიზარდა. დაიჭრა სამი. მე და ჩემი მეგობარი ორი წლით ციხეში ჩაგვსვეს. იქიდან გამოსულმა ძლივს აღვიდგინე თავი სასწავლებელში. უკვე 1993 წელი იდგა. აფხაზეთი დაკარგული იყო. ოთხი წლის მერე დავბრუნდი თბილისში. მუშაობაც დავიწყე და ცოტა ხანში დავოჯახდი კიდეც. შემეძინა ქალ-ვაჟი. თითქოს ცხოვრება ავაწყვე, მაგრამ ცირაზე ფიქრი არ მშორდებოდა. კარგა ხანს არაფერს ვკითხულობდი მის შესახებ. ბოლოს, გული დამელია და ნანას (ჩემს დეიდაშვილს) ჩავკითხე ცირაზე. თურმე, აფხაზეთის ომში მოეკლათ მისი ქმარი. ცირა ცოტა ხანს ფოთში ცხოვრობდა თავის გოგონასთან ერთად, მერე კი თბილისში ჩამოსულა. ახლა მეორე ქმართან ცხოვრობს და თავს ბედნიერად გრძნობსო, — მითხრა ნანამ. თითქოს უნდა გამხარებოდა ცირას კარგად ყოფნა, მაგრამ გული ამოუხსნელი სევდით ამევსო. ცირას კარგად ვიცნობდი. იგი ემოციური ბუნების იყო. ამდენი დანაკარგის მერე ბედნიერი ვერ იქნებოდა და თუკი მეორედ გათხოვდა, ალბათ ისევ შვილის გამო-მეთქი, — ვარწმუნებდი თავს. რახან ცირას ადგილსამყოფელიც დავადგინე, ველარ მოვისვენე და ზედიზედ სამი დღე ვუტრიალე მის სახლს. მეოთხე ცდაზე გამიმართლა. დავინახე თავისი სადარბაზოდან გამომავალი. მანქანით წინ წავედი, მერე გავაჩერე და იქვე, სუპერმარკეტში შევედი, რათა შემდეგ შემთხვევითი შეხვედრა გამეთამაშებინა... სუპერმარკეტიდან რომ გამოვედი, „უნებურად“ შევეჩეხე ცირას. ჯერ დაიბნა, მერე გადამეხვია. კაფეში დავპატიჟე, უარი არ უთქვამს. საღამომდე ვისხედით და ვლაპარაკობდით. მან თავისი ამბავი მიამბო, მე — ჩემი. ორი დღის შემდეგ კიდევ დავთქვით შეხვედრა. მან ლტოლვილთა საერთო საცხოვრებელში მიმიწვია. იქ დედაჩემს ბინა მისცეს, ახლა შინ არ არის, ნათესავს გაჰყვა რაიონში. მთელი ჩემი ბავშვობის დროინდელი სურათები იქ არის და მინდა შენთან ერთად ხელახლა დავათვალიეროო. რაღა თქმა უნდა, სიხარულით გავყევი... ახლაც რომ მკითხოთ, რატომ ხვდებოდი ძველ შეყვარებულს, ის ხომ უკვე ქმარშვილიანია და შენც ოჯახის პატრონი ხარო, გეფიცებით, ვერ გიპასუხებთ. ალბათ ისევ ძველებურად რომ მიყვარდა, იმიტომ, თორემ უხამსი რამ ფიქრადაც არ გამივლია. საერთო საცხოვრებელში რომ შევედით, გული შემეკუმშა. ბავშვები დერეფანში ბურთს თამაშობდნენ. ოთახებიდან გამომავალი სარეცხისა და საჭმლის სუნი ერთმანეთში ისე არეულიყო, სუნთქვაც კი ჭირდა. ოთახში შევედით. ცირამ გასაღებით ჩაკეტა კარი და თავისუფლად ამოისუნთქა. „ესეც ასე!“ — თქვა და გამიღიმა, — ახლა აღარავინ შეგვაწუხებსო. ცოტა ხანს ალბომი დავათვალიერე, გამახსენდა ჩვენი ბავშვობა. გამიკვირდა კიდეც და ვკითხე: იმ ორომტრიალში დედაშენს სად ეცალა სურათებისთვის-მეთქი. თურმე გაცილებით ადრე დაუტოვებია ცირას ოჯახს გულრიფში, ამდენად, ყველა საჭირო ნივთი და დოკუმენტიც თან წამოუღიათ.

უცებ მომინდა, როგორც პატარა ბავშვს, ისე მოვფერებოდი... მან კი, — თუ გინდა, შენი საყვარელი ვიქნებიო, — შემომთავაზა. თვალებში ჩავხედე და მომეჩვენა, რომ ურცხვად მიყურებდა. კი, მაგრამ ქმარს რას ეტყვი-მეთქი, ძლივს ამოვღერღე. ამჯერად გულიანად გაიცინა: — შე სულელო, ქმარი რას გაიგებსო? იცით, რა მომივიდა? თითქოს ყინულიანი წყალი გადამავლეს. ვიჯექი და ხმას ვერ ვიღებდი. „ვინ არის შენი მეორე ქმარი?“ — ვკითხე ბოლოს. მითხრა. უარესი დამემართა. ჩემი მეგობრის ძმას მოუყვანია ცოლად. უთქმელად დავაპირე წამოსვლა. წინ გადამიდგა, — არ გაგიშვებ, საკმარისი დრო ვიცხოვრე უშენოდო... როგორ შეგიძლია ჩემთანაც იყო და ქმართანაც, რამ გამოგცვალა ასე, ასეთი ცხოვრება ხომ ჭაობში ყოფნას ნიშნავს-მეთქი. მივხვდი, კედელს ვაყრიდი ცერცვს... უცებ დავცარიელდი... ის, ვინც მთელი ცხოვრება მიყვარდა, სულ სხვა არსებად მომევლინა... არ შემეძლო ამაზე წასვლა. შეიძლება ბევრმა მამაკაცმა დამცინოს, მაგრამ ასეთები ვერასოდეს დაიტრაბახებენ, რომ ნამდვილი სიყვარული გამოუცდიათ. ვერ გეტყვით, რას ვიზამდი, ცირა რომ ქმარს გასცილებოდა, მაგრამ საქმეც ის გახლდათ, რომ მას გაცილება არ უნდოდა. რა კაცობა იქნებოდა, ჩემი მეგობრის ძმის წინაშე?.. იმასაც ხომ უყვარდა, ხომ ენდობოდა?

დამემსხვრა ოცნებები, გაქრა სიყვარული. მერჩივნა, საერთოდ არ მენახა ცირა, ოღონდ ჩემს მეხსიერებაში დარჩენილიყო იმ ფერიად, როგორადაც მიმაჩნდა მთელი ცხოვრება. შეიძლება, გამამტყუნოთ კიდეც, მაგრამ მე დღეს რეალური ცირა აღარ მიყვარს, მეტიც, ზოგჯერ მის მიმართ სიძულვილსაც კი ვგრძნობ. მიყვარს კვლავ ის ბავშვურად მიამიტი, ლამაზი და ხალისიანი გოგონა, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს აღარ არსებობს. ამიტომაც აღარ მინდა მისი ხმის გაგონებაც კი...“

თავს ნამდვილად ვერ მივცემ იმის უფლებას, რომ ასე გულდამძიმებული და აფორიაქებული ადამიანი გავამტყუნო, არადა საოცარია, ამდენი ხნის ნალოლიავები და ნაფერები სიყვარული ერთი ხელის მოსმით როგორ გაცამტვერდა... მართლაც, დღემდე ამოუხსნელ გრძნობად რჩება ქალისა და მამაკაცის სიყვარული.

***მარინა ბაბუნაშვილი***

**გამოხმაურება**

# პატარ-პატარა ამბები, ანუ როცა ჩვენთან მეგობრობა სურთ...



*...ამ ამბებიდან მკითხველის ფავორიტი აღმოჩნდა მამაკაცი, რომელმაც „უცნობის“ სახელით გამოგვიგზავნა წერილი და რჩევა გვთხოვა („რას მირჩევთ?“ „კვირის პალიტრა“, №40).*

მის სახელზე რამდენიმე წერილი მოვიდა. ვთვლით, რომ საგულისხმო და საინტერესო (თუმცა ურთიერთსაპირისპირო) რჩევებს აძლევენ. არჩევანი მასზეა, ალბათ, რასაც გული უკარნახებს, იმ „რჩევას“ მიიღებს.

„უცნობო მამაკაცო! ყველაზე მეტად შენმა წერილმა ამაფორიაქა. ალბათ ბედნიერ ქალად თვლის თავს შენი ცოლყოფილი, რახან ასე ძალიან გიყვარს. გვეკითხები, — როგორ მოვიქცე, როცა მეორე ცოლი მებრალება, პირველის გარეშე კი სიცოცხლე არ შემიძლიაო. აშკარაა, რომ ბედმა შენი „სასწორი“ მაინც იმ პირველისკენ გადახარა, რადგან მიუხედავად მისი ჭირვეული ხასიათისა, მაინც ის გიყვარს და ვერ ელევი. გასაგებია შენი დარდი და ნერვიულობა, არ გინდა უწყინარ პიროვნებას, შენი შვილის დედას გული ატკინო, მაგრამ გაითვალისწინე ისიც, რომ შებრალებით უფრო შეურაცხყოფილი დარჩება იგი. ქალს საყვარელი მამაკაცისაგან სიბრალული კი არა, სიყვარული ესაჭიროება... ნუღარ იტანჯები. გაუბედე სათქმელი. ალბათ ცოტა ხანს ყველას გაგიჭირდებათ (მორალურად!), მაგრამ მერე დამშვიდდებით. შენ რა გიჭირს? სიყვარულით სავსე გულს დაატარებ, სასურველ ქალსაც უყვარხარ და მეტი რა გინდა?

***„კვირის პალიტრის“ მუდმივი მკითხველი, 34 წლის ეკა“.***

„სინდისნამუსიანი კაცი უღირს საქციელს არ ჩაიდენს. მესმის, რომ ძნელია მხოლოდ მოვალეობით ცხოვრება, მაგრამ ხომ წერ იმასაც, ამ მეორე ქალის მიმართ გულგრილი ვერ დავრჩი და შემიყვარდაო. იცი, რას გირჩევ? განაგდო შენგან ეშმაკეული, რომელიც დღენიადაგ ჩაგჩიჩინებს ოჯახიდან წამოსვლას და გული არ ატკინო მეუღლეს. ის პირველი კი (არ გეწყინოს!), ცოტა უცნაური ვინმე ჩანს. რატომღაც მგონია, რომ თავისი ხასიათის წყალობით კვლავ ახალ პრობლემას შეგიქმნის და დიდხანს არ მოგიწევთ ერთად ყოფნა. დაფიქრდი, ცხოვრებას ხელმეორედ ნუ აიწეწავ.

***ლილი, თბილისი“.***

„კარგა ხნის წინ მეც მინდოდა ჩემი ამბავი მომეწერა თქვენთვის, მაგრამ ვერ შევძელი. ახლა, როცა „უცნობის“ წერილი წავიკითხე, გადავწყვიტე გამოვხმაურებოდი.

„უცნობო“, მეც შენნაირ დღეში ვიყავი ამ 15 წლის წინ და ახლობლების დაჟინებით, ისევ მოვალეობა დავაყენე წინ და ოჯახს „დავუბრუნდი“. სიტყვა „ვნანობ“ იმის ნახევარსაც ვერ გადმოსცემს, რასაც განვიცდი. ახლა უფრო მეტად დავრწმუნდი, რომ გრძნობას გაფრთხილება უნდა. ქალების მეტი რაა ამ ქვეყანაზე, რომლებთან ფლირტის გაბმა საკმაოდ იოლია, მაგრამ იმ ერთხელ მოსულ გრძნობაზე ძვირფასი არაფერია, ამიტომ ნუ შეელევი მას მოვალეობის გამო. ბოლოს და ბოლოს, შენი მეორე ცოლიც დასანანია, მისთვის ხომ ძნელი ასატანი იქნება, როცა ეცოდინება, რომ მასთან „მოვალეობით“ ხარ, სხვა კი გიყვარს.

ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, გირჩევ, იყო იმასთან, ვინც გულით გიყვარს.

***შენი კეთილისმსურველი თამაზი“***

# „— ჩემი მეზობელი ქართველი გოგოები მაგრად ბლატაობენ ქმრებით“

*ბებიებისა და დედებისგან ხშირად მსმენია, — ჩვენი კაცები რუსი ან სლავური წარმოშობის სხვა ქალებს ამჯობინებენ, ჩვენ კი მხოლოდ ოჯახის მოსავლელად, ლამის მოსამსახურეებად ვუნდივართო. კაცები კი გულზე მჯიღს იბაგუნებენ, — ქართველ ქალს ქალი არ სჯობსო; და სანამ ჩვენი ქალ-ვაჟები ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას ცდილობენ, ქართველ ქალსაც და კაცსაც უცხო ტომის სასიძო-საპატარძლო „ეპატრონებიან“.*

**მაკა (ქართველი, 28 წლის):** — სულაც არ მინდა სხვა ეროვნების კაცი ქმრად, მაგრამ ვატყობ, სხვა გზა აღარ დამრჩენია. მაშინ როცა უცხოელი თაყვანისმცემელი, მიუხედავად ჩემი გულგრილობისა, თან მყვება, ქართველი იქით მოითხოვს — რესტორანში დამპატიჟეო. ჩემი „ოპელ-ვექტრა“ არ მოსწონთ — გამოცვალე და რამე კარგი იყიდეო. ოროთახიან ბინას მიწუნებენ თემქაზე — ელიტურ უბანში ცხოვრებას ითხოვენ. ის უფრო მაგიჟებს, დემონსტრაციულად რომ მიცხადებენ, — ქართველი ქალები ქაჯები არიანო. თურმე რატომ, იცით? იმიტომ რომ თავისუფალი სექსუალური ცხოვრების უნარი და სურვილი არ გვქონია და კაცისა თურმე მარტო ქმრობა გვინდა და არა საყვარლობა. მაგათნაირი ან ქმარი ვის სჭირდება, ან საყვარელი?!



**გოგა (ქართველი, 31 წლის):** — გეფიცები, ქართველ ქალზე მეტად ქალი არ მომწონს. მსოფლიო მოვიარე, ათასი ჯურის ქალთან მქონდა კონტაქტი, მაგრამ არც ერთი მათგანის ცოლად შერთვა არ მიფიქრია. მეტყვიან, იმიტომ, რომ ქართველი ქალი ქმრის მონაა, უცხოელს კი შენს ჭკუაზე ვერ ატარებო. არა, გენაცვალეთ, ქართველ ქალზე ჯიუტი, ამაყი და თამამი დუნიაზე ქალი არ არსებობს. ამიტომაც აქვთ განსაკუთრებული ხიბლი, თანაც ძალიან ჭკვიანები არიან. თვალები აქვთ მარტო ერთი ქალის ფასი — ღრმა, ფიქრიანი. მათზე დაკვირვება მას შემდეგ დავიწყე, რაც ჩემმა უცხოელმა ძმაკაცებმა აღტაცებით აღნიშნეს, — ქართველებს რა გოგოები გყავთო!

**ირინა (24 წლის, ქურთი):** — ძალიან მინდა ქართველს გავყვე ცოლად. ლამაზები და ძალიან საყვარლები არიან. ჩვენი ბიჭები უფრო პირქუშები და მკაცრები არიან და ცოლებს მონებივით ექცევიან. ქართველი კი რესტორანში წაგიყვანს, ზაფხულში მთაში და ზღვაზე დაგასვენებს, ჩაცმა-დახურვაში არ შეგზღუდავს, კინოსა და თეატრში სიარულის უფლებას მოგცემს და ბევრი შვილის გაჩენასაც არ მოგთხოვს. მე კი მაგრად ვჩალიჩობ, ქართველ ბიჭს რომ წავყვე, მაგრამ მაინც თავისი ქალებისკენ გაურბით თვალი და გული. არ ვიცი, ამ ცივი და პრანჭია ქალებისა რა მოსწონთ. ყველაფერზე ცხვირს იბზუებენ — აქაოდა, ჩვენ ვართ, რაც ვართო. მე ქართულიც კი კარგად ვისწავლე, ქართველ ბიჭს რომ მოვეწონო.

**ემა (22 წლის, სომეხი):** — დედაჩემი ბავშვობიდანვე მიჩიჩინებდა, — მხოლოდ ქართველს უნდა გაჰყვე ცოლად, თორემ სომხის ხელში ნაადრევად დაჭკნებიო, ბევრ შვილს გაგაჩენინებს, გასუქდები, მერე ქმარსაც აღარ მოეწონები და ზურგს შეგაქცევსო. ახლა ვხვდები, რომ დედა მართალია, ჩვენი მეზობელი ქართველი გოგოები მართლა კარგად გამოიყურებიან, თითო-თითო შვილი ჰყავთ. მოახლეები ემსახურებიან და მაგრად ბლატაობენ ქმრებით, რომლებმაც მანქანები უყიდეს ცოლებს და ისე ექცევიან, როგორც ტოპ-მოდელებს. ერთ ქართველ ბიჭს მოვწონვარ, მაგრამ დედამისი მიწუნებს. ამას წინათ დამირეკა და გამაფრთხილა — თუ ჩემი შვილის გვერდით გავლილი დაგინახე, თმით გითრევო. იმ ბიჭს რომ წავყვე, დედამისი მაინც არ გამახარებს...

**ალა (26 წლის, რუსი):** — რუსები მოდაში აღარ არიან საქართველოში. რუსი ქალი ქართველი ბიჭების თვალში რატომღაც ცუდ რამესთან ასოცირდება. გაცნობის უმალ, ლოგინში გეპატიჟებიან და უარს რომ მიიღებენ, მზად არიან, მაგრად მიგბეგვონ ან სხვანაირად იხმარონ ძალა. ამიტომაც არ მინდა მაგათთან ურთიერთობა. ახლა ბევრი ევროპელი ქალია თბილისში, ქართველი ბიჭები ან მათთან „გულაობენ“, ან სხვა კავკასიელ ქალებთან. ქართველ ქალებს ნაკლებად ჰკადრებენ სხვანაირ რამეებს. ეგენი უფრო ცოლებად უნდათ. დედაჩემისგან და ბებიისგან ვიცი, რომ ქართველი კაცები თურმე წინათ კარგები იყვნენ, ძალიან თბილები და ალერსიანები. ახლა კი საძაგელი ბიჭები ჰყავთ ქართველებს. ზოგჯერ ისე იქცევიან ქალთან, მამაკაცის სახსენებელს შეგაძულებენ.

***ეკა ლომიძე***



მექსიკელი კომპოზიტ. გიტარისტი მომღერალი

სიყვარულის ძველი ინდური ტრაქტატი

პულსის გასასინჯი ადგილი ხელზე

ჩრდილოეთი მეზღვაურისთვის

სულხან-... ორბელიანი



ქართული მისალმება

სამაგიდო თამაში

იაფფასიანი ადგილები თეატრში

ძილისპირული / პირის ნაცვალსახ.

ბრიუს უილისის ყოფილი ცოლი

სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში

ქმარი ცოლის ნათესავებისთვის

ძაღლის ნუგბარი

მამასახლისი „შესანიშნავი შვიდეულიდან“

„სამი მეგობარი“ (მწერალი)

ატმოსფერული ნალექი

საუკეთესო ხარისხის ქაშაყი

საქონლის ხიმძიმე / ...ოლის მკვლელობის ადგ.

გერმანული პარფიუმერიის სერია

დე გრიეს სატრფო ... ლესკო

საუკეთესო ხარისხის ბროლი

ამ ნავით სენკევიჩმა იმოგზაურა

შემოქმედ. დამოუკიდ. არმქონე / ჯილდო

... კაპონე

ნათელმხილველების მდგომარეობა



ძვირფასი ქვა

... ბესინჯერი

ფრანგული სუნამო და შრატი ინდოეთში

ფრანგული ბალნეოლოგიური კურორტი

ქართული სამარკო თეთრი ღვინო

ანანიაშვილი, როგორც ბალერინა

მასზე ინდიელებიც ნადირობდნენ

შეჯიბრი „პარიზი-დაკარი“

საზოგადოებრივი ბაღი

რუსი პოეტი ... კაზაკოვა

დამხმარე ხელოვნური ენა

ამერიკელი მსახიობი ... გარდნერი

ალ პაჩინოს წოდება „ქალის სურნელში“

რუსი მომღერალი ქალი

სურათი კედელში

წვეთოვანი მილი

ბიზანტიელი მხედართმთავარი

გაწელილი წრეხაზი

სასწორის თეფში

ყაჩაღი გურიაში

„არ იდარდო“ (მსახიობი)

საუკეთესო თიხა ფაიფურისთვის

თავის ცალი მხარის ტკივილი

უნგრული ფული

ბერძნული ასო / ... დე ჟანეირო

კონუსის მაგვარი ქუდი აზიაში

ჟირარდოს პარტნიორ. ფილმში „შინაბერა“

ვიქტორია ადამსის კოლეგა

მდინარე ქუთაისში / ავსტრიის დედაქალ.

ოსკარ უაილდის პერსონაჟი

გადამდნარი კარაქი

პიტალო, ფრიალო მაღალი კლდე

ცხენების სვლათა ერთობლიობა

მომცრო საზიდარი

ნოტი / კარგი ცხენი



მიდამო, არემარე

ბერძნული ცეკვა



ფრანგი მოდელიერი / ძვ. ფრანგული ფული

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. „კარმენი“; 2. ცილა; 3. რამშტექსი; 4. ემა; 5. ვერიკო; 6. ქოსა; 7. ქალამანი; 8. ტრამალი; 9. ნევიო; 10. ენტონი; 11. ლავა; 12. მენტონა; 13. ია; 14. ნო; 15. პი; 16. ტონა; 17. დღე; 18. ქვირითი; 19. მინოსი; 20. ივო; 21. ენა; 22. იო; 23. სენა; 24. ლეა; 25. ტილი; 26. სია; 27. ოსპი; 28. ილიონი; 29. ლეჩე; 30. ბალეტი; 31. მილიცია; 32. პლაცი; 33. სერია; 34. მესა; 35. „პორშე“; 36. საჩინო; 37. კუმშვა; 38. „კენტი“; 39. წაბლი; 40. ბრენდი; 41. სუ; 42. პუასონი; 43. მოახლე; 44. კაი; 45. ზირა; 46. ანი; 47. „სონი“; 48. ნიავი; 49. იმოლა; 50. „იროკეზი“; 51. ოტსი; 52. შინდი; 53. გი; 54. ტასიკო; 55. ელიბო; 56. მრე; 57. ემრე; 58. იაბო; 59. გე; 60. ნიტრატი; 61. იმაგო; 62. გრო; 63. იაკი; 64. ბოისა; 65. გეტრი; 66. რო.

1. ოქტომბრის დღესასწაული გერმანიაში; 2. „ვალენტინო“ ყველას უხდება; 3. ტესტი; 4. გიგანტომანია; 5. იოგის რბილი სარეცელი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

CMYK

# ქართველი «გლადიატორი» ინგლისის სიამაყეა

**— ამ რამდენიმე ხნის წინ გახლდით ინგლისში. სრულიად შემთხვევით გაზეთში ჩვენი თანამემამულის, თენგიზ თედორაძის შესახებ წავაწყდი ინფორმაციას. იგი სპორტსმენია და რამდენიმე წელია ინგლისში ცხოვრობს. იქნებ უფრო ვრცლად მოგვითხროთ მის შესახებ.**

***მიხეილ სესიაშვილი***



— თენგიზ თედორაძე, ცნობილი მოჭიდავე იყო, სხვადასხვა დროს გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი, ასევე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი. არის ევროპის საუკეთესო მოჭიდავის ქამრის მფლობელი — პროფესიონალურ რინგზე 10 ბრძოლიდან 10 მოგება!

უკვე 4 წელია, რაც ქართველი სპორტსმენი ინგლისშია გადახვეწილი. თენგიზს ინგლისელები გლადიატორს უწოდებენ. ბოლო 10 წელია, რაც მან სპორტის ურთულესი სახეობა — ბროულინგი აირჩია. ბროულინგი შეიცავს კიკბოქსინგისა და ტაიკვონდოსგან განსხვავებულ დისციპლინებს — ბრძოლას წესების გარეშე. თენგიზ თედორაძე 35 წლისაა, ჰყავს მეუღლე თეონა და 4 წლის ვაჟი. ბრიტანეთის ბროულინგის უმაღლესი ტიტულის მფლობელი პარალელურად ბარსლის წამყვანი სარაგბო გუნდის რიგითი მოთამაშეა და მრავალი გულშემატკივარიც ჰყავს.

# იქნება თუ არა თორმეტწლიანი სწავლება?

**— ამბობენ, რომ საქართველოს ახალი კანონით „განათლების შესახებ“ სწავლება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თორმეტწლიანი გახდება. რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს და თუ სწორია, როდიდან შევა აღნიშნული კანონი ძალაში?**

***ანა ქუთელია***

კითხვაზე უპასუხებს **ლევან გახელიძე,** საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხების კონსულტანტი.

— საკითხის ასე დასმა ნაადრევია, ვინაიდან ამჟამად ინტენსიური მუშაობა მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის განკუთვნილ სასწავლო გეგმებისა და პროექტების შედგენაზე მიმდინარეობს. თორმეტწლიანი სწავლების საკითხს საერთოდაც არ ითვალისწინებს განათლების რეფორმა ამ ეტაპზე. ამდენად, წინასწარ იმის თქმა, თუ როდის იქნება და საერთოდაც იქნება თუ არა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თორმეტწლიანი სწავლება, შეუძლებელია. ამჟამად საკითხი განიხილება მხოლოდ მეცნიერული ვარაუდის დონეზე.

# სიტყვათა კონა

**დასტამბო** (სპ.) — ნესვის სახესხვაობა; ნაყოფი ჩვეულებრივ პატარაა, მრგვალი ზოლებიანი, მეტად სურნელოვანი, მაგრამ ნაკლებად ტკბილი (სინონიმი პუმპულა).

**დასტაქარი** (სპ.) (ძვ. და წიგნ.) — იგივეა, რაც ქირურგი.

**დასტური** (ძვ.) — ფშავ-ხევსურეთში — ხატის მსახური, რომელსაც ლუდის ხარშვა ევალებოდა სალოცავში. იგი დეკანოზს ეხმარებოდა აგრეთვე საკლავის დაკვლასა და ხორცის განაწილებაში.

**დაფალნული** — რასაც ძველი რამ აფარია.

**დაფარნა** (ეკლ.) — ბარძიმ-ფეშხუმის დასაფარებელი ქსოვილი (ზოგჯერ ნაქარგი).

**დაფიონი** (წიგნ.) — ცის კიდურის ალისფრად შეღებვა მზის ამოსვლის წინ; განთიადი.

**დაქიმითებული** (საუბ.) — ძალიან დამშეული ან მოწყურებული; სასმელს ან საჭმელს დახარბებული.

**დაყაჭავს** (საუბ.) — 1. ფულს ამოიღებს, ფულს ჩამოვა (სურვილის წინააღმდეგ). 2. გადატ. ყველაფერს იტყვის, გაამჟღავნებს.

**დაშაშრული** — დასერილი; დახეთქილი.

**დახლაბურთი** — საბავშვო ბურთის თამაში ერთგვარი.

**დაიხულუზნებს** (კუთხ.) — ფრთებშეკუმშული სწრაფად დაეშვება (არწივი დ.).

**დაჯორჯვილი** (საუბ.) — 1. უხეიროდ დახვეული (ძაფი, თოკი და მისთ.) 2. ვისაც ბევრი აცვია უწესრიგოდ, აჩაჩულ-დაჩაჩული.

**დაჯორჯებული** — 1. დაკორძებული, დასივებული, შეშუპებული. 2. უშნო, დანაოჭებული (სახე).

**დგვიფი, დგვიფინა** — წყალნარევი, წყლიანი ღვინო.

**დედოფალა** — პატარა მტაცებელი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა, — თრითინა, სინდიოფალა.

**დეკადა** (ფრ. ბერძ.-დან) — 1. ათდღიანი დროის მონაკვეთი. 2. ხელოვნების ამა თუ იმ დარგის საზოგადოებრივი დათვალიერება, რომელიც 10 დღე გრძელდება.

# უსინათლო ანდრეა ბოჩელი ერთნაირად ხიბლავს კლასიკური მუსიკის ფანებსა და ცხვირგახვრეტილ ტინეიჯერებს

**— ძალიან გვიყვარს უსინათლო მომღერალი ანდრეა ბოჩელი, მაგრამ არაფერი ვიცით მის შესახებ. იქნებ თქვენ მოგვითხროთ.**

***ქეთი და მარი სიორიძეები***



— იტალიელი საოპერო მომღერალი ანდრეა ბოჩელი დაიბადა 1958 წელს, ტოსკანის პროვინციაში. ამ უსინათლო მომღერალმა გასაოცარი ნიჭისა და თანდაყოლილი მშვენიერი ხმის წყალობით პოპულარობა მოიპოვა როგორც ევროპაში, ასევე ამერიკაში.

ანდრეა ბოჩელის ოჯახს საკუთარი ფერმა ჰქონდა და უფროსებს ნაკლებ აინტერესებდათ მისი მუსიკალური განათლება. თუმცა, 6 წლისას ფორტეპიანოს შესწავლა დაუწყია, ხოლო მოგვიანებით ფლეიტასა და საქსოფონზე დაკვრასაც დაუფლებია. ბავშვობიდანვე უჩიოდა მხედველობას, 12 წლის ასაკში კი უბედური შემთხვევის შედეგად დაბრმავებულა. ბოჩელი თავდაპირველად მუსიკას არ აღიქვამდა როგორც პროფესიას. მან დაამთავრა პიზის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თუმცა დოქტორის ხარისხი ვერ მიიღო. სწორედ ამის შემდეგ დადგა ბოჩელისთვის „დღის წესრიგში“ მუსიკა. მშვენიერი ხმის პატრონი „შეგირდად“ ცნობილ ტენორს, ფრანკო გორელის დაუდგა. პარალელურად მაესტროსთვის გადასახდელ ფულს სხვადასხვა მუსიკალურ ჯგუფში ფორტეპიანოზე დაკვრით შოულობდა.

ბოჩელის, როგორც მომღერლის სერიოზული დებიუტი 1992 წელს შედგა, როდესაც მან პავაროტისთან ერთად ჩაწერილი სიმღერით „MURERE“ პრესტიჟულ კონკურსში გაიმარჯვა. ამას მოჰყვა დუეტები ბრაიან ადამსთან, ნენსი გუსტავსთან. 1995 წელს კი ევროპის ქვეყნებში ტურნე და სახალხო აღიარება. 1994-96 წლებში გამოსულ ალბომებში იგი მხოლოდ კლასიკურ სიმღერებს ასრულებდა, ხოლო 1997 წლიდან კლასიკას უკვე პოპმუსიკის ელემენტები ემატება. იგი ერთადერთი მომღერალია, რომელმაც კლასიკური სიმღერის პოპმუსიკასთან შერწყმა მოახერხა, თანაც ისე ოსტატურად, რომ მას არა მხოლოდ ცხვირგახვრეტილი და ჭიპგადმოგდებული ტინეიჯერები უსმენენ, არამედ თვით კლასიკური მუსიკის მოყვარული, სერიოზული ასაკისა და გემოვნების ადამიანები.

# ირაკლი გოგავამ არ იცის, სად მუშაობს მისი სასიმამრო

**— ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ ირაკლი გოგავა დაინიშნა. ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ვკითხულობ მასთან ინტერვიუებს, თუმცა, როგორც ჩანს, ყოველთვის გულწრფელი როდია. იქნებ ამჯერად მაინც გვითხრას სიმართლე, თუ ვინ არის მისი რჩეული. ამბობენ, რომ იგი ბანკირის ქალიშვილია.**

***ირაკლი ღოღობერიძე***



კითხვაზე უპასუხებს **ირაკლი გოგავა.**

— დავინიშნე? რას ამბობთ, რომელი საუკუნეა? თუ არ ვცდები, უკვე 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ და სულაც არ არის აუცილებელი ასეთი ადათ-წესები გაითვალისწინო. რაც შეეხება ჩემს რჩეულს — ეკას, იგი 18 წლისაა, გვარად კერესელიძე, მე-2 კურსის სტუდენტი. სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ბოლო შეკითხვა კი, გულწრფელად გეტყვით, ვერ გავიგე. ჩემი მომავალი სიმამრი მართლაც მუშაობს ბანკში, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, რომელ ბანკში და რა თანამდებობაზე(?!). რაც შეეხება ჩვენს ქორწინებას, ჯერ არ შევუღლებულვართ. გადავწყვიტეთ, რომ არჩევნების ციებცხელებას დაველოდოთ და შემდეგ ვიქორწინოთ, რადგანაც იმედია ქვეყანაში არჩევნების შემდეგ მეტ-ნაკლებად სიწყნარე დამყარდება.

# «დიდი რვიანის» ლიდერთა ხელფასები

**— ადრე თქვენს რუბრიკაში ამოვიკითხე ჩვენი პრეზიდენტის წლიური ხელფასი და გულწრფელად შემებრალებოდა, საქართველოში რომ არ ვცხოვრობდე და კარგად არ ვიყო გარკვეული ჩვენი მთავრობის ხრიკებში, დავიჯერებდი კიდეც. გამიჩნდა სურვილი, გავიგო სხვა სახელმწიფოთა მეთაურების ხელფასები. იქნებ გვიპასუხოთ.**

***ლუიზა ბაღაშვილი***

გთავაზობთ „დიდი რვიანის“ ლიდერთა ხელფასების ნუსხას (მითითებულია წლიური ხელფასი)

| | | |
|---|---|---|
| 1. | აშშ-ის პრეზიდენტი | 400.000 დოლარი |
| 2. | იაპონიის პრემიერ-მინისტრი | 45 მლნ იენი (378.087$) |
| 3. | ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი | 171.544 გირვანქა სტერლინგი (274.486$) |
| 4. | გერმანიის კანცლერი | 206.243 ევრო (219.648$) |
| 5. | კანადის პრემიერ-მინისტრი | 207.050 კანადური დოლარი (176.500$) |
| 6. | იტალიის პრემიერ-მინისტრი | 90.000 ევრო (95.850$) |
| 7. | საფრანგეთის პრეზიდენტი | 78.310 ევრო (83.400$) |
| 8. | რუსეთის პრეზიდენტი | 756.000 რუბლი (23.000$) |

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის წლიური ხელფასი 4.800 ლარია (ანუ დაახლოებით 2.285 დოლარი).

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**




მიიღე საუკეთესო
აქცია
10
30
MonteCarlo
39-14-91

# მედიცინა


## განუხებთ სახსრები?

## მიიღეთ გლუკოზამინი

*ნატურალური ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება*




- საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს დაავადებულ სახსრებში და აუმჯობესებს მათ მოძრაობას.
- ამცირებს სახსრების ანთებას და მის თანმხლებ პროცესუალურ სიმპტომებს.
- ხელს უწყობს სახსრების ხრტილოვანი ნაწილის აღდგენას.

ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იკითხოთ გაზეთ "ჯორჯიან ტაიმს"-ში – "ნუტრიმენტ ჰაუსი"-ს გვერდზე.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე კვირის გარდა 10.00 - 18.00
www.shopge.com


## ნოხში უამრავი ტოქსიკური ნივთიერება იბუდებს

ფხვნილები, სითხეები, პასტები... ადრე თუ გვიან მათი ნაწილი ნოხებში იდებს ბინას. ერთ კვმ ნოხში ინგლისელმა ტოქსიკოლოგებმა 1გ პერმეტინი აღმოაჩინეს, რაც დასაშვებ ნორმას ბევრად აღემატება, გარდა ამისა, ნოხებზე ილექება დუსტი, ნიკოტინი, ბენდოპირენი, კანცეროგენები და სხვა მობუდედ იქცეს და ისეთი მძიმე დაავადებები გამოიწვიოს, როგორიცაა ბრონქიალური ასთმა, ალერგიები და კიბოც კი. უხმარი ნოხი უვნებელია. ოჯახურ „ჩერნობილად“ მას, შემდეგ ჩვენ თვითონ ვაქცევთ და ამაში შინაური ცხოველებიც — კატები და ძაღლები გვეხმარებიან, რომლებსაც ქუჩიდან თათებით შემოაქვთ უამრავი ბაქტერია და მომწამლავი მტვერი. ამას ემატება საყოფაცხოვრებო ქიმიის ნარჩენები და ათასნაირი პრეპარატები, რომელთაც სისუფთავის დასაცავად და მწერების გასანადგურებლად ვიყენებთ — მწამლავი ნივთიერებანი, რომლებიც განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისათვის, რადგან მათ გაცილებით მცირე წონა აქვთ. ამასთან, ბავშვებს ჯერ კიდევ არა აქვთ გამომუშავებული იმუნიტეტი ამ ტოქსინებისაგან დასაცავად. მართალია, ხშირი ბერტყვა და მტვერსასრუტის გამოყენება საკმაოდ ასუფთავებს ნოხებს, მაგრამ ამ პრობლემას ვერ შველის. ჩვენ ხომ მუდმივი ურთიერთობა გვაქვს ქუჩასთან და ბაქტერიები და ტოქსინები ყოველდღიურად შემოგვაქვს ბინაში.



ნოხი და ფარდაგი ოჯახში შეიძლება ტოქსიკური ნივთიერებების

***მირ ნოვოსტეი №39***

## მაღალ წნევას შოკოლადი მიაგანეთ

ჰიპერტონიისათვის სასიამოვნო და ტკბილი წამალი არსებობს, განაცხადეს გერმანელმა მეცნიერებმა. პაციენტებს, რომელთაც ზომიერი ჰიპერტონია აქვთ, ექიმები ორი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად 90გ შოკოლადის მირთმევას ურჩევენ.

ექსპერიმენტში მონაწილეობის სურვილი 130-მა მამაკაცმა გამოთქვა. მათ ერთ ნაწილს თეთრი, ხოლო მეორეს — შავი შოკოლადი შესთავაზეს. მათ, რომლებიც შავ შოკოლადს მიირთმევდნენ, სისხლის წნევა ოდნავ დაუქვეითდათ, თეთრშოკოლადიანებს კი, უცვლელი დარჩათ.

მეცნიერებმა ეს ფაქტი იმით ახსნეს, რომ შავ შოკოლადში მცენარეული წარმოშობის ნივთიერებები შედის — მათ პოლიფენოლამებს უწოდებენ. სწორედ ისინი ზემოქმედებენ სისხლის წნევაზე. „მიუხედავად ამისა, ჰიპერტონიკები ნუ აჩქარდებიან და ტკბილ „წამალს“ ნუ დაეხარბებიან. ყველაფერში ზომიერება არის საჭირო და თანაც, ჯერ უამრავი კვლევაა (ამ სფეროში) ჩასატარებელი,“ — მიაჩნიათ მეცნიერებს.

***მედიცინსკაია გაზეტა***

## მხოლოდ ნატურალური წვენი გარგებთ



**გოგრა** ძალიან სასარგებლო დიეტური და სამკურნალო პროდუქტია, მდიდარია პექტინებითა და ასკორბინის მჟავით. *ღვიძლის დაავადებების, უძილობის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევისას* დღეში სამჯერ უნდა მიიღოთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა გოგრის წვენი, *თირკმლებში ქვებისა და შარდის ბუშტში კენჭების* დროს — დღეში 3-ჯერ თითო ჭიქა. მკურნალობის კურსი 10 დღეა. მამაკაცებმა, რომლებსაც აწუხებთ *პროსტატიტი*, 2-3 კვირის მანძილზე ყოველდღე უნდა სვან თითო ჭიქა გოგრის წვენი. იმავე თვისებებისაა **ყაბაყისა და პატისონის წვენი**. C ვიტამინი მათში გოგრაზე ორჯერ მეტია.

**უმი კარტოფილის წვენით** მკურნალობენ გასტრიტს, კოლიტს, კუჭის წყლულს, თორმეტგოჯა ნაწლავს; ის დაბლა სწევს სისხლის წნევას, სტაფილოს წვენთან შერეული კი წმენდს ორგანიზმს.

*გასტრიტის* დროს, როცა მომატებულია მჟავიანობა, დალიეთ ნახევარი ჭიქა წვენი დღეში 2-3-ჯერ, ჭამამდე 20 წუთით ადრე. მკურნალობის კურსი — ერთი თვეა. კარტოფილის წვენს მიაყოლეთ ნებისმიერი ხილის წვენი.

**ბრიუსელის კომბოსტოსა და პარკი ლობიოს** წვენი შეიცავენ ელემენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინსულინის გამოყოფას. ერთ ულუფას სჭირდება 500 გ გასაჩურჩი ლობიო.

**ტომატის წვენი** შეიცავს აქტიურ ანტიოქსიდანტებს, ასკორბინის მჟავას, რკინას და კაროტინს. ტომატის წვენს ნიშნავენ *ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, კუჭის, გულის დაავადების და ზედმეტი წონის დროს.* ის არის ანთებსაწინააღმდეგო და შარდმდენი საშუალება. მიირთვით კვირაში ერთხელ 200 გ.

**ჭარხლის წვენის** მიღება იწყება მინიმალური დოზით და თუ არ იქნება უკურეაქცია, შეიძლება დოზის მომატება. წითელი ჭარხლის წვენი აუმჯობესებს სისხლძარღვების მუშაობას, საჭმლის მონელებას, აწესრიგებს სისხლის წნევას. *სურდოს* სამკურნალოდ ნესტოში უნდა ჩაიწვეთოთ 5-7 წვეთი ჭარხლის წვენი 3-5-ჯერ დღეში. ძალიან სასარგებლოა ჭარხლის წვენისა და თაფლის ნარევი *სტენოკარდიის* დროს. უნდა მიიღოთ 1-2 სუფრის კოვზი 3-5-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. *სისხლის გასაწმენდად* ურევენ ჭარხლისა და სტაფილოს წვენებს. იგი უნდა მიიღოთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე 100-150 გ 2-3-ჯერ დღეში. კურსი — 20 დღეა.

**კომბოსტოს წვენით** მკურნალობენ *კუჭის წყლულს, გასტრიტს, დაბალ მჟავიანობას, ღვიძლს.* სვით თითო ჭიქა 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე 20-30 წუთით ადრე. შესანიშნავია კომბოსტოს წვენი წონის დასაკლებად, ყაბზობის დროს.

**კიტრის წვენი** შესანიშნავი შარდმდენი საშუალებაა, სტაფილოს წვენთან ერთად, ეფექტურია რევმატიული დაავადებების დროს, ჰიპერტონიისას. აუმჯობესებს კბილების მდგომარეობას, რეკომენდებულია თმის ცვენისას. მწვანე ბულგარული წიწაკისა და სტაფილოს წვენის ნარევი (1:4) ხელს უწყობს ფრჩხილებისა და თმის ძირების გამაგრებას. წმენდს ორგანიზმს წიდებისგან.

**ნიახურის წვენი** უხვად შეიცავს კალიუმის მარილებს, მაგნიუმს, რკინას, რომლებიც დადებითად მოქმედებენ გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემაზე, სისხლის წარმოქმნაზე. არის შესანიშნავი, შარდმდენი საშუალება, სასარგებლოა ზედმეტი წონისა და ნევროზების დროს. სასარგებლოა პიელონეფრიტის, ცისტიტის, პროსტატის დროს. მიიღეთ ერთი სუფრის კოვზი თაფლთან ერთად, 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

***ოჯი***


## პირველად საქართველოში!

**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: **99 64 99**
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
**ანონიმურობა დაცულია!**



*თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის*

**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**

შეიძინეთ!!!
- აპარატები
- ტესტ-ჩხირები
- ერთჯერადი ნემსები
- ავტომატური საჩხვლეტი



შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03
899-19-60-55

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

## კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:

- **დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;**
- **ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;**
- **სამეანო განყოფილებას;**
- **ახალშობილთა განყოფილებას;**
- **გინეკოლოგიურ განყოფილებას;**
- **თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);**
- **ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია – ლაპარასკოპია);**
- **სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;**
- **რეაბილიტაციის სამსახურს(ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).**

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და სამშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

**ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.
მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით.
მადლობას გიხდით ნდობისთვის.**

*მის: ცოტნე დადიანის №255
(ყოფ. I სამშობიარო სახლი)
☎ 66-73-70 71 72 73 74*



ერაყი

# ამერიკელი სერჟანტები ერაყელ ქალებს ირთავენ

ამერიკელი ქალბატონი ძალიან გაახარა მისი 27 წლის ვაჟის დაქორწინებამ. სინ ბლეკვე-



ლი ამერიკის ჯარის სერჟანტია და ამჟამად ერაყში იმყოფება. დედას არ აღელვებს, რომ რძალი მუსლიმანი ჰყავს, სამაგიეროდ, ჯარის უფროსებს არ ეჭაშნიკებათ ეს ამბავი.

სინ ბლეკველი ერთადერთი ამერიკელი სერჟანტი არ არის, ვისი გულიც ერაყელმა მზეთუნახავმა დაიპყრო. 37 წლის ბრეტ დაგენმაც დაარღვია ხელმძღვანელობის საგანგებო განკარგულება, მუსლიმანობაც მიიღო და ერაყელი ქალიც ითხოვა. ახლა გამუსლიმანებული სერჟანტები თავიანთ სამშობლოში უპირებენ ცოლებს გაგზავნას, მაგრამ სამხედრო ხელმძღვანელობა წინააღმდეგია. ერთი მხრივ, გენერლებმაც რა ქნან! ერაყში გამეფებული ანტიამერიკული განწყობის ფონზე ორი ოფიცრის დაქორწინება და გამუსლიმანება კარგის ნიშანი არ უნდა იყოს. აშშ-ის კონტინგენტის ეს ორი, „არასაბრძოლო" დანაკარგი ყირაზე აყენებს თავად სამხედრო კამპანიის აზრს.

ბლეკველის მეუღლე ექიმია, მაგრამ ჯერჯერობით თარჯიმნად მუშაობს ბაღდადის ერთ-ერთ ამერიკულ ფირმაში. ის დედამთილს სწერს, — არავის გაუმხილოთ ჩემი გვარი, შესაძლოა უსიამოვნება შეგვხვდეს. სინის უფროსები ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩვენი ქორწილის ჩაშლას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათო. სინის დედა ამბობს, — ორივე სერჟანტს ეკრძალება ელექტრონული ფოსტით სარგებლობა ოჯახთან დასაკავშირებლად. ამას ჰქვია თავისუფალი ამერიკის შეერთებული შტატები, ეს არის ადამიანის უფლებების დაცვა?

მეორე სერჟანტის ცოლიც მედიკოსია. ბრეტის დედა, ლაურა ვარენი, აცხადებს, — ჩემმა შვილმა იმიტომ აღიარა ისლამი, რომ სხვანაირად მუსლიმანს ვერ შეირთავდაო. ახალდაქორწინებული სერჟანტები სექტემბრის დამლევს სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ უფროსების ბრძანებით, კიდევ ერთ წელიწადს დარჩებიან ერაყში.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №219*

ახლო აღმოსავლეთი

# სირიას ისრაელის არ ეშინია

სირიას ისრაელთან ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. თუმცა არაბეთ-ისრაელის ომი 30 წლის წინ დამთავრდა, შეიარაღებული შეტაკება მათ შორის დროდადრო ახლაც ხდება. ასე რომ, ავიადარტყმას, რომელიც ისრაელის სამხედრო საჰაერო ძალებმა ცოტა ხნის წინ მიაყენეს სირიაში განთავსებულ ბანაკებს, დიდად არავინ გაუკვირვებია.

სირიელებისთვის თვალსაჩინოა ერაყის მაგალითი, რომელმაც მოურიგებლობის გამო ბევრი დაკარგა. ამიტომ ცდილობენ, მაქსიმალური სიმშვიდე შეინარჩუნონ. ბოლო ავიადარტყმასთან დაკავშირებით რეზოლუციის პროექტიც კი, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს შესთავაზეს, დიდი სიმკაცრით არ გამოირჩეოდა. მასში მხოლოდ ჩვეულებრივი მოთხოვნა იყო — გაეკიცხათ ისრაელის ხელისუფლება, რომელიც არაფრად აგდებს გაეროს წესდებას და საზოგადოებრივ აზრს. გაეროში აშშ-ის ელჩის, ჯონ ნეგროპონტეს მინიშნებას — რეზოლუციის ტონი კიდევ უფრო შეარბილეთო, სირია მაშინვე დათანხმდა. დამასკი დიდი ხანია არ ყოფილა ასეთ მძიმე სტრატეგიულ მდგომარეობაში, როგორშიც ახლაა. ქვეყნის ახალგაზრდა ლიდერს, ბაშარ ასადს შავი დღე უდგას, მას მასობრივი განადგურების იარაღის შექმნასა და საერთაშორისო ტერორისტების მხარდაჭერაში ადანაშაულებენ. ეს კი, ფაქტობრივად, ქვეყანაში არსებული რეჟიმისადმი სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ნიშნავს. ამას ისრაელი კი არა, შეერთებული შტატები აღასრულებს, მით უმეტეს, რომ მეზობელ ერაყში 150 ათასი ამერიკელი სამხედროა თავმოყრილი.

*ნიუს.რუ*

# სომხებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სომხეთის პრეზიდენტს, რობერტ ქოჩარიანს, ძალიან გაუკვირდა, როცა გაიგო, სომეხთა მსოფლიო შეკრება მოსკოვში იმართებაო. დარწმუნებული იყო, ყრილობა სომხეთში ჩატარდებოდა. მოსკოვში ცხოვრობს რუსეთის სომეხთა კავშირის პრეზიდენტი არა აბრამიანი, რომელსაც, როგორც ამბობენ, სომხეთის პრეზიდენტობაზე უჭირავს თვალი.

რობერტ ქოჩარიანს ყრილობაში მონაწილეობის დიდი სურვილი იქნებ არც ჰქონდა, მაგრამ იცოდა, რომ მას ვლ. პუტინი დაესწრებოდა და ცხადია, თავისი იქ არყოფნით კოლეგას უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა. პუტინი პარტია „რუსის" ყრილობას არ დასწრებია და საკითხავია, რატომ გამოიჩინა ამხელა ყურადღება სომეხთა შეკრების მიმართ? შესაძლოა, იმიტომაც, რომ ნიჭიერი ორგანიზატორის, როგორც სომხეთის, ასევე რუსეთის დიდი პატრიოტის, არა აბრამიანის წყალობით, რუსულმა ბიზნესმა უკვე მოახერხა სომხეთის რამდენიმე მსხვილი საწარმოს პრივატიზება და ახლაც აგრძელებს... კრემლი დარწმუნებულია, რომ აბრამიანი რუსეთს კვანტს არ გამოსდებს და გარკვეული დროის შემდეგ თავისი სამშობლოს კარგი პრეზიდენტი დადგება. ყრილობაზე გამოსულმა რობერტ ქოჩარიანმა სინანულით თქვა, — სომხები მთელ მსოფლიოში არიან გაბნეულნი, მათი შეკრება მხოლოდ სომხეთის ეროვნული დროშის ქვეშ შეიძლებაო. რუსეთის პრეზიდენტმა იმით დაიწყო, რომ ქოჩარიანისგან განსხვავებით, დარბაზს სომხურად მიესალმა... ამ წუთიდან ოვაცია თითქმის არ შეწყვეტილა. რუსეთის პრეზიდენტმა ისიც თქვა, — ძალიან გამიკვირდა დარბაზში იგორ ივანოვის დანახვა, ვკითხე, — აქ რას აკეთებთ, თქვენ ხომ ქართული ფესვი გაქვთ-მეთქი. მიპასუხა, — რუსეთის მთავრობაში კავკასიური ეროვნების ყველა პირს წარმოვადგენო... აშშ-ის სომეხთა დელეგაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, — ყარაბაღის ომმა გვიჩვენა, რომ ჩვენ, სომხებს, მეტის მიღწევა შეგვიძლია და საამისოდ უნდა დავირაზმოთო.

*კომერსანტი №181*

# პოლონური ვენდეტა

საფრანგეთ-პოლონეთის ურთიერთობა ისევ დაიძაბა. პოლონელმა სამხედროებმა ერაყში აღმოაჩინეს და გაანადგურეს ოთხი უახლესი ფრანგული რაკეტა „როლანდი", — განაცხადა პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა. ამ განცხადებამ მეტისმეტად განარისხა საფრანგეთის პრეზიდენტი. პოლონელ სამხედროებს ჯერ უნდა გაერკვიათ, რომელ წელს იყო დამზადებული ეს რაკეტები და მერე ელაპარაკათო, — თქვა შირაკმა.



პოლონელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს ფრანგების არგუმენტს, მხოლოდ სინანული გამოთქვეს „შეცდომის" გამო, მაგრამ უკვე გვიანი იყო, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ საერთაშორისო ვითარებას. შეერთებულმა შტატებმა აქამდე ვერ აპატია საფრანგეთს მისი პოზიცია ერაყის მიმართ. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის ხან ერთი წარმომადგენელი ითხოვს შირაკის დასჯას, ხან — მეორე. ახლა მათ, რა თქმა უნდა, სამაგიეროს მიგების საბაბი მიეცათ.

ამის კვალდაკვალ, პოლონელების განცხადება ერაყში ნაპოვნი რაკეტების თაობაზე, შეიძლება მიიჩნიონ, როგორც ოსტატურად გააზრებული მცდელობა ევროკავშირში მომავალი პარტნიორის სადისკრედიტაციოდ. ვარშავა მაისში ხდება ევროკავშირის წევრი. პოლონური აქცია შეიძლება დასმენადაც მოინათლოს. რომ განაცხადეს, — ერაყში 2003 წელს გამოშვებული ფრანგული რაკეტები ვიპოვეთო, ხომ ნიშნავს ეს იმას, რომ პარიზი ჰუსეინს იარაღს ომის წინ აწვდიდა, ანუ ეს რაკეტები ამერიკელი ჯარისკაცების დასახოცად იყო გამიზნული?

რაკეტები მართლაც ახალი რომ ყოფილიყო, ამერიკა დიდი მადლობელი დარჩებოდა პოლონეთისა საფრანგეთის მხილების გამო, მაგრამ პოლონელებმა იჩქარეს, არ შეამოწმეს რაკეტების ტექნიკური მაჩვენებლები და ვენდეტაც ვერ შედგა, თუმცა, ცხადია, ამერიკა ერთგულებას არ დაუკარგავს მათ.

*იზვესტია №181*

# ჩეჩნეთში უფროსობის ნებას არავის მივცემ

*მცირე ამონარიდი ჩეჩნეთის პრეზიდენტ* ***აჰმად კადიროვის*** *ინტერვიუდან.*

**— არჩევნების წინ განაცხადეთ — ჩემი პირველი საპრეზიდენტო ბრძანებით შეიქმნება კომისია, რომელიც გამოიძიებს ჩეჩენი ხალხის მიმართ ჩადენილ დანაშაულსო. ხომ არ გადაგიფიქრებიათ?**

— არა. ყველაფერი იქნება გამოძიებული, დაწყებული 1991 წლიდან, როცა დაამხეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ხელისუფლება. ვინ შეუწყო ამას ხელი და რატომ აქციეს ქვეყანა პოლიტიკური გარჩევების ადგილად? გაირკვეს ისიც, ეს განმათავისუფლებელი ომი იყო თუ პატარა ტერიტორიაზე გამართული დიდი პოლიტიკური სპექტაკლი.

**— ჩეჩნეთს ექნება საკუთარი ნავთობკომპანია?**

— დიახ, ექნება. ეს შეტანილია ხელშეკრულების პროექტში, რომელსაც ფედერალურ ცენტრთან უნდა მოვაწეროთ ხელი. მე პრეზიდენტ პუტინს ვუთხარი, — 2010 წლამდე ყველა გადასახადი რესპუბლიკაში უნდა დარჩეს-მეთქი. დამეთანხმა. ვიდრე მე ჩეჩნეთის პრეზიდენტი ვარ, რესპუბლიკაში უფროსობის ნებას არავის მივცემ!

*ვლასტი №39*

# თაფლობის თვე პარტორგის გარეშე



მილიონობით ახალგაზრდა ჩინელმა შვებით ამოისუნთქა — ქვეყნის მმართველმა კომპარტიამ შეარბილა ქორწინების კანონი. აქამდე დასაქორწინებლად ოფიციალურ ინსტანციათა ნებართვები იყო საჭირო, პირველ რიგში, პარტკომის მდივნის დასტური. ახლა ყველაფერი შეიცვალა. წყვილი სტანდარტულ განცხადებას შეიტანს, წარადგენს პირადობის დამადასტურებელ საბუთს და ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან.

ამ ლიბერალური ნაბიჯისაკენ ჩინეთის ხელისუფლებას იმან უბიძგა, რომ ამდენი საბუთის საჭიროებამ თავად სამართალდამცავებში წარმოშვა კორუფცია, თანაც ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა, ასე ვთქვათ, „უკანონოდ" დაიწყო ერთ ჭერქვეშ ცხოვრება.

დაქორწინება ხომ ძნელი იყო, მაგრამ განქორწინება კიდევ უარესი, რადგან კომუნისტურ ჩინეთში ეს დიდ ბოროტებად ითვლებოდა და წყვილებს ერჩივნათ, კანონიერად არ ექორწინათ, რადგან მაშინ დაშორებაც აღარ გაუჭირდებოდათ. ახლა განქორწინებაც ისევე გაადვილდა, როგორც ქორწინება. თუმცა კანონების ლიბერალიზება არ ნიშნავს იმას, რომ კომპარტია აღარ ჩაერევა ჯანმრთელი, ზნეობრივი ჩინური ოჯახის საქმეებში.

*ნიუზუიქ*

## გვერდის ფოტო



ტერმინატორი გუბერნატორი გახდა

## მოკლედ

**სალვადორში** ტროპიკული ქარიშხალი მძვინვარებს. ტაიფუნს კოკისპირული წვიმები მოჰყვა. კალაპოტიდან გადმოსულმა მდინარემ დედაქალაქი დატბორა, დაანგრია უამრავი სახლი. ერთი ადამიანი დაიღუპა, ორი — დაიკარგა. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული.

**ნობელის პრემია** მედიცინის დარგში (1,08 მლნ დოლარი) მიენიჭა ამერიკელ პოლ ლოტერბურს და ინგლისელ პიტერ მენსფილდს დიაგნოსტიკის მეთოდისათვის, რომელსაც მნიშვნელობით რენტგენის გამოგონებას უტოლებენ.

**იაპონიის** სავალუტო რეზერვი ბოლო ორ თვეში 49,79 მლრდ დოლარით გაიზარდა და ქვეყნის ისტორიაში სარეკორდო დონეს — 604,87 მლრდ-ს მიაღწია.

**ლიტვის** სპეცსამსახურები ითხოვენ ფირმა „ელმენტოს" ხელმძღვანელის, რ. პაშისის დასჯას, კომპანიის სერვერზე ჩეჩენი სეპარატისტების საიტის, „კავკაზ-ცენტრის" განთავსებისათვის. რ. პაშისი აცხადებს, — არ ვიცოდი, თუ „კავკაზ-ცენტრის" ინფორმაციის პუბლიკაცია არ შეიძლებოდაო, მაგრამ მას მაინც დაეკისრება პასუხისმგებლობა ეროვნული და რელიგიური მტრობის გაღვივების ხელშეწყობისათვის.

**ავსტრიელი** კომუნისტების ლიდერმა ვ. ბაიერმა აღიარა, რომ პარტიამ მთლიანად ამოწურა თავისი ფინანსური შესაძლებლობები; ამიტომ დაითხოვა აპარატის 45 თანამშრომელი და დახურა გაზეთი. მართალია, კომპარტია ახლა მოძრაობად იქცა, მაგრამ ჩვენ მოღვაწეობას მაინც გავაგრძელებთ გდრ-ის ყოფილ მმართველ პარტიასთან ერთად და ვეცდებით, ჩვენი კუთვნილი თანხის — 90 მლნ ევროს დაბრუნებასო, — განაცხადა ვ. ბაიერმა.

**ინგუშეთში** მოკლეს გროზნოელი ზელიმხან სააევი, რომელიც, ოპერატიული მონაცემებით, ტუშინოს 5 ივლისის ტერაქტის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. სააევი სამართალდამცავებმა მოკლეს ნაზრანის რაიონის სოფელ იანდარში, ბანდიტების სალიკვიდაციო ოპერაციის დროს.

**ჯორჯ ბუშმა** განაცხადა — კუბის წინააღმდეგ სანქციები გაძლიერდება და კუნძული მალე თავისუფალი იქნებაო. ბუშის თქმით, ფიდელ კასტრო ბოლო ხანს განსაკუთრებით სასტიკ პოლიტიკას ატარებს, რაც მთელ მსოფლიოს აღაშფოთებს. ამიტომაც დადგა საპასუხო ზომების მიღების დრო, რადგან კომუნისტური რეჟიმი თავისი პოლიტიკის შეცვლას არ აპირებს. აშშ-ის პრეზიდენტის ბრძანებით, ამერიკაში შეიქმნება სპეციალური უწყება, რომელიც კოორდინაციას გაუწევს კუბის კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას.

**ნიდერლანდების** კანონების თანახმად, მეფის ოჯახის წევრებმა ქორწინების ნებართვა უნდა მიიღონ მთავრობისა და პარლამენტისგან. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, იან პიტერ ბალკენენდის თქმით, პრინც იოჰანის ქორწინება არ შედგება, რადგან პარლამენტში წარმოდგენილი ცნობა, თითქოს საპატარძლოსა და აწ გარდაცვლილ განგსტერ კას ბრეინემს ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდათ, არადამაჯერებელი ჩანს. პრინცმა განაცხადა, — ჩემს საცოლეს, დამნაშავესთან ურთიერთობა არ ჰქონია და ტახტზე უარის თქმაც რომ მომიწიოს, მეიბლი ვისესმიტს მაინც შევირთავო.

**ესპანეთის** მეფე ხუან კარლოსმა ევროკავშირის და ქვეყნის სახელისუფლებო ელიტის თანხლებით გახსნა ახალი ზეჩქარი სარკინიგზო მიმოსვლა მადრიდ-ლერიდას შორის. ეს ტრასა მომავალში სარაგოსისა და ბარსელონის გავლით, საფრანგეთის საზღვრამდე მივა. ასე რომ, მადრიდი ესპანეთის სიდიდით მეორე ქალაქს და ევროპას მოხერხებული და სწრაფი გზით დაუკავშირდება.

**თურქეთი** ხელს აფარებს მის ტერიტორიაზე მყოფ ჩეჩენ ტერორისტებს, მათ შორის მოვლად უდუგოვს და რუსეთის მოთხოვნის მიუხედავად, უარს ამბობს მათ გადაცემაზე. თურქეთი საერთაშორისო ტერორიზმის მიმართ „ორმაგი სტანდარტით მოქმედებს", — განაცხადა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

# „ჰაერიდან თავზე დავაცხრებით და ჯიხვებს მუსრს ვავლებთ...“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

თუ გინდათ, მიგიყვანთ ჯიხვების საძოვრამდე, დაგტოვებთ იქ და როცა დაგვიბარებთ, მაშინ მოვფრინდებით...

დაახლოებით ასეთივე პასუხი მივიღეთ მეორე კერძო ავიაკომპანიის, „თუშეთის ავიახაზების“ დირექტორის, ზაურ ქ.-სგან. რა თქმა უნდა, გაგვიხარდა, რომ ორივე ავიაკომპანიის ხელმძღვანელმა პირებმა ჯიხვებზე სანადიროდ შვეულმფრენების გაქირავებაზე უარი თქვეს, მაგრამ ჩვენს სიხარულს ცივი წყალი გადაასხა შვეულმფრენების ერთ-ერთი ავიაკომპანიის რიგითმა თანამშრომელმა, რომელიც ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა. იგი ავიაკომპანიის ოფისის ეზოში შეგვხვდა. როდესაც ჩვენი „გასაჭირი“ გავუმხილეთ, დაგვამშვიდა: — ამწუთას გაცნობილ კაცს როგორ გენდობოდნენ. ნურც გეწყინება, რომ უარი გითხრა, ძალიან ფრთხილობენ. თუ გამოიჭირენ, შეიძლება შვეულმფრენს კონფისკაცია გაუკეთონ. ამის შესახებ მკაცრად გაგვაფრთხილა სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტმა. ხომ გითხრა, ჯიხვების საძოვართან მიგიყვანო. ეგ იმას ნიშნავს, რომ თანახმაა, ოღონდ შვეულმფრენიდან ჯიხვების დახოცვისათვის დამატებით 500 დოლარი უნდა გადაიხადო. საქმე საქმეზე რომ მივა, ამას „ლოჩიკიც“ გეტყვის.

**— თვითონ თუ მიგიღიათ მონაწილეობა ასეთ ნადირობაში?**

— რა თქმა უნდა. წელს ორი ჯგუფი ვანადირე, შვიდი ჯიხვი მოკლეს. ყოფილა შემთხვევა, ათი და მეტი ჯიხვიც დაგვიხოცავს.

**— სად ნადირობდით?**

— ლაგოდეხისკენ, ზემოთ კავკასიონის ქედი ჩამოდის, იქ ბლომად არის ჯიხვი. ერთხელ არჩვებზეც ვიყავით სანადიროდ, მაგრამ სამზე მეტი ვერ მოვკალით. ძლიერი ქარი იყო და შვეულმფრენი ჰაერში ვერ დავკიდე. ახლა ნადირობის ამ მეთოდს იშვიათად იყენებენ. ადრე თითქმის ყოველ კვირას გვქონდა შეკვეთა, წელს კი შემცირდა. ალბათ უფრო იაფად შოულობენ შვეულმფრენებს. ერთი სიტყვით, დარდი ნუ გექნება, მე ჩავაწყობ საქმეს, „ლოჩიკადაც“ გამოგყვებით.

P.S. რაოდენ გულქვა უნდა იყოს ადამიანი, რომ ულამაზეს ქმნილებას შვეულმფრენიდან ავტომატური იარაღით ცეცხლი გაუხსნას. როგორც ამბობენ, ნადირობას მაშინ აქვს ხიბლი, როდესაც მონადირე და ნადირი თანაბარ პირობებში არიან და ნადირს გადარჩენის შანსი აქვს, თორემ შვეულმფრენიდან, ისიც ავტომატით საქართველოს ბუნებას ხომ გამოუსწორებელ ზიანს ვაყენებთ. რა შეიძლება ეწოდოს იმ უწყებების უმოქმედებას, რომლებსაც კანონით ევალებათ ნადირ-ფრინველის დაცვა?! არადა, ხშირად სწორედ ისინი არიან ბრაკონიერები და მათი ხელშემწყობები. მე რომ გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ვიყო, ჩემი სამინისტროსა და მასში შემავალი ყველა სტრუქტურის თანამშრომელს ყოველ დილით ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობის“ წაკითხვას დავავალებდი...

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# ხანჯლის ნაკვალევი ხელის მტევნებზე...

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

ცოტა ხანში კი თითქმის ისეთივე დანაშაული ჩაიდინეს — ოთხმოცი წლის მოხუცი ოცი ლარისთვის დაახრჩვეს, მაგრამ ამჯერად ველარ მიიმალნენ...

სასამართლოს ტრიბუნასთან ახალგაზრდა ბრალმდებელი იდგა.

## განკითხვის ჟამი

— ბატონებო, — დასასრულს უახლოვდებოდა პროკურორის საბრალდებო სიტყვა, — ჩადენილია უპრეცედენტო დანაშაული. სამმა ბოროტმოქმედმა ოთხმოცი წლის უსუსური მოხუცი დაახრჩო, — პროკურორი მცირე ხნით დადუმდა. მერე ისე, რომ სხვებს არ შეემჩნიათ, ამოიოხრა და განაგრძო, — თუმცა მე უარესსაც შევსწრებივარ, მაგრამ მაშინ არავინ დასჯილა. მოვითხოვ სამივეს კანონმდებლობით გათვალისწინებული უვადო პატიმრობა მიესაჯოთ. მართალია, ეს განაჩენი შვებას ვერ მოუტანს გარდაცვლილის ახლობლებს, მაგრამ ეს იქნება განაჩენი კანონისა და ღმერთის სახელით! — და პროკურორმა ორივე ხელი მაღლა შემართა, რითაც პროცესის დამსწრეებს აგრძნობინა, მე დავამთავრეო.

საბრალდებო სკამზე აქამდე გაუნძრევლად მჯდარი გიგა უცნაურად აწრიალდა და როცა მოსამართლემ ჰკითხა, რას ითხოვ სასამართლოსგანო, პასუხი ასეთი იყო: — მხოლოდ ერთს, პროკურორმა ხელის მტევნები მაჩვენოსო.

მოსამართლე უხერხულად შეიშმუშნა. ახალგაზრდა პროკურორი კი წამოენთო, თუმცა მალევე მოთოკა თავი.

— ის მაინც მითხარით, რა ჰქვია ამ ახალგაზრდას? — არ ცხრებოდა გიგა.

— მალხაზი! — ამ სახელის გაგონებისთანავე გიგა ისე შეტორტმანდა, კაცი იფიქრებდა, საცაა წაიქცევაო. ფერი ეცვალათ მის გვერდით მსხდომ გენოსა და ბოგანოსაც.

— ბატონო მოსამართლევ, — მღელვარების დაფარვას ცდილობდა ბრალდებული, — ჩვენ ბევრი ცოდვა გვაქვს ჩადენილი. თქვენ გვასამართლებთ ერთი მოხუცის მკვლელობისათვის, მაგრამ პასუხს არ გვთხოვთ იმისათვის, რომ ათი წლის წინ არაადამიანურად ვაწამეთ ორი საბრალო მოხუცი და ბედის ანაბრად დავტოვეთ იატაკზე ხანჯლებით მილურსმული მათი თხუთმეტი წლის შვილიშვილი... — გიგამ სათქმელი ველარ დაასრულა და სკამზე ულონოდ მიესვენა.

— ამას დამტკიცება სჭირდება. გყავთ მოწმე? — მოსამართლე პროცესის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას შეეცადა.

— მოწმე ეს ორი ჩემნაირი ნაძირალა, ეს პროკურორი და მისი ხელის მტევნებია, — ძლივს ამოთქვა გიგამ და პროკურორს გახედა, რომელსაც სახეზე აეფარებინა ხელები და მთელი სხეულით ცახცახებდა. მის ხელის მტევნებზე გარკვევით მოჩანდა ხანჯლების ნაკვალევი.

*ვაჟა გავაშელი*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 11 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1000 |
| ევრო | 2,4654 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4927 |
| რუსული რუბლი | 0,0695 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5179 |

# რას წერენ ჩვენზე

# ჩეკისტი და მისი პრეზიდენტი



(დასაწყისი იხ. გვ. 14)

ბევრი დამემოწმება, როცა ზვიადი დასავლეთ საქართველოში ჩავიდა და მის ადგილსამყოფელს მივაკვლიეთ. ჩემს თანამშრომლებს კატეგორიულად ავუკრძალე არა მარტო იმ რაიონში ჩასვლა, მის გასანადგურებლად სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა, არამედ შევარდნაძის ბრძანების საწინააღმდეგო ბრძანება გავეცი — ყველა ღონე გვეხმარა სამოქალაქო ომის დასამთავრებლად.

**— მან ბრძანა ზვიადის მოკვლა?**

— ასეთი ბრძანება, „იპოვეთ და გაანადგურეთ“, არც არავის უნახავს და არც მოუსმენია, მაგრამ ყველა ქმედება ამაზე მეტყველებდა. ერთს ვიტყვი მხოლოდ, როცა გამოაცხადეს, ზვიადმა თავი მოიკლაო, მერე კი რომელიღაც გლეხის ეზოში დამარხული მისი ცხედარიც ამოიღეს, სახელმწიფო კომისიის წევრთაგან მხოლოდ მე არ მოვაწერე ხელი გარდაცვალების აქტს, რადგან მივხვდი — ეს არ იყო თვითმკვლელობა, ეს მკვლელობა გახლდათ.

**— ყველა თვლის, რომ თქვენ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად კრემლის დაჟინებით დაგნიშნეს, ცხონებულმა ჯაბა იოსელიანმა კი მითხრა, — ჩემი თაოსნობით მოხდაო.**

— მართალია. ჩემს დანიშვნამდე ერთი დღით ადრე შევარდნაძემ სხვა ადამიანის დანიშვნის ბრძანებას მოაწერა ხელი. მერე მითხრა, — გუშინ სხვა ბრძანება დავწერე, მაგრამ შენი დანიშვნა მეგობრებმა მირჩიესო. ჯაბას უნდოდა, სახელმწიფოს სპეცსამსახური ჰქონოდა და არა ნარკომანების, ბანდიტების და ქურდების ისეთი კანტორა, როგორიც ჩემ შემდეგ მოსულმა ირაკლი ბათიაშვილმა შექმნა.

**— გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ინტერვიუში, ჯაბამ მითხრა, იგორის მთავრობის მეთაურის პოსტზე წარდგენაში დახმარება შევთავაზე, მაგრამ მან უარი მითხრა, — ეს გუნებაშიც არ გამივლიაო.**

— საკვირველია მისი ასეთი გულახდილობა!.. მან შევარდნაძის დაპატიმრება და სასამართლოსთვის გადაცემა შემომთავაზა, მაგრამ მაშინ პრეზიდენტობაზე არც მიფიქრია. იდიოტი უნდა ვყოფილიყავი, იმ სიტუაციაში მის სიტყვას რომ ავყოლოდი. აშშ-ის და მოსკოვის ხელისუფლების მაღალი ეშელონები გვთხოვდნენ, ყველაფერი გვეღონა, რათა 1995 წელს შევარდნაძე ლეგიტიმური პრეზიდენტი გამხდარიყო. ჯაბას ვუთხარი, — წარმოგიდგენიათ, გაზეთები რა ამბავს ატეხენ — „კანონიერმა ქურდმა“ და „კაგებე“-ს გენერალმა გამოჩენილი დემოკრატი დააპატიმრესო. ჯაბამ მაგიდას ხელი დაჰკრა: „ეს „კაზიოლი“ უნდა დააპატიმროთ!“ — მას ქვეყნის ბედი მართლა აწუხებდა.

**— ე.ი. არავითარ შეთქმულებას არ გეგმავდით?**

— არავითარს, ამის დაჟინება მარაზმია.

**— შევარდნაძეზე უშედეგო თავდასხმის შემდეგ, თქვენ თქვით, — პროფესიონალები ასე არ მოქმედებენო. აბა, როგორ იქცევიან?**

— კენედი. აი პასუხი. რამდენი ხანი გავიდა და სიმართლე არავინ იცის. შევარდნაძეზე თავდასხმის შესახებ კი ყველაფერი ცხადზე ცხადია. 1995 წლის ივლისში თურქეთში ვიყავი, შევარდნაძემ თავად მიმავლინა. არადა ჩემი ბრალდების პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ 1995 წლის ივლისში ჩემს ბინაში შეთქმულებას ვგეგმავდი. ანუ გამოდის, რომ ერთდროულად თბილისშიც ვიყავი და თურქეთშიც. თურქეთიდან მოსკოვში ჩავედი თანამშრომლებისთვის ამუნიციის შესაძენად. საქართველოში კი ედუარდ ამბროსიევიჩმა აღარ ჩამომიშვა.

მოსკოვში, საქართველოს მაშინდელ ელჩთან, ვაჟა ლორთქიფანიძესთან მივედი და ვუთხარი, — შეფს გააგებინე, რომ მე მისი კონკურენტი არ ვარ-მეთქი. ჩემ თვალწინ დაურეკა — იგორი ხვალ მოფრინავს და თუ შეხვდებითო. შევარდნაძემ უპასუხა, — არ წამოვიდეს, მე თვითონ გამოვიძახებო. მაშინდელი თვითმფრინავის ბილეთები ახლაც შენახული მაქვს. პრეზიდენტზე თავდასხმა რომ მომიმზადებია, ეს ვაჟა ლორთქიფანიძისგან გავიგე. მეორე დილასვე საქართველოში ვიყავი. 2 სექტემბერს თანამდებობიდან გადამაყენეს. 4-ში მოსკოვში გავფრინდი — შვილი წავიყვანე სასწავლებლად.

**— სამხედრო თვითმფრინავით — რუსეთის ბაზიდან?**

— აეროპორტიდან.

**— ახლა ინტერპოლი გეძებთ. მოკვლას თუ ცდილობდნენ?**

— რასაკვირველია. ვიცი, რომ ამისთვის კანონიერი ქურდი შაქროც მიიწვიეს. რა ამოძრავებთ ჩემი მოსპობის დამკვეთებს? — შიში. შსს-ს მაშინდელი მინისტრი შოთა კვირაია საკუთარი ხელით აწამებდა ხალხს. ბერეზოვსკი კი, რომელიც მაშინ დსთ-ის აღმასრულებელი მდივანი იყო, შევარდნაძეს დაჰპირდა, — მაგიდაზე გიორგაძის თავს დაგიგორებ და აფხაზეთის პრობლემასაც მოგიგვარებო. ეს ამბავი შევარდნაძის ადმინისტრაციიდან გავიგე. ხომ იცით, საქართველოში თუ საუბარს მესამე ესწრება (და ასეც იყო!), ეს უკვე საიდუმლო აღარ არის.

**— ბოლოს და ბოლოს, როდის გამოაქვეყნებთ იმ სენსაციურ მასალებს, ასე ხშირად რომახსენებთ?**

— როცა დავბრუნდები. ჩვენ ბევრი მასალა გაგვაჩნია. ამის გამო ჩემი მეგობარი თემურ პაპუაშვილი ციხეში მოკლეს. თემური ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველოს უფროსი იყო და რახან ამ მასალებს ვერ მიაკვლიეს, მოწამლეს. თემური ინახავდა იმ ურიცხვ კასეტას, რაც ჩვენ გაგვაჩნდა.

**— ბევრს კლავენ ასე?**

— კვირაიას ცნობილი მე-6 სართულიდან 7 კაცი ნამდვილად „გადმოხტა“, მისი კაბინეტიდან გამოსულმა ფინანსთა მინისტრმა „თავი მოიკლა“ — კვირაიას კაბინეტში პისტოლეტით შესვლა ხომ წარმოუდგენელია! მინისტრთან დაკითხვაზე მიმავალ კაცს უსათუოდ ახლავს ვიღაც... უშიშროების საბჭოს მდივანმა საჯაიამ, შარშან რომ თავი „მოიკლა“, თურმე გაზეთში მასზე დაწერილი ცუდი სტატია წაიკითხა და ისე შეწუხდა, მაშინვე ტყვია იკრა შუბლში.

ახლავე გეტყვით, როგორ იშორებდა შევარდნაძე პოტენციურ კონკურენტებს. მისი მეგობრის, სოლიკო ხაბეიშვილის დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე შევარდნაძესთან მივედი მასალებით, სადაც ნათქვამი იყო, რომ სოლიკოს მიერ შექმნილ კომპლექს „გუდაურზე“ პრეტენზიას კრიმინალური ავტორიტეტი დათო სანიკიძე აცხადებდა. სანიკიძე შევარდნაძის ოჯახის ახლობელი იყო. გუდაური კი 30 მლნ დოლარს ნიშნავდა. „სოლიკოს მოკლავენ“, — გავაფრთხილე პრეზიდენტი, მაგრამ მეგობრის დასაცავად მან არაფერი იღონა...

**— თქვენ დისიდენტ გიორგი ჭანტურიას მკვლელობაში გადანაშაულებენ...**

— რატომ უნდა მომეკლა? არ იკითხავთ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო იმ პერიოდში ეროვნული ლიდერი?

**— გიორგი.**

— ვის გაუწევდა მეტოქეობას?.. შევარდნაძის მეორე მეგობარი ჟიული შარტავა პრეზიდენტის ოფიციალურ მემკვიდრედ ითვლებოდა. სოხუმის დაცემის წინ შევარდნაძემ ჟიულის უთხრა: — წადი მთავრობის სახლში, შენ იქ საჭირო ხარო. შევარდნაძე გადარჩა, შარტავა და ყველა მასთან მყოფი — დაიღუპნენ. არძინბამ სპეცჯგუფი გაგზავნა მის დასახსნელად, მაგრამ გვიანღა იყო.

**— ამბობენ, არძინბას მოსკოვიდან სთხოვეს შარტავას გადარჩენაო.**

— სრული სიმართლეა.

**— ამბობენ, შარტავას დაღუპვის ამბავი რომ გაიგო, არძინბა სასოწარკვეთილი ყვიროდა, — დახოცეთ ეგ გარეწრებიო — მკვლელებს გულისხმობდა. აფხაზებთან და ოსებთან შერიგების გეგმა გაქვთ?**

— ამას როგორ გავამხელ! ოპონენტთაგან განსხვავებით, ხელი ოსების და აფხაზების სისხლში არა მაქვს გასვრილი. ამიტომ თავისუფლად შემიძლია აფხაზეთსა და ოსეთში ჩასვლა.

**— კავშირი თუ გაქვთ აფხაზეთის მთავრობასთან?**

— უხერხული კითხვაა... ერთს გეტყვით, არავითარი პრობლემა არ მაქვს აფხაზეთთან დაკავშირებით.

**— საქართველოში დარწმუნებული არიან, რომ ყველა მათი უბედურება და მათ შორის აფხაზეთში დამარცხებაც რუსეთის ბრალია.**

— ფაქტია, რომ რუსეთი ომის დროს აფხაზეთის მხარეს იბრძოდა. საკითხავი სხვა რამეა: შენ, ცნობილო დიპლომატო, როგორ ვერ მოახერხე, რომ რუსეთი შენ დაგდგომოდა გვერდით და არა აფხაზეთს?

*მარინა პერევოზკინა*
*მოსკოვსკი კომსომოლეცი №222*

*რუბრიკა მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა*


ამერიკული კომპანია "Euro Pak International Inc."

[illegible] IBM, DELL, COMPAQ, HP, TOSHIBA, SONY [illegible] Intel Pentium I 37$-[illegible] Intel Pentium II 102$-[illegible] Intel Pentium III 200$-[illegible] 15" და 17" [illegible] 45$-[illegible] 390$-[illegible]

ჩვენი წარმომადგენლობა:

[illegible] 22 73 59
899 74 50 65
E-mail: [illegible]
URL: [illegible]
[illegible] (3741) 52 32 30
[illegible] (3741) 52 32 30

შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად



მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ასლგადამღები აპარატები
1. იჯარა - ლიზინგი უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი

ქსეროასლები
შავ-თეთრი წითელი ლურჯი
2-დან 5 თეთრამდე
ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი ქსეროასლები
კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით
აკინძვა, ლამინირება
პლაკატების, ბუკლეტების, ეტიკეტების, ლოგოების და მოსაწვევი ბარათების
მხატვრულ-დიზაინერული და კომპიუტერული გაფორმება

შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“ LIBCO. Company LTD
თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1, მოზარდ-მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89

„ტრანსფორისი“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „ხეკრები“



ნახევარი საათი ვაწვებოდით ჩემი მეგობრის, ასტერას „ვოლგას“ შუაღამისას რესტორნიდან გამოსული ბიჭები. ვაწვებოდით, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, ვერაფრით ვერ გავუშვით. არადა არ ჩაირთო ძრავა. მგონი, კოპიტნარამდე ჩავაგორეთ.

გადმოვიდა ასტერა მანქანიდან, აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა, მერე ისევ საჭესთან დაჯდა და მედიდურად გადმოგვხედა:

— თქვე შტერებო, ასე რას გაიშვება, „გლავნი პრავოდი“ ჯიბეში მაქვს, აგერო!..

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

## პირდაპირ... კრემლის ხაზზე



გასული საუკუნის 70-იანი წლებია, კასპის რაიონიდან, საკავშირო ყრილობაზე, მოსკოვში გაგზავნეს დელეგატად კომბოსტოს უხვი მოსავლის ოსტატი მარიამ გ.

მოსკოვში მარიამი დააბინავეს კრემლის ყრილობათა სასახლის სასტუმროში. ყრილობის პირველი სამუშაო დღის შემდეგ, თითქმის შუაღამეს, დელეგატებს შესთავაზეს — თქვენი სასტუმროს ნომრებიდან, თუ გნებავთ უფასოდ დარეკეთ თქვენს სახლებშიო. ვინაიდან მარიამი მარტოხელა იყო, რაიკომის ნომერი აკრიფა. მორიგე ინსტრუქტორს ტელეფონისტმა (მაშინ სატელეფონო კავშირი დღევანდელივით კი არ იყო, ფოსტა გაერთებდა აბონენტთან) უთხრა, კრემლიდან რეკავენო. ინსტრუქტორმაც დაუყოვნებლივ გაუგზავნა სახლში მორიგე მანქანა რაიკომის პირველ მდივანს, არიქა, კრემლია ხაზზეო. მდივანიც ცალ-ცალი წინდით, ცალ-ცალი ტუფლით, ნახევრად ჩაცმული მოვარდა რაიკომში, ეცა ტელეფონს — გისმენთ, ბატონოო. იქიდან კიდევ ესმის — შვილო, მირიან! მარო ვარ მოსკოვიდანა, მაინტერესებს კომბოსტოს მორწყვები მოათავეთ თუ არაო!

მირიანს ერთი კი აღმოხდა, მარო, მე შენი ასე და ისეო. მაგრამ მერე გაახსენდა, კრემლთან რომ იყო მიერთებული და — ჰო! მორჩა, მორჩა, მოვრწყეთო და გათანგული მიესვენა სავარძელზე!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## ძლივს გადარჩა...

50-იან წლებში, სამეგრელოს ერთ-ერთი რაიონის ალმასკომში ერთი მეტად ენაკვიმატი და ხალისიანი დარაჯი მუშაობდა. დიდი ოინბაზი ვინმე იყო, ხან რას მოიგონებდა და ხან რას. ერთხელაც ალმასკომში მივიდა ერთ-ერთი მრავალშვილიანი დედა, რომელსაც მედალი ეკიდა. კარისკაცმა ჰკითხა, სად მიდიხართო?



— ალმასკომის თავმჯდომარემ დამიბარა, ფულადი პრემია უნდა მომცეს, 8 შვილი მყავსო.

— მერე, გულზე რომ დაგიკიდია ეგ მედალი, არ იცი, მაგის ადგილი სად არისო? ცოტა დაბლა უნდა დაიკიდო, ასე, წელს ქვემოთ... თორემ თავმჯდომარე ფულს მოგცემს კი არა, იქით მიგატანინებსო!

დაუჯერა ქალმა და დაიკიდა იქ, სადაც ურჩია დარაჯმა. შევიდა რაიალმასკომის თავმჯდომარესთან. თავმჯდომარე ეკითხება:

— სანამ აქ მოხვიდოდი, ჩვენს დარაჯს თუ ელაპარაკეო...

— კი, ველაპარაკეო, — დაიმორცხვა ქალმა.

— ჰოდა, მოიხსენი ახლა ეგ მედალი და სადაც გეკიდა, იქ დაიკიდეო! — უთხრა თავმჯდომარემ.

კიდევ კარგი, ის დარაჯი პარტიის წევრი არ იყო, თორემ ამისთანა ამბებისთვის ცხრაჯერ გარიცხავდნენ პარტიის რიგებიდან.

***მირა, თბილისი***

## მხიარული ამბები ცნობილი ადამიანებისგან

# როგორ „დააწვინა“ ელენე თევდორაძემ მთელი დარბაზი



***გადავწყვიტეთ წინასაარჩევნო ბატალიებით გადაღლილი მკითხველი მცირედით მაინც გავახალისოთ და ცნობილი ადამიანებისგან დროდადრო მხიარული ამბებიც მოვასმენინოთ.***

**იხსენებს ქალბატონი ელენე თევდორაძე**

## ეპიზოდი პირველი, ანუ უჩივიან... მამალს

— როცა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ ვმუშაობდი, მრავალი უცნაური განცხადება შემოდიოდა ჩემს სახელზე. ერთი ასეთი განცხადება ვაზისუბნის დასახლებიდან მოვიდა, რომელსაც ხელს აწერდა იქ მცხოვრები მამაკაცი. როგორც ჩანს, მის მეზობელს უყიდია მამალი, რომელიც, ყოველდღე, უფრო სწორად გათენებისას, დილის 5 საათზე იღვიძებდა და ყივილით აღვიძებდა ყველას და ამ კაცსაც. განცხადება ასე მთავრდებოდა: „რადგანაც ჩემი, როგორც ადამიანის უფლებები ირღვევა მეზობლის მამლის მიერ, თანაც ყოველდღიურად, გთხოვთ ამ მამალს თავი მოაჭრათ“...



## ეპიზოდი მეორე, ანუ ელიავა და... კონკია



— ეს ის პერიოდია, როცა აკაკი ელიავა ტყეში იყო გასული და მისი 42 თანამებრძოლი ქუთაისის ციხეში გამოამწყვდიეს. პატიმრებმა შიმშილობა დაიწყეს და მე მათთან მომიწია ჩასვლა. შევხვდი მოშიმშილეებს, ვისაუბრეთ... და იქ გავიგე, რომ ელიავასთან ტყეში იმყოფება მისი ერთ-ერთი თანამოაზრე, რომელსაც მეტსახელად კინკონგი ჰქვია.

ჩამოვედი თბილისში, სესია გვაქვს. ვითხოვ სიტყვას, ვდგები მიკროფონთან და ვაცხადებ:

— მე მინდა აღშფოთება გამოვთქვა იმის გამო, რომ ელიავა და კონკია...

ვინ მაცალა სიტყვის დამთავრება. ამ დროს ვხედავ, რომ მთელი დარბაზი „დაწვა“ სიცილისგან. მე, მართალი რომ გითხრათ, ვერ გავიგე, რაში იყო საქმე, ძალიან გავბრაზდი და ვამბობ:

— თუ შეიძლება, მომეცით საშუალება, რომ გავათავო და მერე გაშალეთ ხელები!..

დარბაზი ისევ „დაწვა“ სიცილისაგან...

როგორც იქნა, კი მივხვდი, პირველად რამ გააცინათ (კინკონგის ნაცვლად კონკია ვთქვი), მაგრამ მეორედ...

* * *

***— ქალბატონო ელენე, კიდევ ხომ არაფერს გაიხსენებდით?***

— კიდევ? არა, არა, მეტი არაფერი არ მახსოვს...

***სამაგიეროდ, ჩვენ გვახსოვს:***

***„კვირის პალიტრის“ ჟურნალისტთან, იზო რიკაძესთან საუბრისას ერთი ასეთი კურიოზიც მოხდა:***

ჟურნალისტი ეკითხება ქალბატონ ელენეს, ბატონ შევარდნაძეზე რას იტყვით, როგორი კაციაო. მან კი ასეთი პასუხი გასცა:

— როგორი კაცია, მე ვერ გეტყვით, მაგრამ ის არის პოლიტიკოსი დიდი ასოთი (უნდა ეთქვა: „Политик с большой буквы“. — ავტ.)... ვაიმე, ვაიმე, მგონი ცუდად ვთქვი...

***სალომე შოშიტაშვილი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

მთვრალი მიხო ტალახში გდია. გვერდით მეზობლის ქალმა ჩაუარა. მიხო გაბრაზებული ეუბნება:

— შენ თვითონა ხარ ღორი!

— არა გრცხვენია, მიხო, მე შენთვის არაფერი მითქვამს!

— არ გითქვამს, მაგრამ ხო გაიფიქრე?

***შოთიკო ტყეშელაშვილი, ქუთაისი***





ჭიჭიკია შინ მთვრალი და ნაცემი მივიდა. ჩაიხედა სარკეში და დაიწყო ჭრილობების „დამუშავება“. დილით ცოლი ეკითხება:

— წუხელისაც მთვრალი მოხვედი?

— არა, რას ამბობ!

— აბა, ფხიზელი ვინ აკრავს სარკეზე ლეიკოპლასტირს?

***თემურ ტუღუში, ლანჩხუთი***



მიხომ პატარა მაღაზია გახსნა.

ზაქარამ რაღაც-რაღაცები ნისიად გამოართვა, ფულს მალე გადაგიხდიო.

მიხომ ნისიების ორი რვეული გადმოიღო.

— ამ ერთში ისინი მიწერია, ვინც მპირდება, „თუ ფული მალე არ მოგიტანო, ჩემი დედაო“. მეორეში კი ისინი მიწერია: „თუ ვალი დაგიგვიანო, ჩემი კარგებიო“. შენა, ჯო, რომელში გაგიხარდება ჩაწერა, ჰა?

***ლადო კაკაბელი, სიღნაღი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## მადლობა

ულრმესი მადლობა და ხანგრძლივი სიცოცხლე ოჯახის წევრებით, კეთილ ადამიანებს: საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის უფროსს ბატონ **აკაკი ჩხაიძეს** და მოადგილეს – **კუთილაძეს** ოპერაციისათვის საჭირო თანხის გამოძებნისათვის.

ასევე მადლობა უროლოგიის ცენტრის დასტაქრებს: **აბდუშელიშვილს და ბერულავას** ოპერაციის საუკეთესოდ ჩატარებისათვის.

*პენსიონერი გიორგი მელქაძე*

ქალაქ რუსთავის ბიზნეს-ცენტრის კონსულტანტებს: **გიორგი ქებაძეს, გოჩა ქებაძეს, ოთარ ხოშტარიას, ხვიჩა გეთიას, გიორგი მაღრაძეს**, მადლობას ვუხდით ბიზნესტრენინგის სრულფასოვნად ჩატარებისათვის

*მსმენელთა სახელით: ირაკლი ლიფარიშვილი, ზვიად ოქუჯავა*

**მადლობა გოგი თოფაძის ფონდს!**

ვარ თბილისელი პენსიონერი და როგორც თითქმის ყველას, უკვე აღარაფრის იმედი არ მქონდა. თურმე, თურმე კიდევ ხდება სასწაულები. რამდენიმე დღის წინ ტელევიზორიდან შევიტყვე, რომ გოგი თოფაძის ფონდის მხარდაჭერით იურიდიული ფირმა „თემიდა-2003“ ატარებს უფასო იურიდიულ კონსულტაციას ქ. თბილისის მოსახლეობისათვის. მოვისინჯე და დავრეკე. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც პირველივე ზარზე მიპასუხეს და იმდენად საიმედოდ გამიწიეს კვალიფიციური იურიდიული მომსახურება, რომ თავი სხვა ქვეყანაში მეგონა; და როდესაც ისიც შემითანხმეს, ოფისში მობრძანდით და დოკუმენტაციის შედგენაშიც დაგეხმარებითო, რაღა დაგიმალოთ და ცრემლი მომადგა თვალზე. ძლივს ვიგრძენი თავი კვლავ ადამიანად! მინდა გითხრა, რომ ის პრობლემა, რომელიც მრავალი თვის მანძილზე მატერიალური სიდუხჭირის გამო ვერ მოვაგვარე (ყველგან და ყველაფერში ფული იყო გადასახდელი), იოლად, უმტკივნეულოდ და სრულად მომიგვარეს გოგი თოფაძის ფონდის წყალობით იურიდიული ფირმა „თემიდა – 2003“-ის კვალიფიციურმა იურისტებმა.

დიდი მადლობა გოგი თოფაძის ფონდს და აგრეთვე იურიდიულ ფირმა „თემიდა – 2003“-ის იურისტებს ასეთი კეთილი წამოწყებისათვის!

*პატივისცემით სოფიო ყაზილაშვილი*

მარტოხელა პენსიონერი ულრმეს მადლობას ვუხდი სამცხე-ჯავახეთის სამხარეო რეგიონის ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს **ლეილა გელაშვილს**, ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილეს **ლირა თოფურიძეს**, ჯანდაცვის მინისტრს **ამირან გამყრელიძეს**, რესპუბლიკური საავადმყოფოს თვალის სნეულებათა განყოფილების ექიმს **მალხაზ ჩიქოვანს** და მედპერსონალს მარტოხელა ადამიანის მიმართ გულისხმიერებისა და ყურადღების გამოჩენისათვის.

*სოფ. აწყურის მცხოვრები ცაცალა დიმიტრის ასული გელაშვილი*

ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მივულოცოთ მცხეთობა და სვეტიცხოვლობა მცხეთის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსს ბატონ **გოგი ხუციშვილს** და მცხეთის მიწის რეგისტრაციის მიმღებ ოპერატორს **ხათუნა დოლიშვილს**, იურისტ **ქეთი ზაალიშვილს** და რეგისტრატორ **თამარ ჩიკვაიძეს**.

ამასთანავე, გვინდა უღრმესი მადლიერებით მოვიხსენიოთ ბატონი გივის ვაკაკური, ადამიანური კეთილგანწყობა მოქალაქეებისადმი, მისი უანგარო და არაბიუროკრატიული მიდგომა საქმისადმი.

დიდ მადლობას ვუცხადებთ ულამაზეს და უკეთილშობილეს ხათუნა დოლიშვილს, ქეთის და თამარს მხარში ამოდგომისათვის და უმოკლეს დროში, წვლებისა და ბიუროკრატიული გაწამაწის გარეშე საქმის უანგაროდ გაკეთებისათვის.

ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი, კეთილო ადამიანებო!

*გელაშვილების ოჯახი*

## ბინები

იყიდება „დიღმის“ სტადიონთან ახლოს, საკუთარი, 1-სართულიანი სახლი, საც. – 100 კვმ, ეზო-ბაღით – 210 კვმ, სარდაფით, კაპ. გარაჟით – 32 კვმ, ავტონომიური გათბობით, სხვა დამხმარე სათავსოებით, ტელეფონით. ფასი: $35.000. ტელ: 34-52-33; 38-91-96. ქეთი

სასწრაფოდ! იყიდება 40 კვმ მიწის ნაკვეთი, პროექტით და მშენებლობის ნებართვით, დიღმის მასივის მე-5 კვარტალში, ხევანთან, გზის პირას. ტ: 899-94-11-94

სასწრაფოდ! იყიდება საგურამოდან 1 კმ-ში ახალი აშენებული ევროდიზაინის სახლი, შიდატერასული 4 სართულით, 4 საძინებლით – თავისი საამბანო-ტუალეტით, შიდა აუზით, ბუხრით, სვ 320 კვ, 1200 კვ, [illegible] 350 კვ [illegible]. ტ: 899 94-11-94

## ვთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოჯახებში ბავშვის მომვლელად, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებას და სწავლის შეთავსებით. [illegible] ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვჭირდება 4 გოგონა [illegible] 200-400$ აშშ [illegible] „სამთო [illegible]", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; [illegible]

ყურადღება!!! [illegible] ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

გთავაზობთ სამუშაოს [illegible] 15 სთ. ტელ: 899 22-26-37

GIJ – [illegible] Au-pair-[illegible] – 78-90 [illegible] ტელ: 34-66-02; 91-19-61

Требуется на постоянную работу: 1. Руководитель отдела; 2. Зам. руководителя; 3. Инспектор по кадрам; 4. Офицеры запаса с опытом руководителей; 5. Педагоги. Отбор на конкурсной основе. Высшее образование, 24-50 лет. Тел: 95-33-47

## ვეძებ სამუშაოს

ვარ პროფესიონალი მძღოლი ყველა კატეგორიით, თბილისელი, 35 წლის. [illegible] ტელ: 70-25-11; 70-49-40. ბესო

გამოცდილი ბუღალტერი, [illegible] ტელ: 899 78-24-96

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, [illegible] 79-50-12; 899 90-44-93 [illegible]

[illegible] ტელ: 77-86-27

„[illegible]" [illegible] – $200. მის: [illegible] №10, მე-2 სად, ბინა №17. ტელ: 37-77-58; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის, პლატინის ნემსით, ანესთეზიით. შედეგი – პირველივე სეანსზე; სახის გაწმენდა, წარბების კორექცია, თმის მოცილება ქსანური დეპილატორით. საერთაშორისო ფირმის კოსმეტოლოგი დიანა. მის: ვ. ფშაველას №8 (ოპერასთან). ტელ: 93-62-13

კაბინეტი პრესტიჟული ქალებისათვის!!! 1. თმის მოცილება მცენარეული ნაყენით, რესპუბლიკის პრემიის ლაურეატის მეცნიერების სამეცნიერო კვლევის დარგში, დოცენტის ხელმძღვანელობით; 2. გაიხსნა დამატებითი პროფესიული სწავლების საპარიკმახერო და კოსმეტიკის კურსები. დამთავრების შემდეგ გაიცემა საერთაშორისო სერტიფიკატი. მის: მ. „მარჯანიშვილი“, აღმაშენებლის №113 (შესასვლელი თაღიდან). კაბინეტი №55. ტელ: 95-83-54

ვარ კვალიფიცირებული მასაჟისტი. ვაკეთებ: ზურგის მასაჟს; 2. საერთო მასაჟს (მთლიანად); 3. ცელულიტის დაშლა; 4. სამკურნალო მასაჟს. შესაძლოა ბინაზე მისვლაც. მის: კეკელიძის №1. სალონი „იმიჯი“. ტელ: 25-26-87. მასაჟისტი ზაზა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმისთვის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი – პირველივე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

„ახალგაზრდა დამცველთა ასოციაცია“ გთავაზობთ: 1. უფასო იურიდიულ კონსულტაციებს; 2. ყველა სახის ფირმის რეგისტრაციას; 3. წარმომადგენლობას ყველა ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო დავის საქმეებზე; თქვენი ინტერესების დაცვას; 4. საადვოკატო მომსახურებას სისხლის სამართლის საქმეებზე. მის: მარჯანიშვილის ქ. №5. მე-2 სართ. ოთახი №11. ტელ: 91-11-94; 899 10-93-97; 893 34-31-33; 893 21-42-64

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამკულების შალითების შეკერვა-აღდგენა-განახლებას; სკამების მატრასების გარემონტება-განახლებას. ვღებავ ტყავის სამკულებს. ტელ: 95-97-12. ვალერი

თუნუქის, კრამიტის, მეტალოკრამიტის სახურავების მოწყობა, შეკეთება, შეღებვა; მანსარდების მოწყობა 20 წლის გარანტიით. ტელ: 39-44-61; 899 58-98-51

## მკურნალობა

უცხოური უახლესი მეთოდებით, უცხოური აპარატურით, ტრენაჟორებით და ჩინური ნემსებით, ყველა ასაკში სწრაფი შედეგებით – სრული გარანტიით აღვიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ქაშობრიკობას, ლოგონევროზს, ნევროზს, ფსიქოლოგიურ აშლილობებს, ჭარბწონიანობას (თლილობებს), პარეზებს, დცპ-ს – თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, თსუ-ის ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი ქნი ინა კობახიძე. მიღება წინასწარი ჩაწერით: 899 55-05-75

კვალიფიციური მასაჟისტი ვაკეთებ სამკურნალო მასაჟს. მივიღებ ნებისმიერი ასაკის პაციენტს. მოგემსახურებით როგორც ადგილზე, ისე ბინაზე მისვლით. ტელ: 98-64-14

ექიმი დერმატოლოგი ნანა თურმანიძე თავისი მალამოებით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: ჭრილობას, დამწვრობას, ნაწიბურს, ბუასილს, კანის დაავადებებს – ეგზემა, დერმატიტი, სოკოვანი დაავადებები, ფურუნკული, კარბუნკული, ფსორიაზი, წითელი ქარი. ტელ: 37-35-65

> მეჭეჭებისა და ხორცმეტების მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიის ქვეშ, ტანზე – უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. ეფექტი გარანტირებულია! მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან. ტელ: 39-00-70; 39-25-57; 899 56-96-61

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი“. ტელ: 877 468-253; 91-18-33; 877 41-50-30

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ქაშობრიკობა-ლოგონევროზი) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით, მაღალი შედეგით ლიცენზირებულ სამედიცინო ცენტრში. მის. ვაჟა-ფშაველას №16, მე-13 სართ (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხარაშვილი. 10-15 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

> პირველად საქართველოში – აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით: შიში, დეპრესია, უძილობა, ჰალუცინაცია, ნევროზი, კლიმაქსი, ჰიპერტონია, ინსულტი, ინფარქტი, მარილები, სახსრები, ვარიკოზი, პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, ფიბრომა, კისტა, მიომა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული. ტელ: 99-75-90 (დილით)

## ვასწავლი

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს 2003-2004 წ.წ. მიღებას: 1. ახალგაზრდა თეატრალურ შემოქმედთა ორწლიანი უმაღლესი კურსები. კურსებზე შეიძლება მიღებულ იქნას უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა რეჟისორი, დრამატურგი, თეატრალური მხატვარი. კურსის ხელმძღვანელია – თემურ ჩხეიძე. სწავლების ღირებულება – 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში; 2. უმაღლესი კინორეჟისორო კურსები (ციფრული კინოწარმოების ბაზაზე), ჰოლივუდის მიღების შესაბამისი პროგრამით. სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან საჭირო ტექნიკით. ხელმძღვანელი – ნ. თავართქილაძე. სწავლების ღირებულება – 250 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში; 3. ჟურნალისტიკის უმაღლესი კურსები. ხელმძღვანელი – პროფ. მანანა ბერიკაშვილი. სწავლების ღირებულება – 250 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. ამასთანავე ინსტიტუტი აგრძელებს მიღებას დრამის რეჟისურის სპეციალობაზე (ხელმძღვანელები გ. ჟორდანია, ქ. დოლიძე და ნ. კასრაძე). სწავლის საფასური – 450 დოლარის შესაბამისი ლარი. ყველა სპეციალობაზე საბუთები მიიღება აწ. 15 ოქტომბრამდე. *მიმღები კომისია*

კომპიუტერული სტუდია „დავი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

შევასწავლით ბუღალტრულ აღრიცხვას საერთაშორისო სტანდარტებით. საგადასახადო და სამეწარმეო კანონმდებლობას. კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამებს „ორის ბუღალტერია“, „ინფო ბუღალტერი“, კურსდამთავრებულებს ერთი წლის მანძილზე გაეწევათ პრაქტიკული დახმარებები. ფასი ჯგუფში 70 დოლარი. ინდივიდუალურად – $250. ტ: 33-30-88; 899 78-24-96

უცხო ენების და კომპიუტერის სწრაფი კურსები „ელიტას-სკ“ იწვევს 15-დან 18 წლამდე სკოლის მოსწავლეებს ამერიკის, გერმანიისა და საფრანგეთის სკოლებში სასწავლებლად, აკადემიური წლის პროგრამით. მის: ქავთარაძის №12. ტელ: 30-39-20

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61; 899 53-10-08

გამოცდილი სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი, აბიტურიენტებს მოამზადებს ისტორიაში შეღავათიანი პირობებით. ტელ. 22-78-56

## იყიდება

> გერმანიიდან ახალჩამოყვანილი სატვირთო ავტომობილი „მერსედესი“ 1117D. გამოშვების წელი – 1991, ძრავი – ევრო 1, სიმძლავრე – 170 ცხ/ძ, კუბატურა – 6000, ჰიდრავლიკა, შ, ტვირთამწეობა 11 ტ, უკანა ასაწევი ლიფტით ამწეობა 2,5 ტ. რისორს + ბალიშები, სიმაღლე – რეგულირებადი; ალუმინის სატვირთო განყოფილება, რომელიც მარცხნიდან იკეცება დასატვირთად. სატვირთო განყოფილება – ევრო 2. მანქანის მთლიანი სიგრძე – 8,5 მ, სატვირთო განყოფილების სიგრძე – 6,80, სიგანე – 2,60, სიმაღლე – 2,60 მ. მდგომარეობა – იდეალური. ფასი $9000 განბაჟებით. ტელ. 38-70-57, 893-35-43-42

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი“, 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

პირველად საქართველოში! სენსაციური სიახლე! ყველაფერი ჩვენი შინაური ცხოველებისა თუ დეკორატიული მცენარეებისათვის. ამ უკანასკნელთა ბედი ვისთვისაც მნიშვნელოვანია, გთავაზობთ ყველაფერს მათი სილამაზის, ჯანმრთელობის და დღეგრძელობისათვის. ისინი ხომ ჩვენ ცხოვრებას გვილამაზებენ. ტელ: 899 74-86-24; 66-68-66 (საღამოს). ქნი შორენა


# რათა ცხოვრება სიხარულად გექცეთ ! ! !

პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმილს, მესამე – დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქანი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მითუმეტეს მსუქან ხალხს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი ასევე, გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.



ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერგიის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. «ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro.**

**Abtronic Pro** საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმია. ბუმია ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.



ძვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოირგეთ
არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოირგეთ
გეზარებათ ვარჯიში? – მოირგეთ

**Abtronic Pro!**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან დაგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზიაში: **www.shopge.com.**

ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.





### დალი რევაზიშვილს!

*მონატრება და მილოცვა*

დაბადების დღეს გილოცავთ, დალი. 10 წელი გავიდა შენთან განშორებიდან, 10 მძიმე და აუტანელი წელი. უშენოდ მოვიდა 9 ოქტომბერი, შენი დაბადების დღე, შვილო, რომელიც შენ ძალიან გიყვარდა. მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა ბედისწერამ, ჩვენ კი – შენი დაკარგვით გამწარებულ მარადიული ტკივილი და მონატრება. არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი, შვილო. [illegible] მძიმეა უშენობა და გაუსაძლისი. [illegible] შენს სახელს დავიწყება არ უწერია, შვილო. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სპეტაკი, უმანკო, ლამაზი სული. გვახსოვხარ, გვიყვარხარ, გვენატრები.

*მშობლები, ძმა*



### ლევან საგაიას!

დაბადების დღეს გილოცავთ, ლევან! ჩვენო საყვარელო ბიჭო, ჩვენო სიამაყე, 12 ოქტომბერს 20 წლის ხდები. [illegible]

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ლამაზო ბიჭო!

*შენი ოჯახი*



### ნუნუკა ჩანქსელიანი-ორბანის ხსოვნას!

[illegible]

*[illegible] ლელამზას მოსახლეობა, ნაირა ორბანი, ციური ლიპარტელიანი*



### ნუკო ფარულაძის მონატრება

ცრემლიანი 40 დღე გავიდა უშენოდ. ვერ წარმოგვიდგენია, რომ 47 წლის ასაკში მოულოდნელად წახვედი და მიგვატოვე. სულ დაგეძებთ, მაგრამ ამაოდ. [illegible] ჩვენო საყვარელო შვილო?!

[illegible]

*შენით გამწარებული მშობლები*



### ომარ ნემსაძის ხსოვნას!

[illegible]

*მეგობრები*



### მიკა ორიგავას მონატრება

მიშკუნა, დედა! (შენ ხომ ასე გეფერებოდი), ჩემთვის ისევ პატარა იყავი.

გილოცავ, შვილო, დაბადების დღეს, 12 ოქტომბერს 24 წლის გახდებოდი, მაგრამ შენმა [illegible] შენ მხოლოდ 21 წლის დაგტოვა. რატომ? [illegible]

*გულდაწყვეტილი დედაშენი – როზა კოდუა*

### ზვიად დადვანის მონატრება

ზვიად, ჩვენო სიცოცხლევ, 18 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა. მესამედ გილოცავთ ზეციურ სასუფეველში დაბადების დღეს, შენ და გიორგი, ჩვენო საყვარელო ბიჭებო. [illegible] სათვის საფლავზე მილოცვა.



23 წლისამ მოულოდნელად მიგვატოვე და ლამაზი ფიქრებით, ოცნებებით ზეციურ ცხოვრებაში გადაინაცვლე, ჩვენ კი მოურჩენელი, სამუდამო ტკივილი დაგვიტოვე. ყოველი დღე შენი მონატრებით იწყება და მთავრდება, შენ ხომ ჩვენს ფიქრთა მუდმივ თანამგზავრად იქეცი. უშენობა უსაშველო ტკივილია, რასაც დრო ვერ განკურნავს. რაც დრო გადის, უფრო გაუსაძლისი ხდება ცხოვრება საყვარელი ძმის, უბედური გამზრდელი მშობლის და შენი და-ძმისათვის. ვერ წარმოგვიდგენია უშენობა, მაგრამ მაინც ბედნიერები ვართ, რომ ჩვენს ცხოვრებაში იყო ის 23 წელი, რომელიც შენით იყო ლამაზი, შენი სითბოთი, შენი სიყვარულიანი გამოხედვით და იმ სიკეთით სავსე, ყველასადმი რომ იჩენდი განურჩევლად.

დაე, ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ და შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში. გვჯერა, შენი ლამაზი სული მარადიული და უკვდავია. შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

*შენს უმანკო სულზე მლოცველი შენი ოჯახი*

### ზაირა ქუმელაშვილის მონატრება



ჩვენო ძვირფასო, მონატრებულო, საყვარელო და უერთგულესო დედიკო!

13 ოქტომბერს უკვე მეორედ ვხვდებით უთქვენოდ თქვენს დაბადების დღეს. გაუსაძლისია თითოეული ჩვენთაგანისათვის თქვენი ამ ქვეყნიდან წასვლით გამოწვეული ეს უდიდესი ტკივილი... დაგვაკლდა ბრძნული რჩევები, თქვენი ალერსი და სიყვარული. დედობის ეტალონო, დიდი სიყვარულის მატარებელო, ყველასათვის დიდი სითბოსა და სიხარულის გამნაწილებელო, უფალში განსვენებულო, ჩვენო ზაირა დედიკო, ქედს ვიხრით თქვენ წინაშე და დიდი მოწიწებითა და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს.

*თქვენი ალიკა, მაია, ნინიკო, შაკო და პაწაწინა ლუკა*

### გოგა იაშვილის ხსოვნას!



გოგლი! პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. 21 ოქტომბერს 37 წლის უნდა გამხდარიყავი.

მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო შენი გარდაცვალება. შენ სულ ჩვენთან ხარ. შენისთანა ლამაზი სულის ადამიანს თუ შეეძლო ასეთი სიკვდილი, არაფერი თქვი, არ შეაწუხე შენი ოჯახის წევრები შენი ავადმყოფობით და ჩუმად, უთქმელად, როგორიც იყავი, ისე წახვედი 31 დეკემბრის ღამეს, ცხოვრებაზე გულნატკენი და გულდაწყვეტილი.

უსაზღვროდ გიყვარდა შენი თბილისი და ქვეყანა. ამიტომაც, შენი ლექსების უმრავლესობა თბილისს ეკუთვნის:

*„...მე ვევედრები უფალ ღმერთს – ანგელოზების გამგებელს,*
*რომ დაგიცვას თბილისო, სიცოცხლე მიყვარხარ...“*

შენი თეატრის გარეშე არ შეგეძლო სიცოცხლე. დაარსების დღიდან მისი ცხოვრებით ცხოვრობდი, მისი ტკივილი გტკიოდა და სიხარული გიხაროდა. ყველას ახსოვხარ, გოგა, ყველას უყვარხარ ისე, როგორი უსაზღვრო სიყვარულითაც ისინი გიყვარდა შენ.

მოვიდნენ, გოგა, შენს საფლავზე შენი მეგობრები. გვიყვარხარ და გვენატრები.

გიგას ძალიან ენატრები, გოგა.

ღმერთმა განანათლოს შენი სული ზეციურ სასუფეველში, ჩვენო გოგალე!

*შენი ნანა და გიგა*

### გიგა ქანთურიას მონატრება



ეს შეუძლებელია, რომ შენ აღარ ხარ, მაგრამ ვაი, რომ ეს სიმართლეა, ჩვენო უსაზღვრო და დიდო ტკივილო. 13 ოქტომბერს, შენს დაბადების დღეს პირველად ვხვდებით უშენოდ. მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო შენი ამ ქვეყნიდან წასვლა, რადგან შენ ხომ ჯერ მხოლოდ 24 წელი იცხოვრე. წახვედი და თან გაიყოლე უამრავი აუხდენელი ოცნება. შენი დაკარგვით ყველას გული დაგვიცარიელე. აუტანელია უშენობა, მაგრამ გვჯერა, რომ სამოთხეში ხარ შენ უსპეტაკესი სულის გამო. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავთან, თვალცრემლიანებმა აგანთოთ სანთლები და ვილოცოთ შენი სულის უკვდავსაყოფად.

*შენი მეგობრები: ლელა, ირა, თეა, ირაკლი*

### თემურ ძიძიგურის მონატრება



ცრემლებით სავსე თასით გილოცავ მცხეთობას, ჩემო უდროოდ გაფრენილო მარადიულო სიყვარულო, თემუ, ძვირფასო! უფალს ვევედრებ რჩეულთა შორის განსვენებულ შენს სათნო სულს, ჩემო რჩეულო. დღედაღამ ვლოცულობ, გინთებ უამრავ წმინდა სანთელს; დიდი მონატრებით ვეფერები შენს ხატად ქცეულ საფლავს, ცრემლით ვრწყავ შენი შვილების ხელით დარგულ ყვავილებს, გეჩურჩულები, გულის დარდს გიზიარებ; შენ კი მიყურებ, მღიმი მოსიყვარულე თვალებით, ჩემო ოცნებად ქცეულო მარტოსულო.

მცხეთობას გილოცავს შენი ოთხი შვილი, შენი სიმდიდრე ამქვეყნიური. შენზე მზრუნველი გოგონები ტკივილიანი მონატრებით ლოცულობენ საყვარელი მამიკოსთვის. შენი ნაოცნებარი მემკვიდრე კი, თუმცა მხოლოდ ოთხი წლისაა, უკვე ვაჟკაცურად დაჰყვება თავის დებს ეკლესიაში, მუხლმოყრილი პირჯვარს იწერს და ღმერთს ევედრება: ჩემი თემური მამიკო დამიბრუნეო. ზეცაში გაფრენილი ოთხი შვილის მფარველი ანგელოზი, გიორგი მაღლიდან გელოდება: წვიმს მოდის და მამიკო რატომ არ მოდისო?! არა და არ დასრულდა ეს სულის წამლეკი მოლოდინი. ვაი, რომ არც დასრულდება.

მცხეობას მოგილოცავს ყველა, ვისაც შენი გულის სითბო ენატრება. შენი ბედნიერი ოჯახის ადრიანად დარღვეული ტრადიცია, ჩვენი მოყვასის გულისტკივილია.

დასანანია, 14 ოქტომბერს რომ აღარ მიუჯდები ტრადიციულ სუფრას სათამადოში, სასმისით ხელში აღარ დაილოცები და არ იტყვი: „მე მცხეთელი კაცი ვარ, მცხეთის სვეტიცხოვლის მადლით, ყველა სალოცავის მადლი გფარავდეთ, ჩემო მეგობრებო“.

შენ ისევ დაილოცები სულთა სავანიდან. ყველა დალოცე, მადლიანად დალოცე შენი ყურადღებიანი კოლექტივი და საერთოდ ყველა, ვინც გაგიხსენებს, სანთელს დაგინთებს, შენს შესანდობარს მდუღარე ცრემლს ჩააყოლებს, შენს სიყვარულს ალალი გულით შენს დაობლებულ ოჯახს გაუნაწილებს და ამ დარდიან წუთისოფელს გაატანინებს.

მიუხედავად ხანმოკლე ბედნიერებისა, ჩემი ბედის ბორბალი უკან რომ დაბრუნდეს, ისევ შენ აგირჩევდი, ჩემო თემურ. არც სიცოცხლეს დავიშურებდი შენთვის. დაუფიქრებლად გიწილადებდი დარჩენილი სიცოცხლის ნახევარს; ნახევარსაც კი იმიტომ დავიტოვებდი, რომ შენთან ერთად გამეტარებინა, მაგრამ ასეთი ყოფილა ღვთის ნება.

ღვთისგან იყავი დაჯილდოებული ლამაზი ხასიათით, დიდსულოვნებით, სიკეთით, სიყვარულით. სწორედ ღმერთმა დაგაჯილდოვა გორგასლის ღირსების ორდენით და მარადისობად გაქცია.

გჯეროდეს ჩემი, როგორც გჯეროდა. ყველაფერი ისე იქნება, შენ რომ მოგეწონება. იმ დაუვიწყარი ლამაზი წარსულის მადლიერების ნიშნად, არასოდეს მოაკლდება შენს სპეტაკ სულს სანთელ-საკმეველი, საფლავს კი ლამაზი ყვავილები; გპირდები, შენს კაცურ ღირსებას ვერაფერი შებღალავს. შენს სახელს სანთლად დავანთებთ მე და შენი შვილები.

მე კი შენს ნატვრასა და ოცნებაში დაველოდები ღვთისგან დადგენილ დღეს, როდესაც სიკვდილი მეც ამყრის ბორკილებს, როგორც შენ უკვე აგყარა და იმ დღეს შენ შეხვდები მას, ვისაც უყვარდი და ისევ ისევ უყვარხარ. შენ პოვებ მის გულს და იმ გულში კვლავ იმავე გრძნობას, უფრო განწმენდილს.

შევიშრობ ცრემლს და ვილოცებ შენი სულისთვის, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხარ.

*„არასოდეს მიეცემ შენს ხსოვნას მე დავიწყებას, ხალხის რჩეულო,*
*სანთლების ალში ჩავაქსოვ ჩვენს ლამაზ გრძნობას, ჩემო რჩეულო,*
*ყვავილებს გიძღვნი, ცრემლით ვბანავ თითოეულ ფურცელს, თვითონ რჩეულო.*
*გულგატეხილი მოგილოცავ მე შენ მცხეთობას, ღმერთის რჩეულო“.*

*დიდი მონატრებით შენი თამილა*

### გურამ დადვანი!



დღეს, 13 ოქტომბერს შენ 47 წელიწადი უნდა შეგსრულებოდა, არადა ჯერ ორმოცი დღეც კი არ გასულა შენი აღსრულებიდან. ხანმოკლე, ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა შენი წუთისოფელი, ხუთი ათეული წელიწადიც კი ვერ მიითვალე და უკვე მარადისობას შეუერთდი.

პატიოსანი და გამრჯე ოჯახის შვილი, და-ძმებში უფროსი, სიყრმიდანვე, ბავშვობიდანვე გამორჩეული შრომისმოყვარეობით, დაუზარლობით, იმედიანობით, მზრუნველობა-მეურვეობის, მეგობარ-ნათესავთა, ახლობელ-მეზობელთა, გვარიშვილთა თანადგომისა და მხარში ამოდგომის მუდმივი სურვილით, განსაკუთრებული ღვთისმოშიშებით, ხელგაშლილობით, უდიდესი სტუმართმოყვარეობითა და უზომო თავმოყვარეობით...

შენ ჯერ კიდევ საბჭოეთის დედაქალაქში სწავლა-განათლებამიღებულსა და ბრწყინვალე სპეციალისტს არა მხოლოდ მშობლიურსა და უსაყვარლეს აფხაზეთში, შემდგომ კი თბილისში გილვაწია და გიშენებია ღირსეულად, არამედ რუსეთის არაერთ ქალაქსა და შორეულ ციმბირშიც კი, სადაც ყოველთვის იმედად და ნუგეშად ედექი ყველა თანამოძმეს, ყველა ქართველს, კაცურად გიკეთებია ქართული საქმე.

ამქვეყნად დატოვებული შენი კვალი ნათელი და საქმენი სასიკეთონი სიკეთით დაუბრუნდეს წინ ღირსეული და განუმეორებელი მამის დამკარგავ შენს ობოლ გოგონებს – ანა და თამუნა დადვანებს. სიკეთის განმსახიერებელ შენს სულს კი ლაღად ეფრინოს ზეციურ საქართველოში, მოხუცი დედ-მამისა და საფიცარი ძმის დაკარგვით სამუდამოდ გულდამწვარი შენი სახელოვანი და-ძმების ლოცვა-კურთხევით.

*მეგობრები*



### რეზო ქანთურიას!

7 ოქტომბერი შენი ოჯახის ტრაგედიის დღეა, რეზო! გაუსაძლისი, ტანჯვისა და წამების, ტკივილიანი 6 წელი გავიდა უშენოდ, რომელიც საუკუნოდ გვეჩვენება. ყოველი დღის გათენება უშენოდ ახალი სიკვდილია შენი უბედური დედისთვის, მეუღლისთვის, დებისთვის და ძმისთვის. გვენატრება შენი ხმა, შენი ღიმილიანი სახე.

ჩემო საყვარელო ძმაო, როგორ ვიფიქრებდით, რომ უშენოდ სიცოცხლეს შევძლებდით. მაგრამ შენი უფროსი შვილი მაკა გაბედნიერდა და ქორწილიც გადავუხადეთ უშენოდ. საფლავზე ყვავილები მოგიტანა შენმა შეძენილმა შვილმა რაჟიმ. აქედან მოგილოცეს შვილის ბედნიერება შენმა ახლობლებმა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და გთხოვთ პატიებას, რომ უშენოდ ვაგრძელებთ ამ ტანჯულ ცხოვრებას...

*შენი გამწარებული და – მაგული ქანთურია-კაჭარავა*

### ნოშრევან ბზარაშვილის ხსოვნას!

ნოშრევან! ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი. სევდიანია ყოველი დღე უშენოდ. ულმობელ სენს ებრძოდი შენს ახლობლებთან ერთად. ვერ მოერიე, წახვედი ნატანჯი, განწმენდილი და სულით ამაღლებული. ვიცით, შენი სპეტაკი სული დაეხმარება შენს შვილებს ამქვეყნად.

ნათელში იყავი, ჩვენო კეთილო ნოშრევან.

*შენი ოჯახი და ახლობლები*

### ზაურ მაღრაძის (შვეტიას) მონატრება



ჩვენო ზაურ! 3 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. 14 ოქტომბერი მწარედ მოსაგონარი დღეა ჩვენთვის. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ შეუძლებელია იმ დიდი ტკივილის ჩვენი გულებიდან ამოშლა, რასაც შენი არყოფნა შეავსებს. გვანუგეშებს მხოლოდ მოგონებები, შენ მიერ კაცურად განვლილი ცხოვრებიდან. ბევრი ტკივილი გადაიტანე, ბავშვობის ასაკიდან იგემე ჩვენმა ოჯახმა არაადამიანთა მხრიდან სისასტიკე და გაუტანლობა, დაგვაშორა საყვარელ მშობლებს, მაგრამ შენ არ გაბოროტებულხარ, გზა არ გაგმრუდებია, პირიქით, კეთილ, პატიოსან, სამართლიან პიროვნებად ჩამოყალიბდი.

ყოველთვის გამორჩეული იყავი ახლის ძიებით, შენთვის მიუღებელი იყო მოშურნეობა, ღალატი და განზე დგომა, კაცურად ცხოვრობდი, მოყვასის სიყვარულით და უწყინართა თანადგომით განვლე წუთისოფელი.

შენი საყვარელი და ერთგული მეუღლე ზემფირა შენი გოგონებით არსებობს, შენი საფლავი მისთვის წმინდა ადგილია და მის მოვლაში და შენზე ლოცვაში პოულობს ნუგეშს. სანამ შენი ხსოვნა ჩვენში არსებობს, შენც აგრძელებ სიცოცხლეს, ზაურ. დააკლდი შენს დედმამიშვილებს, დიდ სამეგობროს, შენს რაიონს, როგორც მისი მოჭირნახულე პიროვნება და გამორჩეული კოლეგა.

გვიყვარხარ და გვენატრები.

*ოჯახი*



### სონია ლაზარიშვილი-ქარჩავას!

ჩვენო ლამაზო სონია! აუწერელია ის მწუხარება, რომელიც შენმა გარდაცვალებამ მოგვიტანა. მძიმე სენმა მოგისწრაფა ლამაზი სიცოცხლე. ყველასგან გამორჩეული იყავი და ღმერთმაც შენ აგირჩია, როგორც საუკეთესო. უფალმა სიკეთისთვის გაგაჩინა. ყველგან სითბოს და სიყვარულს აფრქვევდი, ყველაფერი შერწყმული იყო შენში, რასაც მშვენიერება ჰქვია. უზომოდ შეგვაყვარე თავი და დაგვიტოვე სასოწარკვეთილება.

ეჰ „იმ ნაპირზე“ გადასულს, დაგრჩა რამდენი წადილი
მეუღლე, დედა, აღმზრდელი, ბებია, მასწავლებელი.

მშვიდობით ჩვენო უსაყვარლესო სონია. განისვენე მშვიდად, ისევე როგორც ბუნებით იყავი. დაე, ჩვენი ანთებული სანთლები გინათებდეს სამუდამო სასუფეველს.

*45-ე ბაგა-ბაღის თანამშრომლები*

### კობა გოროზიას მონატრება



კობა, სვეტიცხოვლობას 32 წელი შეგისრულდებოდა. წელს პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ, რადგან მძიმე და თავზარდამცემია, შვილო, შენი წასვლა ჩვენგან, მარადისობაში. როგორი ტკივილით შეხვდი შენი მამიდაშვილის გოგიტას ტრაგიკულად დაღუპვას. გიორგობას (6 მაისს) იქნება უფალმა მისი წაყვანა. ამ კოშმარით გათანგულებს ისევ ელდა! – 53-ე დღეს შენც დაგვტოვე. ძნელია უშენობა. შენ ხომ უსაზღვროდ გიყვარდა სიმართლე და სტუმარი, ოჯახი და სამშობლო. ყველას ენატრები, ვინც გიცნობდა. უსაზღვროა, შვილო, ჩვენი წუხილი და სევდა. ოჯახის შექმნაც ვერ მოასწარი, ვერ გაიხარეთ ცოლ-შვილით შენ და გოგიტამ. მშვიდად იძინე, ჩვენო სიცოცხლევ. სანთლებს დაგინთებთ, მოგიგონებთ, ვილოცებთ შენზე. განუსვენე უფალო, ორივეს.

*შენი მშობლები – ბენო და ლუარა გოროზიები*



აბაშის რაიონის მთავარი ვეტექიმის

### ოლეგ ქორაიას მონატრება

ერთი ტკივილიანი წელი გავიდა 15 ოქტომბრს, ოლეგ, რაც შენ წახვედი. დრო ნამდვილად არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი. შენი ოჯახისთვის, სანათესაოსთვის, სამეგობროსთვის, აბაშელებისთვის და შენი გეზაილებისთვის კიდევ უფრო მეტი ტკივილი ხარ. სად გეჩქარებოდა, რა იქნებოდა, შენს გულს გაეწია ერთგულება და გზაზე არ ელალატა. 24 ოქტომბერს ხომ 47 წლის ხდები. რა იქნებოდა, ყოფილიყავი შენს ლამაზ ოჯახში. შენს სავალ გზაზე შენი ბიჭები დადიან, შენს მოსანათლს შენი ბიჭები ნათლავენ, ბიჭები, რომლებიც არასოდეს შეარცხვენენ ოლეგ ქორაიას ოჯახის სახელს.

მსუბუქი იყოს შენთვის თამაკონის მიწა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, შენს დედასთან ერთად.

*შენი ოჯახი*

### ოლეგ ქორაიას გახსენება

15 ოქტომბერი ის ავბედითი დღეა, როდესაც უკანასკნელად გახვედი შენი სამუშაო კაბინეტიდან და სახლამდე ვერ მიაღწიე, ჩვენო საყვარელო ოლეგ. როგორ გვენანები, ასე ნაადრევად რომ დაასრულე შენი ოცნებებით აღსავსე ცხოვრება.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ახალგაზრდა სპეტაკი სული. სიყვარულით გიგონებთ.

*შენი თანამშრომლები*

### ნიკა ვერძეულის ხსოვნას!



ძვირფასო ნიკა, ორმოცი დღე გავიდა შენი დაღუპვიდან. არ ვიცი, ამ შემთხვევას ტრაგედია დავარქვათ თუ სასწაული, ალბათ სასწაული, იმიტომ, რომ ტრიალ მინდორზე ელვამ დაგიფერფლა ეგ პატარა გული. ქვით აუწერელ ტკივილს განიცდიან შენი მშობლები და თითოეული ჩვენგანი. დედაშენის გული შენდამი სიყვარულით იყო სავსე, შენთვის ცოცხლობდა, რადგან შენ ჰყავდი ნანატრი და ერთადერთი 14 წლის შვილი. მუდამ გვემახსოვრები და შენი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში. დაე, ჩვენმა ლოცვამ გაგინათოს სასუფევლის ის პატარა ბილიკი, რომელზეც შენ უნდა გაიარო.

შენთვის ვლოცულობთ შენი ბიძაშვილები:

*ქეთი და გლახო, მაია და მანანა, ელზა, მიშკა და გიორგი*



### დავით (კუკური) ქორქას მონატრება

19 ოქტომბერს ერთი წელი სრულდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ... სევდით და ტკივილით, საოცარი მონატრების განცდით სავსე ერთი წელი.

მიჭირს უშენობასთან შეგუება. გვაკლიხარ, გვენატრები და ვლოცულობთ შენთვის.

*შენი დაიკო*

### მაია მაისურაძის მონატრება



ჩვენო ლამაზო, სათნო და საყვარელო შვილო მაიკო! ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უდროოდ შეწყდა შენი გულისცემა! შეწყდა მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდი შენს შვილებს. გავიდა მწუხარებისა და დიდი დარდის ერთი წელი, წინ კი უშენოდ ყოფნის ცრემლიანი წლები გველოდება. რატომ გაგწირა ღმერთმა ასე ნაადრევად, სიცოცხლე მაშინ იწყებოდა შენთვის, როცა შენი პატარა გიორგი მოევლინა დედამიწას. ჩემო სიხარულო, უშენოდ წავიდნენ შენი შვილები წელს სკოლაში, შენ უნდა გაგეცილებინა, მაგრამ... იმედია, შენი უმანკო სული ზეციდან გზას დაულოცავს ანის და ნინიკოს სკოლისაკენ. რაღა გითხრა, დედა! სავსეა ჩემი სევდიანი გული შენზე დარდის გადმოსაცემად. ყველაფერმა დაკარგა აზრი, სულიერად გამანადგურა უშენობამ. ყოველდღე იმ იმედით ვიძინებ, რომ უეჭველად დამესიზმრები და კიდევ ერთხელ მაგრძნობინებ, რომ შენ ჩემი გამამხნევებელი და თანამდევი უკვდავი სული ხარ. იმედს ვიტოვებ, რომ ბოლოს მაინც ვიქნებით ერთად, რამეთუ ყველას დასასრული მარადისობაა... მაგრამ მონატრებას, უსაშველო მონატრებას რა ვუყო, შვილო? ჩვენი შეხვედრა კი უფლის ნებაა, თორემ ამდენ ხანს როგორ ვძლებდი უშენოდ.

მაიკო, დედა, გიხაროდეს, შენს ძმას 9 ოქტომბერს გოგო შეეძინა, ღმერთს ვთხოვთ, შენსავით კეთილი გაიზარდოს, მაგრამ შენი ბედი აშოროს. იქნებ უშენობის ტკივილს მალამოდ დაედოს, მაგრამ არა, შვილო, გაუსაძლისია ჩემთვის უშენობა.

მაიკო, სათნოვ და კეთილო, ილოცე შენი პატარა ძმისშვილისათვის, ილოცე მათთვის, ვინც გაგიხსენებს, სანთელს დაგინთებს, შენს შესანდობარს მდუღარე ცრემლს ჩააყოლებს და დაობლებულ შენს შვილებს შენგან გასაკვალ გზას გაუკვალავს, შენეული მფარველობით გვერდით დაუდგება და ამ გაუსაძლის მწარე დღეებს შეუმსუბუქებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და უკვდავი სული, ჩემო სიამაყევ!

*შენი გულდამწვარი დედა*

ჩვენო საყვარელო და ძვირფასო დედიკო! სევდითა და ტკივილით, საოცარი მონატრების განცდით გასრულდა ერთი წელი. 16 ოქტომბერს მეხის გავარდნას ჰგავდა შემზარავი ხმა – დედა აღარ გყავთო! დაგვტოვე ობლად, სათუთად გაზრდილი შვილები. გვიყვარხარ და გვენატრები, დედიკო! რა ბედნიერები ვართ იმ ვიდეოკასეტებში, შენი ხანმოკლე სიცოცხლის ბოლო დღეს და ალეკო ბიძიას ქორწილს რომ ასახავს, გიყურებთ და ცრემლი თავისით პოულობს გზას, მოვდივართ შენს საფლავთან და იქიდანაც შენი ღიმილიანი სურათი გვიმზერს და გვამხნევებს. დედა, მამიკო ვერ ეგუება უშენობას, ენატრები და სითბოსა და სიყვარულს ორმაგად გვაფრქვევს. ენატრები შენს პატარა გიოსაც, რომლის ბედნიერების კალთას ყოველთვის უდედობა ჩამოჰქაჩავს. მიუხედავად ამისა, ცხოვრებას გავაგრძელებთ უშენოდ, გავუძლებთ იმ მტანჯველ მონატრებას, რასაც საფიცარი, უსაყვარლესი დედის მონატრება ჰქვია! ვიქნებით საუკეთესონი!

გვამაყებს შენი შვილობა, დედა! გვიყვარხარ, შენ ჩვენთვის მარადიული ხარ, დედა!

*შენი პატარა შვილები: ანი, ნინო, გიორგი*

### მამუკა მამათავრიშვილის მონატრება



მამუკა, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო სიხარულო, ჩემო მოურჩენელო ტკივილო, ვტირი და ვწერ, ვწერ და ვტირი... მთელი ჩემი სიცოცხლე თვალწინ მიდგას, რომელიც უშენოდ უნდა გავატარო და არ ვიცი, რას ვგრძნობ მე ამ დროს... ერთადერთი სიხარული ამ ჩემს განცდით სავსე ყოფაში იყავი შენ, ჩემო ღვთაებავ... ახლა? უშენოდ რად ღირს ჩემი სიცოცხლე, მაგრამ რა ვუყო შენს ობლებს – ბექასა და მარის? ისინი ხომ ჯერ ძალიან პატარები არიან, მათ ჩვენ ძალიან ვჭირდებოდით ორივე ერთად, მაგრამ ვაი, რომ ამ ულმობელმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი... სულ რაღაც წუთებში, მოულოდნელად მოუსვა მწყრალი ცელი და წაგვაქცია სრულიად ჯანმრთელი კაცი. ახლა ნამდვილად ობლები ვართ, უშენოდ მიდიან ბავშვები სკოლაში, უშენოდ მივდივარ სამსახურში... ვბრუნდებით სახლში, შენ მაგივრად მხოლოდ შენი სურათი გვხვდება ყვავილებში ჩაფლული...

ერთი წელი გავიდა იმ ავადმოსაგონარი დღიდან და ასე მგონია, საუკუნე მაწევს მხრებზე მარტოობის ტვირთი. დავრჩები მუდამ შენი ერთგული და საამაყო მეუღლე და დედა. შენ ხომ ყველა ქალში მხოლოდ ამას აფასებდი...

*მუდამ შენი, მხოლოდ შენი მოსიყვარულე და მაღმერთებელი, შენგან გულდამწვარი მეგობარი და მეუღლე – ირინა ფაშტიანი-მამათავრიშვილი*



### ალიოშა ბაკურაძის მოგონება

მძიმე და დარდიანია უშენოდ განვლილი წლები. შენს სათაყვანებელ შვილიშვილებს კიდევ ორი დაემატა. მათ შენზე მხოლოდ გადმოცემით ეცოდინებათ. ისე იცხოვრე, რომ დაგვიტოვე მზრუნველი და მოსიყვარულე მეუღლის, მამის და ბაბუის სახელი. ეკლესიაში მუდამ ციმციმებს შენს სახელზე დანთებული სანთლები. ვილოცებთ შენზე. გვიყვარხარ.

*მეუღლე ნანა; შვილები: ნინო, ბაქარი; შვილიშვილები: ნიკუშა, რუსუდანი, ლუკა, სანდრო, ანა, დავითი, სოფიკო, მაქსიმე, ქეთევანი*

### ბათუ (მანუჩარ) ჯემალის ძე ხარებავას გახსენება



ბათუ, შემოდგომის მზიან, თბილ და საოცრად ამაღლებულ დღეს, 14 ოქტომბერს მოევლინე ამ ქვეყანას. შენმა გაჩენამ არა მარტო შენს ახალგაზრდა მშობლებს მოუტანა უდიდესი სიხარული, არამედ ჩვენც, მამაშენის თანაკურსელებსაც. ჩვენთან ერთად იზრდებოდი, ვაჟკაცდებოდი და მთელი სტუდენტობის მანძილზე სიცოცხლეს გვიხალისებდი და გვილამაზებდი. 15 წლისამ კი ისე მოულოდნელად დაგვტოვე, ვერც კი მოვასწარით გაგვესიგრძეგანებინა, რა გჭირდა, რა დაგემართა და უცებ რატომ გაფრინდი ჩვენგან. გამწარებულ შენს მშობლებს შენი კარგი ძმიკო და თვალებბრიალა ხატია უმსუბუქებენ ცხოვრებას. შენ ახლა შორს ხარ ჩვენგან. მარტო დარჩი ერთ დროს კოპწია და ულამაზესი სოხუმის მიწაზე. ძალიან მეცოდები, მაგრამ ალბათ უკვე დიდი ბიჭი ხარ და ვაჟკაცურად უძლებ უჩვენობას. მით უმეტეს, შენი გამზრდელი ბებია და ბაბუაც, რომლებმაც აქამდე მოიტანეს ტანჯული სული, უკვე იქ არიან. ჩემო ვაჟკაცო, ძალიან, ძალიან არ მეშეტები იძულებისთვის... ხშირად წარმოვიდგენ, აქ რომ იყო, როგორ დაუმშვენებდი მხარს ვაჟკაცობით ცნობილ შენს მამიკოს, როგორ იამაყებდა შენით კეთილშობილი შენი დედიკო და მასთან ერთად, რუსიკო დეიდა, მარინა დეიდა და მეც, ჩემო სტუდენტობის შვილო, ჩემო სანატრელო! ბათუ, არ გეწყინოს, რომ 14 ოქტომბერს შენს საფლავთან ვერ მოვალთ, ვერ მოგეფერებით და მოგესიყვარულებით, ვერ მოგილოცავთ დაბადების დღეს. ერთი წუთითაც არ იფიქრო, რომ არ გვახსოვხარ! ჩვენ მხოლოდ ფიზიკურად ვართ აქ! შენ კი მუდამ ჩვენში ცოცხლობ.

*„გაძლიერს ძალებმ სამარავს, სიცოცხლის წერტილს,*
*შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ, ეს ჩვენ არა ვართ შენთვის“.*

ნათელში იყავ, ალვისტანა და ლამაზო ბიჭო!

*მედიკო დეიდა*



### ზაალ გუდაძის ხსოვნას!

ჩვენო ძვირფასო ზალიკო, ერთი ტკივილიანი და ცრემლიანი წელი გავიდა იმ ტრაგიკული დღიდან, როცა მეხივით გავარდა შენი დაღუპვის ამბავი. აუტანელია იმის შეგუება ზალიკო, რომ აღარ მოხვალ შენს ტკბილ ოჯახში. გვენატრები, ჯერ კიდევ გელოდებით, გელიან შენი დაუსრულებელი საქმეები, ოცნებები, მიზნები. ყოველი დღის გათენება უშენოდ ახალი სიკვდილია შენი გამწარებული მშობლებისათვის. რა ძნელი გასახსენებელია ის ავბედითი დღე, 17 ოქტომბერი, როცა მოულოდნელმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი. სიტყვები უძლურია შენზე სასაუბროდ. შენ ყველას ძალიან უყვარდი და დღემდე ვერ გაგვირკვევია, რატომ გერგო ასეთი მძიმე ხვედრი. მუდამ გვახსოვხარ, გვაკლიხარ, გვენატრები, ზალიკო. ჩვენო მოურჩენელო დარდო და ტკივილო, დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი გამწარებული მშობლები, ძმა და რძალი*

### მამუკა გვილავას მონატრება



უბედური ფოთოლი, ნაადრევად ხეს მოწყვეტილი, მოვიდა შემოდგომა – მოჰყვა ფოთოლცვენა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა – ბუნების კანონი, მაგრამ ვაი, რომ ხშირად ირღვევა კანონზომიერება... დაუბერავს ბედისწერის სიო და რომელიმე ფოთოლი ხიდან ფოთოლცვენამდე ჩამოვარდება... ისე როგორც შენ, მამუკა... არ დაელოდე ორმოცდამეერთე ფოთოლცვენას – შენი დაბადების დღეს – 11 ოქტომბერს. ყოველივე უფლის ნებაა, ხოლო ჩვენი ვალი სინანული და ლოცვაა, შენი სულის ცხონებისთვის. აგრეთვე იმ მძიმე ჯვრის ზიდვა, რომელსაც გაუსაძლისი, დაუმებელი ტკივილი ჰქვია.

*შენი დისშვილი გიორგი*



### რამაზ სირაძის მოგონება

4 თვე გავიდა უშენოდ. ძლიერ მძიმე, სევდიანი, ტკივილიანი და ცრემლიანი. ხანმოკლე აღმოჩნდა ის ბედნიერი დღეები, ერთმანეთს სიცოცხლეს რომ ვულამაზებდით. მიჭირს, სიტყვებით გადმოვცე ის მწუხარება, რომელიც შენი მოულოდნელი გარდაცვალებით დაატყდა თავს შენს საყვარელ ცოლ-შვილს, შვილიშვილს, სიძეს და მთელ შენს სანათესაოს. 17 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. პირველად შეხვდებიან ამ დღეს უშენოდ. 53 წელი შეგისრულდებოდა. გილოცავთ შეუსრულებელ დაბადების დღეს. თავდახრილები ვდგავართ შენს საფლავთან და მივნატრით იმ ბედნიერ დღეებს, რომელიც შენთან ერთად გავატარეთ შენმა გამწარებულმა ოჯახმა.

*ოჯახი*

### ლილი ხალხელაური-წიწაკიშვილის გახსენება

ჩვენო საყვარელო დედიკო, ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა ჩვენგან შენი წასვლის დღიდან. ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები, შენი დიდსულოვნება და სისპეტაკე მისაბაძია ყველა ჩვენგანისათვის. უშენოდ ყოფნა ძალიან გვიჭირს, ჩვენ ყოველთვის ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის.

*შენი ოჯახი, შვილები და შვილიშვილები*



ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა **ფატი (ფატულა) ზედელაშვილი.** მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი მოულოდნელი სიკვდილი. გვიმძიმს უშენობა. უსაშველოდ გვენატრები, უზომო სიყვარული იცოდი და უზომოდ ბევრ სიკეთეს თესდი. ჩვენო მოურჩენელო ტკივილო, ნათელში იყოს შენი სული, ჩვენ კი სანთლებს არ მოგაკლებთ, იქნებ გზა გაგინათოთ მარადიულ სასუფეველში.

*დალი კაკუაშვილი ოჯახით, ელიკო მენთეშაშვილი*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თ. გველესიანის სახელობის რესპუბლიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა განათლების ღვაწლმოსილი მუშაკი, სკოლა-ინტერნატის დირექტორი

**ჯემალ ნიკოლოზის ძე ვეკუა**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

*პანაშვიდები:* 12, 13 ოქტომბერს, 17 საათზე.
*დაკრძალვა:* სამშაბათს, 14 ოქტომბერს, 15 საათზე.
*მისამართი:* გამსახურდიას №2, VI სადარბაზო (შესასვლელი ღლიდის ქუჩიდან)

# სამფეხა ხბო

რაჟიკუნა ბიძიამ დამინახა თუ არა, ქილიკით მითხრა: — დაგიგვიანდა ჩამოსვლა, შევჭამეთ ვარინკას წლისთავზე ქსენოს უცხოპლანეტელი ხბოო. მერე, გაკვირვება რომ შემატყო, სიცილით განაგრძო, — მიდი და მოგიყვება, მე შენ



გეტყვი, ენა უგვალავს ან ხვეწნა დასჭირდება. ბოშო, სამი კლასის განათლება აქვს და რას არ იგონებს, მაგას რომ გიმნაზიაში ევლო, შოთა რუსთაველს ვინღა ახსენებდაო?!.

რაჟიკო ბიძია ასე სულ კრიჭაში უდგას ქსენოს და „ეჩხუბება", არადა ვერ მოისვენებს და ძილი არ მიეკარება, თუ დილა-საღამოს არ შესძახა: „ქსენო, ბოშო, ხო ცოცხალი ხარო?!." თონიდან ამოყრილ ცხელ პურს კი მანამ არ გატეხს, სანამ ქსენოს არ მიუკითხავს. ქსენოსაც სიცოცხლეს ურჩევნია „ძმისწული რაჟიკუნა" და იმას რომ წნევა აუწევს, ამას სახლში ასტკივდება თავი და ვერ მოისვენებს, „ბიჭს" რაღაცა უნდა უჭირდესო!.."

ხომ გახსოვთ ქსენოს თუთიყუში „სურენა", რომელზეც ერთხელ უკვე გიამბეთ?!. როცა ქსენო ბებოს კარს მივადექი და დავიძახე, სანამ მოხუცს გავაგონებდი, თუთიყუშმა „შემომყივლა" — „შემოდი, ბოშო, რაჟიკუნაო," აქედანაც დაასკვნით, როგორ უყვართ ერთმანეთი ამ ორ ადამიანს.

...ქსენოს ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა და ქოთქოთით შემხვდა. მერე ნათესავივით მოიკითხა „კვირის პალიტრა" — რავა არიენ, თუ უძლებენ არეული ქვეყნის სიმძიმესო.

მივყევით ამ მთისას, იმ ბარისას და აწრიალებული ცნობისმოყვარეობა დიდხანს ვერ შევაკავე:

— **ძია რაჟიკომ მითხრა „უცხოპლანეტელი" ხბო გყოლია...**

— დამცინა, ხომ, იმ ღვთისპირიდან გადავარდნილმა და მოასწრო ჩემი გამასხრება?!. რა ვქნა, ბოშო, თუ ყველა უცნაურობა მე უნდა დამემართოს?!. ხომ გახსოვს, ადრე გაზეთშიც დაწერე, მთაში რომ უცნაურმა კაცუნებმა ხბო გააჩენინეს ჩემს ძროხუკას და მე შიშით გადამრიეს. იმ ძროხუკას დეემართა ახლაც უცნაური ამბავი. იმ ამბის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩეიარა. დაბერდა ჩემი „კვასარა", გაბერწდა, მარა დასაკლავად ვერ ვიმეტებდი, მყავდა დაბმული და მთელი ღამე მუცელმტკივანივით „კვნესოდა" და ზმუოდა.

ერთხელ, სულ სხვანაირი ზმუილი მომესმა. შევშინდი და ფანჯარაში გადავიხედე. დავინახე გამჭვირვალე, მომწვანო შუქით განათებული სამკუთხედი. შიგ ჩემი ძროხუკა იყო მოქცეული და სიამოვნებით ზმუოდა. ხუთიოდე წუთში იმ სამკუთხედში სინათლე „ჩაქრა" და მინის კედლებიც აორთქლდა თითქოს. „კვასარა" დაწვა და დამშვიდდა.

გათენებულზე გავბედე მისვლა. შემომხედა ჭკვიანი თვალებით, თითქოსდა მძიმე ავადმყოფობა მოეხადა და უხაროდა... შევამჩნიე მაკედ იყო, არც ქვე მჯეროდა, მარა... ზუსტად დანიშნულ დროს რომ გააჩინა ხბოუკა, თან უცნაური, ვერ მოვითმინე და გავამხილე, — ჩემი „კვასარა" უცხოპლანეტელებმა ხელოვნურად დამიმაკეს-თქვა. რაჟიკუნამ მიყვირა: — ნუ დეიწყე ახლა შენებურადო!.. მეც მომივიდა გული და გავჩუმდი, არაფრის რომ არ სჯერა ამ ხალხს, იმიტომაც ვერაფერს ამჩნევენ, თვარა სასწაულს თუ იწამებ, ყოველ ნაბიჯზეა... ხბო სამფეხა იყო. ორი ფეხი ჰქონდა უკან და ერთი — წინ. არც გვეგონა, თუ გაივლიდა, მაგრამ კურდღელივით იმისთანა სირბილი ისწავლა, ვერ ვეწეოდით ხტუნვახტუნვით გაქცეულს. ტყავი კი ვერცხლისფერი ჰქონდა და ღამეში ისე ანათებდა, ნეილონის გეგონებოდა... ვიკლავდი თავს — ვაჩვენოთ პრაფესორ ხალხს-თქვა, მარა არ გამიგონეს. რაჟიკუნამ გამიყიდა და შემიჭამეს საწყალი ვარინკას წლისთავზე: — სამფეხა ხბოს გაჭაჭანება რავა იქნებაო!. რომ დაკლეს, ტყავი გამოვქენი და შევინახე, მარა დაკარგა სხივი, რომ „მოკვდა", ალბათ იმიტომ, შავმა ფერმაც გადაკრა და დავმარხე...

— **სურათი არ გადაუღეთ იმ უცნაურ ხბოს?!.**

— ხბოუკასი კი არა, ჩემი სურათი არ მაქ, რომ მოვკვდე, ვერაფერს გაადიდებენ... არ გჯერა, რომ ჩემ კარად სასწაული მოხდა? — გულდაწყვეტილმა შემომხედა უცებ.

**...როგორ არ მჯერა, ქსენო ბებო, ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენს მადლიან ეზო-გარემოში სასწაული არც ისე იშვიათია, თანაც რა ლამაზად თქვით, — რწმენა უნდა სასწაულის დანახვასო. სასწაულები რომ არ ხდებოდეს, რა გაგვაძლებინებდა ამდენი მტრისა და ორგულის ხელში?!.**

***ინგა ჯაყელი***

## ჩვენ გვწერენ

# შიშით კარი არ გავუღეთ...



ეს ამბავი, რომელსაც გიამბობთ, 1999 წელს აბაშის რაიონის სოფელ წყემში მოხდა. ბებიაჩემის ორმოცი გასული არ იყო. ჩვენში არსებული წესისამებრ, ორმოცის გასვლამდე, იმ ოთახის კარ-ფანჯრებს, სადაც განსვენებულის საკურთხია გაშლილი, მანამ არ კეტავენ, სანამ კარგად არ დაღამდება, რადგან ეშინიათ, სული გარეთ არ დარჩესო. რა თქმა უნდა, ჩვენც ასე ვიქცეოდით, მაგრამ ერთ ნაშუადღევს, ქარიშხალი ამოვარდა და იძულებული გავხდით, კარ-ფანჯრები დაგვეხურა. მე მაშინ 12 წლისა ვიყავი, ჩემი და — 11-ის. იმ ღამეს ორივე მშობლების ოთახში დავწექით. იქნებოდა ღამის 12 საათი. ყველას ეძინა, ჩემი და ჩემი დის გარდა. ამ დროს მომესმა ნაბიჯების ხმა, რომელსაც თან ჯოხის ხმაც ახლდა, თითქოს ვიღაც ამოდიოდა კიბეზე. ბებიაჩემის სიარულს მივამსგავსე და შიშით გათანგულმა ჩემს დას გადავხედე. მასაც გაეგონა ყველაფერი და ყურები დაეცქვიტა. ამასობაში, ის „ვიღაც" კარს მოადგა და კაკუნი დაიწყო. კარი რომ არავინ გააღო, ნელ-ნელა ჩაბრუნდა კიბეზე. მერე წინა მხრიდან მოადგა სახლს და იქ ატეხა კაკუნი. 10-15 წუთის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. მე და ჩემმა დამ დედ-მამა გავაღვიძეთ და ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევით. დაგვამშვიდეს, — ალბათ მოგელანდათო.

მე და ჩემს დას კი დღემდე გვჯერა, რომ იმ ღამეს ბებიაჩემის სული გარეთ დარჩა...

***თამაზ კუპრეიშვილი***

# თოვლის გუნდა აპრილში



1991 წლის აპრილი დგებოდა. სოფელი სახნავად ემზადებოდა. მე, ჩემი და და დედ-მამა მინდორში დარჩენილ ჩალის ღეროებს ვჭრიდით.

ახალი ჩამდგარი იყო მაგნიტური ქარები, რომელიც ძირფესვიანად თხრიდა ხეებს...

საოცრად თბილოდა. შორს, სამეგრელოსა და გურია-იმერეთის თოვლიანი მთები მზის სხივებზე ბრწყინავდა.

უეცრად ზურგში საშინელი დარტყმა ვიგრძენი. ძლივს მოვბრუნდი. ჩემს ფეხებთან დაახლოებით 10 სმ დიამეტრის თოვლის გუნდა ეგდო. გაოგნებულმა გუნდა ხელში ავიღე და დავიყვირე. ყველანი ჩემთან მოსცვივდნენ. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ქარი არ ქროდა და საიდან უნდა გაჩენილიყო თოვლის გუნდა?

ბევრი ვათვალიერეთ, ვუტრიალეთ, ჩვეულებრივი თოვლის გუნდა იყო, რომელიც მალე დამძიმდა, რადგან დნობა დაიწყო.

***ჯონი ფაჩულია***
***ხობის რაიონი,***
***სოფ. ზემო ქვალონი***

## „საზალღო–სალაღო" გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**
1) — დ); 2) — ბ); 3) — გ); 4) — ა); 5) — გ); 6) — ა); 7) — გ); 8) — დ).

**II.** 1-ლი და მე-8 ფინჯნები.

**III.** ანკესი.

**IV.** ა) კვერცხი; ბ) ხელები.



# მალე ფერადი დოლარები გამოვა




ამერიკელებმა გადაწყვიტეს, ფერი შეუცვალონ დოლარს და გამოუშვან ფერადი კუპიურები. ეს პროცედურა 20-დოლარიანით დაიწყეს. ფერადი 20-დოლარიანები ბრუნვაში შუა ოქტომბრიდან გავა. ძველისგან განსხვავებით, ახალ ბანკნოტებზე მწვანე ფერთან ერთად იქნება ყვითელიც, ვარდისფერიც და ცისფერიც. ხმარებიდან ძველ კუპიურებს მანამ არ ამოიღებენ, ვიდრე არ გაცვდება. ახალი 20-იანი წინანდელი ზომისაა. წინა მხარეზე აშშ-ის მე-7 პრეზიდენტის, ენდრიუ ჯექსონის პორტრეტია დაბეჭდილი, მეორე მხარეს — თეთრი სახლი.

1. კუპიურის გაყალბების თავიდან ასაცილებლად მას აქვს ვერტიკალური დამცავი ზოლი წინა, მარცხენა მხარეს. ასეთივე ზოლი დასდევს მარჯვნივაც — კუპიურის მეორე მხარეს.

2. ციფრი „20“ კუპიურის წინა მხარეს, მარჯვენა ქვედა კუთხეში ყვითლად არის დაბეჭდილი, მაგრამ ზევით-ქვევით ტრიალისას ციფრი გამწვანდება.

3. თუ კუპიურას გახედავთ სინათლეზე, გამოჩნდება პრეზიდენტის პორტრეტის იდენტური, ოღონდ მცირე ზომის გამოსახულება. ამ პორტრეტის დანახვა ორივე მხრიდან არის შესაძლებელი.

4. ვარდისფერი ჩანს კუპიურის ორივე მხარეს. გარდა ამისა, ჯექსონის თავის მარჯვნივ არის ცისფერი ფერის ტალღოვანი წარწერა Twenty USA, ხოლო მის ქვემოთ იმავე ფორმის, მაგრამ ამჯერად შებრუნებული USA twenty. წარწერის პირველი ასოების ქვეშ გამოსახულია არწივი ფარით. პრეზიდენტის პორტრეტის მარცხნივ — არწივის მსხვილი, ცისფერი გამოსახულებაა. პრეზიდენტის პორტრეტი გადიდდა და დაკარგა ოვალური ფორმა.

5. კუპიურის ზურგზე, მინდვრებზე, თეთრი სახლის გვერდებზე დაბეჭდილია ყვითელი ფერის რამდენიმე ციფრი „20“.

ამერიკელი სპეციალისტების აზრით, მსოფლიოში არ არსებობს უფრო დაცული კუპიურა (გაყალბებისაგან), ვიდრე მათ მიერ შექმნილი ახალი „20-იანი“.

ახლა აშშ-ში ამზადებენ ახალ 50-დოლარიანს, რომელიც ბრუნვაში გამოვა 2004 წელს.

***გარდიანი***

# მკურნალი ძროხები



ბელგიის დედაქალაქი ბრიუსელი აივსო ძროხების ძეგლებით, რომლებიც სულ სხვადასხვა სტილშია შექმნილი. მოქანდაკეებმა მთელი თავიანთი ფანტაზია მოიხმეს და შედეგად მოსახლეობა სტრესისგან გათავისუფლდა. გარდა ამისა, ბრიუსელში იკლო დანაშაულთა რიცხვმა, ნარკომანიამ და ქურდობამ. ეტყობა, ტყუილად არ ითვლება ინდოეთში ძროხა წმინდა ცხოველად. გარდა ამისა, ბრიუსელელები ამტკიცებენ, რომ ძროხების ქანდაკებებმა მათ წნევაც დაურეგულირეს და სტრესიც მოუხსნეს.

***პარი მატჩი***

# ყველაზე ცისფერები ცისფერთა შორის

ამერიკა და ავსტრალია აღიარეს პლანეტის ყველაზე „ცისფერ“ ქვეყნებად. ზუსტად ამ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე მოდის ყველაზე დიდი რაოდენობით ცისფერი და ლესბოსელი. ამ ქვეყნების მოსახლეობის 17% ამჯობინებს ცალსქესა სექსს — ასეთია კომპანია Durex-ის გლობალური გამოკვლევის შედეგი. რაც შეეხება სქესობრივი კონტაქტების სიხშირეს, ავსტრიელი ცისფერები და ლესბოსელები უფრო ხშირად არიან დაკავებულები სექსით, ვიდრე ამერიკელები — წელიწადში 128 — 118-ის წინააღმდეგ. ბოლო დროს სულ უფრო და უფრო მეტი ავსტრალიელი აძლევს უპირატესობას „ვირტუალურ სექსს“ — გამოკითხულთა 43%.

***ჰერალდ სანი***



# საბრალო ცხოველები

თურმე ევროპაში კატებისა და ძაღლების ბეწვს ქურქების წარმოებაში იყენებენ. მსოფლიოში ყოველწლიურად ბეწვეულის მოსაპოვებლად კლავენ 2 მილიონ ძაღლს და კატას. ამგვარი საქონლის მთავარი მომხმარებელი ჩინეთია. ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში ბეწვის მისაღებად სპეციალურად აშენებენ კატებს და ძაღლებს. ევროპაში ყოველწლიურად იყიდება ასობით ათასი ქურქი: მოდის მიმდევართა შორის განსაკუთრებით პოპულარულია ძაღლის ბეწვის ნახევარქურქები, კატის ბეწვის პლედებს კი რევმატიზმით დაავადებულები ეტანებიან. ერთი პლედის დასამზადებლად საჭიროა 10-12 ძაღლი, პალტოსთვის — 12-15 ძაღლი ან 24 კატა. ბეწვის მისაღებად მაწანწალა ცხოველებსაც იჭერენ. ცხოველთა დამცველები ევროკომისიისაგან ითხოვენ გადამწყვეტი ზომების მიღებას.

***დენგი №39***

# ორბაკაიტე და პრესნიაკოვი კვლავ ერთად არიან?



კრისტინა ორბაკაიტეს ის ყოველთვის უყვარდა და აი, ამის დამამტკიცებელი საბუთიც: პრიმადონას ქალიშვილმა ვერ იპოვა ვალოდია პრესნიაკოვზე უკეთესი მამაკაცი ახალ კლიპში გადასაღებად. განშორების ამდენი წლის შემდეგ ისინი კვლავ ერთად არიან, მართალია, ჯერჯერობით, კლიპში... მაგრამ, თურმე კრისტინას ამჟამინდელი მეგობარი, ბატონი აბრაამ რუსო ამის გამო თავზარდაცემულია.

ახლობლებს იმედი აქვთ, რომ თავიდან წამოწყებული „კავშირი“ არ შეუშლის ხელს კრისტინას და აბრაამ რუსოს მომავალ ურთიერთობას. თუმცა, როგორც ცნობილია, მესამე ყოველთვის ზედმეტია!...

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №215***

# ამსტერდამი ნარკომანების წინააღმდეგ

ცნობილია, რომ ჰოლანდიაში ნარკომანების მიმართ ყველაზე ლიბერალური კანონები მოქმედებს და აქ ნარკოტიკებით „გასართობად“ მთელი მსოფლიოს ნარკომანები ჩამოდიან. თუმც აღმოჩნდა, რომ არც ჰოლანდიელები ამბობენ მასზე უარს და ამსტერდამის პოლიციის ყოველი ოთხი პოლიციელიდან ერთი ნარკოტიკების მომხმარებელია. ცნობილმა კრიმინალურმა რეპორტიორმა პეტერ კრუსმა ჰოლანდიელებს აჩვენა ფილმი, სადაც აღბეჭდილნი არიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პოლიციელები. სხვა ფაქტებს შორის ნაჩვენებია შემთხვევები, როცა ოთხი პოლიციელიდან გამოძიებისას ვერცერთი ვერ პოულობს კალვესტატის ქუჩას, რომელიც მსოფლიოში ცნობილია თავისი მაღაზიებით და ამ პოლიციელთა განყოფილებიდან 2 წუთის სავალზეა.

***ნიუზუიქი***

# კომერციული საკანი ციხეში

დნეპროპეტროვსკის საგამოძიებო იზოლატორში გაიხსნა ორი სუპერკომფორტული საკანი. მათ კედლებს მხიარული შეფერილობის კაფელი ამშვენებს. საკნებს აქვთ აბაზანისა და ტუალეტის ოთახები მუდმივი ცხელი წყლით, ფერადი ტელევიზორი და მაცივარი... ამ აპარტამენტებს ციხის ისეთი აუცილებელი ატრიბუტიც კი ჩამოაშორეს, როგორიც რკინის ცხაურია და ის ტყვიაგაუმტარი მინით შეცვალეს. ამ ფეშენებელურ საკანში ცხოვრების ერთი დღე პატიმრებს 22 დოლარი დაუჯდებათ, ანუ იმდენივე, რაც კიევის მახლობელი სანატორიუმის ერთი დღის საფასურია.

***მირ ნოვოსტეი №39***

# ჭია თავში!

ჩინელმა ნეიროქირურგებმა სიკვდილს გადაარჩინეს 42 წლის მოქალაქე, რომელმაც წელიწადზე მეტია, თავი მოაბეზრა ექიმებს, გაუსაძლისი თავის ტკივილი და არეული ფიქრები მაწუხებს და მიშველეთო. ექიმები ფიქრობდნენ, პაციენტს შიზოფრენია ეწყებოდა, მაგრამ თავის ტვინის ტომოგრაფიული შემოწმებისას უცხო ფიზიკური წარმოშობის ცვლილება შენიშნეს.

როცა ავადმყოფს თავის ქალა ახადეს, ქირურგები გაოცდნენ — უცებ ტვინის ერთ-ერთი ხვეული შეირხა. გაცოცხლებული „ხვეული“ 9 სმ-იანი ჭია აღმოჩნდა.

გაუგებარია, როგორ აღმოჩნდა ჭია თავში. ვერც ბიოლოგებმა დაადგინეს უცნაური პარაზიტის წარმომავლობა.

ავადმყოფი ოპერაციის შემდეგ მალე განიკურნა.

***მეგაპოლის-ექსპრესი №39***

# არ გააღვიძოთ დათვი ალასკაზე!

„აკრძალულია ნიანგის ამწეზე მიბმა“, — ასე ჰქვია წიგნს, რომელსაც გატაცებით კითხულობს მთელი ამერიკა. ავტორებმა — 18 წლის ენდი პაუელმა და ჯეფ კუნმა დეტალურად შეისწავლეს შტატების კანონმდებლობა და მკითხველს უჩვეულო წესები და იურიდიული კაზუსები წარუდგინეს.

მაგალითად, ალასკაზე აკრძალულია დათვების გაღვიძება ფოტოს გადასაღებად, არიზონის შტატში — აქლემებზე ნადირობა, კაროლინის შტატში კი საქმეს პოლიციაში გაგირჩევენ, თუკი სააბაზანოში ცხენები აღმოგიჩინეს, მინესოტელებს მკაცრად ეკრძალებათ შიშვლად ძილი, ლუიზიანაში კი თუ ვინმე გიკბენთ, შეგიძლიათ უჩივლოთ, მაგრამ თავდამსხმელის დანაშაული ძალზე დამძიმდება, თუ გაირკვა, რომ მას კბილის პროთეზი აქვს. იუტას შტატში კანონმდებლობის ერთი პარაგრაფის მიხედვით, ნებადართულია შინ ბირთვული ქობინის შენახვა, მაგრამ კატეგორიულად იკრძალება მისი აფეთქება...

***ოკნა №37***

# დაუპატიჟებელი კუდიანი სტუმრები



კენიის პრეზიდენტის სასახლის გალავანი ველარ იცავს ზედმიწევნით დაცულ ტერიტორიას დაუპატიჟებელი სტუმრებისგან. პრეზიდენტის სამზარეულოდან გამომავალი არომატი სასახლისკენ ასეულობით მაიმუნს იზიდავს.

დაუპატიჟებელი სტუმრების რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. თურმე მაიმუნებს ადამიანებზე ნაკლებად როდი აქვთ ორგანიზებული საინფორმაციო სამსახური. როგორც კი აღმოაჩინეს ახალი საკბილო კუდიანმა გურმანებმა, მაშინვე შეატყობინეს ნათესავ-მეგობრებს სასიხარულო ამბავი. შიკრიკებს თან თანამოძმეების მთელი ხროვა მოჰყვა და პრეზიდენტის მზარეულებს სიცოცხლე ჯოჯოხეთად უქციეს, — თვალის დახამხამებაში დაითრიეს გემრიელი ნაჭრები.

მომსახურე პერსონალი იძულებული შეიქნა ხაფანგები დაედგათ და სასახლეში სიმშვიდემ დაისადგურა. თუმცა ალბათ დროებით — მაიმუნები მეზობლად, პარკში დაბინავდნენ და ჩანს, ვიზიტებს განაახლებენ.

***ეხო პლანეტი №38***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში გერმანელი პოეტის იოჰან გოტფრიდ ზოიმეს სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**დ.** რომელი ქალაქი აიღეს ტარას ბულბამ და მისმა კაზაკებმა; **ა.** რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **ი.** მდინარე, რომელშიც მოინათლა იესო ქრისტე; **ს.** ინგლისელი მწერალი, „აივენჰოსა“ და „რობ როის“ ავტორი; **ვ.** ტრამვაის მძღოლი; **ე.** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **ნ.** დინამიტის გამომგონებელი; **ე.** ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **პ.** ჩეხეთის დედაქალაქი; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **ლ.** ძველებური ფრანგული ფულის ერთეული; **ი.** ინგლისელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი; **ტ.** შავგვრემანი ადამიანი; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **ი.** ეტიკეტი; **ს.** შეჯიბრი მთიდან თხილამურებით სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული გზებით; **ფ.** ზევსი — ჰერა, იუპიტერი — იუნონა, ოდინი — ?; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **რ.** აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; **ე.** რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი; **ბ.** დათა თუთაშხიასათვის ციხეში შერქმეული მეტსახელი; **შ.** გემბანის საწმენდი ჯოხი; **ი.** ნოდარ დუმბაძის მოთხრობის პერსონაჟის, სოხუმელი ბერძენი ბიჭის სახელი.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დოკერი; **ა.** არენდა; **ი.** ისთვუდი; **ს.** სმიტი; **ვ.** ვოლანი; **ე.** ესკიმო; **ნ.** ნეაპოლი; **ე.** ელცინი; **თ.** თასმა; **ჩ.** ჩივაძე; **ვ.** ვოევოდა; **ე.** ეგრისი; **ნ.** ნიავი; **ს.** სევანი; **გ.** გეიზერი; **ა.** აზნაური; **ზ.** ზიგზაგი; ე. ეტალონი; **თ.** თხემი; **თ.** თამადა; **ა.** ანკარა; **ნ.** ნილოსი; **ე.** ეკალი; **რ.** რაველი; **თ.** თხევადი; **ა.** ალბიონი; **დ.** დრაკონი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: კეთილ კაცს ვერავინ გაემკლავება.**

# იაპონური დაცვა

## XX საუკუნის საჭადრაკო ელიტის რისხვა რობერტ ფიშერი ცოცხალია. იგი იაპონიაში იმალება მეგობარ ქალთან ერთად




**„99%-ით ვარ დარწმუნებული, რომ ეს ფიშერია, — განაცხადა ცნობილმა ბრიტანელმა გროსმაისტერმა ნაიჯელ შორტმა მას შემდეგ, რაც მას ინტერნეტით ზედიზედ 8-ჯერ მოუგო უცნობმა მოჭადრაკემ — ჩვენი პირველი პარტია სრულიად გაუგებარი სვლებით დაიწყო, ზოგი მათგანი აბსურდულიც კი იყო, მაგრამ ამ წინასწარ მოფიქრებული შეცდომებს მოჰყვა წარმოუდგენლად ძლიერი სვლები. მან უბრალოდ გადამიარა. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ბობი“.**

### რეჯინას საიდუმლო

ბობი ანუ რობერტ ჯეიმს ფიშერი იაპონიაში ცხოვრობს და არავის უმხელს თავის საიდუმლოს. შესაძლოა, ამგვარი გულჩათხრობილობა დედისგან, რეჯინა ფიშერისაგან დაჰყვა. ეს ქალბატონიც არავის ახედებდა თავისი გრძნობების სამყაროში. როგორი სულიერი ძალა უნდა ჰქონოდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე არაფერი გაემხილა თავისი ვაჟისთვის ამქვეყნად მისი მოვლინების შესახებ. ყველა დოკუმენტით ბობის მამად ითვლება გერმანელი ბიოფიზიკოს-ანტიფაშისტი და საბჭოთა აგენტი ჰანს-გერჰარდ ფიშერი. თავად ბობიც ყველა ინტერვიუში ამბობდა, მამის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ მას გერჰარდი ჰქვიაო. და კიდევ, როცა მას, ნამდვილ იუდოფობს (სწორად გაგვიგეთ, ეს ლანძღვა კი არა, ფაქტის კონსტატაციაა), ეკითხებოდნენ ებრაული ეროვნების შესახებ, პასუხობდა: „ნახევრად ებრაელი ვარ, დედის მხრიდან“. ამჟამად მან უკვე იცის, რომ სინამდვილეში ასპროცენტიანი ებრაელია.

რეჯინა ფიშერის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, 1997 წელს ძფბ-მ გახსნა მისი დოსიე. იგი ეჭვმიტანილი იყო მოსკოვთან კავშირში და უთვალთვალებდნენ 33 წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც 1939 წელს სსრკ-დან აშშ-ში ჩავიდა (მოსკოვში იგი სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა). დოსიეს მიხედვით, რეჯინას მაშინდელი ქმარი ჰანს-გერჰარდი ბავშვის მამა ვერ იქნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ 1942 წელს, როცა ბობი უნდა ჩასახულიყო, იგი უბრალოდ არ იმყოფებოდა აშშ-ში. მაშინ იგი ჩილეში ცხოვრობდა და როგორც კომუნისტ აგენტს, აშშ-ში არ უშვებდნენ. მომავალი მოჭადრაკის ნამდვილი მამა კი იყო უნგრელი ებრაელი, მათემატიკოსი პაულ ნემენი. იგი, რეჯინას მსგავსად, გაიქცა ნაცისტური გერმანიიდან დემოკრატიულ შტატებში. როცა ერთმანეთს შეხვდნენ დენვერში, რეჯინა 29 წლისა იყო, პაული — 47-ის. ძფბ-ის მონაცემების თანახმად, მათი რომანი დაახლოებით ერთი წელი გრძელდებოდა, რის შემდეგაც ნემენი როდ-აილენდში გადავიდა, რეჯინა კი — ჩიკაგოში, სადაც გაუჩნდა კიდეც ვაჟი, რომელსაც რობერტი დაარქვა. ნემენი 1952 წელს გარდაიცვალა გულის შეტევით. გარდაცვალებამდე იგი რეგულარულად უგზავნიდა თავისი ხელფასის ნახევარს შვილს, ორჯერ კი სასამართლოს გზით შეეცადა ბობი წაერთმია რეჯინასთვის, მაგრამ ბობი დედასთან დატოვეს. ბობს ჭადრაკი უფროსმა დამ, ჯოან ტრაგმა ასწავლა.

### ავადმყოფობა, სახელად ჭადრაკი

8 წლის რომ გახდა ბობი, საქმე იქამდე მივიდა, რომ დედამ ექიმებს თხოვნით მიმართა, ეხსნათ მისი ვაჟი დამღუპველი გატაცებისგან, რომელიც ხელს უშლიდა ეცხოვრა ნორმალურად, გაეჩინა მეგობრები.

13 წლისამ ჭადრაკის ოსტატის წოდება და აშშ-ის ჩემპიონის ტიტული მიიღო იუნიორთა შორის. ერთი წლის შემდეგ კი გახდა აშშ-ის ჩემპიონი მოზრდილთა შორის. ეს იყო ყველაზე ახალგაზრდა გროსმაისტერი მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში. ორი წლის შემდეგ მან მიატოვა სკოლა, რათა მეტი დრო დაეთმო ჭადრაკისთვის. ამ ნიადაგზე ეჩხუბა დედას, რომელიც სახლიდან წავიდა და ბრუკლინის ბინა დაუტოვა. „მადლობელი ვარ, რომ თავი დამანება“, — განუცხადა ინტერვიუში ბობიმ ჟურნალ „ჰარ პერსს“.

აშშ-ში ჭადრაკის პოპულარობა ბობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა. მთელი ამერიკა ადევნებდა თვალს, როგორ მწიფდებოდა ახალგაზრდა გენიოსი, რომელიც მომავალში შეძლებდა დაენგრია საბჭოთა საჭადრაკო მანქანა, უკვე ათეულწლობით რომ ეპყრა ჭადრაკის ტახტი. ახალგაზრდა ჩემპიონი გრძნობდა ამ განსაკუთრებულ ყურადღებას. „მე მივაღწევ, რომ ჭადრაკი ამერიკაში არისტოკრატთა სპორტად იქცეს, — ამბობდა ის — უსამართლობაა, როცა მოკრივეები მილიონობით დოლარს იღებენ, მოჭადრაკეები კი, — ქვეყნის ნამდვილი ელიტა, უბადრუკ თანხას“... როცა ქვეყნის ჩემპიონი გახდა, მიეცა შესაძლებლობა, დაეყენებინა თავისი პირობები.

### ჭირვეული ბობი — ჭადრაკის მეფე

თამაში ბობის მონაწილეობით არ შეიძლებოდა დაწყებულიყო დღის 4 საათზე ადრე, რადგან მას 11 საათამდე ეძინა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბობის თამაშზე არ დაეგვიანა. ტურნირების დროს იგი დარბაზში არასოდეს შესულა — ყოველთვის ქარიშხალივით შეიჭრებოდა და ასევე ტოვებდა დარბაზს, ყურადღებას არ აქცევდა არც ჟურნალისტებს, არც ავტოგრაფების მსურველთ. და კიდევ, მას პანიკურად ეშინოდა წაგების და ვერ იტანდა ყაიმებს. წაგების შიშის გამო ჩემპიონატებში ერთობ არარეგულარულად მონაწილეობდა. 1964 წლიდან, მას შემდეგ, რაც ბრწყინვალედ ჩაატარა ნაციონალური ტურნირი და მანამდე არარსებული ანგარიშით, 11:0 მოიგო, მან მხოლოდ ერთ საატურნირო თამაშში მიიღო მონაწილეობა, 1967-ში კი, ტურნირის ორგანიზატორებთან უთანხმოების გამო, მან საერთოდ უარი თქვა მონაწილეობაზე, არადა ბრწყინვალე გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ.

1971 წელს ფიშერმა ჩაატარა თამაშების ყველაზე ბრწყინვალე სერია, რაც კი ოდესმე უნახავთ ჭადრაკის ისტორიაში: ზედიზედ 15 მოგება — ამგვარი რამ არც მანამდე მომხდარა და საეჭვოა, ვინმემ მომავალში შეძლოს. თანაც ბობი ძირითადად ხვდებოდა უძლიერესად მიჩნეულ საბჭოთა გროსმაისტერებს, რომელთაგან თითოეულს მოჰყვებოდა მხარდამჭერთა გუნდი: ექიმები, ანალიტიკოსები, ფსიქოლოგები და სხვა. ეს მაშინ, როცა ბობი ყოველთვის მარტო ჩადიოდა ტურნირზე, მაქსიმუმ — სეკუნდანტით. მანამდე შესარჩევი ჩემპიონატი მან უდიდესი უპირატესობით მოიგო და თითქმის არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა. მიუხედავად ამისა, 1972 წელს, როცა რეიკიავიკში უნდა გამგზავრებულიყო სპასკისთან შესახვედრად, ისევ გაჯიუტდა. „მე არ მჭირდება ისლანდიაში წასვლა, — განუცხადა მან თავის სეკუნდანტს, უილიამ ლომბარდის — მე არ მეშინია სპასკისთან შეხვედრა. მსოფლიომ იცის, რომ მას ვჯობნი და არ მჭირდება ამის დასამტკიცებლად ჩემპიონატში მონაწილეობა“. უილიამი ცდილობდა თამაშზე დაეთანხმებინა ბობი. მან იპოვა ვიღაც მილიონერი, რომელიც მზად იყო გადაეხადა ბობისთვის 50 ათასი გირვანქა მხოლოდ იმისთვის, რომ თამაშზე გამოცხადებულიყო. „50 ათასი მხოლოდ გადამხდელისთვისაა ბევრი“ — განაცხადა ფიშერმა. მიუხედავად ამისა ისტორიული მატჩი შედგა.

**11 სექტემბრის ტერაქტიდან რამდენიმე წუთში ფიშერმა ადგილობრივ რადიოქსელში სენსაციური განცხადება გააკეთა: „ეს შესანიშნავი ახალი ამბავია! — თქვა მან — დადგა დრო, ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო აშშ-ს. რაც შეეხება ჩემს გრძნობებს, მე უდიდესი სიხარული განვიცადე და არ მჯეროდა, რაც მოხდა. ამერიკამ ზღო იმ დანაშაულისათვის, რაც მას სხვა ქვეყნების წინაშე მიუძღვის. რასაც დასთეს, მას მოიმკი. მე ტაშს ვუკრავ ტერორისტებს“.**



პირველი თამაშის წინ ბობი დიდხანს ჭირვეულობდა განათების გამო: ხან ძალიან კაშკაშა ეჩვენებოდა, ხან მეტისმეტად ბნელი. საბოლოოდ მოიძებნა შესაბამისი სინათლე. მიუხედავად ამისა, 56-ე სვლაზე ბობიმ პარტია წააგო. მეორე პარტიის დაწყებაზე მოჭადრაკემ უარი თქვა მანამ, სანამ არ გამოირთვებოდა დარბაზში მომუშავე კინოკამერები. ჭადრაკის საათები უკვე ჩაირთო, ბობი კი ისევ ოპერატორებს ეჩხუბებოდა. შოუ 30წთ გაგრძელდა. საბოლოოდ ბობი მაგიდას მიუჯდა და მოითხოვა საათის უკან დაბრუნება. მას შემდეგ, რაც მსაჯმა ამაზე უარი თქვა, მან უბრალოდ, დატოვა დარბაზი. სპასკი გამარჯვებულად გამოცხადდა. ბობიმ მოითხოვა შემდეგი თამაშის გადატანა პინგ-პონგის დარბაზში, სადაც იდგა უხმაურო სატელევიზიო კამერები. სპასკი დათანხმდა და თამაში დაიწყო. 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო. სპასკიმ გააკეთა თავისი სვლა. ფიშერმა საპასუხო სვლა ფურცელზე დაწერა, კონვერტში ჩადო და მსაჯებს გადასცა. „ნოკაუტი ჩავდე კონვერტში“ — ღიმილით უთხრა სეკუნდანტს. მეორე დღეს სპასკიმ კონვერტი გახსნა, ფიშერის სვლა წაიკითხა და დანებდა.

შემდეგ ყველაფერი ძალზე იოლად მიდიოდა: სპასკი სულ უფრო მეტს აგებდა, ფიშერი — ქულებს აგროვებდა. სანამ ფიშერი თავის სვლაზე ფიქრობდა, სპასკი სპეციალურ ოთახში ანალიტიკოსთა ჯგუფთან ერთად თამაშის შესაძლო ვარიანტებს განიხილავდა. ფიშერი კი ასეთივე სიტუაციაში ქვემოთ ჩადიოდა და ბოულინგს თამაშობდა. მატჩი 21-ე თამაშზე დამთავრდა, სპასკი მის დასასრულებლად აღარ გამოცხადდა. მან უბრალოდ დაურეკა მსაჯებს და აცნობა, რომ ნებდება ანგარიშით 12,5:8,5. ფიშერი მსოფლიოს ახალი ჩემპიონი გახდა. ეს მოხდა 1972 წლის 1-ელ სექტემბერს. პირველი, რითაც ტახტზე ასვლის შემდეგ გააოცა საზოგადოება ფიშერმა, ის გახლდათ, რომ მან უარი თქვა შეხვედროდა აშშ-ის პრეზიდენტს. როცა თეთრი სახლიდან მიწვევა გადასცეს, ბობის პირველი შეკითხვა ასეთი იყო: „ამისთვის რამდენს გადამიხდიან?“ როცა გაიგო, რომ გადახდას არავინ აპირებდა, მან შეხვედრაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

ტიტულის მიღებამდე, ჟურნალისტების შეკითხვაზე, რას იზამდა, როცა ჩემპიონი გახდებოდა, ბობი პასუხობდა, რომ იმოგზაურებდა მსოფლიოში და ითამაშებდა, ბევრს ითამაშებდა... ძალიან დიდ ჰონორარებზე და აქცევდა ჭადრაკს ყველაზე ძვირად ღირებულ თამაშად. თუმცა ჩემპიონობიდან სამი წლის მანძილზე მას არც ერთ ტურნირში არ მიუღია მონაწილეობა. სამაგიეროდ დაამკვიდრა ერთგვარი პრაის-ფურცელი. იმისათვის, რომ გაეხსნა და წაეკითხა მისთვის გამოგზავნილი წერილი, ითხოვდა 1000 დოლარს, ტელეფონზე საუბრისთვის — 2500-ს, პირად შეხვედრაში — 5 ათასს, ინტერვიუსთვის კი — 25 ათას დოლარს.

1975 წელს კი მან უარი თქვა ანატოლი კარპოვთან შეხვედრაზე, თუმცა ჰონორარი დღევანდელი ეკვივალენტით 50 მილიონი დოლარი იყო. მან ფიდეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვდა 44 პირობის შესრულებას. ფიდემ მიიღო 43 პირობა, მაგრამ უარი თქვა ერთზე — ყველაზე მნიშვნელოვანზე. ბობი მოითხოვდა განსხვავებული სქემით თამაშს. თუ ვინმემ არ იცის, შევახსენებთ, რომ ჭადრაკის ჩემპიონატზე ტარდება 24 თამაში. თუ ბოლო თამაში მთავრდება ანგარიშით 12:12, მაშინ საპრიზო ფონდი შუაზე იყოფა, ჩემპიონი კი ინარჩუნებს თავის წოდებას. ფიშერი მოითხოვდა თამაშს ათ გამარჯვებამდე, ანუ ჩემპიონი ის უნდა გამხდარიყო, ვინც ათ თამაშს მოიგებდა. ფიდემ უარი თქვა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ფიშერის გამოუცხადებლობის შემდეგ კარპოვი პლანეტის უძლიერეს მოჭადრაკედ აღიარეს.

### ძე შეცთომილი

ამ დროისათვის მსოფლიოში ხმა დაირხა, რომ ფიშერი რომელიღაც რელიგიური სექტის გავლენის ქვეშ მოექცა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჯერ კიდევ 60-იანი წლების ბოლოს შეუერთდა ის აპოკალიფსურ სექტას — „შემოქმედის მსოფლიო ეკლესიას“, რომელიც ქვეყნიერების აღსასრულის ვადად 1976 წელს ასახელებდა. ამის შემდეგ არც ის დაუდევრობაა გასაკვირი, რომლითაც თავის ჩემპიონობას მოეკიდა ბობი. კარპოვთან შეხვედრაზე უარის თქმის შემდეგ იგი გადასახლდა პასადინაში, სადაც განლაგებული იყო სექტის შტაბბინა და საერთოდ უარი თქვა რაიმე ტურნირში მონაწილეობაზე.

მიუხედავად ამისა, წინადადებები არ წყდებოდა, თანაც საკმაოდ დიდი ჰონორარებით, ამ დროისათვის მათი სიდიდე მილიონამდე გაიზარდა. ირანის შაჰი ფიშერს თავის ქვეყანაში თამაშის სანაცვლოდ $2 მილიონს სთავაზობდა, ფერდინანდ მარკოსი — 3 მილიონს, ესპანელი მილიონერი — 4 მილიონს. ყველა ამ შეთავაზებას ექსჩემპიონმა უარით უპასუხა. მაგრამ განვლო 1976 წელმა და ქვეყნიერების აღსასრული არ დადგა. მაშინ ბობიმ მიატოვა სექტა და განაცხადა, რომ მას მართავს უპატიოსნო ხალხი, რომლებიც მხოლოდ იმას ცდილობენ, წაართვან პატიოსნად მოპოვებული ფული.

პასადინაში ფიშერი 90-იანი წლების დაწყებამდე ცხოვრობდა და გულმოდგინედ ემალებოდა ჟურნალისტებს და თაყვანისმცემლებს.

ჭადრაკის სამყაროში ბობი კვლავ გამოჩნდა 1992 წელს. ბალკანეთის ომის დროს მოულოდნელად იგი დათანხმდა (მიუხედავად აშშ-ის მთავრობის აკრძალვისა) იუგოსლაველი ბიზნესმენის წინადადებას, ეთამაშა მის კერძო კუნძულზე სპასკისთან. არავის სჯეროდა, რომ მატჩი შედგებოდა, მაგრამ იგი შედგა. 49 წლის ფიშერი კუნძულზე 19 წლის უნგრელ მოჭადრაკე ზიტა რაიჩანისთან ერთად ჩავიდა. აქამდე ხომ ფიშერი მტკიცე ქალთმოძულე იყო!

როცა კუნძულზე სპასკის შეხვდა, ფიშერი პირველი მივიდა მასთან, ხელი ჩამოართვა და მშვიდობიანად ესაუბრა... სპასკიმ პირჯვარი გადაიწერა და შესძახა: „ღმერთო, ეს სასწაულია, ბობი ისეთი ზრდილობიანია, ისეთი მეგობრული... ის... ნორმალურია!“

თამაშის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ფიშერმა განაცხადა, რომ მას არ უთქვამს უარი კარპოვთან თამაშზე, უარი კარპოვმა თქვა, როცა არ მიიღო მისი პირობები; რომ მას თავი ექსჩემპიონად არ მიაჩნია, რომ იგი დღემდე პლანეტის უძლიერესი მოჭადრაკეა. გარდა ამისა, იმავე პრესკონფერენციაზე მან ბრალი დასდო რუს მოჭადრაკეებს, რომ ისინი „შეკვეთილ პარტიებს“ თამაშობენ, როცა მომავალი თამაშის ანგარიში წინასწარაა ცნობილი. „კასპაროვმა, კარპოვმა და კორჩნოიმ საბოლოოდ გაანადგურეს ჭადრაკი თავისი უზნეო, წინასწარ დაგეგმილი თამაშით, — განაცხადა მან — ეს ბიჭები ნამდვილი ქოფაკები არიან და ხალხმა მათ შესახებ სიმართლე რომ იცოდეს, შეზიზღდებოდათ. ხალხი გაიგებს სიმართლეს, როცა ამის შესახებ წიგნს დავწერ!“

ბობიმ ბრწყინვალედ მოიგო იუგოსლავიური მატჩი, მიიღო საპრიზო 3,5 მილიონი დოლარი და თავის მეგობარ ქალთან ერთად გაუჩინარდა. ამერიკაში ჩასასვლელი გზა მოჭრილი ჰქონდა, რადგან ზემოთ ნახსენებ პრესკონფერენციაზე დემონსტრაციულად წაუკითხა დამსწრე საზოგადოებას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წერილი, რომლითაც მას ემუქრებოდნენ 10 წლის პატიმრობით იმ შემთხვევაში თუ იუგოსლავიაში ჩავიდოდა. ბობიმ ყველას თვალწინ დახია წერილი, ფეხით გათელა ნაკუწები და თქვა: „ასეთია ჩემი პასუხი. მე ყველაფერი გავაკეთე, იმისათვის, რათა ყველას დაენახა, რომ აშშ ინტელექტუალური ზესახელმწიფოა, რომ იქ ჭკვიანი ხალხი ცხოვრობს, სამაგიეროდ კი, მივიღე დამცირება, გაკოტრება, მეც იმავეთი ვპასუხობ“.

### გაუჩინარება და იაპონური დაცვა

ოთხი წლის მანძილზე მისი ასავალ-დასავალი არვინ იცოდა. ჟურნალისტები დაიქანცნენ მისი ძებნით. ეძებდნენ ყველგან: იტალიაში, გერმანიაში, უნგრეთში. ბოლოს, ყველასთვის მოულოდნელად, ფიშერმა ბრაზილიიდან მიაწვდინა მსოფლიოს ხმა. 1996 წლის 19 ივლისს იგი სიტყვით გამოვიდა ახალი, მის მიერ გამოგონებული ჭადრაკის პრეზენტაციაზე. თამაშს ავტორმა „ფიშერენდი“ უწოდა („ფიშერი“ და „რენდი“, რაც შემთხვევითს ნიშნავს).

და ისევ ოთხწლიანი დუმილი და ისევ მოულოდნელი გამოჩენა. ამჯერად ფიშერი მანილაში გამოჩნდა. 11 სექტემბრის ტერაქტიდან რამდენიმე წუთში მან ადგილობრივ რადიოქსელში სენსაციური განცხადება გააკეთა: „ეს შესანიშნავი ახალი ამბავია! — თქვა მან — დადგა დრო, ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო აშშ-ს. რაც შეეხება ჩემს გრძნობებს, მე უდიდესი სიხარული განვიცადე და არ მჯეროდა, რაც მოხდა. ამერიკამ ზღო იმ დანაშაულისათვის, რაც მას სხვა ქვეყნების წინაშე მიუძღვის. რასაც დასთეს, მას მოიმკი. მე ტაშს ვუკრავ ტერორისტებს“.

საერთოდ, რადიოეთერი ფიშერმა 1999 წელსაც გამოიყენა. მას სიტყვა მისცეს ერთ-ერთ უნგრულ რადიოსადგურში. სიტყვა რამდენიმეწუთიანი იყო და ებრაელების მიმართ საშინელი ლანძღვა-გინებისგან შედგებოდა. წამყვანმა ტრანსლაცია ამ სიტყვებზე შეწყვიტა: „ეს ბინძური ნაბიჭვრები, რომლებმაც მოიგონეს არარსებული ხოლოკოსტი, ახლა კი ცდილობენ მთელი მსოფლიოს დაპყრობას...“ ამის შემდეგ ბობი ხშირად გამოდის რადიოთი, რას იტყვის, წინასწარაა ცნობილი. „მასთან ურთიერთობა სულ უფრო ძნელია — თქვა ამას წინათ მისმა ფილიპინელმა მეგობარმა ბობი ანგმა — ეკითხებით ჭადრაკზე, ის კი ებრაელებზე ლაპარაკობს“.

2000 წელს ფიშერი არალეგალურად ჩავიდა აშშ-ში თავისი დის დაკრძალვაზე. სპეცსამსახურებმა იცოდნენ ამ ვიზიტის შესახებ, მაგრამ არავითარი ზომა არ მიუღიათ. დის დაკრძალვის შემდეგ, ფიშერი გაფრინდა იაპონიაში, სადაც ამჟამადაც ცხოვრობს თავის ახალგაზრდა იაპონელ მეგობართან ერთად (ზიტას ჯერ კიდევ 1994 წელს დაშორდა). ამბობს, რომ 10 მილიონადაც კი არ დათანხმდება, ითამაშოს ჩვეულებრივი ჭადრაკი, ებრძვის ებრაელებს და აქტიურად ითვისებს ინტერნეტს.

საჭადრაკო პირველობის ჰონორარები კი აშშ-ში ისევ დაეცა. საპრიზო ფონდმა წელს $25.000 შეადგინა...

***გვერდი მოამზადა მანანა ჯიქიამ***

# საქართველოს ნაკრები ბოლოდან კვლავ პირველია

რუსეთ-საქართველოს საფეხბურთო დაპირისპირება სამოცდაათ წლიანი ითვლის. გასაგები პოლიტიკური და არა მხოლოდ პოლიტიკური მომენტების გამო ორივე ქვეყნის გუნდებს ყოველთვის დიდი მოტივაცია აქვთ ურთიერთშეხვედრებისას.

საქართველოს ნაკრებმა ალბანური მარცხის შემდეგ დაკარგა ევროპის ჩემპიონატის



ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი და ახლა რუსეთში პრესტიჟის მატჩი უნდა ეთამაშა. რუსეთის ნაკრებს კი ქართველებთან მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელ ფლეი-ოფში მაინც გაენაღდებინა ადგილი.

ასეთმა მოტივაციამ, შეიძლება ითქვას, მთელი მოსკოვი ააფორიაქა. თამაშის დაწყებამდე ჯერ კიდევ ოთხი დღით ადრე „ლოკომოტივის“ არენაზე დასასწრები ბილეთები სრულად იყო გაყიდული, ბილეთის ფასი შავ ბაზარზე ორას დოლარს აღწევდა.

წინასამატჩო ბატალიებისას ბევრმა გაიხსენა რუს-ქართველთა მეგობარ-ამხანაგობაც — ქართველებს ეს თამაში არაფერში სჭირდებათ და დარწმუნებულები ვართ, ხელს არ შეგვიშლიან პორტუგალიაში წასვლაშიო — ასეთი იყო ამ პოლემიკის დედააზრი, რომელშიც რუსეთის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად ქართველი ხელოვანები და სპორტის ვეტერანებიც მონაწილეობდნენ.

ოდიოზურმა ჟირინოვსკიმ ისიც თქვა, ამ მატჩისას საქართველოს ვუქომაგებ, არადა დარწმუნებული ვარ, რუსეთი 4:0-ს მოიგებსო.

რუსეთის ნაკრებთან მატჩისას საქართველოს ნაკრებს რომ არ ეყოლებოდა კახა კალაძე, ეს რამდენიმე ხნით ადრე იყო ცნობილი. ბოლო მომენტში ტრავმის გამო ნაკრებს დააკლდა „რეინჯერსელი“ შოთა არველაძეც.

ჟორდანიას შეგირდებმა კი ორ გუნდად დაიწყეს შეკრება. ლეგიონერთა ნაწილმა ოთარ გაბელიას ხელმძღვანელობით მოსკოვში მოიყარა თავი, ათი ფეხბურთელი კი თბილისში გადიოდა მზადებას. ასეთი გადაწყვეტილება ჟორდანიამ შემდეგნაირად განმარტა: ჩვენ მოვერიდეთ ფეხბურთელთა ზედმეტ მგზავრობას და ვფიქრობთ, რომ ამგვარი გადაწყვეტილება ოპტიმალური გამოსავალი იყოო.

თუმცა, საქართველოს ნაკრებსაც რომ ჰქონოდა ამ მატჩში მოტივაცია, ნაკრების წინასამატჩო შეკრება, ვფიქრობთ, განსხვავებული ფორმატით ჩატარდებოდა.

აბდუშაპილისა არ იყოს, რუსეთის ნაკრებს ხეირიანად მისალმებაც არ დაემთავრებინა, რომ ონოპკოს წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის გიორგი დემეტრაძემ გაფრთხილება მიიღო, ორ წუთში საქართველოს ნაკრების აგრესიულმა თამაშმა შედეგი გამოიღო — ალექსანდრე იაშვილის მიერ ოციოდე მეტრიდან დარტყმული ბურთი ჯერ რუსეთის ნაკრების მცველს, იგნაშევიჩს მოხვდა, მერე ძელს შეეხო და ოვჩინიკოვის კარში შევარდა.

გატანილი გოლის შემდეგ ქართველი ფეხბურთელები დაცვაში ჩადგნენ და მეტოქეს სივრცე დაუთმეს. თავდაპირველად, ამან გაამართლა, რადგანაც პირველი სახიფათო მომენტი ლომაიას კართან მე-18 წუთზე შეიქმნა. 27-ე წუთზე გოჩა ჯამარაულის დარტყმის შემდეგ რუსთა კარი სასწაულად გადაურჩა გოლს. 29-ე წუთზე რუსების გოლეადორმა ბულიკინმა შესძლო წონასწორობის აღდგენა. კარიაკას მიერ ჩაწოდებული ბურთი თავით გაგზავნა ლომაიას კარში. ამის შემდეგ თამაში გაიხსნა, იყო ორმხრივი იერიშები.

პირველი ტაიმის დამატებულ მეორე წუთზე საქართველოს კარში მეორე გოლი გავიდა. მარჯვენა ფლანგიდან ევსეევის ჩაწოდებული ბურთი კერჟაკოვმა მიიღო, რომელმაც თავით დაუგდო ტიტოვს, ამ უკანასკნელმა კი ზუსტად დაარტყა 2:1.

საპასუხო შეტევა საქართველოს ნაკრებმა კინაღამ გოლით დაასრულა. დემეტრაძემ ჩამოიტოვა სენიკოვი, მაგრამ ორიოდე მეტრიდან ვერ შეძლო კარში ზუსტად დარტყმა.

მეორე ტაიმი რუსთა შეტევებით დაიწყო, 74-ე წუთზე სიჩოვმა მესამე გოლი გაიტანა საქართველოს ნაკრების კარში, ამის შემდეგ საქართველოს ნაკრების დაცვა საერთოდ მოიშალა და რუსებს რომ თავი გამოედოთ, ალბათ სამ გოლს არ დასჯერდებოდნენ. შედეგი ლოგიკური გახლდათ. ჭორები თითქოსდა ქართველი ფეხბურთელები უბრძოლველად მიართმევდნენ რუსებს გამარჯვებას, საბედნიეროდ არ გამართლდა. ბიჭებმა ითამაშეს ისე, როგორც შეეძლოთ, ნახევარი საათი მთელი რუსეთის ანერვიულეს. სამწუხაროდ, ფეხბურთი ნახევარ საათზე დიდხანს გრძელდება...

რუსი ჟურნალისტების აღიარებით, მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ მცველი გიორგი ლომაია გახლდათ, რომელმაც რამდენიმე ურთულესი ბურთი მოიგერია შეძლო.

**მერაბ ჟორდანია** (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი): — „რუსეთის ნაკრებმა მოიგო იმიტომ, რომ მას გამარჯვება უფრო უნდოდა. ჩვენი ფეხბურთელები ღირსეულად იბრძოდნენ და მთელი ძალები შეალიეს ბრძოლას. მე არა მაქვს არავითარი სასაყვედურო ბიჭებთან. თუმცა, არც იმას დავმალავ, რომ ჩემთვის არ იყო სულერთი, ვინ გავიდოდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. რუსეთი ჩვენი მეზობელია და მას ვულოცავ წარმატებას.“

**გიორგი ლომაია:** — „რუსების კარში გატანილმა პირველმა გოლმა საკმაოდ დიდი ძალები შეგვმატა, გუნდი კარგადაც ითამაშდა, ფსიქოლოგიურად დამთრგუნველად იმოქმედა ჩვენს კარში მეორე გატანილმა გოლმა, როცა პირველი ტაიმის დასრულებას არაფერი აკლდა. მეორე ტაიმში საკმაოდ ბევრი სამუშაო მქონდა. მეც ვცდილობდი, რომ თავი გამომეჩინა, მოსკოველი პუბლიკისთვის უნდა მეჩვენებინა ჩემი შესაძლებლობები. ეს კარგი შანსი იყო იმისთვის, რომ „სპარტაკის“ ძირითად შემადგენლობაში დავიმკვიდრო ადგილი.“

**ლევან კობიაშვილი:** — „პირველ ტაიმში ჩვენ არაფერი დაგვეთმო მეტოქეს, გავიტანეთ გოლი, შევქმენით არაერთი საგოლე მომენტი, მაგრამ ტიტოვის გოლმა გუნდი მოშალა. ამის მერე ძნელი იყო ჩვენი თამაში გვეპოვა. კახა კალაძე რომ ყოფილიყო მოედანზე, ვინ იცის როგორ წარიმართებოდა მატჩი. კალაძე მოსკოვში ჩამოვიდა ჩვენს საქომაგოდ, მაგრამ ამან ვერაფერი გვიშველა.“

**ბაზელში შვეიცარიის ნაკრებმა მოუგო ირლანდიელებს 2:0 და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, რუსებს კი პლეი-ოფში მოუწევთ ბრძოლა.**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 8 | 4 | 3 | 1 | 15-11 | 15 |
| რუსეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 19-12 | 14 |
| ირლანდია | 8 | 3 | 2 | 3 | 10-11 | 11 |
| ალბანეთი | 8 | 2 | 2 | 3 | 11-15 | 8 |
| საქართველო | 8 | 2 | 1 | 5 | 8-14 | 7 |

**გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დასკვნითი მატჩები:**

**I ჯგუფი**
კვიპროსი — სლოვენია 2:2
საფრანგეთი — ისრაელი 3:0

**II ჯგუფი**
ნორვეგია — ლუქსემბურგი 1:0
ბოსნია-ჰერცოგოვინა — დანია 1:1

**III ჯგუფი**
ავსტრია — ჩეხეთი 2:3
ჰოლანდია — მოლდოვა 5:0

**IV ჯგუფი**
შვეცია — ლატვია 0:1
უნგრეთი — პოლონეთი 1:2

**V ჯგუფი**
გერმანია — ისლანდია 3:0
შოტლანდია — ლიტვა 1:0

**VI ჯგუფი**
საბერძნეთი — ჩრდ. ირლანდია 1:0
სომხეთი — ესპანეთი 0:4

**VII ჯგუფი**
თურქეთი — ინგლისი 0:0
ლიხტენშტეინი — სლოვაკეთი 0:2

**VIII ჯგუფი**
ხორვატია — ბულგარეთი 1:0
ბელგია — ესტონეთი 2:0

**IX ჯგუფი**
იტალია — აზერბაიჯანი 4:0
უელსი — სერბია-ჩერნოგორია 2:3

*ამრიგად, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურები მოიპოვეს ჩეხეთის, ინგლისის, შვეიცარიის, დანიის, შვედეთის, გერმანიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, იტალიის და ბულგარეთის ნაკრებებმა. ამ ათ გუნდს დაემატება ჩემპიონატის მასპინძლი პორტუგალიის ნაკრები და კიდევ ხუთი გუნდი, იმ ათი ნაკრებიდან, რომელთაც შესარჩევ ეტაპზე ჯგუფებში მეორე ადგილი დაიკავეს.*

*ფლეი-ოფებში მონაწილეობას მიიღებენ მეორეადგილოსნები: ჰოლანდიის, თურქეთის, რუსეთის, ნორვეგიის, ლატვიის, შოტლანდიის, ესპანეთის, სლოვენიის, უელსის და ბელგიის ნაკრებები.*

*აღსანიშნავია ისიც, რომ მეორე ჯგუფში ერთნაირი ქულები მოაგროვეს რუმინეთისა და ნორვეგიის, ხოლო მეოთხე ჯგუფში ხორვატიისა და ბელგიის ნაკრებებმა.*

*გათამაშების დებულების თანახმად, უპირატესობა მიენიჭა იმ გუნდს, რომელსაც უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა ურთიერთშეხვედრებში. სწორედ ამ კრიტერიუმით ფლეი-ოფში მოხვდნენ ხორვატიისა და ნორვეგიის ნაკრებები.*

ავსტრალიაში სტარტი აიღო მსოფლიო თასის გათამაშებამ რაგბიში. სიდნეის სტადიონზე 81.350-მა მაყურებელმა მოიყარა თავი. ეს მსოფლიო თასის გათამაშების რეკორდული მაჩვენებელია. გახსნის ცერემონიალზე, რომელიც საოცარი სილამაზითა და ავსტრალიური ეგზოტიკით გამოირჩეოდა, საქართველოს დროშაც ფრიალებდა. ისტორიაში პირველად სათამაშო სახეობებში ჩვენი ქვეყნის ნაკრები მსოფლიო მარაქაში გაერია. არაა გასაკვირი, რომ ბობოლა სარაგბო ნაკრებები დებიუტანტს ერთგვარად ალმაცერად უყურებენ, თუმცა, ჩვენი მორაგბეების განწყობით თუ ვიმსჯელებთ, ფავორიტები ბორჯღალოსნებმა უდავოდ უნდა გააწბილონ.

## საინტერესო პარალელები, ანუ ჩემპიონატი ტრაგედიის ზღურბლზე

სპორტში ტრავმები ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ტრავმაც არის და ტრავმაც... ჩემპიონატის გახსნის მატჩში ავსტრალიისა და არგენტინის ნაკრებთა დაპირისპირებისას, რომელიც მასპინძელთა გამარჯვებით 24:8 დასრულდა, ავსტრალიელი მორაგბე დევიდ გიფინი მიწას ისე დაენარცხა, რომ კარგა ხანს სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. მატჩი შვიდი წუთით გაჩერდა, გიფინი გაიყვანეს მოედნიდან და საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

სხვათა შორის, ანალოგიური რამ ქართული რაგბის ისტორიაშიც მომხდარა. 2001 წლის აპრილში ევროპის ერთა თასის გათამაშების გადამწყვეტ მატჩში, რომელიც ბუქარესტში გაიმართა, ლევან ცაბაძემ უმძიმესი

# „დიდ კაცთან პატარა კაცსა...“

ტრავმა მიიღო. რამდენიმე წუთი მოედანზე უგონოდ იწვა. ექიმების წინასწარი დასკვნაც მეტად შემაშფოთებელი იყო. ლევანი კი გონს მოეგო თუ არა, მოედანზე შესვლა ისურვა. წინ აღუდგნენ, მაგრამ აბა „ლეონსიოს“ ვინ დააკავებდა. გავიდა მოედანზე და გადამწყვეტი ლელოც დადო. იმ ლელოს წყალობით მოიპოვა ჩვენმა ნაკრებმა ევროპის ერთა თასი.



## ვინ ასწავლა საქართველოს ჰიმნი ავსტრალიელებს

საქართველოს ნაკრებს სრულიად საკმარისი დრო ჰქონდა ავსტრალიური გარემოს შეჩვევისთვის. ჩვენი ბორჯღალოსნები 30 სექტემბერს ჩავიდნენ პერტიში, სადაც გულთბილი დახვედრა მოუწყვეს მასპინძლებმა.

**მერაბ კვირიკაშვილი (საქართველოს ნაკრების მოთამაშე):** — გულშემატკივარი საკმაოდ თბილად დაგვხვდა. დაახლოებით ექვსასამდე კაცი იქნებოდა. ჩვენი დროშები გამოეტანათ. ბუნებრივია, თავდაპირველად გაგვიკვირდა, სიხარულს ვერ ვმალავდით. მერე გავარკვიეთ, რომ ჩვენი ფანკლუბის ჩამოყალიბების იდეა გაზეთ „პოსტის“ გამომცემლის, ბრეტ კრისტიანისთვის მიუწოდებია ერთ-ერთ ჩვენებურს, ჩვენმა გულშემატკივრებმა უკვე იციან ორიოდე ქართული სიმღერა, ასევე იციან საქართველოს ჰიმნი.

**ზაზა ძასაშვილი (რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი):** — ჩვენი ფანკლუბის წევრთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება. ახლა მათი რიცხვი ათასამდე აღწევს. საგულისხმოა ერთი ფაქტიც — გარდა იმისა, რომ ეს ხალხი საქართველოს ნაკრებს დაუჭერს მხარს, ასევე გადაწყვიტეს, რომ ერთ-ერთ ბავშვთა საავადმყოფოს დაეხმარონ საქართველოში.

## რისი ეშინოდათ ინგლისელებს

ინგლისელები საკმაოდ ბევრს ნერვიულობდნენ ერთი ფაქტის გამო — მათ აფიქრებდათ ის, თუ საქართველოს ნაკრები რამდენად კორექტულად ითამაშებდა. ინგლისურ „სანიში“ გამოქვეყნებული იყო მასალა, რომელიც საქართველოს ნაკრებს ეხებოდა, სწორედ ამ სტატიაშია მოყვანილი საფრანგეთის „ბეზიეს“ მოთამაშის **ვანო ნადირაძის** საინტერესო განმარტება: — ჩვენთვის უცხოა ვინმეს წინააღმდეგ გამიზნულად ბინძური თამაში. ქართველთა ბუნებას ეს ეწინააღმდეგება. ერთადერთი მოთამაშე, ვინც მატჩის გაგრძელება ვერ შეძლო ჩვენთან თამაშის შემდეგ, ტონგოელი გახლდათ, ეს რამდენიმე წლის წინ მოხდა. ასე რომ, ინგლისელებს არაფერი აქვთ სანერვიულო. ჩვენ ბინძურ თამაშს არ ვიკადრებთ. რაგბი ჯენტლმენთა თამაშია და ამ წესისთვის არასოდეს გადაგვიხვევია. იმასაც დავამატებ, რომ რაინდული ხასიათი ქართველი ერის ფსიქოლოგიის განუყრელი ნაწილია, ჩვენ კი ჩვენი ერის ტრადიციების ერთგული დამცველნი ვართ. ვიტყვი იმასაც, რომ ინგლისის ნაკრებს დიდი ბრძოლა ელის ჩვენთან. არაფერს დავთმობთ. ჩვენს მეტოქეებს მოუწევთ ამ ფაქტთან შეგუება.

მატჩის წინა ვარჯიშებისას საქართველოს ნაკრების მთავარი ყურადღება დაცვაზე იყო გადატანილი.

**მერაბ კვირიკაშვილი:** — განსაკუთრებული ვარჯიშები და ტაქტიკური სქემები გვაქვს მოფიქრებული, რომ ჩვენი დაცვა გავაძლიეროთ. ამ მხრივ დაგვეხმარა ის ნოვაცია, რომელიც კლოდ სორელმა დაამკვიდრა ნაკრებში. ახლა ნებისმიერი ჩვენი მოქმედება რაციონალური ხდება. ეს სქემა ზედმეტ მოძრაობასა და ენერგიის უმიზნო ხარჯვას გამორიცხავს. ამით ჩვენ უფრო გვიადვილდება თამაში, მოწინააღმდეგეს კი მეტი პრობლემები ექმნება.

სხვათა შორის, ინგლისელთა გუნდის ვარსკვლავი 24 წლის **ჯონი უილკინსონი** მეტად საინტერესო შეფასებას აძლევს საქართველოს ნაკრებს:

„იტალიასთან საქართველოს მატჩის ვიდეოფირი ვნახეთ. საქართველოს ნაკრებმა კარგად ითამაშა და ძნელი ასახსნელია, რატომ წააგო. შეიძლება ფსიქოლოგიურად არ არიან მომზადებულები. მიუხედავად ამისა, ჩვენ მედგრად უნდა დავხვდეთ მათ. მსოფლიო თასზე თამაშისას ყველას დიდი მოტივაცია აქვს და ეს უნდა გავითვალისწინოთ, თორემ შეიძლება თვითდაჯერებამ დათვური სამსახური გაგვიწიოს...“

## მატჩი

შეხვედრის დასაწყისიდანვე ჩანდა, რომ საქართველოს ნაკრებს დაცვაზე ჰქონდა აქცენტი აღებული. მიუხედავად ამისა, თამაში ბორჯღალოსნებმა აგრესიულად დაიწყეს. პირველი ქულები მაინც ინგლისელებმა მოიპოვეს. ინგლისური და მსოფლიო რაგბის ვარსკვლავმა უილკინსონმა ჯარიმა ზუსტად გამოიყენა და საკუთარი გუნდი დააწინაურა.

ქართველმა სპორტსმენებმა ისევ გააგრძელეს შეტევა და ინგლისელები დაჯგუფდნენ, მატჩის მეცხრე წუთზე 35 მეტრიდან მალხაზ ურჯუკაშვილმა ზუსტად დაარტყა ჯარიმა და გაათანაბრა ანგარიში — 3:3.

თუმცა, სულ მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ინგლისელებმა შეძლეს უპირატესობის მოპოვება და პირველი ტაიმი სოლიდური სხვაობით მოიგეს — 34:3.

მეორე ტაიმი იმავე სცენარით წარიმართა. ინგლისის ნაკრები აგროვებდა ქულებს. ქართველმა ბორჯღალოსნებმა კი კიდევ ერთი საჯარიმოს გატანა მოახერხეს — ამჯერად ზუსტად გამოიყენა შანსი პალიკო ჯიმშელაძემ.

მატჩი დასრულდა ინგლისელთა გამარჯვებით, ანგარიშით 84:6.

მიუხედავად ასეთი ანგარიშისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა რაგბისტებმა ბოლომდე იბრძოლეს. აშკარად გამოჩნდა, რომ ჩვენს ნაკრებს მსოფლიო სარაგბო ელიტაში შესასვლელად ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს.

რაგბიში ჩაუხედავ კაცს შეიძლება კატასტროფულადაც მოეჩვენოს ეს ანგარიში. შეიძლება ცოტა უხეში შედარებაა, მაგრამ ინგლის-საქართველოს ბრძოლა რაგბიში, დაახლოებით იმავეა, რაც ბრაზილიისა და თუნდაც იგივე საქართველოს ნაკრებთა საფეხბურთო დაპირისპირება, თანაც რაგბიში უიშვიათესია ისეთი სენსაციები, როგორიც თუნდაც ფეხბურთში ხდება. ის, რაც მოხდა სრულიად ლოგიკური გახლდათ.

სპეციალისტები 70-80 ქულით ვარაუდობდნენ ბრიტანელთა გამარჯვებას და არც შემცდარან. მართალია, უკეთესი იქნებოდა ჩვენებს ერთი ლელო მაინც რომ გაეტანათ, მაგრამ არც ეს შედეგია ტრაგიკული. ინგლისელებს ბევრად უფრო სახელოვანი გუნდები ბევრად დიდი ანგარიშით დაუმარცხებიათ.

მომდევნო მატჩს ბორჯღალოსნები მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე, 19 ოქტომბერს სამოას ნაკრების წინააღმდეგ გამართავენ.

სამოას ნაკრები კი ისეთი დონის გუნდია, რომელთანაც მოგებაზე ფიქრი შეიძლება. როგორც ლევან ცაბაძემ გვითხრა, სამოას რუსეთის ნაკრები ოდნავ სჯობს. ასე რომ, ჩვენს ბორჯღალოსნებს წარმატებული თამაშის შანსი ერთი კვირის შემდეგ მიეცემათ.

ჩვენც დაველოდოთ პირველ წარმატებას.

*გვერდი მოამზადა*
*გიგა ხორსელმა*

## №40 (366) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 629 მკითხველი გამოეხმაურა. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 234-მა ქალმა და 392-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად ვინ არის პრეზიდენტის „თავის ტკივილი“?**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველების აზრით, პრეზიდენტის ყველაზე დიდი „თავის ტკივილი“ პოლიტიკურ ბატალიებში — სკანდალებში, ხმაურიან ვოიაჟებში კარგად გამობრძმედილი სააკაშვილია. როგორც ჩანს, სწორედ მისი ხმაური ატკიებს თავს შევარდნაძეს ყველაზე მეტად. რესპონდენტთა დაახლოებით 53%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით, მინიმალური ქულა მხოლოდ სამმა მკითხველმა (0,5%) დაუწერა. **8,07** საშუალო ქულით სააკაშვილი პირველ ადგილზეა.

შემდეგი ადგილის მფლობელიც საკმაოდ ხმაურიანი პოლიტიკოსია, მკითხველთა 13%-ის აზრით, პრეზიდენტს არანაკლებ თავსატეხს უჩენს ნათელაშვილიც. 6,88 საშუალო ქულით შალვა ნათელაშვილი მეორე ადგილზეა.

მიუხედავად იმისა, რომ იგორ გიორგაძე 5,72 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა, მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით მეორეზეა და ამ ნიშნით წინ უსწრებს ნათელაშვილს. იგორ გიორგაძეს რესპონდენტთა 17%-მა მიაკუთვნა 9 ქულა.

როგორც ვხედავთ, №1 ტერორისტად შერაცხულ გიორგაძეზე მეტად სააკაშვილი და ნათელაშვილი უქმნიან დისკომფორტს შევარდნაძეს.

ჩვენი მკითხველების აზრით, ყველაზე უწყინარი ადამიანები გაჩეჩილაძე და თოფაძე არიან, ყოველ შემთხვევაში, ისინი შედარებით მცირე დოზით იწვევენ პრეზიდენტის თავის ტკივილს.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 26 წლის **მაია ჯოხაძე** და 37 წლის **ალექსანდრე მათიაშვილი.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს, 17 საათზე.

## №41 (367) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **მკითხველის პრემიაში**

**№41 (367) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 15 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 16 ოქტომბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

**საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგ-შიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №41 (367) — არაპოლიტიკოსი დეპუტატობის მსურველები

**ვინ იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად?** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№41(367) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნინო გყურიელი — მოჭადრაკე (სახელისუფლებო ბლოკი) | |
| 2 | გოდერძი ჩოხელი — მწერალი, რეჟისორი (ლეიბორისტული პარტია) | |
| 3 | გიორგი ასანიძე — ძალოსანი (ბურჯანაძე-დემოკრატები) | |
| 4 | ნონა გაფრინდაშვილი — მოჭადრაკე (ახალი მემარჯვენეები) | |
| 5 | დათო ხუჯაძე — მომღერალი (აღორძინება) | |
| 6 | რეზო ჩხიკვიშვილი — მსახიობი (ლეიბორისტული პარტია) | |
| 7 | გიორგი მოსიძე —???? (ახალი მემარჯვენეები) | |
| 8 | გიორგი კანდელაკი — მოკრივე (სახელისუფლებო ბლოკი) | |

*მკითხველის რეიტინგი*

???????

✓ ______________________

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

______ ასაკი ______ ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

### *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

**მკითხველის რეიტინგში მკითხველებს საშუალება მივეცით თავი პოლიტიკურ ლიდერად წარმოედგინათ. როგორც ჩანს, რესპონდენტთა ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონია. „მათ პარტიებში“ ერთად სხდოდნენ მგელი და კრავი. ედუარდ შევარდნაძეც შეიყვანეს ათეულში და მანანა არჩვაძე-გამსახურდიაც, ნინო ბურჯანაძეც და ირინა სარიშვილი-ჭანტურიაც...**

**ერთმა რესპონდენტმა ფეხბურთელთა ათეული შეადგინა, ერთმაც თანამედროვე შოუ ბიზნესის წარმომადგენლებით დააკომპლექტა „ცხელი ათეული“.**

პოლიტიკოსთა უნივერსალური ათეული კი ასე გამოიყურება:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ნინო ბურჯანაძე | 83,1% | 6. | გოგი თოფაძე | 44.4% |
| 2. | შალვა ნათელაშვილი | 78.8% | 7. | კობა დავითაშვილი | 40.5% |
| 3. | მიხეილ სააკაშვილი | 61.1% | 8. | რეზო შავიშვილი | 40.3% |
| 4. | ზურაბ ჟვანია | 51.0% | 9. | დავით გამყრელიძე | 40.1% |
| 5. | ჯუმბერ პატიაშვილი | 45.4% | 10. | აკაკი ასათიანი | 39.7% |

რესპონდენტთა 1,4%-ს გაუჭირდა პოლიტიკოსთა უნივერსალური ათეულის შედგენა.

***მკითხველის რეიტინგში 504 რესპონდენტი მონაწილეობდა***

## · ფოტოპალიტრა · ფოტოანტიკვარი ©

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

**რას დაარქმევდით?**

______________________
______________________
______________________
______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________
ქალაქი (რაიონი) ______________

**ფოტოანტიკვარის“ მინიშნება ასეთი იყო — „ვგავარ ახლა მე დიდი მსახიობის დიდი ცოლს?..“ მონაწილეთა 29% დარწმუნებულია, რომ ეს პატარა, გოგონა სოფიკო ჭიაურელია. ერთმა მკითხველმა მასში ლეილა აბაშიძე „ამოიცნო“. ერთმაც — პრეზიდენტის მეუღლე — ნანული ცაგარეიშვილი...**

**მკითხველთა 64%-მა კი ამ ფოტოში გურანდა გაბუნია შეიცნო და არც შემცდარა.**

**თქვენს წინაშეა გურანდა გაბუნიას ბავშვობის ფოტო.**





***ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი***



**გურანდა გაბუნია, ?? წლის**

## ფოტოგანწყობა



– არ უთხრათ ქართველ ბრაკონიერებს, აქ რომ ვარ...

# ჰოფმანი ნეკა თითის გარეშე დარჩა



ჰოლივუდის განუმეორებელ ვარსკვლავს, დასტინ ჰოფმანს მთელი სიცოცხლე ემახსოვრება ფილმის, „ნევერლანდის" გადაღებები. ინგლისში მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, უბედური შემთხვევა მოხდა: გატყდა სავარძელი, რომელშიც დასტინი მოკალათებულიყო და მსახიობს ნეკა თითის ნახევარი წააწყვიტა. „დაუყოვნებლივ გამაქანეს საავადმყოფოში და ოპერაცია გამიკეთეს, მაგრამ ვერ მიმაკერეს მოჭრილი ნახევარი და მაინც, მაშინვე მივუბრუნდი გადასაღებ მოედანს და არც ერთი დღით არ შემიფერხებია გადაღებები, თუმცა ყოველ წუთს ტკივილგამაყუჩებელ აბებს ვიღებდი", — ჰყვება ჰოფმანი. სხვათა შორის, გადაღებები მსახიობს მხოლოდ მიღებული ტრავმის გამო არ დაამახსოვრდება: ის აღფრთოვანებული იყო ჯონი დეპთან მუშაობით. „ჯონი თავისი თაობის საუკეთესო მსახიობია და მასთან მუშაობით მიღებული სიამოვნების გამო მზად ვარ, გავიღო კიდევ ერთი მსხვერპლი", — ხუმრობს ჰოფმანი.

* * *

მიხო დილაადრიან მდინარის პირას ქვაზე ჩამომჯდარა და თევზაობს.

ამ დროს მას მიტო მიუახლოვდა.

— როგორი წყალია თუ იცი?

— შესანიშნავი, თევზს საერთოდ არ უნდა წყლიდან ამოსვლა...



**18/X ☾**

**უკანასკნელი მეოთხედი**

**მაგნიტური დღეებია:**

**16/X 2-დან 4 საათამდე**

**18/X 6-დან 8 საათამდე**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები





**თარაზულად:** 1. იგი არსებობს როგორც სასურველი — გრატა, ასევე, არასასურველი — ნონ გრატა; 4. ყველაზე ცნობილი კოლუმბიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 6. ტროპიკული ხვიარა მცენარე; 7. ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდება ექვმიტანილს; 8. დროის დიდი მონაკვეთი; 9. ამერიკელი კოსმონავტი, კოსმოსის 5-ჯერ დამლაშქრავი და მთვარეზეც ნამყოფი; 10. იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი; 13. ჰერმეტულად დახურული მინის პატარა ჭურჭელი წამლისათვის; 16. საფრანგეთის ყველაზე გრძელი მდინარე; 18. ესპანელი სოპრანო, ბელკანტოს ოსტატი; 19. აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 20. ისლამური რესპუბლიკა სამხრეთ-დასავლეთ აზიაში; 22. სასუნთქი მილი, სასულე; 23. საუკეთესო ბროლი, რომლის წარმოება საფრანგეთში სათავეს იღებს 1816 წელს. 25. გუნდური თამაში, რომლის მსოფლიო თასის გათამაშებები ამჟამად მიმდინარეობს ავსტრალიაში; 27. რეიგანის მეუღლე; 28. ნაღვლის ბუშტის სადინარში კენჭის „გასეირნება"; 29. სპორტული ნაწარმის ამერიკული ფირმა; 30. ამ ქვეყნისკენ უმოკლესი გზის აღმოსაჩენად გაემგზავრა თავისი ექსპედიციით კოლუმბი; 31. შთამომავლებისთვის დანატოვარი რჩევა-დარიგება.

**შვეულად:** 1. მოულოდნელი, უცნაური აზრი ან მსჯელობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებულისაგან; 2. სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 3. შტატი აშშ-ში, რომლის გუბერნატორობაც კარგად არის დაცდილი პრეზიდენტობისკენ გზაზე, განსაკუთრებით ყოფილი მსახიობებისათვის; 4. შნო და მოხერხება; 5. ეგნატე ნინოშვილის ნამდვილი გვარი; 11. დაბალი მაგიდა; 12. ცნობილი ავსტრიელი პოეტი; 14. გერმანული ექსვალუტა; 15. მომცრო საზიდარი; 16. მუსიკის ავტორი ფილმში „ქალი და მამაკაცი"; 17. „აირზენას" მიერ ახლახან შეძენილი თვითმფრინავების მარკა; 21. იაზონის მეზღვაურის სახელწოდება; 22. პრინცესა, კარლო გოცის ნაწარმოებში; 24. ვარსკვლავთმრიცხველი; 25. გერმანელი ფიზიკოსი, რომლის გვარი ყველაზე ხშირად მოიხსენიება; 26. მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**




## მოზაიკა
# პრინცი ზოოპარკით მოიხიბლა

იტონის პრესტიჟული კოლეჯის დამთავრების შემდეგ, 19 წლის პრინცმა ჰარიმ გადაწყვიტა, აიღოს ტაიმ-აუტი და კარგად მოიფიქროს, სად გააგრძელოს სწავლა. შესაძლოა მომავალ ზაფხულს მან ჩააბაროს სენდჰერსტის სამხედრო კოლეჯში, ჯერჯერობით კი, ჰარი კერძო ვიზიტით ესტუმრა ავსტრალიას. ჩავიდა თუ არა პრინცი კანბერაში, მაშინვე ზოოპარკს მიაშურა, სადაც სიცოცხლეში პირველად ნახა ნამდვილი ავსტრალიური იქედნე (გველისჯიში) და კოალა.



# ჰარისონ ფორდი ქორწილისთვის ემზადება



ჰარისონ ფორდმა და კალისტა ფლოკჰარტმა გული ვერ იჯერეს ერთმანეთთან ურთიერთობით. მათი ქორწინება წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. სულ ახლახან მათ მთელი დღე გაატარეს ლოს-ანჯელესის მაღაზიებსა და საქორწინო სალონებში. „ჩვენი ნიშნობა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ შედგა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ქორწილი რამდენჯერმე გადაიდო. მაგრამ გეფიცებით, ძალიან მალე ჩვენ კანონიერი ცოლ-ქმარი გავხდებით", — ამაყად განაცხადა ფორდმა სატელევიზიო ინტერვიუში.

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

**41**

## უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№41 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 16 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი ©1518**

**„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".